ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№2 (76) მარტი-აპრილი 2020 წელი ფასი 2 ლარი

1970
2020

## ნომრის ავტორები

## ნინო სადღობელაშვილი & ჰაიკე ფიდლერი

**პოეზია**

სოფიკო კვანტალიანი
ირინა ტაბაღუა
თინათინ ხუტურიძე
ნინი ელიაშვილი
ქეთი გზირიშვილი
ნატა ვარადა
დიმიტრი წიკლაური

**პროზა**

ცოტნე ავსაჯანიშვილი

**ესეისტიკა**

როსტომ ჩხეიძე

**ახალი თარგმანები**

ტანჟერის დღიურები





ელექტრონული ბიბლიოთეკა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ყველაფერი ჩვენს წარმოებაში

სავიზიტო ბარათები; მოსაწვევები და მისალოცები;
დიპლომები; სერთიფიკატები; ბროშურები; ფლაერები;
ბუკლეტები; კატალოგები; მენიუები; კალენდრები;
პოსტერები ბლანკები; კონვერტები;
ბლოკნოტები; CD/DVD შეფუთვა
ნებისმიერი სირთულის ყუთები;
ასევე ყუთებზე ბეჭდვა;
ყველა სირთულის კვეთები;
ეტიკეტები და სხვა თვითწებადი
პროდუქტები; ბილეთები;
აფიშები, ბანერები, ვიტრინების
და ავტომობილების გაფორმება;
საათების ბრენდირება;
ბეჭდვა ოქროს და ვერცხლის ფოლგაზე,
ნატურალურ ტილოზე;
პლასტიკური ბარათებზე ბეჭდვა;
მაისურებზე, ჩანთებზე, კალმებზე ბეჭდვა

ADVERTISING COMPANY
INNO STUDIO

ციფრული,
ოფსეტური
ბეჭდვა

ქუთათელაძის 8. ტელ.: 597 39 55 87; 2 39 55 87; 2 14 12 14 innostd@gmail.com

PUBLISHING HOUSE საუნჯე გამომცემლობა

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო [illegible]

ელფერის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები

### *ნინო სადღობელაშვილი*

ელისო მეტრეველი – ნინია სადღობელაშვილის დედამიწელობა და ხედვის ისრები – 3
ნინო სადღობელაშვილი – ლექსები – 12
***ამონარიდები*** – 13
ნინო სადღობელაშვილი – სადაც გაზაფხულია – 14

### *ჰაიკე ფიდლერი*

***ბიოგრაფია*** – 18
ჰაიკე ფიდლერი: „გაისეირნო სიტყვებში, როგორც ტყეში, სადაც არ იცნობ ყველა მცენარეს“ (ესაუბრა ბაჩანა ჩაბრაძე) – 19
ჰაიკე ფიდლერი – ლექსები (ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ჩაბრაძემ) – 26

## პოეზია

სოფიკო კვანტალიანი – 31
ირინა ტაბალუა – 35
თინათინ ხუტურიძე – 42
ნინი ელიაშვილი – 46
ქეთი გზირიშვილი – 49
ნატა ვარადა – 51
დიმიტრი წიკლაური – 54

**პროზა**

ცოტნე ავსაჯანიშვილი – ბანკისთავა – 58

**ესეისტიკა**

როსტომ ჩხეიძე – ცეცხლისა და ყინულის პარტიტურა – 61

**ახალი თარგმანები**

**ტანჯერის დღიურები** (ინგლისურიდან თარგმნა ნათია მეჩითიშვილმა) – 71

345

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ელისო მეტრეველი
ნინო სადღობელაშვილი
ბაჩანა ჩაბრაძე
სოფიკო კვანტალიანი
ირინა ტაბალუა
თინათინ ხუტურიძე
ნინი ელიაშვილი
ქეთი გზირიშვილი
ნატა ვარადა
დიმიტრი წიკლაური
ცოტნე ავსაჯანიშვილი
როსტომ ჩხეიძე
ნათია მეჩითიშვილი

გამომცემლობა – „საუნჯე"
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
ელ-ფოსტა: akhalisaunje@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.newsaunje.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნინია სადღობელაშვილის

# დედამიწელობა და ხედვის ისრები

ელისო მეტრეველი

ნინო სადღობელაშვილის ტექსტებში ბევრი ამბავია. დავიწყებ იმით, რაც არ არის: უყვარს, როცა „ნინიას" ეძახიან, ამიტომ... ნინია სადღობელაშვილის ტექსტებში ბევრი ამბავია და როგორც მრავალფიგურიან ფაზლზე, ზოგჯერ ერთი წინადადებით, ერთი აბზაცით, დროსა და სივრცეში გაფანტული სხვადასხვა დეტალით, ოსტატურად „ლაგდება" თუ „იკინძება" დიდი და შთამბეჭდავი სურათი და მნიშვნელობა არ აქვს, ლექსს კითხულობ, ნოველას თუ რომანს.

ომს გადარჩენილები თუ სიყვარულს შეწირულები, უღელშებმულები თუ გაქცეულები, იღბლიანები თუ მიტოვებულები – ადამიანური ყოფის მთელი სიღრმე და სიმაღლე ისეა მოთხრობილი, რომ სულ გახსოვს ყველა „მარტოქალი" და „მარტოკაცი", ყველა გზის დასაწყის-დასასრული; გახსოვს, დალმართზე დაგორებული საზამთროები ქვებად როდის იქცევიან, ზებედეს ვარსკვლავი, იადონას დაკრძალვა, მთამსვლელის სიკვდილი, ჩიტები და ფრთები, დროის მანქანაზე მეოცნებე ღრუბელივით ბიჭი, იანვარში მოსული ოქროსფერი თოვლი და კიდევ ბევრი სხვა... და ფარდის უკან დამალული დედა, რომელიც დაბერდა და რომელმაც „თვალი შემასწრო და ბავშვივით / აიფარა ღიმილზე ხელი / და ორი იმხელა ცრემლი გადმოუვარდა, / რამხელაც მე ყოველთვის ჩემი ბავშვობა / წარმომედგინა..."

ნინია სადღობელაშვილის წიგნებში ის ქვეყანაა, რომელსაც შეიძლება გვერდი აევლო ჩვენთვის, გვერდი აევლო მთელ ამ „ერთადერთ და უკამკამეს" ცხოვრებას, ადამიანების და სოფელ-ქალაქების ერთი შეხედვით ჩვეულებრივ და მარტივ ყოფას. მარტივი არაფერია, არსად და არასდროს, არც ცხოვრებაში, მის ტექსტებში კი განსაკუთრებით. „...და რომ არც მარგალიტი არაა ცხოვრება, / არამედ რაღაც უფრო სახიფათო, / და უფრო მიუდგომელი, / და ისეთი ბრგვილი – / ენას რომ დააბჯენ კბილებზე და / სიტყვა კი, ენისწვერზე დაკიდებული, / ისევ უკან ჩაგეყლაპება, / გადაგცდება, როგორც ცრემლი / ერთადერთი და უკამკამესი..." – „ავტობიოგრაფია".

ნინია სადღობელაშვილს გამოცემული აქვს მოთხრობების კრებულები: „ბამბაზიის სამოთხე", „იასამნის სეზონი"; ლექსების კრებულები: „შუაღამის იავნანა", „ფრთები და ხელები", „100 ლექსი"; რომანები: „თავშესაფარი", „ორსული", „წამი იქა, წამი აქა"; „განძის თეატრის" ორი წიგნი – „შვიდი სიმღერის საიდუმლო" და „ოქროს ხმალი". „შვიდი სიმღერის საიდუმლოს" მიღებული აქვს და მწერალთა სახლის პრემია „ლიტერა" და თბილისის





საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



***საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის ჟიურის სპეციალური პრიზი. ნინია ამჟამად წერს ახალ რომანს და ამზადებს პროზის კრებულს გამოსაცემად. ამბობს, რომ რომანზე დიდი ხანია, არ უმუშავია და*** *„თითქოს იმ მღვიმეებს ხელახლა გავდივარ, რაც ამ რუტინას ახლავს ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან ასეა. მაგრამ ზუსტად ეს მღვიმეებია დაუვიწყარი და შეუცვლელი შთაბეჭდილებები, ამიტომ მეც ვგრძნობ განახლებას და ველოდები აღდგომას!..“*

***„გიცხოვრია ვინმესთან ონლაინრეჟიმში?“ ეკითხება ირაკლი თავის მეგობარს. ირაკლი ნინია სადღობელაშვილის „იასამნის სეზონის“ პერსონაჟია და დიდი ხნის უნახავ დედასთან შესახვედრად ემზადება. წიგნი 2013 წელს გამოვიდა. ახლაც იასამნის სეზონია, ახლაც ბრუნდებიან შიშით და ეჭვით სავსე ადამიანები სამშობლოში, ოღონდ სპეცრეისებით და ნიღბებით. რაც მთავარია, ახლა ყველა ონლაინრეჟიმში ცხოვრებას ვსწავლობთ. პრესკონფერენციები და სპექტაკლები, პრეზენტაციები და საღამოები, ყველაფერი ონლაინ – ეს ინტერვიუც.***

**– მოდი, თავიდანვე ამ კორონაშეყრილ და ამის გამო ფორმა და წესებ, შინაარსსა და კონტექსტშეცვლილ სამყაროზე ვთქვათ. ყველა შეკითხვაში, რაც თავში მომდის, მაინც ეს ვირუსი „მოძვრება“. ნინია, რას აკეთებ ახლა, როგორია შენი დღეები და ღამეებიც, #დარჩისახლში?**

– უდროობაზე, მოცალეობის არქონაზე, ადრენალინის ისტერიკულ რიტმზე ხომ ყველანი ვწუხდით, კარგი თავის სამართლებელიც გვქონდა – რაღაცები არ გამოდიოდა, იმიტომ, რომ არ გვეცალა, გიჟივით თავისთავს გადასწრებული სამყარო გვართმევდა სასიცოცხლო ენერგიას, შემოქმედებით ენერგიას, სიყვარულის ენერგიასაც კი. ჰოდა, ახლა ეს რიტმი ქვიშის საათივით ამოყირავდა, უხილავმა მტერმა სახლებში გამოგვკეტა, გვაქვს თავზე საყრელი დრო და ის „სინდისის საბუთიც“ გაყალბდა, საკუთარ თავს და გარესამყაროს რომ ავუფრიალებდით ხოლმე, ვერგამოსული საქმეების გასამართლებლად. ახლა რას ვაკეთებ? ამ ჟამიანობის პირველ დღეებში მხოლოდ ვღელავდი და ვერაფერსაც ვერ ვაკეთებდი, ადგილს ვერ ვპოულობდი, ბევრი იყო ჩემსავით, ვიცი, ინტერნეტში შესახლებული – მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში გაფანტული ჩვენი ემიგრანტების ამბების გასაგებად, საერთოდ, რაიმეს გასაგებად – რა მოხდა? რა დაგვემართა? ეს მეტაფიზიკური კითხვები უფრო ჩემთვის, დ, ალბათ, ყველასთვის. მხოლოდ შფოთვის მდგომარეობაში მათზე ვერ იფიქრებ, ამიტომ თანდათან მოვიდა სიმშვიდე, რაღაცნაირი შეგუება იმასთან, რომ კარგა ხანს მოგვიწევს ასე ყოფნა – გამოკეტილებს, მით უფრო, რომ მგონი ეს სულაც ერთადერთია ახლა, რითაც მარტო საკუთარ თავს კი არა, სხვასაც უშველი, დაიცავ.

მიუხედავად იმისა, რომ დიდად სოციალური ტიპი არც ვარ, მაინც ძალიან მიჭირს ეს იზოლაცია. დღეს თათია მთვარელიძის წერილში გადასარევი სიტყვა აღმოვაჩინე – განკუნძულება (იზოლაცია ლათინურად კუნძულს ნიშნავს). მადლობა თათიას, ზუსტად მიაგნო – განკუნძულებულები ვართ და პირდაპირ ეთერში ვუყურებთ, როგორ იტბორება რაღაც უცნაური ნარღვნით გარესამყარო. ვცდილობ, ვწერო, ვკითხულობ და ვუყურებ ფილმებს, ბავშვები (სამი ძმისშვილი) მეხმარებიან, რომ ძალიან არ დავნაღვლიანდე, საერთოდაც, ბავშვები არიან ყველაზე მკაფიო შუქის წერტილები, რომლებსაც ახლა თვალს ვუსწორებ და ერთი დიდი მსგავსებაც აღმოვაჩინე – ახლა ყველანი დასჯილი ბავშვები ვართ, დიდი და პატარა დასჯილი ბავშვები.

**– ყველაფერი ისე სწრაფად იცვლება... აღმოჩნდა, რომ რაღაცების გარეშეც შეიძლება ცხოვრება. რამდენ ხანს და როგორ, ჯერ არავინ იცის, მაგრამ შეიძლება. არის რამე, რისი შეცვლაც არ გინდა, რასაც ვერ შეელევი და ყველაფრის ფასად შეინარჩუნებ?**

– ინტერნეტში ქვეყნების, ქალაქების ფოტოებს ვათვალიერებ, ასეთი სიხარბით მგონი არც არასდროს შემიხედავს არცერთისთვის. მოგზაურობა ჩემი დიდი გატაცებაა. ახლა კიდევ უფრო მომინდა, ისე არ მოვკვდე, სულ უფრო მეტი ქვეყანა არ ვნახო. რა ლამაზია, რა იდუმალია, რა საშინლად საინტერესოა, როგორი პატარა და მშობლიურია ეს დედამიწა. ალბათ, ყველას გაუმძაფრდა ამ დღეებში დედამიწელობის განცდა – მარტო შენი ქვეყნის ამბავი კი აღარ განუხებს, იმ შორეულ სამხრეთ კორეაშიც ითვლი ადამიანებს, იტალი-

აც ისე გედარდება, როგორც საკუთარი სამშობლო. ლამის სახელებით იცი უკვე აივნებზე გადმომდგარი და მომღერალი ადამიანები; გესიზმრება ესპანეთი, ამერიკა – შენი ნაწილებია. როდის დაუახლოვდი, როდის იქცა ეს პლანეტა შენს დიდ სახლად, როცა ასეთი თავქუდმოგლეჯილი გარბოდი ხოლმე მისგან: ოფისებში, ლაბორატორიებში, ბირთვულ სადგურებში?!..

ახლა ვფიქრობ, ამ მშვენიერ პლანეტაზე მშვიდობის სანაცვლოდ რას შევველეოდი? სოციალურ ქსელში ისეთ აქტიურ ჩართულობას, როგორიც აქამდე მქონდა – დროის და ენერგიის ვამპირს, დაუნანებლად შევველეოდი და სავარუდოდ, ასეც იქნება, მარტო ჩემთანაც არა, ალბათ, ბევრი გადააფასებს დროის მნიშვნელობას. ყველაფერ იმას შევველეოდი, რაც მართმევდა საუკეთესო წუთებს, სიხარულს – ფუჭ სოციალურ აქტივობას, უაზრო და წყალწყალა ურთიერთობებს. უბრალოდ, აღარაფერში დამჭირდება, შინყოფნამ ხედვის ისრები შეცვალა – აქედან უფრო მძაფრად ჩანს „გარეთ“. და რა არის ის, რაც „გარეთაა“ და ყველაზე ძვირფასია? – ვერ შევველევი ჩემს საყვარელ კაფეებში ფინჯანი ყავის დალევას, განსაკუთრებით, როცა რალაცით გემრიელად ხარ დაღლილი და საკუთარ თავს უპატარავებ სიამოვნებას ჩუქნი; ვივლი თეატრებში, იმედია, არაფერი შეცვლის თეატრის მთავარ მაგიას – მაყურებლის თანადასწრებულობას. ახლაც ვუყურებ ონლაინსპექტაკლებს, მაგრამ ეს ის არაა, სადღაც, ვირტუალურ ლაბირინთებში რალაც კვდება, რაც სცენიდან ჩემამდე უნდა მოდიოდეს – ენერგიის ტალღები, იმპულსები, რომლებიც მხოლოდ ასეთ ცოცხალ ურთიერთობაში ნაღმებივით უნდა გასკდნენ შენში. გადასარჩევია ეს ონლაინრეჟიმი და მით უფრო, ახლა, განკუნძულებული კაცობრიობისთვის, მაგრამ თუკი ამ ომის დამთავრების შემდეგ თეატრებიც ონლაინჩვენებაზე გადავლენ, ეს იქნება პირადად ჩემთვის მომაკვდინებელი სევდა.

**– დღეს ძალიან ბევრს წერენ პოსტკორონასეულ დროზე, ხალხს უყვარს გადასწრება. მეცნიერებმა, ჯერ შუა გზაზეც არ ვართო და ჩვენ უკვე იმ „პოსტსამყაროში“ გადავცხოვრდით. საინტერესოა, რა შეიცვლება, რას მოიტანს, რას წაილებს... გიფიქრია ამაზე? წარმოგიდგენია?**

– 20 მარტის თოვლი თბილისში (ხომ გახსოვს, როგორი თოვლი მოვიდა, უხვი, ფაფუკი) პირადად ჩემთვის იყო ნიშანი, რომ რალაც დიდი და საბედისწერო მოხდა. ლამის მეოთხე წელია, თბილისში ნორმალურად კი არა, მგონი საერთოდ არ მოუთოვია. ჰოდა, ჩაიკეტა თუ არა ცის საზღვრები, ერთ კვირაში ზუსტად ამ ცამ – თვითმფრინავებისგან დაჩხაპნილმა და რაკეტებისგან ამოჩიჩქნილმა – ოდნავ ამოისუნთქა თუ არა, მოგვეცა ნიშანი. უკვე ყველანი ვთანხმდებით, რომ ამ ყველაფრის დასრულების შემდეგ სულ სხვა სამყაროში ამოვყოფთ თავს. გადაფასდება ღირებულებები, საზრისები, ადამიანი სულიერ წყაროებს მიეძალება, რადგან მატერიამ უკვე შუა ჯოჯოხეთი – უხილავი ბაქტერია, ვირუსი, რომელიც დღითიდღე შთანთქავს ყველაფერს – „ელიტურსაც“ და „მარგინალურსაც“. ამ ომმა მთელი დედამიწა სიკვდილის კარს მიგვაჭყლიტა. მხატვარი რომ ვიყო, ამ კადრს დავხატავდი, თვალწინ მიდგას, მაგრამ ხატვის ნიჭი არ მაქვს. ეს დღეებია, სხეულით ვგრძნობ, რომ ის უხილავი საზღვარიც – მკვდართა და ცოცხალთა საუფლოს შორის, ძალიან მყიფე გახდა, ძალიან გამჭვირვალე, თითქოს ცოტაც და ისინი გადმოგვიხტებენ, ან ჩვენ გადავაბიჯებთ და ერთ დროდ, ერთ სინამდვილედ ვიქცევით. ამ ზღვრულ სიგიჟეში დიდი სილამაზეცაა – ყველა გამოჩნდა, ყველა – თავისი სახით, სახელით, აი, პირბადეების პერფორმანსიც კი როგორი ზუსტია – პირბადემ/ნიღაბმა სახეები გამოკვეთა.

ეს დიდი ცდუნება იქნება ადამიანისთვის – უცებ აღმოჩენილი საკუთარი თავის ხელიდან არგაშვების ცდუნება და, ასე იოლად, ალბათ, აღარ დაუბრუნდება ძველ „ცოდვებს“. ვისურვებდი, იმ პოსტსილამაზეში, წინ რომ გველოდება, ადამიანმა ბოლომდე იცნოს საკუთარი თავი.

**– მგონი, იმერეთში გაქვს სახლი. დიდი ხანია, არსად „მინახავს“, შენს ტექსტებში რომ არის, ისეთი ნამდვილი სოფლები და ნამდვილი ადამიანები ამ სოფლებში. რაც ამ „კორონაომში“ ჩავებით, ვილაცები ამბობენ, რომ ხალხი სოფლისკენ შებრუნდება, მიწას დაამუშავებენ... როგორ ფიქრობ, ასე იქნება? დაბრუნდებიან?**

– იმერეთიდან დავიწყებ. კი, ზემო იმერეთში გვაქვს სახლი, რომელშიც ჩემი ბავშვობის ყველა ზაფხული გავატარე. თუ რამე სიკეთე და სილაღეა ჩემში, ზუსტად ამ ზაფხულებში აქვს გამჯდარი ფესვები. მე დედით ფშაველი ვარ, მამით ვარ იმერელი. მამაჩემი ჩასიძებული იყო ამ ფშავლების ოჯახში, რომელსაც ძალიან რთული და ძნელი ბედისწერა ჰქონდა, ტრაგიკულიც, ამიტომ რალაც სევდა იყო დაგუბებული ამათ თვალებში, დედაჩემის მხარეში. როგორც ჩანს, ეს სევდა სისხლითაც გადადის და მეც გავიზიარე ჩემი წილი. მაგრამ მამაჩემმა ისეთი სილაღე შემოიტანა, აი, როგორც იმერულმა ნიავმა – ბევრი ჯანსაღი ჰაერი, სიმღერა და მხიარულება, რომ რალაც შეიცვალა მათ ფშაურ დრამაშიც, ამის გამო ყველას ისე უყვარდა მამა, თვალში რომ ჩავარდნოდათ, თითს არ ამოისვამდნენ. და, რა თქმა უნდა, მამა უყვარდათ თავის სოფელშიც, გამორჩეულად, ისევე, როგორც მას უყვარდა ყველა და ყველაფერი, რასთანაც კავშირი ჰქონდა და რაც მიეცა ცხოვრებაში. სულ ზეპირად იცოდა მთელი რაიონის ისტორია, ყველა გვარის გენეალოგია შუა საუკუნეებამდე. მღეროდა თბილი პირველით და ჰქონდა აღდგომის რიტუალი – სოფელში, სასაფლაოზე, თავისი ღვინის ჭიქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე საფლავს ჩამოუვლიდა ხოლმე და იმ სიმღერებს უმღერებდა, რაც იმ საფლავების ბინადრებს სიცოცხლეში ყველაზე მეტად უყვარდათ: „ჩონგური", „მოუოხეთ, ბატონებო", „სამიათას წელზე მეტი" და ასე...

სოფელზე მინდოდა და მამაჩემზე ლაპარაკი გამომივიდა. თუმცა ეს ერთი და იგივეა ახლა ჩემთვის და თან მტკივნეულიც, რადგან მისი წასვლის მერე მე და ჩემმა ძმამ ვერ მივხედეთ სათანადოდ იქაურობას. დგას ახლა ჩვენი მუშაბანდიანი სახლი, ზაფხულობით ორი კვირით თუ ახმაურდება ხოლმე ჩემი ძმისშვილების და ბიძაშვილებისგან, მერე ისევ ხუჭავს თვალებს და იძინებს თავის სიზმრებში...

ეს „კორონაომი" ბევრ რამეს შეცვლის ნაწილობრივ და ერთ-ერთი პირველი ზუსტად ეს იქნება – ხალხი თავის სოფლებს დაუბრუნდება. უკვე ჩანს ამის ტენდენციაც და ძალიან მიხარია. მგონი, საერთოდაც, ყველაზე მეტი ჭირი რაცა გვჭირს, სწორედ მიწასთან და ბუნებასთან გაწყვეტილი კავშირის გამო გვჭირს. ეს ძალიან ფატალური ამბავია, ძალიან მეტაფიზიკური. მშობლიური სახლის გაცოცხლებით სიცოცხლის მოდუნებული ენერგია იღვიძებს, გადაგვარებული უჯრედები აღდგება. პირადად ჩემთვის, ასეთი მეტაფიზიკური „გადასახლების" და განახლების უნიკალური მაგალითი ცირა ყურაშვილია – ჩემი საყვარელი მწერალი, საოცარი ადამიანი. წავიდა სოფელში, მარტოქალი შეეჭიდა ისეთ საქმეებს, ზოგჯერ კაცებსაც რომ უჭირთ, მარტომ ააშენა, დაბარა, გალესა, შეადუღა, საქონელი გაიჩინა, მოსავალი მოიყვანა – სულ მარტომ, და დღეს უკვე პატარა სამოთხედ აქვს ქცეული იქაურობა, როგორც ვიცი.

აი, ეს ამბები რომ მშვიდობით ჩაივლის, ცირას ვესტუმრები, ეკა კვიციანს – ასეთივე შემართებით სასწაულები რომ ჩაიდინა სვანეთში. ასეთები არიან ჩვენი ქალები, ჩვენი გოგოები – სიცოცხლის მაგალითები. მათი მონდომება გადამდებია. ბევრი „მიმდევარი" გაუჩნდებათ, ვიცი, და ეს გადარჩენის ტოლფასი იქნება მათთვის, ვინც ცხოვრების ასეთ წესს აირჩევს.

**– ლენა, ბეატრიჩე, მარინე და კიდევ სხვა „შენი" ქალები „ჩვენი" ქალებიც არიან, ან ჩვენ ვართ – ბოლო ათწლეულების თუ კიდევ უფრო ადრინდელი გარემოებების მიერ შექმნილი „პერსონაჟები". „შრომის უღელში შესაბმელ სახედრებად რომ უნდათ ხოლმე ცოლები..." – წერ ერთგან. როგორ „იპოვე" ისინი? ამ ქალებისთვის რამე შეიცვლება, ან როდის, ან რა შეცვლის?**



– ლენა, ბეატრიჩე, მარინე... – უცებ მეხსიერება დავძაბე, ვინ არიან, ვისზე მეკითხება ელისო? ახლა, ამ გადმოსახედიდან მგონია, რომ წინა ცხოვრებაში იყო ეს ნოველები და ეს ქალებიც იქ დარჩნენ, ჩემი ნაწილიც იქ დარჩა და სულ უფრო იშვიათად მახსენდება. მაგრამ არ გამქრალა ნაღველი, რაც იმ „წინა ცხოვრებაში" იყო და რითაც ის ქალები თავის დროზე ვიცანი, ლაპარაკი გავუბი, დავაბინავე... საერთოდ, მარტო-ქალები მაინტერესებდა ყოველთვის, ამ მარტოობაში გამქრალი სისუსტე-ძლიერების საზღვრებით. შეიძლება ოჯახებიც ჰყოლოდათ, ზოგისთვის საოცნებო ცხოვრებაც ჰქონოდათ, მაგრამ მაინც მარტოებად რომ რჩებოდნენ, მაინც რომ ვერ აღებდა მათი გულის საიდუმლო კარს ვერცერთი ოჯახის წევრი, ვერც ვერავინ... ასეთები ბევრნი არიან ჩვენ გარშემო. ვერ ვიტყოდი, რომ მათი უმეტესობისთვის ეს მარტოობა ნებით არჩეული ეგზისტენციალური მდგომარეობაა. არჩევანი რომ ჰქონდეთ, იქნებ სულ სხვანაირად აირჩიონ საკუთარი ბედი?! მაგრამ მათი ძალა ზუსტად იმაშია, როგორ განიცდიან ამ მოცემულობას, როგორ იბრძვიან, როგორ რჩებიან ქალებად – ადამიანებად. ხომ არის ბავშვობის, გოგონობის ოცნებები და წარმოდგენები? ჩემი – სულ ასეთი იყო, რამე ჩემზე ღონიერს და ძნელს მარტოკინა შეჭიდებული, სიყვარულის ბუშტებს ჩაფრენილი, ერთი წამის თავდავიწყებისთვის ორფეოსის ქვესკნელის მზვერავი.

საერთოდაც, რა სასწაული დაატრიალეს არა, ქალებმა? ამ ბოლო ოცდაათ წელიწადში განსაკუთრებით, ფიზიკურად გადაარჩინეს საქართველო – თავიანთი შრომით და თავგანწირვით. თიანეთში მაქვს ბავშვობის ბევრი დრო გატარებული, იქაურ აჟრიამულებულ, საკვამურებამღერებულ, ქალიან-კაციანად მოფუსფუსე სოფლებს რა დამავიწყებს! და უცებ, ერთ დღესაც, რომ დაიწყო ქალების ინტენსიურად გადინება – საბერძნეთში, იტალიაში, თურქეთში, სად აღარ, ჩემს სოფელ-

ში ასე იყო – ძალიან თვალშისაცემად დაცარიელდა უცებ, თითქოს საყრდენი გამოეცალა ყველაფერს, გამოიშიგნა. ჩასვლა მეზარებოდა ხოლმე, უქალებო სახლების დანახვა... და ყველგან ასე არ მოხდა? მთელ ქვეყანაში! ვინც აქ დარჩა – უმუშევრად, უიმედოდ და უძალოდ დარჩენილი ქმრების მსახურებად გადაიქცა ბევრი მათგანი. ზოგი მსახურად და ზოგი მსხვერპლად. ამ ყველაფერს ცოტა მასშტაბურად რომ შეხედო, რაღაც შექსპირული დრამა გათამაშდა ჩვენს რეალობაში, ბევრი უგმირო ტრაგედია ერთად... მაგრამ ქალში არის კიდევ რაღაც, რაც ამ ტკივილებზე მეტია, ეს არაა მხოლოდ გამძლეობა (მშობიარობის ტკივილის ამტანობით დაწყებული), ეს სიყვარულის რაღაც უნარია, ბუნების კოდი, რომელზეც დგას ამ სამყაროს განახლების იმუნიტეტი. ჰოდა, მე ამ კოდის მჯერა, ჩვენ მისი შესაძლებლობების ჯერ მხოლოდ მისხალი ვიცით. წინ – იდუმალი მომავალია.

**– ერთგან თქვი, რომ პირველად ჩიტებზე დაწერე. როგორი იყო დრო ჩიტებზე დაწერილი პირველი ტექსტიდან „პარნასში" დაბეჭდილ პირველ პუბლიკაციამდე, რა ხდებოდა? როგორი გარემო იყო, როგორი ხალხი შენ ირგვლივ, რა გეხმარებოდა, რა გშველოდა?**

– გულისფანცქალებიანი დრო იყო, გაფართოებული თვალების და ხარბად შესუნთქული ჰაერის – ყველას და ყველაფერს მართლა სხვა გემო და ფერი ჰქონდა. ახლა რომ ვიხსენებ, ძალიან მეცინება, ერთი მაგრად დავცინებდი იმდროინდელ ჩემს თავს, მაგრამ მაშინ რომ ვინმეს მსგავსი თავში მოსვლოდა – ჩემთვის დაეცინა, ალბათ, სასიკვდილოდ დამჭრიდა. მსმენელში ყოველთვის მიმართლებდა, ისეთ ადამიანებს შემახვედრებდა ხოლმე ღმერთი, რომ პირდაპირ უზუსტესს! ძალიან დამეხმარა ისაც, რომ კულტურის ინსტიტუტში, ლიტერატურული დაოსტატების სპეციალობაზე, რომელიც მე დავამთავრე, ჩვენი სახელოსნოს ხელმძღვანელი ვახუშტი კოტეტიშვილი იყო და ბატონი ვახუშტი იყო საუკეთესო შემფასებელი. გვასწავლა, როგორ შეგვეხედა საკუთარი თავისთვის ასი ათასი კუთხიდან, შეგვიწჯლრია გემოვნება და „დაგვიმხო ძველი კერპები". მოკლედ, ის იყო ნამდვილი მასწავლებელი, როგორსაც იოცნებებდა ნებისმიერი, ვინც ამ სამყაროს შეცნობისთვისაა დაბადებული.

მერე იყო „პენ-მარათონები" – ეს მხიარული, ავანტიურისტული თავგადასავლები, რომლებიც პირადად ჩემთვის შეუდარებელ გამოცდილებად იქცა. პირველ პენ-მარათონზე, ფოთში, ხომალდზე რომ ჩატარდა, გავიცანი თითქმის ყველა, ვინც დღეს ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ნაწილია. რამდენიმე ადამიანი დღეს სამწუხაროდ, უკვე აღარაა – ნუგზარ შატაიძე, ჯემალ ჟონიავა, თამაზ ექვთიმიშვილი... მახსოვს, ორი კაიუტა იყო ხომალდ „კაპიტან თავართქილაძეზე" – მწეველებისთვის და არამწეველთათვის. მწეველების კაიუტაში იდგა სქელი და კავშირისმომგვრელი ბული, არამწეველისაში ვიყავი მხოლოდ მე და ვინაიდან ეს ყველაფერი – მწერლები, ეგზოტიკური გარემო, კონკურსი „ლაივში" – ჩემს თავს პირველად ხდებოდა – ვიყავი დამფრთხალი და თან ინტერესით დაყურსული. მერე ამ „მწეველების" კაიუტაში თვალებამწვარმა მწერლებმა ნელ-ნელა დაიწყეს ჩემი სამფლობელოს ოკუპაციაც და ამბავი განვითარდა ჟანრის კანონის მიხედვით – არამწეველთა კაიუტა იქცა მწეველთა კაიუტად და პირიქით... [illegible] მოწევა დავიწყე იქ, ფოთში, გემზე „კაპიტან თავართქილაძე".)

მერე იყო ლიტერატურული პორტალები lit.ge და ებლიტფო და სრულიად ახალი, ვირტუალური ლიტერატურული ურთიერთობები – შეფასებები, განხილვები, თან სანაცნობო-საძმაკაცო-საწეგობროს და თან აკადემიურობა-პროფესიონალიზმის ამბიციით. მაინც ძალიან კარგი გამოცდილება იყო, იქ გავიცანით ერთმანეთი უამრავმა ლიტერატურის მოყვარულმა, „წერას ატანილმა" და ნამდვილმა მწერალმა. მახსოვს განცდა – ყოველი ახალი დილა მიხაროდა, რადგან ვიცოდი, რომ რომელიმე ავტორის ახალი ლექსი დამხვდებოდა, მერე დაიწყებოდა მისი გარჩევა, ქება, ლანძღვა, – მოკლედ პროცესი, რომელსაც, ცხადია უამ-



რავი ხარვეზი ჰქონდა, მაგრამ იყო ცოცხალი და საჭირო.

მერე კი იყო გამომცემლობა „ინტელექტი" – ვისაც უკავშირდება პირველი საკუთარი წიგნის სიხარული და საერთოდაც, მგონი ყველა წიგნი, რაც დამიწერია, „ორსულის" გარდა (ის გამომცემლობა „შემეცნებამ" დასტამბა), „ინტელექტის" დაბეჭდილია. ესაა პროფესიული თანამშრომლობაც, ნდობაც, მეგობრობაც, პასუხისმგებლობაც – და რაც მთავარია, ორმხრივი და დაუღალატებელი. მიხარია, რომ ჩემი გზა ამ გამომცემლობასთან გადაიკვეთა, ამან უამრავი შესაძლებლობა მომცა ცხოვრებაში, ბევრჯერ ფიზიკურადაც გადამარჩინა. დღეს გამომცემლობებს რთული დრო უდგათ, როგორც ბევრ სხვა სახელოვნებო სფეროს. ვისურვებდი, სახელმწიფომ უფრო მეტად გააცნობიეროს მათი როლი ქვეყნის კულტურულ და საგანმანათლებლო საქმეში და უფრო მეტად დაეხმაროს, შეუქმნას თავისუფალი და მოქნილი გარემო, რომ ამ მწირი ბაზრის პირობებში შეძლონ არამხოლოდ არსებობა, არამედ მნიშვნელოვანი საქმეების კეთებაც. მათ უკან მწერლები და მკითხველებია. რამხელა ძალაა ეს საზოგადოებისთვის!

**– პოეზია, პროზა, დრამატურგია, პუბლიცისტიკა – ეს დროის მოტანილი პროფესიული მრავალფეროვნებაა თუ სხვა დროშიც ასე იქნებოდა ან იქნება? როგორი იყო პირველი, პოეზიისგან განსხვავებულ ტექსტი, მაგალითად, პიესა? რა ხდებოდა იმ დროს, რამ გააჩინა და როგორ მოდიოდა ეს „სხვა" ტექსტები?**

– ჟანრული მრავალფეროვნება, ალბათ, ის ერთადერთი თავის გამხნევებაა ჩემთვის, რის გამოც ბევრი სხვა უნარის არქონას ვპატიობ საკუთარ თავს (მაგალითად, საშინლად მინდა ვხატავდე, რამე ხელსაქმე გამომდიოდეს, მაგრამ...). პრინციპში, სულ თავიდანვე ასე იყო, როცა რაღაცის ჯღაბნა დავიწყე, უხსოვარ დროს: მოთხრობებს ვწერდი და შიგ აუცილებლად ლექსებსაც გავურევდი ხოლმე, ვინმე პერსონაჟი ლექსებით მოლაპარაკე უნდა ყოფილიყო. როგორ ვთქვა – პროზაც და პოეზიაც თანაბრად მშობლიურია, აი, ბავშვობიდან ორ საკრავზე დაკვრას ერთნაირად რომ დაეუფლები, დაახლოებით იმას ჰგავს. თუმცა პოეზია რაღაც სხვა მდგომარეობაა, შეიძლება თვე გავიდეს და ლექსი არ დავწერო (ამ ბოლო დროს ეს სულ უფრო ხშირად ხდება), მაგრამ მაინც გაუნელებლად განვიცდი პოეზიას, ვარ ამ მდგომარეობაში, მაცოცხლებს ეს. ილუზიაა? შეიძლება, მაგრამ მე მეხმარება, ხიდიდან ხიდზე ისე გადავიდე, რომ უწონადობა შევინარჩუნო.

პიესებს რაც შეეხება, ამ ხელობის დაუფლებას ჩემს უახლოეს მეგობრებს ვუმადლი – რეჟისორებს: გიორგი სიხარულიძეს და იოანე ხუციშვილს. იოანე ჩემი კლასელია, ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და თვალდახუჭულები ვიცნობთ ერთმანეთს, გიორგი იოანეს პედაგოგი იყო არტოს ბალის თეატრალურ სტუდიაში, მერე თეატრალურ უნივერსიტეტში, ჩვენი უფროსი მეგობარი, ვისგანაც ორივემ ბევრი რამე ვისწავლეთ. მათი წყალობით თეატრთან ყოველთვის ახლოს ვიყავი, შემიყვარდა და მომინდა, ჩემი სიცოცხლის ნაწილიც ყოფილიყო. გიორგისთან და იოანესთან ერთად დავწერე პირველი პიესა პროფესიული თეატრისთვის „ბამბაზის სამოთხე", რომელიც 2007 წელს დაიდგა ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრში და 10 წლის მანძილზე, ყოველ 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ამ სპექტაკლით იხსნებოდა თეატრალური სეზონი ქუთაისში. მერე იყო ბევრი პიესა, სპექტაკლები, თეატრისთვის მუშაობის განუმეორებელი სიამოვნება, რაც მინდა რომ სულ გაგრძელდეს, რისგანაც, პრინციპში, შედგება ჩემი ცხოვრება.

**– როგორი იყო შეგრძნება, როცა ლენა სცენაზე დაინახე და მერე ეკრანზეც, როგორია, როცა უყურებ შენს პერსონაჟებს – სხვანაირები არიან? ეს თანამშრომლობის ამბავიც როგორ გამოდის ხოლმე? ამ მიმართულებით სხვა, ახალ პროექტებზეც ხომ არ მუშაობ(დი)?**

– „ბამბაზის სამოთხე" მოთხრობაა და მის მთავარ გმირს ლენა ჰქვია. პიესად რომ გადავაკეთეთ, სახელიც შევცვალეთ – ლენა ელენედ ვაქციეთ. მაგრამ მთავარი, რაც შეიცვალა, თემა იყო – პიესა აფხაზეთის თემაზე უნდა ყოფილიყო. დავიწყეთ ამბების მოძიება, საოცარ ისტორიებს გვიყვებოდნენ ომის მონაწილეები, დევნილები, ომთან სამუდამო ტკივილებით დაკავშირებული ადამიანები... ასე შეიქმნა ელენეს პერსონაჟი – სიგიჟის ზღვარზე მყოფი ქალის/დედის პორტრეტი, რომელიც აფხაზეთში, შვილის საფლავს დაეძებს. ამ ზღვრული მდგომარეობის დაჭერა, ცხადია, ურთულესი ამოცანაა და ნებისმიერი მსახიობისთვის, ვინც ითამაშებდა ელენეს როლს, მთავარი „გამოწვევაც" ეს იქნებოდა. როცა გიორგი სიხარულიძემ როლები გაანაწილა და რეპეტიციები დაიწყო, იოანემ (იოანე მაშინ მსახიობიც იყო, „ბამბაზის სამოთხეში" ლექსოს თამაშობს) ფოტო გადმომიგზავნა – აი, ეს მსახიობი ითამაშებს ელენეს. ფოტოზე ლამაზი, შლაპიანი ქალი იყო, დიდი და რაღაცნაირად განგაშის შემცველი თვალებით. მაშინ არ ვიცნობდი, პრემიერაზე გავიცანი – მარიკა სამანიშვილი, ქუთაისის თეატრის მსახიობი, შთამბეჭდავი სახე შექმნა, ისეთ მღელვარებას იწვევდა მაყურებელში, რომ დიდხანს ახსოვდათ ეს ღელვა, პირადად უთქვამთ ჩემთვის. მერე ახალციხეშიც დაიდგა „ბამბაზის სამოთხე", სოსო ნემსაძემ დადგა და ლია სულუაშვილი (მსახიობი, ახალციხის თეატრის დირექტორი) თამაშობდა ელენეს როლს. ქალბატონმა ლიამ სრულიად განსხვავებული ტიპაჟი შექმნა – უფრო ძლიერი, განონასწორებული ქალის, რაც მთავარია, სრულიად დამაჯერებლად, არგუმენტირებულად გააკეთა ეს და არა მხოლოდ ვერსიისათვის.

თეატრი ცოცხალი ორგანიზმია და ცხადია, მასში ცხოვრება, თანამშრომლობაც ისეთივე რთულია, როგორც ყველაფერ ცოცხალთან მიმართებაში. წერ პიესას, ვილაც და რალაც შენებურად წარმოგიდგენია, კონკრეტული ფრაზებიც შენებურად გესმის, მერე მოდის რეჟისორი და ბევრ რამეს თავდაყირა გიყენებს, რაც მთავარია, გარწმუნებს საკუთარი გადაწყვეტილების სიზუსტეში, თუმცა მე იმ მხრივ გამიმართლა, რომ აქამდე თითქმის ყველა პიესა კონკრეტული რეჟისორების ინიციატივით დაიწერა, ეს გულისხმობს მათ უშუალო ჩართულობას თავიდანვე, რალაც ეტაპზე – მსახიობის ჩართულობასაც კი, თუ ეს საჭირო გახდა. ეს ტანდემი უფრო ხშირადაა შედეგიანი, კარგად გესმის რეჟისორისაც, ტექსტებს რეპეტიციების დროს მსახიობთან ერთად მოსინჯავ სცენაზე. მოკლედ – ყველა უფლებით ხარ ჩართული შემოქმედებით პროცესში და ეს არის ყველაზე მშვენიერი, ბობოქარი, მტკივნეულიც და სიხარულის მომგვრელიც – ეს პროცესი, შენ თვალწინ ახალი რეალობის დაბადების, ახალი სიცოცხლის შექმნის რალაც ფრანკენშტეინული და ღვთაებრივი პროცესია.



სწორედ ახლა, მაისში უნდა ყოფილიყო ჩემი ახალი პიესის პრემიერა ნიუ-იორკში, თითქმის ნელიწადია, გიორგი სიხარულიძესთან ერთად ვმუშაობთ პროექტზე, რომელიც ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის უნდა განხორციელებულიყო. მოვიპოვეთ უამრავი მასალა, სპექტაკლის მუსიკალურ მხარეზე ჯგუფი „კვინტესენსი" მუშაობდა, ეს არის ტრაგიკომედია, რომელიც ჩვენი ემიგრანტების ყოფას ასახავს. როგორც ვიცი, ბილეთები უკვე იყიდებოდა კიდეც ნიუ-იორკში, მაგრამ ამ პანდემიამ, როგორც ყველაფერს, ჩვენც შეგვიშალა ხელი. იმედი მაქვს, ეს პროექტი განხორციელდება და სპექტაკლი „მწვანე ბარათი" ქართველ მაყურებლამდეც ჩავა ამერიკაში.

ასევე, მაისის ბოლოს ველოდები კიდევ ერთ პრემიერას – გიორგი შალუტაშვილი დგამს ჩემს პიესას „მარო მაყაშვილი". ესაა დოკუმენტურ მასალაზე (მთავარი წყარო – მაროს დღიურებია) აგებული მხატვრული პიესა, რომელიც, იმედია, გადაურჩება „კორონაომს" და მისი პრემიერა შედგება თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში.

**– ერთი ეტაპი იყო კულტურის ინსტიტუტი და ვახუშტი კოტეტიშვილის სახელოსნო, სადაც, როგორც ხშირად ამბობ, შენი ბედისწერა გადაწყვიტე თუ განსაზღვრე. როგორი იყო ეს სახელოსნო, რა ხდებოდა, როგორი იყო პედაგოგი ვახუშტი კოტეტიშვილი, რომელიც წერას, ოსტატობას გასწავლიდა?**

– ლიტერატურული დაოსტატება – ასე ერქვა სპეციალობას, რომელიც 2002 წელს დავამთავრე და რომელმაც მართლა გარდამტეხი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. ისე, ბავშვობიდან ჟურნალისტობაზე ვოცნებობდი. აბიტურიენტობისასაც, მომზადება იმის ეშხით დავიწყე, რომ ჯავახიშვილში, ჟურნალისტიკაზე უნდა ჩამებარებინა, მაგრამ ჩემმა რეპეტიტორმა, არაჩვეულებრივმა ადამიანმა, პოეტმა და ისტორიკოსმა – დოდო ჭუმბურიძემ მირჩია, არის ასეთი ინსტიტუტი – კულტურის ინსტიტუტი, იქ არის სპეციალობა, სადაც წერის უნარიან ახალგაზრდებს იღებენ და შემოქმედებითი სახელოსნოები აქვთო, შენგან ჟურნალისტი არ დადგება, მაგას სხვა უნარი სჭირდება და იქნებ ეს მეორე გეცადაო. ვცადე და, დღემდე მადლობელი ვარ ქალბატონი დოდოსი, მის გარეშე ხომ ვერც შევიტყობდი ამ ინსტიტუტის, ამ სპეციალობის შესახებ, ვერ შევხვდებოდი ჩემს მომავალ მეგობრებს, ვისთან ერთადაც დღემდე მხურვალედ ვმეგობრობ, ვერ განვიცდიდი ისეთ შთაბეჭდილებებს, რომლებსაც ყოველდღე გვჩუქნიდა მაშინ, სტუდენტობისას, ეს უცნაური, ფერადი, ხალისიანი და შემოქმედებითი მუხტით ანთებული სივრცე.

თითქმის ყველა სახელოვნებო სფეროს მოიცავდა ეს ინსტიტუტი – თეატრს, მუსიკას, მხატვრობას, ლიტერატურას. მე რომ ჩავაბარე, შენობა (ახლა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მეორე კორპუსია ამ შენობაში) საშინელ მდგომარეობაში იყო – სწავლის პროცესშიც კი გაცხარებული რემონტი, ზოგიერთ ადგილას უჭერო აუდიტორიები, კაკუნ-ბლუილ-ღრჭიალის ხმები; ხანდახან, როგორც გარეთ წვიმდა, ისევე ვილუმპებოდით შიგნით და აუდიტორიიდან აუდიტორიაში ქოლგებით გადავდიოდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევან ხარანაულის ნახატი

მაგრამ ამ ყველაფერში სხვა მაგიაც იყო, ალბათ ჩვენი ახალგაზრდული ენერგიის და ხედვის სილაღის გამო, ალბათ იმის გამოც, რომ ყველა ლექცია იყო მართლა საინტერესო, მართლა ბაჯაღლო ლექტორების წაკითხული (ზურაბ კიკნაძე, რევაზ სირაძე, ნოდარ ლომოური)... და ალბათ, იმიტომ, რომ ამ ყველაფრის მიღმა გვყავდა ვახუშტი კოტეტიშვილი – ჩვენი სახელოსნოს ხელმძღვანელი, ვინც გვაქცია კარგ მკითხველებად (თავიდანვე ასე შეგვითანხმდა – შეუძლებელია, მე წერა გასწავლოთ, მე ვეცდები, კითხვა გასწავლოთო), გვაპოვნინა საკუთარი თავი და რაღაც დიდი სიხარულის თანაზიარად გვაქცია, განდობილთა წრედ, ამ სიხარულით ვცნობთ დღემდე მე და ჩემი მეგობრები – ახლა უკვე საუკეთესო, გამორჩეული ქართულის მასწავლებლები, ფსიქოლოგები, – ერთმანეთს და ცხოვრებასაც...

**– „განძის თეატრზეც“ მომიყევი. როგორ გაჩნდა ფენტეზი შენს ტექსტებში და რატომ მაინცდამაინც ამირანი. გამოცემულია ამ სერიის ორი წიგნი – „შვიდი სიმღერის საიდუმლო“ და „ოქროს ხმალი“ – გრძელდება სერია? ქართული ფენტეზის მომავალზეც მითხარი, როგორ ფიქრობ, აქვს მას მომავალი ჩვენისთანა „პატარა ბაზარზე“?**

– ერთი რომანი მაქვს „ნამი იქა, ნამი აქა“, პრინციპში, ფენტეზის პირველი მცდელობა სწორედ იქ იყო, ის ზღვარი – რეალურსა და ჯადოსნურს შორის, იქ ვიგრძენი ყველაზე მძაფრად და, გამოდის, რომ საბედისწეროდ, რადგან მალე ის ჩემს მთავარ მდგომარეობად იქცა. იმხელა მიზიდულობა აქვს ამ ზღვრულ განცდას, ისეთი გამოსხივება, რომ ძნელად შევადარებ რამეს. თან, ფენტეზის ბევრი გამონაგონად მიიჩნევს. არადა, ის ბევრად მეტია – ის ხედვის მასშტაბია, დანახვის მულტიუნარია. „ფანტაზიორი“ ბავშვი ყოველთვის ვიყავი, თუმცა მერე, ცხოვრების მიზეზებსა და შედეგებს რომ დავაკვირდი: ის, რაც ვიფანტაზიორე, ყველაფერი ამიხდა, წინ შემხვდა. თან, ფანტაზიორობა სამყაროს შესაძლებლობათა ცოდნას თუ არა, აღიარებას მაინც ხომ ნიშნავს, სამყარო კი იმხელაა, რა ვიცი, რამდენი ადამიანის წარმოსახვა განვდება, რომ მისხალი მაინც დაიტიოს.

„განძის თეატრის" იდეა ერთმა არააქაურმა კაცმა გადმომდო. დედამიწის მეორე ბოლოში ცხოვრობს ეს კეთილი კაცი და ჩემი და მისი ურთიერთობა ცალკე ზღაპარი იყო, ოღონდ ამაზე არც არასდროს ვყვები და მხოლოდ უახლოესმა მეგობრებმა იციან ის, რაც უნდა იცოდნენ. პირადი არაფერი, ეს კაცი საქართველოს კულტურაზე იყო შეყვარებული, აი, ასე – ყოველგვარი მაღალფარდოვნების გარეშე და, მთელი გულით სჯეროდა, რომ ვინმემ ჩვენს მითოლოგიას რომ მოჰკიდოს ხელი, მსოფლიო დონის ბესტსელერები შეიქმნება, ისეთი მასალა გვაქვს ფოლკლორში. არ ვიცი, მე მოვიზიდე ეს კაცი ჩემი ზღვრული ენერგოტალღებით თუ მისი სიზმარი ვიყავი, ფაქტია – მენდო და გამხვია იმ მხიარულ ავანტიურაში, რასაც „განძის თეატრის" ორი წიგნი – „შვიდი სიმღერის საიდუმლო" და „ოქროს ხმალი" მოჰყვა და რაც, საერთოდაც, ხუთ წიგნადაა ჩაფიქრებული.

ქართული მითოლოგია ფენტეზის მასალად ფანტასტიკურად გამოიყენა ნატო დავითაშვილმა ჩვენს ლიტერატურაში და მე მუდმივად მადლიერი ვარ ამ ადამიანის, რადგან ნატოს წიგნებმა ბავშვებს მითოსი შეაყვარა და დააინტერესა, ახალი სიზმრები გაუჩინა, ახალი ხალისი მისცა.

**ჩემი პირველი სიყვარული, ჩვენს მითოლოგიაში, ამირანია. პირადად ჩემთვის ის ცენტრალური გმირია და არამარტო კულტურაში, არამედ ჩვენს ეროვნულ ბედისწერაშიც ლონიერი ღვაწლი მიუძღვის. ბავშვობაში სამი გმირი მყავდა – ქრისტე, ამირანი და გილგამეში. თუ გნებავთ, ეს ჩამონათვალი ბოლოდან დაიწყეთ... ისეთი მაცოცხლებელი სევდა მოჰქონდა ამირანზე ფიქრს! ამ მარადიულ მიჯაჭვულობაზე, ამ უვადო ტყვეობაზე ფიქრს, მის ძლიერებაზე, ეგოიზმზე, სიკეთეზე, სიყვარულზე ფიქრს... როგორ იქნებოდა, რომ ქართული მითოსი ამელო რაიმე წიგნის მასალად და ამირანით არ დამეწყო?**

„განძის თეატრის" მესამე წიგნზე ლამის ორი წელია ვმუშაობ. უფრო სწორად, წიგნის თაროში მაქვს ის რვეული შეჩურთული და ველოდები დროს, გარემოს, ენერგიას იმისთვის, რომ ისევ ფენტეზი ვწერო. სხვა რაღაცებმა ძალიან ამომაგდო, იმ მდგომარეობის დაჭერა ახლა ძალიან მიჭირს. მაგრამ, მთავარია,



ნიქოზის და ცხინვალის მიტროპოლიტის, მეუფე ისაიას ნახატი

რომ მეგულება – ხელნაწერი ერთი მესამედი სქელი რვეული, ის სამყარო და ის გმირები, როგორც ჩემი ალტერნატიული სინამდვილე, ყველაზე ბედნიერი თავშესაფარი, რასაც აქამდე საკუთარი თავისთვის მივაგენი.

რაც შეეხება ფენტეზის ჟანრის ბედს საქართველოში – თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ზოგადად, მეზღაპრე ხალხი ვართ, მერე კიდევ, უფრო სერიოზულად თუ ვიტყვით – მართლა ასეთი საგანძური გვაქვს ჩვენი მითოსის, ფოლკლორის სახით, ვფიქრობ, ჟანრის მიმართ ინტერესი მწერალსაც უნდა ჰქონდეს და მკითხველსაც. ბაზრის პრობლემა ისედაც მწვავედ დგას ჩვენს სინამდვილეში, გინდ ფენტეზი იყოს და გინდ დეტექტივი, ყველაფერს თანაბრად ეხება. არ ვიცი, ალბათ გამომცემლობებმაც უნდა იმუშაონ რეკლამაზე, გამოსცენ ილუსტრირებული წიგნები, კარგი იქნება, კინოინდუსტრიაც დაინტერესდეს ქართული ფენტეზით – ეს ხელს შეუწყობდა წიგნების გაყიდვასაც...

**– რადგან მწერლობით თავის რჩენა დღეს შეუძლებელია აქაც და სხვაგანაც, გამონაკლისების მიუხედავად, შენს სხვა საქმეებზეც მითხარი, სამსახურზე – იმაზე, რაც შეიძლება რუტინა და მთელი შემოქმედებითი ენერგიის მიმთვისებელიც აღმოჩნდეს. ამ რუტინაზე ხშირად ლაპარაკობენ ხოლმე, როდის მოდის საკუთარი ტექსტების დრო და შეიძლება სამსახური რუტინა არ იყოს?**

– იღბლიანი ადამიანი ვარ – ჩემი ყველა საქმე და სამსახური პირდაპირ თუ ირიბად მაინც ლიტერატურას უკავშირდება. ამიტომ სანუნუნოდ საქმე ნამდვილად არ მაქვს. ის მეორე საკითხია, ეს საქმეებიც რომ რუტინად იქცევა ხოლმე, ეს ამდენი საწერი, წასაკითხი, საკორექტურო-სარედაქტორო, საფიქრალ-სააზროვნო... ხანდახან უკუღმართად ნაგეოცნებება, ცხოვრობდე სადმე სოფელში, ხარშავდე საზამთროდ მურაბებს და კომპოტებს, გყავდეს ნვრილშვილი, პირველი შენთან მოდიოდეს თოვლი, გაზაფხული, გქონდეს ორი ფურცელი – ერთი მიწის და მეორე ქაღალდის, ხან ერთზე გაგყავდეს ხილის, ბოსტნეულის, ყვავილების კვლები, ხან მეორეზე – სიტყვები, აბზაცები... მერე ისევ მოდის რუტინა და ეს სიზმარიც, თავის პერსონაჟად შენ მაგივრად სხვას ირჩევს, ვინც ასეთ ცხოვრებას ირგებს და იფერებს, იმას და არა შენ – ვინც ვერასდროს შეელიე თუნდაც იმას, რაც გტანჯავდა. უბრალოდ, ხელი ვერ გაუშვი, სანამ ძალით არ გაგაშვებინეს.

ვწერ ინტერნეტჟურნალისთვის Mastsavlebeli.ge, ვმუშაობ თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანებაში, ვაკეთებ ლიტერატურულ გადაცემებს რადიო „ივერიაში", რამდენიმე საგანმანათლებლო პროექტი გავაკეთეთ მე და ჩემმა მეგობრებმა სტუდია „ხომლში" (ეს უკანასკნელი ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია)... მაგალითად, შარშან სწორედ „ხომლში" დავაარსეთ ესმა ონიანის სახელობის კონკურსი ახალგაზრდებისთვის – პოეზიასა, მხატვრობასა და ესეისტიკაში. თბილისის მერია დაგვეხმარა განხორციელებაში და საინტერესო ავტორებიც გამოვავლინეთ – ზოგი უკვე ნაცნობი, ზოგის შესახებ კი, ყველამ ამ კონკურსიდან გაიგო. პირადად მე ისე მეამაყება, რომ დიდი მხატვრის და პოეტის – ესმა ონიანის სახელისათვის სულ მცირედი შევძელით... წელსაც ვაპირებდით, გაზაფხულზე, მაგრამ ამ ამბებმა შეგვიშალა ხელი ორგანიზებაში. იმედია, შემოდგომას მაინც გამოვიყენებთ.

პროექტები, იდეები, ინიციატივები – კოდური სიტყვებია, რაც დღეს, ალბათ, თვითგადარჩენას ნიშნავს. იქნებ ყოველთვისაც ასე იყო. უბრალოდ, რახან ყველაფერი ისედაც ფატალურად დაიძაბა, ასწრაფდა და გამწვავდა, ამ კოდურ სიტყვებსაც რაღაც აგრესია დაემატა.

თუმცა, ჩვენ ხომ ახლა „კორონაომში" ვართ და, აქედან ყველანი სხვა ცოდნით უნდა გავიდეთ, ბევრი სიტყვა შეიცვლის აზრს, განწყობას, ბევრი რამე მოხდება პირიქით.

მე მარადიული სიტყვების ერთგული დავრჩები.

*„ჩემს უბანში უკვე ჩიტების დიქტატურაა. აშკარა უპირატესობა აქვთ – ყველა ხმა გადაფარეს, გზები დაიკავეს, აივნებს ინაწილებენ.*

*თუ ცოტა ხანში უცხო ბგერები ამოვუშვი, იცოდეთ – ჩემით ჩავბარდი.*

*მაინც სულ მინდოდა ჩიტობა..." – Facebook. Nino Sadgobelashvili Ninia. 29 მარტი, 2020 წელი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მგზავრის სიმღერა

იმ ავტობუსში რამ ამიყვანა,
ხალხით გაჭედილ ავტობუსში,
იმ კუთხეში რამ დამაყენა,
მტვრიან სარკმელში რამ გამახედა?
– მოდიოდა მხრებში მოხრილი,
აფეთქებულ აკაციებს მოყვებოდა
ქუჩის გადაღმა,
ჯიბეში ედო ცალი ხელი,
მეორეთი პური მოჰქონდა
როგორც ლოდი, როგორც დოლაბი,
ღრმა ტალღებში მოსაჭიდად
ან ფსკერამდე ჩასაძირად
წამის ნიავით,
რამ მომაჩვენა, რომ ილიმოდა
და რაღაცას ბუტბუტებდნენ მისი ტუჩები –
ცხრა სიკვდილით ჩარაზული,
მარტოობის ჟანგით მოკალული
– უცხო სიტყვებს ბუტბუტებდნენ
მისი ტუჩები,
მანაწვალა ძაღლი მოსდევდა,
ალბათ პურის სუნს აედევნა
ან მის სუნს, სახლის სუნს,
პატრონის თბილ და
მშობლიურ სუნს,
რომელსაც მხოლოდ ჯვარცმის მერე გამოსცემენ
შეყვარებულები...
ჩაუარა ხეებს, აივნებს და
ვიწრო ქუჩის აღმართისკენ
გაუხვია,
მომეჩვენა, თითქოს თვალი მომკრა,
იქნებ ხელიც დამიქნია,
მსუბუქად, არაფრის მანიშნებლად,
უბრალოდ, თვალი მომკრა და
ხელი დამიქნია,
იქნებ მანაც გაიფიქრა –
ამ ქუჩაზე რამ მომიყვანა,
ამ აკაციებში რამ გამატარა,
ავტობუსისკენ რამ გამახედა?!..

იქნებ შეკითხვებით ვპოულობთ ერთმანეთს,
იქნებ პასუხებით ვშორდებით...

## * * *

ჩაეძინა პატარა დინოზავრს.
თავქვეშ ვერცხლისფერი თათი
ამოიდო,
პირთან ბალახი შეეწება,
მშვიდად ბუყვნენ ლაწვის აღმართს
ორმოებიდან ამომძვრალი
ჭიანჭველები,
ფეხი უსხლტებათ ციცქნა ჩანჩქერზე –
ვერა და ვერ გადაეჩვია
პატარა დინოზავრი
ისე ჩაეძინოს, ტუჩიდან ნერწყვი
არ ჩამოუცოცდეს.
ღრუბლების გადაფრენა იწყება.
ზუსტად იმ დროს ჩაეძინა,
როცა ერთი ცა მეორით უნდა
შეიცვალოს,
როცა ღრუბლებს მეცლებით მოჰყავთ
მიწას მოწყვეტილი ჩვილები...
პატარა დინოზავრი ვერ დაესწრება
მათ დაბადებას,
რადგან ეს-ესაა გაუყუჩდა ტკივილი,
თითქოს მძამიანი ისარი ამოაძრეს
პატარა გულიდან და ჭრილობაში
თაფლი ჩაუდეს.
შეემვი, იძინოს პატარა დინოზავრმა
და ღრუბლებმა, მისი თვალების ნაცვლად
მის ხორკლიან თბილ სხეულზე
გადაიარონ,
გადაფოთლონ
ნაზამთრალი გორაკივით გაცრეცილი
მისი ტანი, ძვლები, თათები,
იძინოს პატარა დინოზავრმა
და ნანასავით ჩაესმოდეს
როგორ შრიალებს ეს სამყარო,
დედამიწა როგორ იძვრის და
ცა გველივით
კანს როგორ ტოვებს,
როცა ყოფნიდან ყოფნაში გადაინაცვლებს...
პატარა თითებს ილოკავს
დინოზავრი,
გადამფრენი ღრუბელი
მის შუბლზე წვეთავს,
დინოზავრის ტვინში სიზმარს
აღვივებს –
თითქოს მოდის სიყვარულის
ღია კარისკენ და
პირით მოაქვს ეკლიანი თეთრი ყვავილი...

## სიყვარული ქამიანოზისას

ასწუმემ ჯიბეში ხელები ჩაიწყო
და ქუჩებს და დღეებს და მზეებს ჩაუყვა,
აინთო ცეცხლი და თამაში დაიწყო,
სიყვარულს რა ვუყო?..

აქ ყველა მარტოა და დიდი რიგია,
სიცოცხლე – ერთ კაცზე გათვლილი სადილე ტომარა,
პური – ჩემიდან შენამდე ნაბეჭვი რიდეა
და ცეცხლის ოლარი

შეხება ისჯება ცხოვრების კანონით,
შეხებამ სიზმრიდან კოშმარის ვირუსი გადმოგვდო,
კანონი ეხება მოგვსა და მამონას,
რა მოგვედის?

ვინახავ ენის ქვეშ შენახულ გაზაფხულს,
სუნთქვის კრისტალებად აჭედილ
სიტყვების სარკეებს სასაზე
და მათ ანარეკლში უშუნოდ დაზაფრულს
მაყვირებს ნუხილი,
მაშ ასე:

გავიძდი ცოდვებს და იმედებს, სურვილებს
გამოხრულს სხეულის ქიით და დარკილულს
ვნებების ნაგავით
გავიხდი, რაც ჩემზე ბევრია, მიწისგან ურვილი,
ავფრინდე – მაკავებს

ვტეხ დროის ნაჭუჭს და შიშველი,
შეშლილი შეხების შიმშილით
სამყაროს სინათლის სადინარს დავეძებ,
ცა სკდება ღიმილის ფირუზით –
სული ანლეჩილი ცეცხლოვან ენებად
შენა ფესვებს, შენს კედლებს, შენს ხანძრებს ედება
და შთანთქავს სიცოცხლის
უკვდავი ვირუსით.

„სიზმრის პოეტიკა ადვილად შესაცნობია მის ლექსებში და შესაძლოა ეს ინტერესი, ან ზოგადად, ასე ვთქვათ, ეს ნდობა ზმანებებისადმი, იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ამ ლექსების ავტორი ესოდენ წარმატებით ახერხებს დაძლიოს ტრადიციული პოეტური აზროვნების ინერციას, თავი დააღწიოს პოეტური კლიშეების გამეორება-ვარირებას."

*ლევან ბრეგაძე*

„სიმბოლიკის გამჭვირვალებას თან მოაქვს ბიბლიური სურნელი, ისზნეობრივი საყრდენი, რომელზეცაა აგოშენებული ნინო სადღობელაშვილის რომანი „ორსული"; და თუ ერთბაშად მოულოდნელი გეჩვენება ამ სურნელზე მინიშნება, უფრო ღრმად ჩაკვირვება „ორსულის" მხატვრულ ქსოვილში დაგიდასტურებს ამგვარი გააზრების აუცილებლობას და უკვე ბუნებრივად აღიქვამ ფრაზის ამგვარ გაგრძელებას, რომ: ქარი მთელ სამყაროში დაიარება და შეუძლია სრულიად წარმოუდგენელ ადგილებშიც დათესოს შენი პური; და რომ: „ორსული" მომკილ პურსაც გულისხმობს."

*როსტომ ჩხეიძე*

„ნინო სადღობელაშვილის რომანი „ნამი აქა, ნამი იქა" სიმეტრიების რომანია, რომელშიც, ერთი მხრივ, მიმდინარეობს დიალოგი სამყაროსთან, მეორე მხრივ, ნაჩვენებია ავტორის შინაგანი ცხოვრების რეპროდუქცია.

მხატვრული სიმართლე ცხოვრების ზუსტი გადანერითარ იქმნება, მას ემატება ჰიპოთეტური, ზერეალური, რომლებიც არაერთად წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ცხოვრებასა და იდეალს შორის. მოვლენები მკითხველის თვალწინ ვითარდება, თითქოს ყველაფერი ხელისგულზე გაქვს, მაგრამ რეალობის მიღმა არსებობს მეტაფიზიკური სივრცე, რომელსაც ვერ ხედავ, მაგრამ გრძნობ, განიცდი, აღიქვამ, როგორც მთავარი ხაზის გაგრძელებას, მის სიმეტრიულ ცალს. თხრობაში გარკვეულ როლს თამაშობს ავტორის პირადი გამოცდილება, ცხოვრებისეული ცოდნა, რომელიც სტილზეც ახდენს გავლენას."

*ივანე ამირხანაშვილი*

„ის მაღალი სულიერების ხარისხი, რომელიც ყველა ჭეშმარიტად კარგ ლიტერატურულ თუ სახელოვნებო ნიმუშს ნიშნად აზის, რომელიც მართლაც ნიჭიერი ხელოვანის ხელში თანაბრადაა გაშლილი კლასიკურ თუ ავანგარდისტულ ფორმებში, ადვილად იკითხება ნინო სადღობელაშვილის ნაწერებშიც, რომლის ამ მცირე ფორმის რომანსაც („თავშესაფარი") გთავაზობთ წინამდებარე წიგნში. ჩვენთვის, როგორც მკითხველისთვის, ამის გარდა და ამას დამატებული საინტერესო თხრობითი ენა, აგებულება, დინამიზმი, საინტერესო და გამოკვეთილი ადამიანური სახეები და პერსონაჟთა გალერეა ერთად ქმნის დასტურს საიმისოდ, რომ გირჩიოთ „თავშესაფრის" წაკითხვა."

*მარიამ წიკლაური*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადაც გაზაფხულია

*ნინო სადღობელაშვილი*

– მოიცა, აკადემიაში სწავლობთ, ტიციანის სახლი მანდვეა და ერთხელაც არ შეგივლიათ, კაცო? – ანოყრის გაცრეცილი პერანგიდან ძვლებადქცეულ მხრებს და იჩეჩავს გაოგნებული.

ეგეთია პახმელია ჯიბო, ანუ გასაგებად რომ ვთქვათ – ნაბახუსევი ჯიბო, უფრო გასაგებად კი, ორმოცდარამდენიღაც წლის ჯიბო ბ, ვეებერთელა შავწყლიანი თვალებით და ორნახადი ხასიათით – ძვრა ვერ უყო მის თავზე დატრიალებულმა ვერც რაიმე წისქვილმა და ვერც რაიმე ქარბორბალამ.

თვითონ ქუჩის კუთხეში ზის, ორი საფეხურით შემაღლებული შენობის წინ. ყველამ იცის, რომ ეს პახმელია ჯიბოს ალაგია და, ვაიდა ერთ დღესაც ვინმე ნაცნობს ცარიელი დახვდეს, აუცილებლად მოისაკლისებს. ის კი არა, თავისი ქეეშსაგები ფარდაგიც კი აქვს პახმელია ჯიბოს, ამაზე თავად არ უზრუნია, მეზობელმა მიართვა ერთი მორიგი ტრაპეზის შემდეგ, თვითონ კი უარობდა და თავს იკლავდა – კარგ მსმელს არც სიცივისა უნდა ეშინოდეს, პირიქით, თავისი სითბოც სხვებს უნდა გაუყოსო, მაგრამ მეზობელმა დიდი მოწიწებით აიძულა, ელიარებინა ჯიბოს მინუსიანი ყინვის დაუნდობლობა და ეფიქრა იმაზე, რომ კუდაბზიკები სძაგს ჯერ ღმერთსა და მერმე კაცსა.

მოწიწებით კი იმიტომ, რომ პახმელია ჯიბო ვინმე ქალაქელი ბოგანო კი არ იყო, ანაც – მავან მოვლენათა გამო გაბოგანოვებული, არამედ, ფრიად საჭირო და სასარგებლო კაცი გახლდათ და ამაში პროფესიასთან ერთად ხელს, როგორც იტყვიან, მისი უთვალავი ღირსებაც უწყობდა – პახმელია ჯიბო მაშეელი იყო, ამ სიტყვის ყველაზე ვრცელი გაგებით – ზედმიწევნით უწყოდა სახლის მოწყობის, საავარიო და სარემონტო სიტუაციების საიდუმლოებები, ისეთი ოსტატობით შეეძლო ყველაზე გამოუვალი მდგომარეობის გამოსწორება, რომ ცოტა ხნით მის ადგილზე ყოფნას მოგანდომებდა – რაც ეგ დაულოცავთ და უქებ-უდიდებიათ, რაც მისთვის ღვინო და პური უჩუქებიათ (საქმის სირთულიდან გამომდინარე, ივრცობოდა მისი სასაჩუქრე კალათაც)! თვითონ ამ პატივს მშვიდად და სიხარულით იღებდა, უარი არავისთვის უთქვამს, რადგან ისედაც გროშებად აკეთებდა თავის საქმეს და ადამიანებს მადლობის ამ ფორმით გამოხატვას სიამოვნებით აცლიდა.

რამდენი ხმაჩამწყდარი ონკანი ამღერებულა მის ხელში! რამდენი ჟანგში და ლორწოში ჩამხრჩვალი მილი აღმდგარა მკვდრეთით! რამდენი ნახევრად ან მთლად ჩამოშლილი კედელი წამოწეულა და წელში გასწორებულა, თავისი ენერგიების გამტარი სისხლძარღვებით! და ამ ყველაფრის ბოლო წერტილად – ყოველი საქმის ბოლოს, ოსტატურად შექმნილი მისივე ინიციალები – ჯ.ბ. – ყველგან, მილებზე, ონკანებზე, კედლებზე, იატაკზე, პლინტუსებზე, კარზე, ჭერზე... მოკლედ, სახლები იცნობოდა ამით – როგორც კაი ქირურგის ნაოპერაციები სხეული – აქ ჯიბოს ხელი ერია!

პახმელია კი (სახელის წინ) იმიტომ, რომ ეს მისი ყველაზე სრულყოფილი მდგომარეობა იყო. ხომ წარმოუდგენელია, მაგრამ ასეა. თუკი სხვას ეგრეთ წოდებული პახმელია ანახევრებს, ანაწევრებს, ან საერთოდ, აორთქლებს, ჯიბოს პირიქით – ყველაზე ბრძნული და სასარგებლო იდეები ზუსტად ნაბახუსევზე მოსდიოდა, ყველაზე კეთილშობილი და უწყინარი, უფრო მეტიც – რაღაც აღგზნებული ჰუმანისტი ამ დროს ხდებოდა, თითქოს მთელი მისი დანარჩენი ცხოვრება იყო მზადება ამ მდგომარეობის მისაღწევად. რამდენიმემ სცადა ამოეხსნა, რასთან ჰქონდათ საქმე – კარგ ღვინოსთან (მხოლოდ ღვინოს სვამდა ჯიბო, სხვა სასმელს არა სცნობდა!) თუ კარგ კაცთან, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს ისეთივე უშედეგო მცდელობაა, როგორც, მაგალითად, იმაზე თავის მტვრევა, ვუყვარვართ თუ არა ბოლოს და ბოლოს ჩვენს ერთმორწმუნე მეზობელს და თუ კი, მაშინ რა ტიპის სიყვარულის მონწეები ვართ ამდენი საუკუნეა.

და, მოიხსენია ერთხელ ერთმა, დაბადებიდან თანაუბნელმა – პახმელია ჯიბოდ, ლოცვებში და, შეერქვა იმის მერე და არც თვითონ გაუპროტესტებია არასდროს, პირიქით, იცოდა თქმა – მე ვარ ის, ვინც ღვინის შემდეგ მოვიდა და მრავალნი მომბაძავენ მე და იქნება დიდი აღვსება და ლხინი ადამიანის სულისაო.

ჰოდა, ზის ნაჩუქარ ფარდაგზე, ძველი თბილისის აშუღივით, როცა საქმისგან ისვენებს, და გამვლელ-გამომვლელს ინტერესით აკვირდება – ვინ სად შეუხვევს, ვის სად ეჩქარება. შინ მოხუცი დედა ჰყავს, მზიან ამინდში თავისი ახალგაზრდობისდროინდელი ნახატები გამოაქვს ეზოში და გამოფენას აწყობს – რომ ჰკითხო, ჰაერზე აშრობს, რომ სახლის ნესტმა არ შეჭამოს, ისე კი, ვინ არ იცის, რომ ვერა და ვერ დაივიწყა დეიდა ჟუჟუნამ, ოდესღაც ხატვა რომ შეეძლო და, როგორც მსგავს ბედისწერულ ამბებში ხდება ხოლმე – დიდ მომავალსაც უებნებოდნენ, თუკი გაჰყვებოდა და თავს მიუძღვნიდა.

დეიდა ჟუჟუნა კი, მხატვრობის მაგიერ პახმელია ჯიბოს მამას გაჰყვა და თავიც მას მიუძღვნა. მავანი

იკითხავს – უმსხვერპლოდ კი არ იქნებოდაო? მაგრამ არ იქნა და მოგეკლა, აჰა. დიდი აშარი კაცი იყო ბატონი იასე, მეცნიერებათა აკადემიის დამსახურებული თანამშრომელი და ღვაწლიანი ბიოლოგი, სულ ექსპედიციებსა და მივლინებებშიატარა მთელი ცხოვრება, შინ კი მუდმივად ორსულ ცუცუნას ტოვებდა, რომელსაც, ქმრის დაბრუნებამდე ან მუცელშივე უკვდებოდა ნაყოფი ან მკვდრადშობილ ჩვილს აჩვედრებდა ამ ყველაფრით გულგაწყალებულ და რატომღაც ცოლზე ჯავრისმყრელ იასეს.

ბოლოს, ვიღაცამასწავლა, დაბადებისთანავე ნამშობიარევს მიანათვლინეთ, წინასწარვე ისეთი სახელი დაარქვით, რასაც, რომ არა ეს გარემოება, არაფრით არ დაარქმევდით და, რომ გაჩნდება, ისე მოექეცით, ვითომ სხვისი შვილია და არც კი იცნობთო. პირველი და მეორე პირობა კიდევ ჰო, მესამეზე ცოტათი დაიბნა ცოლ-ქმარი, მაგრამ შვილის ყოლის სურვილი ხანდახან შვილზე მეტიც ხოა და, ყველა წესი ზედმიწევნით შეასრულეს.

სანადელი კი მართლაც აღსრულდა – ბიჭი დაიბადა და, ასე დაებედა ჩანასახიდანვე მაჰმადიანი ნათლია, სახელი ჯიბო და მეტად უცნაური დამოკიდებულება მშობლების მხრიდან.

– ნაშვილები ხო არა ვარო, – რამდენჯერაც შეულრინა მშობლებს, იმდენჯერ ეს პასუხი მიიღო – ოღონდ შენ იცაცი კარგად და თუ გინდა, ნაშვილები იყავიო.

მერე კი, სიკვდილის წინ, ყველაფერში გამოუტყდა ბატონი იასე, პატიებაც სთხოვა იმის გამო, რომ თუ რაშე დააკლო, მხოლოდ იმიტომ, მასა და შვილს შორის ჩასაფრებული სიკვდილი რომ მოეგერიებინა.

მოკლედ, სიკვდილსაც აბითურებდით, მამაჩემო? – ხარხარებდა ჯიბო და ვერაფრით წარმოედგინა მუდამ საყოველთაო წესებისა და კანონების ბიმდევარი მშობლებისგან მსგავსი ცრურწმენების ერთგულება. კიდევ რაღაც ფარსაგია ჩემს თავსო, ფიქრობდა და ამ ფიქრებში ცხოვრების სივერაგეებიც ეშველებოდა – ხან საიდან დაკრავდა ან ტყუილით მოგერიებული სიკვდილის ნიავი, ხან საიდან, ვინც ჰყავდა და ვინც უყვარდა, ბავშვობიდან ისე ეცლებოდა ხელიდან, გეგონება, მისი შესაყრელი ჭირი სხვებზე განაწილდა და ამით აჩვენებს ის ვითომ მოტყუებული მიქელ-გაბრიელი კარსუკნიდან სამი თითის კომბინაციასო.

მეოთხე კლასში იყო, ლამის თანმეზრდილი კლასელი რომ დაელუპა რაღაც საზიზღარი ვირუსით, მიხეც ბებიასთან მარტო დარჩენილი, გაგრაში, არდადეგებზე. მშობლიურ სახლში რომ ჩამოასვენეს და პატარა კუბოთი გაატარეს ქუჩაში, ჯიბოს ეგონა, რომ ეს ყველაფერი სულ იმ კლასელის დადგმული თინეზი იყო, ახლა ამით გადაწყვიტა ყურადღების ცენტრში ყოფნა, რაც ყოველთვის ძალიან უყვარდა და როცა საავადმყოფოდან ბოლო კაციც გაიკრიფებოდა და მარტო დარჩებოდა, აი, მერე კი იკადრებდა და გამოვიდოდა სანალავიდან, რადგან, რა-რა და, მარტო დარჩენის ყველაზე მეტად ეშინოდა.

მაგრამ არც ის და არც სხვები, ვინც მერე, [illegible] კლასელის გზას მიჰყვნენ ჰადესის უფსკრულებისკენ, უკან აღარასდროს დაბრუნებულან.

ამ ლეგიონის ბოლო კი ქეთო იყო, პაპმელია ჯიბოს გულის ვარდი და სულის მურაზი. ქეთო გურიიდან ჩამოვიდა, სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურულზე სასწავლებლად და იქ გაიცნო ჯიბო. ერთად სამი წელი იყვნენ. სამი ბედნიერი წელი, რომელიც მარტო ჯიბოს კი არა, მთელ თბილისს დაამახსოვრდა. ქეთოსაც ემახსოვრებოდა, რომ დასცლოდა და არ ნასულიყო იმ შემოდგომის მზიან და ფოთოლცვენია დღეს სოფელში, მშობლებს მოსავლის აღებაში რომ დახმარებოდა; არ ჩატეხვოდა ადესის ხეივანზე მიდგმული ხის კიბის ბოლო საფეხური ან, რაც მთავარია, არ გდებულიყო ზუსტად კიბის ძირში წვერებამოტრიალებული ახალგალესილი ფინლისთავი, რომელზეც, კიბიდან გადმოფრიალებული გრძელთმიანი და კაფანდარა ქეთო დაეჭქლდა თავისი ლამაზი ძუძუებით და იმავე წამს ამოუფრინდა გაღებული პირიდან ლონიერი და მშვენიერი, ათასი რამისთვის მზადმყოფი და ჯიბოს გაგიჟებით მოჯვარული სული.

იმის მერე თავისი თავი ქეჩოთი მიითრია პახმელია ჯიბომ სარკესთან, ჩაახედა შიგ და მუზლი იქამდე აბლეცინა, ვიდრე პირისახე სისხლის რუებით არ დაეღარა, მერე მიაყუდა ზედ სარკეზე ცხვირით და ჩამოართვა საუკუნო პირობა, რომ აღარასდროს, აღარავის მთელი გულით აღარ შეიყვარებდა.

ასე უფრო იოლი აღმოჩნდა. რაც მთავარია, მისი ნილი სიკვდილის პოტენციური მიზნიდველები გადაარჩინა – ასე ფიქრობდა.

ასე უფრო იოლი აღმოჩნდა, მართლა. თავს უამრავი ადამიანი გახვევია, ყველა გიღიმის, ყველას ულიმი, შენს საქმეს აკეთებ, მათთან ჭიქასაც სწევ და ეს უკანასკნელი ძველებურად ხოშიანად გამოგდის, და სულაც არაა საჭირო, ვინმეს გამო გული გისკდებოდეს, ვინმეს გარეშე ვერ ძლებდე, მოკლედ – გიყვარდეს, როგორც ამბობენ და, ამით ახალ საფრთხეებს ქმნიდე ამ სამყაროში.

ზის თავის ფარდაგზე პახმელია ჯიბო, უკვე გვარიან ძალაშია გაზაფხული. ხალხი ქუჩებში გამოფენილა, ქალიან-კაციანად, გარეთ ირჩევა ამინდის და პოლიტიკის ამბები; საიდანღაც კამაში შემწვარი ახალი კარტოფილის სურნელი მოდის, ვიღაც ტყემალს ათუხთუხებს და თავს იგიჟებს ქარვისფერ მორევში ჩახარშული ომბალოს ცვავილი; შორს, მტკვრის გაღმა კუკის მთებზე შეფაკლული ხეების მწკრივი მოჩანს – ვილაცას, ბედნიერს, ატმები, ალუბლები და ნუშები ერთად უყვავის ეზოში...

დღეს დილიდან ისვენებს პახმელია ჯიბო, ჯერ არავის გამოუძახია, ჯერ, როგორც ჩანს, მშვიდობა აქვთ სახლებში, დამამრულ თითებში აგორავებს ერ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

თადერთ ღერ სიგარეტს, კაი მომენტს ელოდება, ან ვინმე გემრიელად გამომლაპარაკებელს, რომ ის ღერიც იმასთან ერთად გაასრულოს. აბა, ისე, ტყუილა გაპლაკუნებას მულამი არა აქვს.

– შენ მოკალი ჩემი ახალგაზრდობა, ჟუჟუნა დეიდა, შენ! – ისმის მისი ეზოდან, იძაბება პახმელია ჯიბო. კი, ზედმიწევნით იცის, ამის მერე რა ტექსტიც მოდის და მოვლენებიც როგორ ვითარდება, ყოველ სავსემთვარეობას ეს სცენაა, რომლის მაყურებელიც, კიდევ კარგი, იმ ერთი ეზოს მეტი არავინაა, მაგრამ მაინც დაძაბული ნამოიწევს პახმელია ჯიბო და აყურადებს.

– შენ დამტოვე ეგრე მე, ჟუჟუნა დეიდა, შენი ბრალია ყველაფერი, ჯიბოც შენ გააუბედურე, შენ! – კივის ცრცარივით ხნაგანჭრილებული კარის მეზობელი ნატო, ვისზეც ძალიან იძალადა განგებამ – დაბადებიდან ნერვული აშლილობით გატანჯულს კარის მეზობელი შეაყვარა, კაცი, რომელმაც, ვიდრე ნატო საერთოდ ქალის და კაცის ამბებში გაერკვეოდა, მანამდე გადაწყვიტა, რომ სიყვარული მომაკვდინებელია და უნდა ერიდო.

ნეტა არ აჰყვეს ჟუჟუნა, – ფიქრობს პახმელია ჯიბო და წინასწარ იჭმუჭნება იმ ვერსიის გახსენებაზე, თუკი დედამისიც, მაინც ვინმეზე მთელი თავისი ცხოვრების ბოლმის დასანთხევად მონადინებული, გამოუვარდება დიდმკერდიან ნატოს და დასცხებენ ერთმანეთს მდიდრი დიბოზავრებივით – ერთსაც ძალა ერჩის და მეორესაც, მართალია, ასაკი ალარ უშვებს, მაგრამ ხანდახან მაინც ძველებურებს იხსენებს – რომ ხატავდა იმას კი არა, ქმართან ორთაბრძოლაში ჩართული ენით თუ მკლავით, საკუთარ თავს რომ იცავდა ცხოვრებისგან...

– შენ მოკალი ჩემი ახალგაზრდობა, ჟუჟუნა დეიდა, შენ! – კივის ნატო და ჯიბოს წინ აკადემიისკენ მიმავალი სტუდენტები უნებლიეთ ფეხს ითრევენ – სეირს ვინ არ გაუჩერდება, თან, თუ გარშემო სხვა საინტერესო არაფერი ხდება.

– აგერაა ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმი, მარცხნივ, შეიარეთ, – მშვიდად ეუბნება პახმელია ჯიბო, ვითომ, რომ მათი ყურადღება რამეზე გადაიტანოს.

– უი, ეგ ის არ იყო, ცისფერყანწელი? – ხუთკაციანი ლაშქრიდან ერთი გოგო ოდნავ წინ გამოდის.

– იყო! – ამტკიცებს ჯიბო – მივალ, მივდივარ და მივიმღერი, თან საქართველოს მიმაქვს ოცნება, ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი, ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება!.. – ეს იყო!

– ეგ დახვრიტეს ხო? – ერთ-ერთმა ბიჭმაც იცის ტიციანის ამბები.

– არამარტო დახვრიტეს. აი, შენ რომ დგახარ, ზუსტად მაგ ადგილას დგებოდა თითქმის ერთი საუკუნის წინ შავი ემადინი, იყო ეგეთი მანქანები მაშინ, შიგ შავებში ჩაცმული ხალხი ისხდა, ეხლა რომ რიარია და ბალაგანია, მაშინ ეგრე კი არ იყო, სად ნახავდი მეტ მანქანას, სიჩუმე იყო და სიწყნარე, ჰოდა, ამ სიჩუმეში შემოჯლიგინდებოდა ხოლმე ის შავი ემადინი, ყოველ ღამით, დგებოდა ტიციანის ფანჯრებქვეშ და ქვეშ აფსმევინებდა მთელ უბანს იმის შიშით, ვაითუ, თუ ჩემთან მოვიდა ან თუ ჩემთანო. ჩეკისტები ხო გაგიგიათ?

გაეგო რამდენიმეს.

– ჰოდა, ეგ იყვნენ ჩეკისტები. ტიციანს აშინებდნენ. იმისი სული უნდოდათ. ბოლოს წაიყვანეს კიდეც, აწამეს და მოკლეს. თქვენ იცით მაგის საფლავი?

არ იცოდნენ. ერთმა თქვა – მთაწმინდაზეო, არა?

– არა. არსად. უსაფლავოდ მკვდრად აქციეს ჩეკისტებმა საქართველო.

– უიმეე, კოშმარ! ბრრრ!.. – გააკანკალებს ერთ-ერთს, გოგოს.

– შენ დამღუპე ჟუჟუნა დეიდა მე, შეენ! – არ ჩერდება ნატო.

რატო არ ეპასუხება ჟუჟუნა? – ფიქრობს პახმელია ჯიბო. მისი ეზოში გამოჩენა მარია. ჯერჯერობით ადგილზე უნდა დარჩეს და ცეცხლს ნავთი არ გადაასხას.

ჟუჟუნა როგორ გადარჩა ცოცხალი იმ ადამიანებიდან, ვინც ჯიბოს უყვარდა? – ეს კითხვა ბუნებრივ ეჭვს იწვევს, ხომ არ გვაქვს საქმე ჯიბოს მხრიდან სუროგატულ სიყვარულთან, ანუ, უყვარდა კი მას დედა ისე, რომ ამით მისი სიკვდილიც გამოეწვია?

დედაა და როგორ არ ეყვარებოდაო, დაიბეჯითებს მავანი. მაგრამ მას არ უნდა გამორჩეს ერთი მარტივი გარემოება – მთელი ბავშვობა, სწორედ ამ ერთადერთი, ცოცხლად გადარჩენილი შვილის ხელიდან გამოცლის შიშით, ჟუჟუნა იმ პესამე პირობასაც ზედმიწევნით ასრულებდა, მაგიური გარიგებასავით რომ დადეს მეტად უცნაურ ვითარებაში, მან და მისმა ქმარმა, მაჰმადიან ნათლიასთან ერთად. ჰოდა, დიდად არც ეფერებოდა, არც „თან ჰყვებოდა", როგორც მას, საერთოდ, დედა-შვილის ბუნებრივი ურთიერთობა წარმოედგინა. თავის თავთან დარჩენილი კი ფხოჭნიდა კედლებს და კბეჩდა ბალიშს, გამოუხატავი სიყვარულისგან აბლავლებული, მაგრამ რანაირსაც ამ ყველაფრის საპირწონე სინამდვილე გაახსენდებოდა – ეზოში სხვა ბავშვებთან ერთად მოთამაშე, ბედნიერი, მხიარული და, რაც მთავარია – ცოცხალი ჯიბო, – იმ ბალიშსაც და იმ კედლებსაც გახევებული შეეშვებოდა, ამთელებდა და ხელისგულებით ცრემლშემშრალ სახეზე ღიმილსაც აიკრავდა აირნინალივით, რომლითაც ჯიბოს თვალებიდან, პირიდან, ტანიდან, თმიდან მონაბერი უტკბესი ჰაერი უნდა შეეკავებინა, მორიგ გულისხეთქვამდე.

მაჰმადიანი ნათლია კი, ნათლობის მერე აღარ გამოჩენილა. იქაც სხვამ მოუყვანათ, თვითონ არც იცნობდნენ, ახლობლის ახლობელი აღმოჩნდა, ძველთბილისელი ოქრომჭედელი, ყველა წინა კბილი თავადაც ოქროსი ჰქონდა და რომ გაიცინა, ემბაზის კედელმა იმ ოქროს შუქი ისეთი ათინათით აირეკლა, რომ წამით

ყველა სანთელი დაჩრდილა. ცხადია, მღვდლისთვის არ გაუმხელიათ, რომ ნათლია ქრისტიანი არ იყო. მაშინ არც მღვდლები მისდევდნენ დიდად მკაცრად დადგენილ წესებს თუ რა იყო, ყოველ შემთხვევაში, არც ის ჩასძიებია ნათლიას მრწამსს, სწრაფ-სწრაფად მონათლეს, „უსაქმოდ" შემოხეტებულ ვინმე ახლობელ დამსწრეს რომ არ გადაჰყროდა მეცნიერთა წრეში კომუნიზმის მიმართ ერთგულებით ცნობილი და ახლა ღელვისგან და შინაგანი რყევებისგან წნევააწეული ბატონი იასე.

მერე, ცოტათი იკვლია თავისი ოქრომჭედელი ნათლიას ამბავი პახმელია ჯიბომ, მაგრამ ვერაფერს მიაკვლია. ერთი პირობა ისიც მოინადინა, ხელახლა მონათლულიყო, ვინაიდან, სასტიკად დარღვეული სჯულის კანონის თანახმად, სხვა სარწმუნოების კაცისგან მირონცხებულად არც ითვლებოდა, მაგრამ რაღაცამ შეაჩერა.

რაღაცამ კი არა, სიზმარმა, ზუსტად, დაგეგმილი მეორედ ნათლობის წინა ღამით რომ ნახა:

იჯდა ვიღაც შუახნის კაცი, დაახლოებით ისეთ ფარდაგზე, რამდენიმე თვის მერე მეზობელმა რომ უფეშქაშა უბანში, თავისი ალაგის გასამყარებლად, ფეხმორთხმით იჯდა ეს კაცი და ხელში კრიალოსანს მარცვლავდა, კრიალოსანზე კი, არც მეტი არც ნაკლები — ოქროს კბილები იყო აცმული. უცებ, ამ ტრიალში, კრიალოსნის ძუა ჩაწყდა და კბილები პანტაპუნტით დაცვივდა. ძირს დაცვენილებმა კი წამში ფარდაგში გაიდგეს ფესვები და იქიდან უცხო ჯიშის კაქტუსებად ამოიზარდნენ. ეს კაცი ზედ გადაემხო ამ ჩამლილ და ეკლებად ქცეულ კრიალოსნის მძივებს, ეფერებოდა და ტიროდა და ლოცულობდა რაღაცას, სულ გაისისხლიანა ხელისგულები, ამ წვალებაში იყო, რომ ამოხედა და პახმელია ჯიბოს თვალები შეეფეთა, შეაყინა ზედ მზერა და რაღაცა უთხრა, რაღაც, თავის ენაზე, თითქოს წაიმღერა. შელოცვას ჰგავდა, ასე მოეჩვენა ჯიბოს, რომელიც, ვერც მიუახლოვდა და იმ ეკლებიდან ვერ წამოაყენა, ვერც ბოლომდე ვერ მიხვდა ვერაფერს.

პოდა, რომ გათენდა, მთელი დღის გეგმა გადაიფიქრა და დარჩა ეგრე — ოდესღაც უკულმართად მიღებული მირონის ანაბარა, ნათლობისდროინდელი ოქროს პაწაწინა ჯვრით, ჩაიწყო ჯიბეებში ხელი და ჩაუარა ძველი თბილისის ქუჩებს, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგა თაფლისფერი სიონი, ღვინისფერი სინაგოგა და მზეზე გუმბათალაპლაპებული მეჩეთი, ჩაუარა სტვენა-სტვენით, რაღაცისგან სამუდამოდ გრძნობაგათავისუფლებულმა, უცნაურად მსუბუქმა, ლამის გამვლელებიც კი გააჩერა, რომ ვინმესთვის შეეძახა: იცით, როგორ ვგავართ ახლა მე და თბილისი ერთმანეთს?!..

ვის გააჩერებდა, ან ვინ გაიგებდა. თავისი საიდუმლო იყო, მარტო თავისი.

არა და არ ეპასუხება ჟუჟუნა გაუჩერებლად ანივლებულ ნატოს და, ის სტუდენტებიც შემოეცალნენ, გასცდნენ შარის ადგილს, ტიციანის სახლსაც, გაუყვნენ აკადემიისკენ.

არადა, რომ შეუვიდეს და ნატოს დამშვიდებას ეცდოს? ერთხელ ხომ სცადა, სიბრალულისგან, გამოუვიდა კიდეც. ის ერთადერთი სავსემთვარეობა იყო, ნატოს რომ გულყრები აღარ დამართნია და მეზობლებიც უსპექტაკლოდ დატოვა.

ერთხელ ვიღაცამ უთხრა, მოიყვანე ეგ მაინც ცოლად, თვეში სამი კვირა წყნარად იქნებით, ეხლა, იმ ერთ კვირას გინდ ისე და გინდ ასე, მაინც ყველა კაცი ისედაც ითმენსო. მაგრამ, ჟუჟუნა ამას არ დაუშვებდა. ყველაფერს დაუშვებდა და ამას — არა. პახმელია ჯიბოს კიდევ, დასაკარგი რა ჰქონდა, დედას ნატოს გამო როგორ აწყენინებდა!

— ისეთი შვილი გაგიჩინოოო... ყველას შენი შურდეს! — უჩურჩულა იმ ერთადერთ ღამეს ნატომ, თავის ვეებერთელა მკერდში რომ მიიხუტა ჯიბოს ნაბახუსევი და აჯაგრული თავი, ფრთხილად მოუსვა ნეკა თითი ნესტოებქვეშ, გეგონება, უკვდავების ბალახი უჭირავს და იმას აყნოსებსო. ფანჯრისკენ იყურებოდა ბედნიერი და ყველაფრით სავსე და ხანდახან ისე გადაიკისკისებდა ხოლმე, ჯიბოს გული ეწურებოდა.

— ნუ გიყვარვარ, ნატო, ნუ. საშიშია ჩემი სიყვარული, — ესღა უთხრა, კართან რომ დადგა და პერანგის ბოლო ღილი შეიკრა პახმელია ჯიბომ.

— ნწ. ეგ ეგრე კი არა, უკულმაა, — არც ამოუხედავს, გარღვეული კაბის კემსვა განაგრძო ნატომ.

— უკულმა, ანუ პირიქით? — გაეღიმა ჯიბოს.

— დიახ. იმას შენ რას მოატყუებ, მე თუ მატყუებ. იმას ვერაფერს ვერ მოატყუებ. — ნიკაპი ჭერისკენ ორჯერ აკრა ნატომ და ნემსიც იჩხვლიტა თითში.

— ეჰ, სულ იმას არ ვატყუებთ, მთელი ცხოვრება?.. — ჩაილაპარაკა თავისთვის პახმელია ჯიბომ და რაღაცნაირად, ძალიან გაუკვირდა, ესეთი დალაგებული საუბარი რომ გამოუვიდათ.

ეს ერთადერთხელ იყო. მერე, ისევ ფანჯრებიდან ღმუილი და წყევლა-კრულვა...

— ჯიბო!.. — ესმის ძალიან ახლოდან.

ფიქრებში ნასულ თავს მაღლა სწევს. ნატო დგას მის წინ.

პახმელია ჯიბოს გული კარგს არაფერს უგრძნობს, მაინც სიმშვიდეს ინარჩუნებს და ზლაზვნით დგება.

— რა არის, ნატო?

— დედაშენი... მოკვდა.

ქუჩის ბოლოდან სტუდენტების სიცილი და მხიარული გადაძახილები ისმის. ხალხმრავალი გაზაფხულია. კუკიის მთის თავზე, მდოგვის მარცვლისტოლად გამოჩენილ ეკლესიას მზე უკიდია გუმბათზე — იფიქრებ, ცოტა ხანში ცისფერ კვამლსაც აუშვებს და აიტანს ცაში, თუ ვინმეს რამე უთქვამს, უფიქრია ან უთხოვია, თუ ვინმეს რამეზე გული დამდუღრვია ან დალეწვია.

აიტანს, მოაშორებს დედამიწის ზედაპირს, სადაც ახლა მარტო გაზაფხულის ადგილია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰაიკე ფიდლერი



# HEIKE FIEDLER

*მწერალი, მთარგმნელი და მრავალენოვანი ბგერით-გამომსახველი ხელოვანი, რომელიც ელექტროაკუსტიკური იმპროვიზაციის საშუალებით იკვლევს ენასა და ბგერას შორის არსებულ ზღვარს. იგი 1963 წელს გერმანიაში დაიბადა და 1987 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს ჟენევაში. მისი სამუშაო მრავალწახნაგოვანია: პერფორმანსი, ურბანული ხელოვნება, ბგერით-გამომსახველობითი წარმოდგენა, ინსტალაცია... იგი არის ლექსების რამდენიმე კრებულის („mehr-ის ენები“, 2010 და „Sie will mehr“, 2013, სპოკენ სკრიპტი; Langues de mehr, 2010 et Sie will mehr, 2013, éditions spoken script; „ლექსის მოლოდინში“, საბლი, 2020; En attendant le poème, éditions des sables, Genève, 2020), ავტობიოგრაფიული წიგნის („ბავშვობის სამყაროები“, ზოე, 2015; Mondes d'enfa()ce, Zoé, 2015), მოთხრობებისა და ერთი ფლიპ-ბუკის ავტორი. წელს გამოდის მისი პირველი რომანი („მღელვარებათა შუალედში“, ანკრ ფრეში, 2020; Dans l'intervalle des turbulences, Encre Fraîche, Genève, 2020). ასევე გამოქვეყნებული აქვს თარგმანები და სხვადასხვა ტიპის წერილები ჟურნალებში და ბლოგებზე. იგი მსოფლიოს ოთხივ კუთხით მონაწილეობს როგორც ლიტერატურულ და მუსიკის ფესტივალებში, ასევე ერთობლივ გამოფენებში და უძღვება თანამედროვე კონცეპტუალური და იმპროვიზებული პოეზიის სახელოსნოებს.*

# ჰაიკე ფიდლერი: „გაისეირნო სიტყვებში, როგორც ტყეში, სადაც არ იცნობ ყველა მცენარეს“

*(ესაუბრა ბაჩანა ჩაბრაძე)*



**ბაჩანა ჩაბრაძე: მე მქონდა პატივი, ქართულად მეთარგმნა თქვენი ლექსები თბილისის წლევანდელი საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალისთვის, რომელიც, სამწუხაროდ, გასაგები მიზეზების გამო, გადაიდო. მათი თარგმნით ძალიან ვისიამოვნე, მით უმეტეს, რომ ამ ტიპის პოეზია ჩემთვის მეტ-ნაკლებად ახალია. მე მითარგმნია ავტორ-კომპოზიტორები, მათ შორის ლეო ფერე, ვისთვისაც ბგერა ტექსტის უმთავრესი შემადგენელია და „ყოველი ლექსი, რომელიც მხოლოდ წასაკითხადაა დაწერილი და ნაბეჭდშია ჩამწყვდეული, დაუმთავრებელია“. მაგრამ თქვენ უფრო შორს მიდიხართ, არ კმაყოფილდებით ტექსტების უბრალო გახმოვანებით, თავად სიტყვებში ეძებთ ბგერებს. მეტიც, ბგერას, ტექსტსა და გამოსახულებას ერთმანეთზე შრეებად ალაგებთ და ამგვარად ავრცობთ „ტექსტის“ ტრადიციულ საზრისს. თქვენ სიტყვებს მიღმა გადიხართ, ენის სიტყვიერი მნიშვნელობის მიღმა. თქვენთან ვხედავთ იმას, რაც გვესმის, და ვისმენთ იმას, რასაც ვხედავთ. თქვენ აბრუნებთ სიტყვებს, როგორც ტანსაცმელს და მათ სარჩულს გვაჩვენებთ. თქვენ აადგილებთ ასოებს სიტყვაში, თითქოს ჩვეული თანმიმდევრობით დაღლილი ასოები ჯანყდებოდნენ და თავისუფლებას ენაფებოდნენ... როგორ მიხვედით მსგავსი ხერხების გამოყენებამდე? როდის და რატომ დაიწყეთ ასეთი პოეზიის წერა?**

**ჰაიკე ფიდლერი:** ჯერ კიდევ მოზარდი ვიყავი და გერმანიაში ვცხოვრობდი, როცა გამომსახველობითი პოეზია აღმოვაჩინე. ჩემი პირველი აკროსტიქი 16 წლის ასაკში, დიუსელდორფში, გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ გამართული ღონისძიებისთვის, „სმოგალარმისთვის“ შევქმენი. დღევანდელი გადასახედიდან, სწორედ ეს მომენტი მიმაჩნია სიტყვების განსხეულებისადმი ჩემი მგრძნობელობის ნაპერწკლად.

8 წლის შემდეგ კი, ჟენევის ერთ ფესტივალზე, ბგერითი პოეზია აღმოვაჩინე. ამ ქალაქში მაშინ ფილოლოგიურზე ვსწავლობდი და 1998 წელს ბგერითი პოეზიის ჯგუფს შევუერთდი, რომელშიც 15 წლის განმავლობაში ვაქტიურობდი. ამგვარად შევხვდი მრავალ პოეტს, რომლებიც სასცენო პოეზიას ქმნიდნენ. აღმოვაჩინე ხმის, სუნთქვისა და სხეულის, როგორც პოეტური ტექსტის გადაცემის ხელსაწყოს მნიშვნელობა, შესაბამისად, შევუდექი პოეტური ცდების ჩატარებას, გავიარე ელექტროაკუსტიკური მუსიკის კურსები და დავეუფლე ვიდეომონტაჟს. მიმაჩნდა, რომ თუ ხმას შეუძლია პოეტური ტექსტის სივრცეში გადატანა, ეს შესაძლებელი უნდა ყოფილიყო გამომსახველობითი პოეზიის შემთხვევაშიც.

დამოუკიდებლად ავითვისე ხელსაწყოები, რომლებიც ბგერისა და გამოსახულების რეალურ დროში გატანის საშუალებას იძლევა, რაც არ ეხება ლიტერატურას, რომელიც უნივერსიტეტში შევისწავლე. სხვანაირად რომ ვთქვა, პოეზიისა და ელექტროაკუსტიკური მუსიკისადმი ჩემი ინტერესიდან გამომდინარე, შევქმენი ლექსები შენარევების, ჩანაცვლებების, შრეებად განფენების, ტონებში გადასვლების, კროს-ფეიდერების მეშვეობით. ამავე დროს, დავიწყე ჩანერები და საჯარო პერფორმირება და ბგერითი პოეზიის სამეულიც ჩამოვაყალიბე, რომელშიც, ჩემ გარდა, შედიან მარინა ზალცმანი და ალექსა მონტანი.

მე თავად ვქმნი იმ ელემენტებს, რომლებსაც ვიყენებ, ტექსტი იქნება ეს, გამოსახულება თუ ბგერა. ქაღალდზე დაბეჭდილი პოეტური ტექსტი გაშლა-განფენას პერფორმანსის დროს განსივრცებით აღწევს. მე მედიათა ურ-

თიერთქმედებაში მოყვანით ვქმნი განვრცობილ ტექსტს. ეს პროცესი სინესთეზიას ჰგავს, ანუ ერთი მოვლენის აღქმას ერთდროულად რამდენიმე გრძნობით. მე რეალურ დროში ერთმანეთში ვურევ სხვადასხვა ელემენტს იმპროვიზაციისა და MIDI-კონტროლერის საშუალებით (მისი რეალური კონტროლის გარეშე). ამგვარად, მიუხედავად ზუსტი მოსამზადებელი სამუშაოებისა, ყოველთვის რჩება ადგილი შემთხვევითობისთვის, თუნდაც იმ მოულოდნელობებიდან გამომდინარე, ტექსტის, გამოსახულებისა და ბგერის ურთიერთქმედებაში მოყვანას რომ მოაქვს. შემთხვევითობა ვახსენე და ამ შეკითხვაზე ჩემი პასუხი სტეფან მალარმესადმი თვალის ჩაკვრით მინდა დავასრულო, ვინც პოეზიის ახალი ერა შექმნა ტექსტით „კამათლის ერთი გაგორება ვერ ამოწურავს შემთხვევითობას“.

**ბაჩანა ჩაბრაძე: ბგერითი პოეზია ჩემთვის სიახლეა, თუმცა ვიცნობ მის სავარაუდო წინამორბედებს. ეს ჟანრი მახსენებს საპერფორმანსო პოეზიის ტრადიციას, დამკვიდრებულს ისეთი ავტორების მიერ, როგორიცაა ფრანგი ანრი შოპენი და გერმანელი ფრანც მონი. მახსენდება ბეკეტიც და აპოლინერიც, რომ არაფერი ვთქვა დადაისტებზე. დიახ, დეკონსტუქციებთან ერთად (ლექსებში „ნატურმორტი“, „გემო“, „გრაფიტი“), თქვენ იყენებთ გამეორებებსაც (ლექსებში „მთვრალი“, „სიტყვა სიტყვაზე“, „პატივისდება ევრიდიკეს“). სიტყვის გამეორებით, გვაჩვენებთ, რომ ეს აღარ არის ერთი და იგივე სიტყვა. ზოგჯერ კი, პირიქით, გზას პოულობთ იმ სიტყვებს შორის, რომლებსაც მანამდე ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ. ზოგადად, სიტყვებს უჩვეულო აზრს სძენთ. ხომ არ შთაგონებულხართ ზემოთ ჩამოთვლილი ავტორებით?**

**ჰაიკე ფიდლერი:** აბსოლუტურად. ფრანც მონი გერმანული კონკრეტული, გამომსახველობითი და ბგერითი პოეზიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, მიუხედავად იმისა, რომ არასდროს სურდა საკუთარი შემოქმედების რომელიმე პოეტურ სქემაში მოთავსება. იგი ჩემთვის დიდი აღმოჩენა იყო. კარგად ვიცნობ მის საქმიანობას, ერთდროულად თეორიულსა და პრაქტიკულს, ვინაიდან ეს იყო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის თემა ჟენევის უნივერსიტეტში. მე იგი ბგერითი პოეზიის ფესტივალზე მოვიწვიე და სახლშიც არაერთხელ ვესტუმრე, ფრანკფურტში. მან მთამაგონა თავისი ლინგვისტური მოსაზრებებითა და წარმოთქმის ხელოვნებით.

2004 წელს, მეტნაკლებად შემთხვევით, გავეცანი ანრი შოპენის სახელოსნოს ვენის „პოეზიის სკოლაში“ – Schule für Dichtung (დაფუძნებული ავსტრიელი პოეტისა და პერფორმერის, კრისტიან იდე ჰინცეს მიერ, რომელიც ასევე გახლავთ World poetry movement-ის ინიციატორი). ვიცოდი, რომ შოპენი იწერდა და მიქსირებდა საკუთარ ხმას „რევიქსით“, ჭრიდა და ხელახლა აწებებდა ფურცლებს ამოჭრის cut-up მეთოდით. ამ კუთხით, სახელოსნოში მასთან ერთად ჩავატარეთ სხვადასხვა ექსპერიმენტი და გამოვცადეთ სხვადასხვა ტექნოლოგია. ამ დროს შოპენი უკვე ხანდაზმული იყო. ეს ისეთივე მნიშვნელოვანი მომენტი იყო ჩემს საავტორო გზაზე, როგორც დადაისტებისა და ბიტნიკების შესწავლა.

სამაგიეროდ, გამეორების პრაქტიკა ჩემს ტექსტებში მოდის კონკრეტული მუსიკის გავლენიდან, რომლის მოსმენა ძალიან მიყვარს. ეს პრაქტიკა მოდის ამ ტიპის მუსიკისადმი მიძღვნილი წიგნებიდანაც, რომლებიც ზედმიწევნით შევისწავლე და რომლებშიც თემატიზებულია ბგერა, ინსტრუმენტული დევიაციები, ექსპერიმენტი, აკუსტიკური ფენომენები... ყოველივე ეს – ტექნოლოგიური პროგრესის წყალობით. ეს აღმოჩენები დღესაც მხიბლავს. ცხადია, ეს ფონოლოგიასაც ეხება.

გამეორება ასევე ჭვრეტით-მედიტაციური, შამანური ტრადიციაა. იგი რიტუალზე მიანიშნებს. წერაც რაღაც ამის მსგავსია და თან მოიაზრებს „ქმნადობის“ დელეზიანურ ცნებას: წერა-ქმნადობა, გამეორება-ქმნადობა. ამ გადასახედიდან, გამეორება გამოეყოფა ყოველივეს, რაც უძრავია, გაქვავებულია. ის ქმედებებიც კი, რასაც ყოველდღიურად ვიმეორებთ, ყოველთვის განსხვავდება ერთმანეთისგან. სწორედ ამას ეხმაურება ჩემი ლექსი „პატივისდება ევრიდიკეს“. ყოველივე და ყველაფერი არის მოძრაობა. ამ ტექსტში, სიტყვების ჩამოთვლა („იგივე ტოტები იგივე სუნთქვები იგივე უსამართლობები...“) არ ეფუძნება ლოგიკურ მიმდევრობას, არამედ შემთხვევით განვითარებას. აქ, სიტყვების საზრისზე მეტად, მათი გამეორებაა უჩვეულო და მოულოდნელობის ეფექტიც აქედან მოდის. ამას ხშირად მეუბნებიან ჩემს ნაწერებთან დაკავშირებით, ექსპერიმენტული იქნება ისინი თუ სწორხაზოვანი.

**ბაჩანა ჩაბრაძე: სიტყვების გარდა, თქვენ თამაშობთ აპარატებითა და ელექტროაკუსტიკური ინსტრუმენტებითაც, რომლებსაც არგებთ თქვენს სიტყვებს ან ამ სიტყვების ნაწილებს. თქვენ ბგერებით აკეთებთ იმას, რისი გაკეთებაც გამოსახულებით შეიძლება. ამავე დროს, ციფრული ბგერების მანიპულაცია და ინჟინერია თავისთავად ცალკე პროფესიაა. მთლიანად თვითნასწავლი ხართ ამ დარგში? რა დონეზე ფლობთ მუსიკის ხელოვნებას? დაბოლოს, პრაქტიკული კითხვაც: როგორ ახერხებთ ყველა ამ ინსტრუმენტის ტრანსპორტირებას?**

**ჰაიკე ფიდლერი:** თუ არ ჩავთვლით ზემოთ აღნიშნულ ელექტროაკუსტიკური მუსიკის კურსებს, რომლებიც ბგერითი მონტაჟის გასაკეთებლად, ხელსაწყო Pro Tools-ის ათვისებაში დამეხმარა, დიახ, მთლიანად თვითნასწავლი ვარ. მოქმედება და პერფორმანსი მიბიძგებს პრაქტიკული კვლევებისკენ. ვინაიდან ჩემს ხელოვნებას სცენაზე წარმოვადგენ, ცხადია, ყოველთვის ვეძებდი იმ ხელსაწყოებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც ცოცხალ პერფორმანსს უკეთ მოერგებოდა. ასე შევიძინე აპარატი JamMan, რომლითაც ციკლებს ვიმეორებ, ასევე Kaoss Pad – ბგერის დასარეგულირებლად და Ableton Live, რომლითაც ვაჟღერებ, როგორც წინასწარ მომზადებულ, ასევე რეალურ დროში შექმნილ ბგერებს. გამომსახველობითი კუთხით კი, ვიყენებ Modul8-ს, რომელსაც ზოგჯერ აპლიკაცია MadMapper-ს ვამატებ სივრცეში გამოსახულების კიდევ უფრო ზუსტად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასატანად. ან აპარატების გამოყენებაშიც თვითნასწავლი ვარ. ჩემი სპეციფიკა ჩემს ტექსტებში ამ ხელსაწყოების ერთმანეთთან დაკავშირებაა, ინდივიდუალური გამოსვლებისთვის ან იმ მუსიკოსებთან ერთად, რომლებთანაც ვთანამშრომლობ, განსაკუთრებით – მევიოლინე მარი შვაბთან, ვინც ასევე ელექტროაკუსტიკაზე მუშაობს.

ჩვეულებრივ, ვიწერ ფრაგმენტებს, რომლებსაც ვუკრავ გიტარაზე და ფლეიტაზე, რათა შემდეგ პერფორმანსებში გამოვიყენო და გავმიქსო ჩემს ტექსტებთან და გამოსახულებებთან ერთად. არის შემთხვევები, როცა მათ პირდაპირ სცენაზე ვიმპროვიზირებ, რაღაც თქვენს შეკითხვასთან მივყავართ, რომელიც ამ ინსტრუმენტების ტრანსპორტირებას ეხება. ვმგზავრობ ჩემი მიკროფონებით, ელექტროაკუსტიკური ინსტრუმენტებით, კაბელებით, ადაპტატორებით, დამტენებით, რომლებიც სხვადასხვა კონტინენტსა და ქვეყანაში სხვადასხვა ტიპისაა და ეს წინასწარ უნდა გავითვალისწინო. მუდმივად მიწევს ადგილობრივ ტექნიკოსებთან კონსულტაცია და პერფორმანსისთვის საჭირო ელექტროენერგიის ტრანსფორმატორების ძიება, ხმის ინჟინრებთან ერთად აუცილებელი ტექნიკის ადგილზე შეძენა... ყოველივე ეს ჩემთვის მართლაც კომპლექსურ სამყაროს ქმნის, რომელიც ჩემოდანში წიგნის ჩადებაზე ცოტა მეტია, და რაც მთავარია – ცოტა უფრო მძიმე. ჩემი ჩემოდანი მხოლოდ ამ ტექნიკითაა სავსე. ხოლო თუ გიტარის გამოყენება გადავწყვიტე, როგორც მაგალითად, ბენინის ქალაქ კოტონუში ან მეხიკოში, სადაც ჩემს ტექსტს ვუკეთებდი აკომპანირებას, მაშინ უბრალოდ ადგილობრივებს ვთხოვ, გიტარა მათხოვონ.

მე ვარ არა მხოლოდ თვითნასწავლი, არამედ დამოუკიდებელიც, როცა საქმე აპარატთა ჩართვა-განლაგებას ეხება. ძირითადად, ესენია ზემოთ აღნიშნული JamMan, Kaoss Pad, Looper RC-202 და მიქსერი, რომელშიც ვრთავ ინსტრუმენტებს, ოთხ მიკროფონს, მათგან – ერთ DPS-ს. ჯამში, ბევრი აპარატი გამომდის, მაგრამ ძალიან მიყვარს მათი გამოყენება.

როცა ყველაფრის დაყენებას ვრჩები, ბგერით სისტემაში ვერთვები, ვარეგულირებ ხმისა და გამოსახულების ბალანსს და პერფორმანსისთვისაც ყველაფერი მზადაა. ზოგჯერ ტექნიკური ავარიებიც ხდება, როგორც მაგალითად, ჰაიტის დედაქალაქ პორტ-ო-პრენსში. მაშინ მგზავრობისას ჩემოდანი გამიტყდა და მიქსერი დამიზიანდა, თუმცა განცვიფრებული დავრჩი ადგილობრივების შესანიშნავი რეფლექსით, რაც არა ახლის ყიდვაში, არამედ დაზიანებულის შეკეთებაში გამოიხატა. მათ მიერ შეკეთებული ჩემოდნით დღესაც ვმოგზაურობ.

ჩემი პერფორმანსები შეიძლება ისევე წარმოვადგინო დიდ სცენაზე, როგორც პატარა ოთახსა თუ ბიბლიოთეკაში, სადაც შედარებით მცირე ზომის ტექნიკას ვიყენებ. მცირერიცხოვანი პუბლიკის წინაშე ხშირად ხელში მხოლოდ წიგნი მიჭირავს ხელში, რაც ასევე ძალიან მომწონს.

**ბაჩანა ჩაბრაძე: თქვენ, ერთსა და იმავე ტექსტში, ტორტმანებთ გერმანულსა და ფრანგულს, ესპანურსა და ინგლისურს... და ახლა ქართულს შორისაც, როგორც მაგალითად, ლექსში All eins. როგორ ახერხებთ ერთი ენის სიტყვებიდან სხვა ენების სიტყვებზე გადასვლას? როგორ იკვლევთ გზას ამ გადასვლაში: აზრით თუ ბგერით? შეგიძლიათ, აღგვიწეროთ ამ ორიგინალური ქმედების პროცესი?**

**ჰაიკე ფიდლერი:** თავდაპირველად იყო ჩემი მშობლიური ენიდან, გერმანულიდან გადასვლა ფრანგულზე, რაც სხვა ლინგვისტურ რაიონში, შვეიცარიის რომანდიაში გადასვლამ გამოიწვია. შემდეგ მოვიდა სხვა ენებიც, პირადი ინტერესითა თუ სასწავლო საგნებიდან. შემდეგ კი, თანდათანობით, სიტყვებისადმი ჩემი მგრძნობელობიდან გამომდინარე, პოეტურ სისტემად გადავაკეთე ის, რასაც ჩვენ, მრავალ ენაზე მოსაუბრენი, ლაპარაკისას ჩვეულდაუნებურად ვაკეთებთ: ზოგჯერ ერთმანეთში ვურევთ ენებს, საუბრისას უნებლიეთ ვათავსებთ ერთი ენის სიტყვას სხვა ენაში.

მეც დავიწყე ლექსების ამ პრინციპით წერა. ზოგჯერ, ენებს ინტუიციურად ვურევ, ზოგჯერ კი – უფრო კონსტრუქციულად. ასეთ შემთხვევებში, ბგერის ნათლად განსხეულება მეხმარება და მივყავარ სხვა სიტყვასთან, ისე, რომ აზრთანაც არ მაშორებს. ერთხელ, ერთ საუნივერსიტეტო მრავალენოვან კოლოკვიუმზე მიმიწვიეს, რომლის ერთ-ერთი ნაწილის სათაური იყო «Erfahren oder erzeugt», რაც ასე შეიძლება ვთარგმნოთ: „განცდილი ან შექმნილი". მეც სწორედ ასე ემოქმედებ: ქმნადობის ამ ორ ფასონსა და აზრს / ბგერას შორის.

ავიღოთ მაგალითად ფრანგული სიტყვა ruse (ქუჩა). ფრანგულად, ქუჩა – ქუჩაა. ხოლო გერმანულენოვანთათვის იგი rüber-ის ასოციაციას იწვევს, არა მხოლოდ ფრანგულ „ქუჩასთან" მისი პირველი მარცვლის დამთხვევის, არამედ სემანტიკური მსგავსების გამოც, რამდენადაც ეს გერმანული სიტყვა მიანიშნებს ქუჩის თუ საზღვრის მეორე მხარეზე გადასვლის ფაქტზე. ცხადია, სოსიურისა და მისი „ნიშნის შემთხვევითობის" თანახმად, ეს მხოლოდ შემთხვევითობაა, მაგრამ ამ აღმოჩენიდან მოყოლებული, ვეძებ სხვა სიტყვები, რომლებზეც შევძლებდი იმავე სისტემის მორგებას. შესაბამისად, ვიკვლიე სხვა ფრანგული და გერმანული, მეტ-ნაკლებად ომონიმური ტერმინები ისე, რომ ჩემს მთავარ გიდად მათი შინაარსი რჩებოდა. ასე დაიბადა ლექსი Dissens dissonanz, რომელშიც ერთმანეთთან ბგერისმიერად ვაპირისპირებ მოძთაბარეობასა და უმოძრაობას და ლტოლვილთა პრობლემებს: Naufrage no frage keine frage (ჩაძირვა, არავითარ შემთხვევაში...) და ა.შ.

რაც შეეხება ლექსს All eins, რომელიც თქვენ ახსენეთ, უნდა აღვნიშნო, რომ Allein გერმანულად ნიშნავს „მარტო"-ს, ხოლო როცა მას წარმოვთქვამთ, გვესმის ინგლისური A line, რაც თავის მხრივ, გერმანულ „ხაზს" გვაგონებს. იგივე შეიძლება ვთქვათ ფრანგულზეც. ყოველივე ეს სხვადასხვა ენათა ფრაგმენტებია და ამავე დროს – თამაში, რომლის წარმართვა, „ad infinitum", ყველა არსებულ ენაში შეიძლება.

არ ვფიქრობ, რომ ჩემი მრავალენოვანი ტექსტების წასაკითხად აუცილებელია ყველა ენის ცოდნა, რომლებსაც მათში ვიყენებ. პირიქით: ფრაზებში, სიტყვებში ისევე შეიძლება გავისეირნოთ, როგორც ტყეში, სადაც არ ვიცნობთ ყველა მცენარეს, რომლებსაც ვაწყდებით.

**ბაჩანა ჩაბრაძე: ეფექტებზე ასეთი კონცენტრაციის მიუხედავად, თითოეული თქვენი ნაწარმოები განსაკუთრებული შინაარსით გამოირჩევა. მათგან მოედინება ურთიერთგაზიარებისა და თავისუფლების ფილოსოფია. ყოველი თქვენი პერფორმანსი პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, მეტიც – ანგაჟირებულია. ენების არევით, თქვენ განსხვავებულ ბგერებს, უცნობ რიტმებს ულებთ კარს, თითქოს მკითხველს თანასწორობისკენ, ჩართულობისკენ და მშვიდობიანი თანაცხოვრებისკენ უხმობდეთ. ეს ღია მრავალენოვნება და ეს გამდინარე ჰორიზონტი ხომ არ არის უბარიკადო, უკედლებო და მუდმივი განახლებისადმი გახსნილი სამყაროს თქვენეული ხედვის ანარეკლი? რომელია თქვენი მთავარი თემები ამ ბრძოლაში?**

**ჰაიკე ფიდლერი:** დიახ, სწორედ ასეა. სწორედ ამისკენ ვუხმობ მკითხველს. სრულყოფილად დაინახეთ ჩემი საზრუნავი და განზრახვები! დიახ, ეს არის საზღვრების გადაკვეთა ერთი ენიდან მეორეზე გადასვლით, მოძრაობა, გახსნილობა, სხვასთან შეხვედრა. ეს არის, ამა თუ იმ პოეტური ფორმისა თუ სტილის მეშვეობით, ჰომოფობიის, ტრანსფობიის, სექსიზმის, რასიზმის მხილება – რამდენიმე ასპექტი იმ ჩართულობიდან, რომელიც თქვენ ახსენეთ. ჩართულობის პოეზიას დიდი ხანია ვქმნი, რადგან ენა საზოგადოებასთან ერთად ვითარდება და ირეკლავს მის თავისებურებებს. მსგავსი პოზიცია, მით უფრო ზეპირსიტყვიერებაში გამოხატული, მუდამ აწყდებოდა და დღესაც აწყდება იგნორს და უარყოფას, მათ შორის ფრანკოფონიაში და „ალიანს ფრანსეზში", რაც ძალიან მაღელვებს.

ამგვარად, მე მრავალენოვან პოეზიას აღვიქვამ, როგორც ჩვენი თანამედროვე პოლიგლოტი, პოლისემანტიკური სინამდვილის ერთგვარ თარგმანს.

**ბაჩანა ჩაბრაძე: თქვენი ენობრივი კომბინაციები ზედმიწევნით კონსტრუირებულია, ზოგჯერ – მათემატიკურიც. ამაში როლს უთუოდ თქვენი მრავალენოვანებაც თამაშობს. თქვენ ანაწევრებთ, შლით ენებს. შედეგად, გვაჩვენებთ იმ ერთეულებს, რომლებიც მთლიანობაში იყო ჩაკარგული და მანამდე ვერ ვამჩნევდით. სხვადასხვა ენების ერთ ტექსტში თავმოყრით, თქვენ ენას განიხილავთ, როგორც ბგერით სხეულს. მსგავსი დემარში ენის სტატუსისადმი დელეზისეულ მიდგომას მახსენებს. ეს კი კვლევას წააგავს. ხომ არ უკავშირდება ეს თქვენს განათლებასა და სასწავლო გამოცდილებას?**

**ჰაიკე ფიდლერი:** ნამდვილად, დელეზი ჩემი საყვარელი ფილოსოფოსია. მისი პირველი წიგნი, რომელიც წავიკითხე, იყო „დიალოგები" (ფლამარიონი, 1977), კლერ პარნესთან თანაავტორობით დაწერილი. იგი მეგობარმა მაჩუქა და

მისი ნაკითხვისთანავე დავწერე ლექსი A rose et une rose (ინგლისურ-ფრანგულად: „ვარდი და ვარდი"), რომელიც ძალიან ბგერითი კონსტრუქციისაა და ქვესათაურად აქვს „პატივისცემა გერტრუდ სტაინსა და ჟილ დელეზს". იგი ეფუძნება ერთდროულად სტაინის ცნობილ ლექსს „ვარდი ვარდია" და დელეზის დაკვირვებას სიტყვა-კავშირზე „და", რომელიც მისი აზრით, არის „ერთგვარი აქტიური გაჟონვა, გაქცევა, თავის დაღწევა".

ასეთ გაჟონვას ვხვდებით ტექსტში All eins, allein, a line. დელეზს ვაწყდებით ასევე ზემოთ ნახსენებ ლექსში Dissens dissonanz: „მეტიც, ეს მოზითაბარე სწავლება შეუწყვეტლივ ითრგუნება და იკრძალება სახელმწიფო მეცნიერების პირობებისა და მოთხოვნების წნეხში" („ათასი ზეგანი", ჟილ დელეზი, ფელიქს გვატარი).

თქვენ მართალი ხართ, როცა ვარაუდობთ, რომ ჩემი მრავალენოვანი ტექსტების ერთობლიობა უკავშირდება ამ ფილოსოფოსსა და მშობლიური ენის მისეულ აღქმას: „ენის ერთეული თავდაპირველად პოლიტიკურია. უნდა ვილაპარაკოთ არა დედა-ენაზე, არამედ დომინანტი ენის მიერ ძალაუფლების აღებაზე" (ჟილ დელეზი, ფელიქს გვატარი, „ათასი ზეგანი", პარიზი, გამომცემლობა მინუი, 1980, გვ. 128; Gilles Deleuze, Félix Guattari, Mille Plateaux, Paris, Les éditions de minuit, 1980, p. 128.).

დელეზი დამოუკიდებლად შევისწავლე, მისი წიგნების წაკითხვისა და მისი ლექციების ჩანაწერების მოსმენის შედეგად. სამაგიეროდ, ენის ანალიტიკური ფილოსოფია ჟენევის უნივერსიტეტში ერთ-ერთ საგნად მქონდა. ამგვარად, გოტლობ ფრეგეს, დონალდ დევიდსონის, მაიკლ დამიტისა და სხვა ანალიტიკოსთა გავლით, გავუშინაურდი სიტყვების სპეციფიკის კვლევას, მათ ფილოსოფიურ კონცეპტირებასა და მათ მნიშვნელობებს. მე მიყვარს თეორიული მიდგომები, მომწონს კვლევისა და პრაქტიკის, წერისა და პერფორმანსის ერთმანეთთან დაკავშირება,

**ბაჩანა ჩაბრაძე: თქვენ მთარგმნელიც ხართ. საინტერესოა, პერფორმერის გამოცდილება თუ გეხმარებათ თარგმანებში, სადაც ხშირად ერთი ენიდან მეორეში უნდა გადავიდეს ბგერა, რიტმი თუ კალამბური და არა პირდაპირი ენობრივი მნიშვნელობები?**



**ჰაიკე ფიდლერი:** ჩემი, როგორც მთარგმნელის გამოცდილებიდან ვიტყოდი, რომ თარგმნა უაღრესად საინტერესო საქმიანობაა, რადგან ერთი ავტორის თარგმნისას, ხელახლა უნდა დაუსვა საკუთარ თავს ის შეკითხვები, რომლებსაც სხვა ავტორთან უკვე უპასუხე, ამ ავტორების განსხვავებული სტილიდან და სპეციფიკური შემოქმედებითი ხაზიდან გამომდინარე. თარგმანში, ზოგჯერ, სტრატეგიების აღრევის უფლებაც უნდა მისცე თავს. დიახ, ვფიქრობ, რომ ჩემი სამწერლო და ბგერითი პოეზიის პრაქტიკა მეხმარება თარგმანის პროცესში. სხვათა შორის, არსებობენ მწერლები, რომლებიც ლექსებს თავიანთივე ჰომოფონიური თარგმანებიდან ქმნიან. ამ მხრივ მახსენდება ერნსტ იანდლი, ოსკარ პასტიორი და ულრიკე დრეზნერი, ასევე – მწერალთა და მათემატიკოსთა გაერთიანება „ულიპო". ბოლო დროს, თარგმანი მეტად გაიხსნა ენობრივი თამაშებისადმი. დღევანდელი მთარგმნელები ამას ელტვიან, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ იყო.

ძალიან მაინტერესებს, თქვენ თარგმანის რა სტრატეგია აირჩიეთ ჩემი ლექსების ქართულად გადატანისას. ამ ენას არ ვიცნობ, მაგრამ მისი დამწერლობა ძალიან ლამაზია! ყველაფერთან ერთად, ამიტომაც მახარებდა თბილისის ლიტერატურულ ფესტივალში მონაწილეობის პერსპექტივა, რომელიც სამწუხაროდ, გასაგები მიზეზების გამო გადაიდო. დიდი იმედი მაქვს, მოგვიანებით ვიმოგზაურებ ამ ქვეყანასა და ენაში.

**ბაჩანა ჩაბრაძე: შეკითხვას, რომელსაც მე მისვამთ თარგმანის სტრატეგიებთან დაკავშირებით, თავადვე უპასუხეთ. დიახ, თქვენი ტექსტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მომიხდა სტრატეგიათა ცვლა, მეტიც – აღრევა; და არა მხოლოდ ლექსიდან ლექსში, არამედ ზოგჯერ ერთსა და იმავე ტექსტშიც კი. ჩემთვის აშკარა იყო, რომ დედნის „ზუსტად" გადასატანად, სინტაქსურ-გრამატიკული მეთოდი ხშირად სემანტიკური, ან კიდევ, პრაგმატული მიდგომით უნდა მეცვალა, და ამგვარად ქართულად გამეთამაშებინა ის კომბინაციები, რაც თქვენ გაითამაშეთ სიტყვების დეკონსტრუირებითა თუ ამობრუნებით და შედეგად – ამავე სიტყვების ბგერებზე შეგნებულად აქცენტირებით. უნდა ითქვას, რომ ქართული ენის ფონეტიკური რესურსები ამის საშუალებას უხვად იძლევა.**

**თქვენ ბევრ კულტურულ შეხვედრას აწყობთ. მათ შორის, ასოციაციის „შეხვედრები აქ და სხვაგან" ფარგლებში, Laboratorio Arts Con-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**temporains-ის პარტნიორობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართეთ საპერფორმანსო სახელოსნოები ახალგაზრდა პუბლიკისთვის. ვვარაუდობ, რომ მოზარდებთან პერფორმირება ზრდასრულებთან პერფომირებისგან საგრძნობლად განსხვავდება. როგორ უადვილებთ მოზარდებს თქვენს ტექნოლოგიებთან ადაპტირებას? გაქვთ თუ არა კონკრეტული მეთოდები მათი ცოდნის ფარგლებში თქვენი ხელოვნების მოსათავსებლად? ასეთ დროს რა უფრო გამოდის ავანსცენაზე: სიტყვები თუ მოძრაობები?**

**ჰაიკე ფიდლერი:** პოეზიის სახელოსნოებში იშვიათად ვთხოვ მონაწილეებს ჩემს ტექნოლოგიასთან ადაპტირებას. ეს, შეიძლება, მომავლის პერსპექტივა იყოს. სამაგიეროდ, ხშირად მაქვს შესაძლებლობა, ლიტერატურის ისტორიაში ექსკურსიის მეშვეობით, ავამაღლო ბგერითი პოეზიის პრაქტიკისა და პერფორმანსისადმი ზრდასრულთა მგრძნობელობა. ამ პროცესში, არც „თეთრი ადამიანის" დომინანტური პოზიციისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას ვივიწყებ. თუმცა ბავშვებთან, ცხადია, ამგვარი ღემარშები ნაკლებად გამოდგება. სანაცვლოდ, ჩემი ინსტრუმენტები იოლად მანიპულირებადია და ეფექტსაც დაუყოვნებლივ იძლევა, თუნდაც ეს მხოლოდ მიკროფონში ლაპარაკი ან უბრალოდ, საკუთარი ხმის სხვანაირად, ექოსებურად მოსმენა იყოს. ეს მათ ცნობისმოყვარეობას აღვივებს და მათთან კონტაქტში სწრაფად და უშუალოდ შესვლის საშუალებას მაძლევს. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი სახელოსნოები ტრიალებს არა აუცილებლად ტექნოლოგიების, არამედ პოეზიის, შპოკენ ნორდ-ის, ერთგვარი მხატვრული დეკლამაციის ირგვლივ. ავანსცენაზე კი, არის არა სიტყვები და მოძრაობები, არამედ – სიტყვები მოძრაობებით! აქ ყოველთვის მნიშვნელოვანია კოლექტიური ასპექტი, ურთიერთგაზიარება, სიტყვების ერთად წარმოთქმა, ერთობლივი იმპროვიზაციები და ინდივიდუალური ნაწერებიდან ახალი ერთობლივი ტექსტების შექმნა. ამას ერთნაირი წარმატებით ვაკეთებთ, როგორც შრი-ლანკაში, ბენინსა თუ ინდოეთში, ისევე კოლუმბიასა და შვეიცარიაში, ანუ ყველგან, სადაც პოეზიის სახელოსნოებს ვატარებ.

**ბაჩანა ჩაბრაძე: ბავშვები ვახსენეთ, და თქვენს ავტობიოგრაფიულ წიგნზე მინდა გკითხოთ, რომელსაც „ბავშვობის სამყაროები" ჰქვია (გამომცემლობა ზოე, 2015; Mondes d'enfa()ce, Zoé, 2015). ამ პოეტურ პროზაში, რომელშიც სათაურიდანვე სიტყვებით თამაშობთ (ენფა()ცე-ში ბავშვობასაც გულისხმობთ და პირისპირ დგომასაც), თქვენ მესამე პირში აღწერთ საკუთარ ბავშვობას გერმანიაში და თქვენს სამწერლო გზას. მასში მკითხველი ეშვება ომისშემდგომ დასავლეთ გერმანიაში და შვეიცარიის რომანდიაშიც. შეგიძლიათ, მეტი გვითხრათ ამ წიგნისა და ზოგადად თქვენი პროზის შესახებ?**

ჰაიკე ფიდლერი: კი, ნოველებსაც ვწერ. ჩემი პირველი რომანი კი მალე გამოვა. ჩემი პროზა არ ეფუძნება სიტყვებით თამაშს, არც ეს ავტობიოგრაფიული რომანი, გარდა სათაურისა. მასში ვიგონებ ჩემს ბავშვობას. ბავშვობა კი განსხვავებული სამყაროებისგან შედგება, მათ შორის – გარე სამყაროა აღმოჩენისგან. ბავშვიც სწორედ ამ აღმოჩენების პირისპირ დგება. სათაურში სიტყვებით თამაშიც ამას გულისხმობს. მოთხრობა მხოლობითის მესამე პირშია დაწერილი და მასში არცერთი საკუთარი სახელი არ ფიგურირებს, რადგან მიუხედავად ინდივიდუალური და ძალიან ინტიმური გამოცდილებებისა, ჩვენ ყველას ბევრი რამ გვაქვს საერთო, მათ შორის – ერთგვარი გაცვლადობა თაობებსა და კულტურებს შორის. დაბოლოს, ამ წიგნში არის ასეთი პასაჟი: „იგი ბალახზე წამოწოლილა იმ ხალხს შორის, რომელთაც არ იცნობს. მარჯვენიდან ერთი ენა ესმის, მარცხნიდან – მეორე. ხმა ერთი მხრიდან მოდის და მეორედან არ გადის. სიტყვები მასში რჩებიან, კარგად შეფუთულნი. იგი მათ საკუთარ თავში ატარებს. იგი ხტება, იგი დგება, იგი დადის. სიარული და გადახტომა, კარგად შეჯანჯღარება, კარგად შერხევა. და შავგვრემანი ენის გამოყოფა, მისივე ენის...".

**ბაჩანა ჩაბრაძე: თქვენი პერფორმანსებით, რომლებიც სწორხაზოვნებას ამსხვრევს, თქვენ ერთგვარად აკრიტიკებთ სტრუქტურულ ძალაუფლებას, რომელიც ძირითადად მამაკაცების ძალაუფლებას წარმოადგენს. ეს აქტივიზმი ხომ არ არის ნაკარნახევი იმ სინამდვილით, რომელშიც ქალებს, კუთვნილი ადგილის დასაკავებლად, დღესაც და ევროპაშიც, ხშირად უწევთ დომინანტ მასკულინურ მოდელზე მორგება? პირადად ხომ არ გადაჰყრიხართ მსგავს დაბრკოლებას თქვენი, როგორც ქალი მწ-**



ერლის, კარიერის მანძილზე? რას ნიშნავს თქვენთვის, იყო ქალი ავტორი, ქალი პერფორმერი?**

**ჰაიკე ფიდლერი:** ეს აქტივიზმი აუცილებლობად მიმაჩნია. იგი სცდება ხელოვანი ქალების კუთვნილი ადგილის ფარგლებს და ეხება ზოგადად ადგილს, რომელიც ქალს უკავია. იგი ეხება უსამართლობასა და უთანასწორობას, რომელთა მსხვერპლია ქალი, თანაც – ძალიან ადრეული ასაკიდან, კერძოდ, აღზრდიდან მოყოლებული, ოჯახურ გარემოში იქნება ეს თუ ინსტიტუციებში. ჯერ კიდევ საბავშვო წიგნებისა და სათამაშოების მეშვეობით ხდება სტერეოტიპული წარმოდგენების გადაცემა: დედა დათვი, რომელიც სახლში რჩება და პატარა ბელებს უვლის. ყოველივე ეს გავლენას ახდენს გენდერის სოციალურ კონსტრუქციაზე, პროფესიულ არჩევანსა და სახელფასო უთანასწორობაზეც. დღევანდელი პანდემია ამას ყოველდღიურად გვახსენებს. რაც შეეხება ხელოვნებას, ქალები მასშიც მწირად არიან წარმოდგენილი. იგივე ხდება უნივერსიტეტებშიც, მიუხედავად მდგომარეობის ოდნავი გაუმჯობესებისა.

დიახ, პირადად გადავყრივარ მსგავს დაბრკოლებებს, თუმცა ისინი არ არის მატერიალური და კონკრეტულად ვერ მოიხელთებ. ხოლო თუ ამაზე სიტყვას ირავ, გიჟად გრაცხავენ, რადგან არ გაგაჩნია ამის საბუთი. არადა, ნამდვილად ვიცი, მამაკაცი რომ ვყოფილიყავი, გაცილებით ნაკლები ბრძოლა დამჭირდებოდა ხელოვნების სამყაროში თავის დასამკვიდრებლად, განსაკუთრებით – დასაწყისში. შეიძლება, დღეს, ახალგაზრდა ქალებისთვის ყოველივე ეს ნაკლებად მძაფრია, თუმცა ხელოვნების სკოლაში ჩემი სამასწავლებლო პრაქტიკიდან და ორი ზრდასრული ქალიშვილის დედის პოზიციიდან ვხედავ, რომ ბევრი რამ დღესაც მიუღწეველია და უთანასწორობა კვლავ სახეზეა.

მიუხედავად ამისა, უწინდელთან შედარებით, დღეს გაცილებით მეტია იმ ახალგაზრდა ქალების რიცხვი, რომლებიც ხელოვანისა თუ მწერლის პროფესიულ გზას ირჩევენ, რასაც ლიტერატურული ინსტიტუტების გამოჩენამაც შეუწყო ხელი. ისინი გაცილებით მრავალრიცხოვანნი არიან თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროშიც და არავინ აყენებს ეჭვქვეშ მათ უნარებს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვხედავ, რასაც ნამდვილად ვერ ვამჩნევდი ოცი წლის წინ, როცა ქალს ხუთჯერ მაინც უნდა ეთქვა, რომ კაბელის შეერთება შეეძლო, რათა მისთვის ხელსაწყო ენდოთ.

ინდივიდუალურად, ქალი იძულებული იყო, თავი შეეხსენებინა სამყაროსთვის, რისი კეთებაც დღემდე უწევს კოლექტიურად, მანიფესტაციების სახით, ფემინისტური აქტივიზმით. ქალს სჭირდება მუდამ ფხიზლად ჰყოფნა, რადგან მიღწეული უფლებები ძალიან მყიფეა. გარკვეული წარმატება სახეზეა, თუმცა ამ ბრძოლის გაგრძელება კვლავ და კვლავ აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

მართალია, თავად, დიდწილად მამაკაცმა ავტორებმა შთამაგონეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ძალიან ცოტა ქალი ჩანდა იმ დარგში, რომლითაც მე დავინტერესდი. ისინი მოგვიანებით აღმოვაჩინე. თანაც მე დავძლიე ეს გავლენა ჩემივე სამწერლო და სახელოვნებო ხმის მოძიებით. ამ ხმის პოვნამდეც კარგად ვიცნობდი ფემინისტურ ლიტერატურულ კრიტიკასა და მწერლობას ჩემი საუნივერსიტეტო ფილოლოგიური კარიერიდან. ამას გარდა, გავიარე დამატებითი საუნივერსიტეტო კურსი გენდერის საკითხზე, რათა უკეთ შემესწავლა უთანასწორობის გამომწვევი მექანიზმები და მათი გამოვლინებები. როგორც ქალი ავტორი და პერფორმერი, განსაკუთრებით დავინტერესდი ისეთი ქალი ავტორებითა და გენდერის თეორეტიკოსებით, როგორიც არიან ჯუდით ბატლერი, ერიკა ფიშერ-ლიხტე, პეგი ფელანი თუ დაიანა ტეილორი.

**ბაჩანა ჩაბრაძე: დაბოლოს, რას გვეტყოდით თქვენს სამომავლო გეგმებზე? მალე იხილავს თუ არა მკითხველი და მაყურებელი ჰაიკე ფიდლერის ახალ კრებულსა თუ პერფორმანსს? გმადლობთ, რომ დრო დაგვითმეთ და გვესაუბრეთ ქართული ჟურნალისთვის „ახალი საუნჯე"!**

**ჰაიკე ფიდლერი:** ზაფხულამდე ველოდები ჩემს ორ ახალ წიგნს: რომანს „მღელვარებათა შუალედში" (გამომცემლობა ანკრ ფრეში; Dans l'intervalle des turbulences, Encre Fraîche, Genève, 2020), რომელიც უკვე დაბეჭდილი და აკინძულია და გამოსასვლელად მხოლოდ იზოლაციის დასრულებას ელის; და პოეზიის კრებულს „ლექსის მოლოდინში" (გამომცემლობა საბლი, 2020; En attendant le poème, éditions des sables, Genève, 2020), რომელიც ბოლო ინსტანციებს გადის, სანამ კონკრეტულად მატერიალიზდება. ეს არის ჩემი ორი ახალი გამოცდილება, ვინაიდან საქმე ეხება ჩემს პირველ რომანს და მთლიანად ფრანგულ ენაზე დაწერილ პირველ პოეტურ კრებულს, ამჯერად – ექსპერიმენტების გარეშე... თითქმის! ამ კრებულებს, შესაბამისად, საჯარო კითხვის სერიაც მოჰყვება. უკვე დაგეგმილი მქონდა ამ სერიის ნაწილი, რომელიც კოვიდ-19-ის გამო გადაიდო. მე შევქმენი ინტერნეტ გვერდი, რომელიც მოიცავს ჩემი საქმიანობის არქივსაც და ჩემს რომანთან დაკავშირებულ მომავალ პროექტებსაც:

http://heikefiedler.ch/roman/dans_l_intervalle_des_turbulences.html

გავაგრძელებ კითხვა-პერფორმანსებსაც, როგორც აქამდე ვაკეთებდი. უკვე ვამზადებ ახალ ტექსტებს, რომელთაგან ერთ-ერთი ახლახან გამოვაქვეყნე ამ ბმულზე:

https://decamera.lepodcast.fr/heike-fiedler-temps-de-trainee?fbclid=IwAR0217yqWNBNAVCi-e56QAPy6XV9y36_DHuRaoXaKrOtjARJbhOf4ygsk1w

ერთ პერფორმანსს იზოლაციის თემაზეც ვგეგმავ.

გმადლობთ ამ საინტერესო შეკითხვებისთვის! ძალიან სასიამოვნო იყო მათზე პასუხის გაცემა!

**აპრილი 2020, საფრანგეთი, შვეიცარია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაიკე ფიდლერი

## პატივისცემა ევრიდიკეს

იგივე სიტყვები იგივე ფრაზები იგივე ბგერები იგივე ასოები იგივე საზომები იგივე ფიქრები იგივე ჟესტები იგივე ურთიერთობები იგივე გამოსახულებები იგივე ქუჩები იგივე გვერდები იგივე აზრები იგივე სურვილები იგივე აბდაუბდები იგივე გამეორებები

იგივე სახეები იგივე გზები იგივე წიგნები იგივე სარკმლები იგივე ვარსკვლავები იგივე საცვლები იგივე წინდები იგივე ბილი იგივე კაცები იგივე გამომეტყველებები იგივე ნივთები იგივე ძუძუები იგივე ქურთუკები იგივე თარიღები იგივე გასაღებები იგივე სინამდვილეები იგივე კერძები

იგივე ვნებები იგივე შეთავაზებები იგივე სიამეები იგივე ფილმები იგივე ვარდები იგივე ფოტოები იგივე ნიშნები იგივე მიკრობები იგივე მიმართებები იგივე ფერები იგივე ზეწრები იგივე სამყაროები იგივე ზედაპირები იგივე მოლოდინები იგივე ორგაზმები

იგივე ბრძოლები იგივე გულგატეხილობები იგივე საგონებლები იგივე შეხსენებები იგივე ჯარიმები იგივე პლაჟები იგივე ნაბიჯები იგივე მოძრაობები იგივე ექოები იგივე სიზმრები იგივე შეძრწუნებები იგივე კოშმარები იგივე პასუხები იგივე ლილაკები იგივე ჭრილობები

იგივე ქვეყნები იგივე სიხარულები იგივე ყვირილები იგივე ხმაურები იგივე გაზეთები იგივე ინფორმაციები იგივე კატასტროფები იგივე დანაშაულები იგივე ფარდები იგივე ბალახები იგივე ფეხსაცმელები იგივე ნარკოტიკები იგივე მდგომარეობები იგივე ფიგურები

იგივე სინათლეები იგივე მოცემულობები იგივე შესწორებები იგივე თავისუფლებები იგივე დამოკიდებულებები იგივე ტროტუარები იგივე მსგავსებები იგივე დავიწყებები იგივე ინტერპრეტაციები იგივე ეკრანები იგივე ხვრელები

იგივე შეგონებები იგივე სექსები იგივე ანარეკლები იგივე დამწერლობები იგივე ხელები იგივე ცვლილებები იგივე ხმები იგივე ჩიტები იგივე სილატაკე იგივე შემადგენლობები იგივე გადაადგილებები იგივე ამბები იგივე ომები იგივე უპოვრობა იგივე ტალღები იგივე სახლები

იგივე განრიგი იგივე გარდაქმნები იგივე კედლები იგივე სიხშირეები იგივე ბიძგები იგივე მიზიდვები იგივე მარტოობები იგივე ამბოხებები იგივე ისტორიები იგივე ციტირებები იგივე უფლებები იგივე საათები იგივე სიცილები იგივე უტოპიები

იგივე ხეტიალები იგივე შიშები იგივე ხაზები იგივე გადაკვეთები იგივე კარები იგივე გასასვლელები იგივე საზღვრები იგივე გარემოებები იგივე პროგრამები იგივე ნაწილაკები იგივე რეესტრები იგივე ქმედებები იგივე ჩვენებები იგივე ნაჭრები იგივე ბეწვები

იგივე ნარჩენები იგივე სიამოვნებები იგივე გართობები იგივე სიგიჟეები იგივე ვარდნები იგივე სიჭარბეები იგივე მოგზაურობები იგივე ფესურები იგივე მზერები იგივე სიცარიელები იგივე სისულელეები იგივე სტრუქტურები იგივე დაჭერები იგივე პოზიციები

იგივე მიზნები იგივე ბეხვები იგივე ნაწცეცები იგივე მუსიკები იგივე ვენები იგივე სწორხაზოვნებები იგივე მწერები იგივე მოსახვევები იგივე შემოვლები იგივე ზეწრები იგივე იმედები იგივე ხახვები იგივე ჩანჩქერები იგივე გვირაბები

იგივე უარები იგივე ნდომები იგივე ტანსაცმელები იგივე ჩართვები იგივე კლავიშები იგივე თავსატეხები იგივე განზომილებები იგივე ყავები იგივე კოვზები იგივე დაფები იგივე ქალები იგივე კვლევები

იგივე განსხვავებები იგივე მიმართულებები იგივე ცნობები იგივე ახსნები იგივე გამომჟღავნებები იგივე ზიზღები იგივე გარემოებები იგივე პირები იგივე სადარდებლები იგივე შეკითხვები იგივე უკიდურესობები იგივე მითვისებები იგივე გამჭვირვალობები იგივე ხილვები იგივე ყოყმანები იგივე ზღვარსგადასულები იგივე გამეორებები იგივე დარტყმები იგივე გამორიცხვები იგივე განცხადებები იგივე რწმენები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგივე აკვიატებები იგივე დაზუსტებები იგივე გადაუდებლობები იგივე ენები იგივე სითხეები იგივე განტოტებები იგივე ორგანოები იგივე სხეულები იგივე სიგიჟეები იგივე სიბრძნეები იგივე ადგილები იგივე გაოცებები იგივე სიცხადეები იგივე კრიზისები

იგივე განადგურებები იგივე ტოტები იგივე სუნთქვები იგივე ტუჩები იგივე სუნები იგივე დროები იგივე უსაზღვროებები იგივე უაზრობები იგივე მოქმედებები იგივე მოჟამულობები იგივე დღეობები იგივე თამაშები იგივე თარგმანები იგივე თითები იგივე შეხებები

იგივე ჟრუანტელები იგივე კოცნები იგივე გაოფლიანებები იგივე კლიტორები იგივე შეგრძნებები იგივე დამშვიდობებები იგივე ავადმყოფობები იგივე დარღვევები იგივე მხარდაჭერები იგივე საჭიროებები იგივე დიაფრაგმები იგივე შეუსაძლებლობები იგივე ნორმები იგივე ლიმონები

იგივე მნიშვნელები იგივე ფორმები იგივე გამოძახილები იგივე ჰალუცინაციები იგივე დატბორვები იგივე ერთმნიშვნელოვნებები იგივე გაჟონვები იგივე განზომილებები იგივე არარაობები იგივე დეტერიტორიალიზაციები

იგივე შემცველობები იგივე შემოგარენები იგივე ზემოქმედებები იგივე განაყოფიერებები იგივე აბსტრაქციები იგივე პორტრეტები იგივე ხანგრძლივობები იგივე მთლიანობები იგივე სიმრავლეები იგივე ზიგთაუსები იგივე გარღვევები იგივე გამოხედვები იგივე ტუჩები იგივე სიბინძურეები იგივე კანები იგივე სიმთვრალეები იგივე იდენტობები

იგივე ტაბუები იგივე სიტყვები იგივე წელწევები იგივე მოთხოვნები იგივე გაპროტესტებები იგივე განათებები იგივე აგრესიები იგივე თავდაცვები იგივე სინათლეები იგივე გამონადენები იგივე წარადისობები იგივე წრეები იგივე დასასრულები იგივე აზრები იგივე გამეორებები იგივე ფიქრები

იგივე აბდაუბდები იგივე ქურთუკები იგივე კერძები იგივე ორგაზმები იგივე სიზმრები იგივე ფარდები იგივე ფეხსაცმელები იგივე ბელები იგივე განრიგები იგივე კედლები იგივე კარები იგივე ბენვები იგივე სიგიჟეები იგივე ეენები იგივე ხახვები იგივე გაფიცვები იგივე პრობლემები

იგივე პირები იგივე ენები იგივე სხეულები იგივე ტუჩები იგივე თითები იგივე ფორმები იგივე გამონადენები იგივე ორგაზმები იგივე სიგიჟეები იგივე ტუჩები იგივე ფრაგმენტები იგივე გახსნები იგივე ეკრანები იგივე სიტყვები იგივე განსხვავებები

* * *

სად იწყება ის რაც ჩვენს ძალებს აღემატება რაც ჩვენს ძალებს ღემატებაა რაც ჩვენს ძალებს ემატებაალ რაც ჩვენს ძალებს მატებაალე რაც ჩვენს ძალებს ატებაალემ რაც ჩვენს ძალებს ტებაალემა რაც ჩვენს ძალებს ებაალემატ რაც ჩვენს ძალებს ბაალემატე რაც ჩვენს ძალებს აალემატებ რაც ჩვენს ძალებს აღემატება როგორც

## ასე

ფრჩხილების გახსნა, როგორც კონსერვის ქილის. ფრჩხილების მითვისება, ფრჩხილებთან სიახლოვის აშკარა მიზეზით. ფრჩხილები იხსნება უსასრულობით და იხურება იმით, რაც არ თქმულა. თეთრი ფურცელი ზემოქმედებს ფრჩხილებზე. სიტყვებს შეუძლია თეთრ ფურცელზე ზემოქმედება. ზოგ ფრჩხილს მსოფლიოს ოთხივე კუთხით მოარული ფიქრები წარმოშობს.

ნედლეულის ვირუსული ქცევა დამოკიდებულია სინტაქსურ გარემოზე. ფრჩხილებს შორის სიტყვიერ განცხადებას უნდა ერთვოდეს წარწერა "მოქმედი ფიქრებიდან გამომდინარე". თუმცა სიტყვებს, მიკროორგანიზმული ბგერების მეშვეობით, შეუძლიათ, გაემიჯნონ ყოველგვარ განცხადებას. მიკროორგანიზმიდან გამოსული ყოველი სიტყვა აბათილებს ფრჩხილებს შორის სიტყვების მნიშვნელობას.

ბოლოთქმა. აკეთე, რაც გსურს. ფრჩხილების დახურვა. დილით, შენ დგები, ხედავ ოცამდე ნერცხლის ფრენას უფოთლო სუროთი დაფარულ კედელთან. ფრჩხილები აუქმებს დროს.

## მთვრალი

მთვრალი ვარ დაღლილობით ცხოვრებით მთვრალი როგორც მთვრალი კვირებით მთვრალი ჩემით მთვრალი ყოფნით მთვრალი შენით მთვრალი სიარულით მთვრალი მარადი მთვრალი წერით მთვრალი ყოფით მთვრალი ისევ მთვრალი არათი მთვრალი დარჩენით მთვრალი სიყვარულით მთვრალი არაყით მთვრალი გზებით მთვრალი ხვალინდელი დღეებით მთვრალი სმით მთვრალი ხანძრით მთვრალი გაურკვევლობებით მთვრალი ჩვენით მთვრალი სიტყვებით მთვრალი ჩრდილით მთვრალი ყველაფრით მთვრალი წასვლით მთვრალი ყოლით მთვრალი უადგილობით მთვრალი დგომით მთვრალი ჰაერში მთვრალი ბზარებში მთვრალი მარტოობით მთვრალი სიმშვიდით მთვრალი წერით მთვრალი ცოდნით მთვრალი ხდომით მთვრალი აწმყოთი მთვრალი წამით მთვრალი უბრალოდ მთვრალი ოცნებებით მთვრალი წიგნებით მთვრალი თეთრი ფურცლით მთვრალი

## სიტყვა სიტყვაზე

სიტყვა კრიზისში სიტყვა კისკისებს სიტყვა მოწყენა სიტყვა ხასიათ-დება სიტყვა ყვირილი სიტყვა იძაბება სიტყვა ითქმის სიტყვა იცნობა სიტყვები ციფრული სიტყვები იდენტური სიტყვა მიმიკა სიტყვა გაქცევა სიტყვა გარბის სიტყვა წყალქვეშა სიტყვა დევნილი სიტყვა საზღვარი სიტყვა კედელი სიტყვა დანგრევა სიტყვა უსასრულო სიტყვა უადგილო სიტყვები ეჭიდებიან სიტყვები იზრდებიან სიტყვები აწარმოებენ სიტყვები თავისუფლდებიან სიტყვები განფენილან და წინ წასვლაზე უარს ამბობენ სიტყვები გარდაიქმნებიან ქმნადობად ყველა სიტყვა ერთდროულად იქცევა ქმნადობად და ვედავთ სიტყვებს როცა სიტყვები გვაკლია სიტყვების ნაკლებობა სიტყვების არარსებობა არარსებული სიტყვები და არსებული ჩვენ დავიწყებას მიცემული სიტყვების არსებული გროვის წინ ჩაოვნა დაკარგული თითქოს სიტყვები დაგვცინოდნენ წვიმს სიტყვების წვიმა სხვა სიტყვებზე მსგავს სიტყვებზე განსხვავებულ სიტყვებზე ჰაერში სიტყვის დაჭერა ცურვისას სატყუარას დაჭერა. იცი, სად მიდიან სიტყვები?

## შეყვარებულად ლექსი

საათების განმავლობაში, ნუ დამამალავ, მათ მიღმა კი, რამდენიც გინდა.
აქ ვარსკვლავების მწკრივია, მათი აწარეკლი ყურეებში, ტყეების სინაზე.
სად მიდიხარ, ასე, ბეტონის კედლებს რომ მიუყვები?
გასხლტომა დამზღვევის, თვალის ჩაკვრა სიცარიელეს.

გზების გასწვრივ, ლიმონისფერი-ყვითელი ყვავილები,
დერეფნები ზღარბებისთვის.
გუშინდელ დღემდე, ეს დიდი გრიგალი.

იმღერე სიმღერა, ჩემო ბავშვო!
ლეროსავით მსუბუქი, ასე იქნება,
არა, რა თქმა უნდა, ეს სულ სხვანაირადაა.

ეს ისე ახლოა და სხვაგანაა ერთდროულად, ოცნებები
გარბიან, ოჩი, ყველგან,
ნამდვილი არეულობა, ჩვენ ყველანი ვიყავით,
აერორა.

სისხამ დილით, იმედი, ქაოსის მიუხედავად.
დღე დღეს მიჰყვება, მსოფლიო
ნუთუ ზედმეტად ვიწრო გახდა იმედისთვის?

აგრძელებენ, ამაზონზე, ზღვაზე ნავთობის მიუხედავად,
ჩიტი, ზღვა აღარ, თევზები, ზღვა აღარ.
ფსკერზე, ნიჟარები, საზღვაო ცხოვრება.
ცეცხლი უდება წყლებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმოიბნევა ხელახლა
დამსხვრეული ხეები
ეკოსისტემები.

ჩვენი ყვირილი დაბლობში,
ნარწყევი, თითო-თითოდ.

დარჩა მხოლოდ სიტყვები,
ნახლეჩი და ნაცვეთი,
ყველაფრის მიუხედავად, შორს ჰორიზონტი.

ჩვენი გულმოდგინე მზერა, არა,
კვლავ ვიმყორებდეთ ბედნიერება
ციდან ცვივა ყოველთვის ცვივა
ღრუბლებიდან ღრიალის გავლით
                                        მიყვარხარ

### ქალაქ აფრინს

კიდევ ერთი ქალაქი
ბომბებქვეშ
კიდევ ერთი ბავშვი
ტანკის პირისპირ
კიდევ ერთი ქალი
სამხედრო ავიაციის ქვეშ
კიდევ ერთი კაცი
კატასტროფის წინაშე

კიდევ ერთი ლექსი
ომის წინააღმდეგ
კიდევ ერთი ყვირილი
უსამართლობის წინააღმდეგ
ისევ ჩვენი სიტყვები
ომის წინააღმდეგ
ისევ გაუთავებლად

ეს კითხვა
ვინ იგდებს ხელში, ვინ აწარმოებს
                                        ვლავ და კვლავ
მასობრივი განადგურების იარაღს

### ნატურმორტი

სიტყვები მაგიდაზე, გარეთ
ზამთრის ღამე,
წყვილი ხელთათმანი, საფერფლე
ნატურმორტი შუაღამემდე ოდნავ ადრე

საბეჭდი მანქანა
მომავალი დღე,
რამდენიმე დამჭკნარი ვარდი
ბავშვს სძინავს.

საზღვრები და მავთულხლართები
ლტოლვილთა ბანაკები
ზღვა, დამხრჩვალები.

რადიოს ხმის აწევა,
ქალაქური გარემო, მაშინ

როცა სხეულები, ადამიანები,
ქვეყნები ყველგან
ელი და ხელახლა ლი ნანგრევებად
ბელი ნებელი
ასაშენებელი

სიტყვები
გზაა, რომელზეც
წინ მივიწევთ

### გრაფიტი

თავისუფალი მოლეკულები.
ნელიწადის დროები. ბეტონი.
გრაფიტი.
შარდის სუნი.

მალყიძარა, ბავშვები,
ბატონი, ქალბატონი,
ხურდა, ფულის მთვლელი
მანქანები.

დაბრუნება, სახლი,
გარეთ, შიგნით,
უბრალოდ
სიცარიელის შევსება.

შევსვათ, შევსვათ.
სიყვარული ზედმეტად მშვენიერია
იმისთვის, რომ არ შევჩერდეთ
წამით.

* * *

პარკის გადაკვეთა.
თანხვედრა.

ჩვენ ხეებს შორის,
პირისპირ მთები.

ზამთრის იდეა,
ძროხები
წინ მდელოზე.

სიჩქარეს ვუმატებ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიტყვები
მაკავებენ.

ბოდიში
დაგვიანებისთვის.

* * *

ბარაჩო და
გამჭვირვალე
ტილო,
უსაფრთხოება.

ჯართის გროვა
ძველთაძველი
კედლის წინ.

დერეფნები, ფერები,
ზღუდე,
კუპრი.

ჩვენი გუშინდელი კვალი,
გამქრალი
ნვიმაში.

* * *

ჩაძირვა სიბნელეში
ქუთუთოებს მიღმა

ხედვა მიმართული
სამხრეთით
Like the wind

მზერა არ იფარება
მწვანე ხავსით.

აზრი კვეთს
ატმოსფეროს
ფანჯარა დარჩა ღია
ნვიმაში

## გემო

ნუთუ
მართლა
შეიცვალა მას
შემდეგ იგი ვერას
დროს იტყვი
დარწმუნებით
ხვალ
კვლავ სხვანაირად
იქ

ნება
ყველაფერი

* * *

ასფალტი
ინარჩუნებს
სიტყვების მხურვალებას
რომელზეც
წინ მივიწევთ

* * *

არის ერთი პატარა დეტალი
რომელიც არ უნდა დაგვავიწყდეს
ესაა
პროფესიული რისკი

* * *

გარეთ ქარმა შეჭამა
დრომ შეჭამა სიცოცხლე
რომელიც ბეწვზე ეკიდა

## ALL EINS

ხაზი
lines
all eins
alles
alone
all one
eins one
einwand
wann wand
one more wall objection
dagegen mit worten
ახლა სიტყვები ისევ
another one
another line, aligner
ნერილები
კედლებზე
words for ტრანს
ფორმაცია
together dann
verstreut სიტყვები
გამრავლებული, არა უმეტეს
alone allein, ხაზები
dazwischen
die sehnsucht dann

*ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ჩაბრაძემ*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 2 პოეზია

## სოფიკო კვანტალიანი

### ელეგია ბანალურ თემაზე

მარადიულ ვარცხნილობით
მზე ამოვიდა.
ყოველ მკვდარს უჩხვლეტს ახალი სხივით,
თითოეული ბალახის ღეროს ის ექაჩება,
მისი დავალებით
ბუნება გვასწავლის სიკვდილს,
როდესაც ვხედავ
ზაფხულგამოელილ საზამთროს
დაჩუტულ მუცლით...
ასეა, იგი ყველგან შედის,
ყველა კარს აღებს,
საკლიტურის უკბილო პირში
უყრის გასაღებს,
მაგრამ ვერცერთი კარის საჭვრეტი – არწივის თვალი
მას ვერ ხედავს,
რადგან ის ჩვენ ვართ,
იგი ჩვენშია, როგორც ჩრდილი,
გამოჩრილი ჩვენივე თავიდან,
და კარგად იცის –
ადამიანად ყოფნის ზღვარი მოზომილია,
როგორც სიერცე,
ჰორიზონტის ძაფით ამონაკერი!

### რეკვიემი სიყვარულს

მე ვნახე დრო,
რომელიც თავისი ღონიერი ყბებით
რკინას ღეჭავდა,
დიდრონ ქვებს პაწაწინა კენჭებად მარცვლავდა
და ზღვას უყრიდა პირში.
მე მინახავს დროის დიდებული ტერფი,
საფლავების ამობურცულ მუცლებს
სწრაფად რომ ტკეპნიდა.
ის უძველეს წყაროსთან მისულა
და გადაუჭრია წყლის უწყვეტი ზორტი.
მე იგი ვნახე –
მილიონობით წლის წინანდელი ქარვიდან იმზირებოდა;
სიყვარულის საბანს ჩრჩილივით ჭამდა
და საბანშივე იცურცლებოდა...
მე ვნახე იგი –
თხილის ნაჭუჭში უნახვრეტოდ შესული.

### რომანტიკული ნევროზი – I

ნუთუ დასტურ სიყვარული იყო ის,
თუ წარმავალი აჩუჩუნება?
რადგან ის მზე ზღვაში ჩავიდა
და ზედაპირზე სისხლის კვალი დატოვა.
ტყეც აღარ არის,
მხოლოდ მისი მარინადი

მოგონების სითხეში დაცურავს.
მეგონა, ჩაის ფინჯნები ინახაედა
ჩვენს ხმებს, სახეებს,
ჭიქურის ნაზი შუბლის ქვეშ
ფაიფურის დაშაქრულ ტვინს ახსოვდა
სიყვარულის ახსნა,
ოქროთი მოხატულ ვარდებს კი –

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი შეხება...
მაგრამ ვხედავ,
აბოლებულან ყვავილები,
დროს ულოკია
ფინჯანთა სადაფის ნერწყვი და სიყვარული...
ფსკერზე კი ყრია
დარჩენილი უსახური ექსკრემენტები,
საიდანაც ზოგან მოუნელებელი
ოქრო ბზინავს.

## რომანტიკული ნევროზი – II

*„უწყალო სიყვარულო და სხვ."*
***ალ. ჭავჭავაძე***

ო, არა!
ეს სიყვარული არ ჰგავს ჩვეულებრივს:
სუნთქვის აჩქროლებას
ნაზი ხრესვისას უბეში ვარდის,
არც კვნესა-კრუტუნს
გახვითქინებულ ძუძუთა ქლემით.
იგი ნორჩია, ღვთაებრივი და უმიზეზო,
როგორც ახლადგამონასკვული
ლობიოს პარკი –
უგულო და უბენვო,
ანდა ჭიმწუხრის მკერდში აწურული აინათლე,
სანამ ხაჭოდ ჩაწვება.
გაგიფრთხილდები გრძნობავ ძვირფასო,
როგორც ის ქალი მეზობლისა,
რომელიც ქოთნის იას ისე უვლიდა,
რომ ყვავილმა ქონი მოიდო.
მსურს ვიპოვო ქვეყნად წიაღი,
სადაც ჩემს გრძნობას
შევანივთებ მარადიულად.
ხომ ამბობენ, რომ არსებობს
ხალასი ოქრო – უცვეთელი ანუ უხრწნელი?
მინდა მჯეროდეს ამ ბრწყინვალე იდეის
და არ ვიცოდე დარწმუნებით,
რომ მის სხეულშიც სიკვდილია გარდაუვალი,
რადგან საუკუნოვანი სიზანტით დის
სითხე კეთილშობილი –
ოქროვანი, ბრჭყვიალა ლიმფა.

## რომანტიკული ნევროზი – III

სიყვარულის ბაღის ჩეროში ვინც შეისვენა,
უთუოდ ნახა,
რომ ვარდის ბაღი სკინტლით აივსო,
ბულბულის ნაკრტენს შეემატა ყვავის და სხვათა.
მე კი, ჩემი სურვილის ორმოდან
წარმოსახვით ბაღა ვაშენებ
და ვგრძნობ,
რომ მისი თოთო ჩანასახი
ოცნების ბრჭყვიალა ლორწოში
იბერება და იკვირტება,
თავის წილ ცას ივითარებს
და ციდან გაღწევის შესაძლებლობას.
აქ ყოველი მცენარე ჩემგან ამოიზრდება,
მხოლოდ ვარდები უნდა ჩავინერგო გოლეთანიდან
შენი სისხლით ნათესავები...
მაგრამ ვიგებ,
რომ ბაღის ადგილს მალე აწომაქრიან,
რადგან ქალაქის მერის ბრძანებით
აქ გაიყვანენ ავტოსტრადას...
გადმორგვამდე კი,
ათასობით ცხენის ძალამ
წარმოსახვაშივე გადასრისა ნაზი ვარდები
და ჩემს ლექსებში
ვარდისფერი სისხლის კვალი დატოვა!

## შთაბეჭდილება კარავაჯოს „ბახუსის" ნახვისას

ჯერ კიდევ ახალგაზრდაა
კარავაჯოს ბახუსი – ღმერთი,
იგი ვნებით ხელს მიჭერს ძუძუზე
და ლპობაშეპარულ მსხალზე მითითებს.
სიკვდილი ხილის კალათაში
ყურძნის თვალებით იყურება
მაშინ, როცა ჩვენს ბაღჩაში
საზამთრო მშობიარობს
და გააჩენს ზოლიან პატარას.
სანამ ყიფლიბანდი გაუმაგრდება
აქ სიცოცხლე სხვადასხვა ხილში იბურცება,
მწიფე ბანანის ყვითელი ასო კი,
ჩემს წარმოსახვას ანაყოფიერებს.

## ეპიფანია

ქორწილის დღე სქელ ბინდშია,
მზის ოქროვანი არეოლა უკვე მკრთალად ჩანს...
ნაძიერად იელვებს
ჩემი ქმრის ჰალსტუხის
ზოლიანი ენა
ან ანანასის სადღესასწაულო ვარცხნილობა
საქორწინო სუფრიდან;
სტუმართა შორის
ბერეტიანი თავი მეგობრის,
რომელიც ახლა მიწაშია...
ხელსახოცის ჩიტები ფრენენ მალიმალ

კანას გალილეას ქორწილში,
სადაც დრო ჩერდება,
როგორც მარწყვი ჟელეში.
ამ ტკბილ დესერტში ღმერთს ვხედავ
და ისე თავგანწირვით ვეჭიდები
სიყვარულის პოვნის უკანასკნელ იმედს,
როგორც ბეჭდის ძვირფას ქვას
ოქროს ბრჭყალები,
სამუდამოდ ჩაფრენილნი.

* * *

აი, ფუტკრები –
მათი პაწაწინა ტვინები ოქროსფრად ანათებენ
და მოფრინავენ მზზინვარე გუნდად,
აელვარებენ პანია ნესტრებს
და მოაქნევენ ერთ ციცქნა ხორთუმებს,
რომლითაც ისინი ყვავილებს ქკუიდან შლიან,
უმოწყალოდ აპობენ გაუშლელ კვირტებს,
სისხლთან ერთად სწოვენ შაქრიან ნექტარს.
აი, ფუტკრები –
მათ ამოცვილეს ჩემი სახლი;
ამ მზის შუქით მოზელილი სილიკონით
ამოქოლეს ჭუჭრუტანები
და დავრჩი მარტო,
სახლში ნარჩენი მზის სხივები
მოყვითალო ძაფებად იქცნენ.
კარი ღიაა,
მაგრამ ნიშნის მოგებით
რკინის ენას მიყოფს საკეტი.

**ნარსული**

აღარ არის  სახლი,
სადაც კედელზე ეკიდა ნაქარგი,
უკანა მხარეს სისხლის ლაქა რომ ჰქონდა
ყვავილებს შორის ცოცხლად ჩანემსილ პეტუნიასი.
მხოლოდ სიზმარში ჩნდება იგი...
სიზმრის ცილას ცხადივით გამოეყოფა
ჩვენი ეზოს იასამნის ბუჩქიც,
რომელიც გრძელი ფესვით ჩაფრენია
დროის მიერ მინაში ჩატანილ
რეზინის თოჯინას
აბურდულ, სინთეტიკურ თმებში.
ჩემი გონებაც
ერთ მეტრ სიღრმეშია
და ხანგრძლივი წვიმების მერე
ცდილობს წარმოიდგინოს
ცისარტყელას ჩანასახი უნაოჭო ცაზე.

**ლექსი ოპტიმისტური დასასრულით**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ იის თვალში
ნამი ბრწყინავს, როგორც ცრემლი,
და მიუხედავად მისი სუსტი მხედველობისა,
მაინც მხედავს, რომ მარტო ვარ
და ჩავლილ დღეთა მზზინავ კვალს
ცხოვრების კოჭზე ძაფად ვართავ.
მერე კი ვნვები,
საწოლის ხის ზურგით ვეყრდნობი კედელს,
რომელსაც საათის გული
გარეთ გამოვარდნია
და დროის სასტიკ გულისცემას მასმენინებს,
მაგრამ მალე
ვულკანური მთის ძილი მოდის,
მას ისეთი მაღალი ტემპერატურა აქვს,
რომ ყოველი დილა, რომელიც სიზმარში გათენებულა,
კვერცხივით მოხარშულა.
ახლა კი,
ნიავის უხილავმა ხელმა გადასწია ფარდა
და დილის სიცილი
ვამლის კანივით პოლირებულმა მაგიდამ აირეკლა.

**ბოლო მატარებლით**

ეს ლიანდაგი
პრეისტორიული ცხოველის ჩონჩხია
თუ რკინის გვირისტით
ამოკერილი მიწის მუცელი?
ცის ნაოჭიდან უხილავი თითის დაჭერით
სავსე მთვარე ცურდება
და მატარებელი გვირაბში შედის.
მგზავრებს შორის კი,
ღმერთს ვხედავ
მაშინ, როდესაც მის სახეზე
თანაბარი ინტერვალით
სინათლის ხვლიკი გადარბის.

**რეკვიემი ზღაპრულ სიყვარულზე**

ღმერთო, თითი შეახე ღამეს,
საიდანაც მიმზერენ ტურა-მგლები,
მშივრები და სულგაკმენდილები
მსოფლიო ხალხთა ზღაპრებიდან.
აქ ყველა სიუჟეტური სადენი
სამუდამოდ განყვეტილია;
დღე, რომელიც დაღამდა –
აღარ გათენებულა,
ცისკრის ჩაუცმელი პერანგი
მოვარდისფრო  ნათებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის ძირში ჩაქრა დიდი ხანია,
მხოლოდ მთვარე –
ცის ლიად დარჩენილი თვალის გუგა,
დროის იქით დაცურავს
და ხედავს –
შეყვარებულ ქალწულებს,
რომელთაც დაბერებული ატლასის კაბებიდან
ამაოების ფოჩები მოუჩანთ,
მათი რაინდები
ზღაპრის იქითა მხარეს გადასულან
და ოჯახებს მოჰკიდებიან,
თავიანთი სახლების საკვამურებიდან კი
ფიქრისფერი ბოლი ამოდის,
როგორც მინიშნება ზღაპრულ სიყვარულზე.

## კოლექტიური სიზმარი

ჩემი დღე –
ათასობით კუბური მეტრი
ბრჭყვიალა ცხადი,
საღამოსკენ პატარავდება და
უსახური რძის კანივით ეტყეპება სადმე.
ღამე მოდის გოლიათური,
ძილში ამოჰყავს ენების ყვავილი,
რომელიც თითის შეუხებლად იშლება
და ელავს!
ამ ბასრი დანით გადამიჭრა ამაღამ ძილი,
ელექტრონისფერი სითხე მოჟონავს იქიდან
და გამოვრბივარ ქუჩაში, სადაც
სამი ღამე ერთად ბნელდება,
ცენტრალური ქუჩის კუთხეში კი,
უზარმაზარ დისპლეიზე,
პორნოფილმი გადის...
ქალაქიც თავის თხევადკრისტალურ გონებაში
მოლივლივე, აკვიატებულ სიზმარს ხედავს.

## ცა ომის შემდეგ

ეს იყო მოულოდნელი ინფარქტი –
ნათურაში სინათლის ძაფი გაწყდა,
სიბნელეში დავრჩით და
ტკივილიც უფრო გამძაფრდა,
რადგან ჩამოჭრილ მთას
ჯერ არ შეუკრავს პირი
და ჭრილობიდან ლურჯი ხორცი უჩანს;
საზღვარს მიღმა დარჩენილი ზღვა
ღამღამობით ჩვენთან იპარება
თავისი მოქალაქეობაშეცვლილი
წყლის ბინადრებიანი მუცლით;
ცის იმ ნაწილში,
რომელიც გიგანტური მაკრატლით მოგვაჭრეს,
ვარსკვლავები გახმნენ,
ანუ კოსმოსურ ფუფხად იქცნენ.
უცნობი ტურისტის ფოტოზე ვხედავ:
სოხუმის სანაპიროზე ისევ ისე ზის
ოდესღაც ჩემი ხნის
ლითონის გოგონა-ქანდაკება –
ვერგადასული პუბერტატის ასაკში...
ცა იქ ისეთი მგრძნობიარეა,
რომ თვითმფრინავის განასერზე
სისხლი მოჟონავს.

## უკვდავება

*Verweile doch! Du bist so schön! Goethe*

ფოტოგრაფია როგორ ჰგავს სიკვდილს!
ობიექტივის უნამწამო თვალი
კადრს რომ ალბეჭდავს,
წამს სამუდამოდ მოაჩარჩოებს
და როგორც სიკვდილი,
მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.
ვის შეუძლია მდინარის გაჩერება
ანდა სიყვარულის უეცარ ელდის შემდეგ
მომთენთავი შეგრძნების დაცვა,
თუ არა ფოტოს?!
აი, ჩემი წინაპრები
ფოტოსურათის უკვდავების კამერაში არიან,
მარადიულ აწმყოს წვენში ჩაწობილები
და აზრადაც არ მოსდით, რომ რახანია
მინის საკბეჩად გაიმეტეს მათი სხეული...
არადა,
შეხე, ისინი –
ბედნიერად მღიმარი მკვდრები,
ფოტოგრაფის დამიზნებით
ცოცხლად მოკლულნი,
სასურათე ბედნიერ წამის
უსასრულოდ გამწელავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირინა ტაბაღუა

## ქაოსი

მანგრევს ეს ხმადაბალი ღამეები,
ვერ ავსულვარ ქუსლის კაკუნით ორი სართულიც კი,
არადა, ეს თქვენი ლიფტი ერთი ღრმა საფლავია!
სადარბაზოს კართან მწოლიარე მეძუძური პოინტერი,
თავისივე ოთხი ლეკვით ხომ გულს მიქანებს.
ვინ დახატავს ამ ნაზოლარა ლეკვის მუცლის კანკალს,
ჩალისფერი ყურიდან მის რძისფერ შუბლზე მოსეირნე ჭიანჭველას
ან ცივ საფეხურზე ჩემს ფეხისწვერებს?!
არც საყვარელი კაცი ჩანს,
ხელში აგიტაცოს და შეგიტყუოს ხმამაღალ ოთახში,
სადაც შენივე ბგერის თვისება და ხმის ჟღერადობა
განსხვავებული იქნება მსხვერპლისაგან.

ასეთი დაბოღმილი ალბათ წინა ცხოვრებაში თუ ვიყავი.
აი, ამ ქოშებსაც სიამოვნებით ჩავყრიდი ურნაში,
მაგრამ ჰონორარით შევიძინე და
ყველა ლექსს მახსენებს,
რომელშიც ტერფი ვახსენე
ან მუხლის შიდა სიღრმეები.
ისევ ცარიელი მუცლით ვარ,
არც დაუგეგმავი ნაყოფი ჩამიჯდა ტანში,
მაგრამ მოვასწარი და უკვე კარგა ხნის გაზრდილ შვილებს, ძილის წინ,
მემილიონეჯერ გამოვუტყდი სიყვარულში.
რა აღარ მოვიფიქრე, ბოღმიდან რომ გავსულიყავი.
ო, ეს საწოლი და მასში უაზროდ წრიალი ხომ
სრული ჭაობია,
ზეწარს პირღია ფერადი ნიანგები ახატია,
უსულო ნიანგები, და ასე, შეუჭმელი რჩები.
ახლა მხოლოდ წერა თუ მიხსნის,
არ დავეძებ არც სარკაზმს,
არც გრამატიკული წესების დაცვას.
იმ იმედით ვრჩები,
რომ ბოლოს საჭმლის ნარჩენებივით მივუყრი
ჩემს რედაქტორს,
ისე, რომ ასეთ ქაოსურ ნაწერებში არც კი მოესურვოს რაიმეს შეცვლა.

ხმაალმატებულმაც მიაგინო ამ ხმადაბალი კარის არქიტექტორს!
თუნდაც კისერიც გაგიმეშდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ფუჟერი

თქვენ ჩემს პოეზიას წუნს ვერ უპოვით,
ვერც – კბილთა წყობას,
ვერც – სითბოს ცვლას სასურველ კაცთან,
ვერც – ძუძუებს შორის საცალფეხო ბილიკს,
სადღაც, ნავმისადგომზე რომ გაჰყავხართ.

ძელშავს, რომლის შესმასაც ახლა ვაპირებ,
ბებიის ნამზითევარ ჩეხურ როკოკოს ფუჟერში ვასხამ.
ამ ფუჟერს ათასი სადღეგრძელო შემოუნახავს,
რაც კი წლების მანძილზე თქმულა
ბებიას სწორ ქალობაზე.

ირგვლივ: მტვრიანი ბრა და მასში შეჭრილი მწერის ბანცალი;
გრაფინში მდგარი, მოყვითალო, სამკურნალო წყალი –
ოდნავ წომჟავო, ჩემი ტუჩივით, –
გეოლოგების მიერ საუკუნის წინ აღმოჩენილი,
და ვინ იცის, რამდენი ციროზის განმკურნებელი.

გინახავთ, ეკალს რომ წვის დროს ქაფი გამოსდის?!
ვუსმენ, როგორ შიშინებს და თითქოს
ჰყვება ჩემზე,
თუ რამდენი გამოკვლევა ჩავიტარე ერთგულების.
ვამტკიცებ, ცეცხლში სულ ორი ფერია:
წელნისფერი ერწყმის მწურვალე მზისფერს,
როგორც ხელები წელსა და ბოქვენს,

და ვიწრო თვალებს აცოფებთ ღამე,
ასე გრძელი და ასე ხანმოკლე.

## წრედი

ყველაფერს მივეცი საშუალება, დამმართნოდა,
სადაც კი ცხლად შეიკრა წრედი.

თქვენი არ ვიცი,
მაგრამ ჩემთან სულ სხვანაირად იხსნება ძარღვების ხლართი,
ნანვიმარ ასფალტზე მოთქარუნე ფლოქვებივით ხტიან.

არასდროს გაწელილა ასე თებერვალი,
წინ კი იმხელა ნნევიანი მარტია...
ფურისულებით სავსე ტყე მაინც იყოს ახლოს.

ეს ორჯერ დასამტკვერი ბრონწეული
და მის ფერხთით მწოლიარე კანალიზაციის ჭა...
სულ სხვანაირი საწზერია ჭაში ჩამავალი წვიმები.

თვალებს მაინც თავისი გააქვთ,
რა უნდა შენიშნო ახლა ფართე მხრებზე უკეთესი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიძლება, დახარბებულმა მიირთვა თოხლო კვერცხი,
ესეც ხომ კაცი არაა.

სისულელეა, სახე ჩამოიხოკო იმის გამო,
რომ შენში მხოლოდ ლამაზ ქალს ხედავენ და არა პოეტს.

დადგა დრო, გიამბოთ ჩემს ნებისყოფაზე,
როცა ვერ შევძელი,
ძალით მეკეთებინა ის, რასაც თქვენ „თმენას“ ეძახით.
როგორ შეგიძლიათ, ბედისწერა აატყუაოთ (?) მართოთ,
საქარე მინას მწერის შენარცხებაც კი არ აარიდოთ,
არც პირჯვარი გადაიწეროთ გზის პირას მდგარ ჯვრებთან,
და მაინც ჩათვალოთ, რომ სწორად იარეთ?!

თუ ყოველ ღამით ველური დასავლეთი მესიზმრება
და ვჯირითობ გაუხედნავი ფაშატით,
თუ თვეში ერთხელ შევდივარ და გავდივარ საყვარელი კაციდან...
სიბრიყვეა მაინც ქორწინება,
როცა ასე უფრო ვითოკები,
როცა ასე უფრო მეტად გამძლე ვარ.

რა მოვიმოქმედო ამ მდინარეებზე ჩქარი?!
როგორ მოვუბოდიშო, რა ვუთხრა შვილებს
მათ მამაზე,
რომელთანაც კარგა ხანია არ ვიყოფ სარეცელს?!
რაზე ვესაუბრო უცხო ღმერთსა და სანთლებს?!

რაზე ვესაუბრო თავს?!

## ნაბიჯები

თქვენ შეგიძლიათ, დასხდეთ და
ბრინჯივით, იოლად გაარჩიოთ ჩემი ნაბიჯები,
რომლის დათვლა ვერც გზამ,
ვერც კიბემ,
და ვერც თვალმა შეძლო,
რადგან მე სწრაფად მივდივარ,
ავდივარ, ჩამოვდივარ და ისევ მივდივარ,
მაგრამ ვერა და ვერ მოვდივარ თქვენამდე.
მოგიყვეთ, რას და როგორ ვამავებ?
მოყოლას წერით თუ შევძლებ.

იცით, რომ მიცვალებულზე მეტად სიყვარულის მეშინია,
მოულოდნელად გაეარდნილ ტყვის ჰგავს სიყვარული,
ჩემს ტანში უმტკივნეულოდ შეუძლია შემოსვლა,
შემოსვლამდე ფეხსაც კი გაიწმენდს.
თუ შეეცდება გულის არმოლზობას და
თავიდანვე მის განყალებას,
შემიძლია, წამოვდგე
და კაბის კალთაში ნაგროვები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზესუმზირის ქერქივით
ჩამოვიფერთხო.

ქუჩის მეორე მხარეს მანქანის მუხრუჭის ხმა თუ
თქვენთვის გაურკვეველ საუბრებს ფარავს,
საჩვენებელ თითს თუ მიქნევს შავპალტოიანი ქერა ბიჭი
და ხედავთ, თუ როგორ მემუქრება,
მე კი თეთრი მუჭებით ვისრეს წყლიან თვალებს,
მეათასეჯერ ვუმტკიცებ ერთგულებას და
ქარისგან აწეწილი ჩემი თმის ხვეულები შველას ითხოვენ, არ მომეშველოთ,
უბრალოდ, დასხედით და,
ბრინჯივით, ადვილად გაარჩიეთ ჩემი ნაბიჯები.

მე დღეს მამა გავაბრაზე.
ზუსტად იმ სახლში ვეღარ დავბრუნდი,
რომელშიც ფეხი ავიდგი და გარეთ გასვლა და თქვენთან დაპირისპირება ვისწავლე.

მე დღეს, ლამის, ოცდაათი წლის ოჯახი დავანგრიე,
არადა, არაფერი დამიშავებია
გარდა იმისა,
რომ თვალებით მივესალმე ჩემთვის უცხო და უნიჭო კაცს,
რომელმაც ცოლს კიდევ ერთხელ შეახსენა,
რომ მოძველდა და თავს უნდა მიხედოს.
ვხედავდი, ქალმა როგორ სიმწრით მოკაკვა
ალაგ-ალაგ ლაქშერჩენილი ნაშრომი თითები და
გაბღენძილ, პირდაფჩენილ ქმარს პირუტყვივით წინ გაუძღვა.

მე დღეს დედაც ავატირე,
ძალიან განიცდის ჩემს ძილგატეხილ ღამეებს,
ჰგონია, ისევ ვმკურნალობ,
მე კი ყველა მის მოწოდებულ აბს,
მის თვალწინვე, ენის ქვეშ ვმალავ და
არ ვყლაპავ.
მაინც ვათენებ, არ ვუსმენ დედას,
მე უნდა ვწერო.

განა თქვენი ბრალია, მე რომ პოეტად დავიბადე?!

წერით უფრო შემიძლია მოგიყვეთ ჩემზე ყოველი ცუდი.
კარგს მხოლოდ შვილებს მოვუყვები,
თქვენ შეგიძლიათ, უბრალოდ,
დასხდეთ და,
ბრინჯივით, იოლად გაარჩიოთ ჩემი ნაბიჯები.

## ჩხართვი

თებერვალი ხომ ჩავაძაღლე,
ახლა მარტსაც მოვუგრეხ კისერს,
აპრილსაც გავაჩერებ,
ჩემს დარგულ კლემატისსაც მოვუბოდიშებ,
მაისში უნდა აეყარა ტანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავსაც მოვიკლავ,
შენთვის თუ არა,
ჩემთვის ხომ დასრულდება ეს რაღაც,
ეს რაღაც კი არც არაფერია,
მუცლის ძღომა და ომია მხოლოდ.

მიკვირს: რატომ ვწერ, ვისთვის ვწერ?!
ვალივითაა ეს წერა,
არადა, არც გისესხებია.

როგორ გაუფასურდა ჩვენი სიკვდილიც,
ბუფეტში შემორჩენილი ხორცის ღვეზელის ფასი აქვს.

კენკრადაც ველარ მოხვალ აქ.
სხვა თუ არაფერი,
იმ ჩხართვს მაინც მოვიმადლიერებდი,
ყოველ განთიადს რომ გაჰკივის
და ღმერთივით ჩამომძახის:

– შინ დარჩი, გადარჩებიო.
აბა, მე გადარჩენილს რამე მიგავს?

## მზე იყო ქართლში

მახსოვს, უკანასკნელად რომ გავბედე და
ისევ მევიპარე ლოლნაშოს ბაღში,
მძინარე მევველეს ხიდან ქვები დავუშინე
და პირუტყვივით ვიცოხნებოდი ახალშობილ ნაყოფს,
ნანნავში ტოტი გამეხლართა,
ფეხიც დამიცურდა და დავეცი უწნო აყალოზე,
მომიახლოვდა კაცი
და ფრთხილად მკითხა, ხომ არაფერი დაიზიანე,
კაბაც შემისწორა და გაუდგა გზას.
ჩემს თავქარიან საქციელზე ვინ აგებდა პასუხს?!
ხის ტოტზე შერჩენილი ცალი ბოტი,
თუ ის მზის სხივი,
რომელმაც თვალი მომჭრა
და მნიფე ხილივით დამანარცხა მიწაზე?!

მაგრამ, სადაც სიკეთე გხვდება, სიკეთევე გაგაქვს, ასეა ეს!

საოცრად მეტყველი დუმილი ჰქონია სიკეთეს,
კაკლის ორ ცალ ნებალოზეც მინდა გიამბოთ,
რომელიც, ზემო ნიქოზში,
დათია ბადალაშვილმა ჯერ გამირჩია,
შემდეგ კი კაფანდარა თითებით მიწილადა:
– ეს ერთი ნებალო პროზისა იყოს,
მეორე კი – პოეზიის, მიირთვი, შეგვერგოსო.

მწყემსი მეგონა დათია, თურმე მესაფლავეც ყოფილა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მესაფლავე მეგონა დათია, თურმე მნერალიც ყოფილა;

მწერალი მეგონა დათია, თურმე კეთილიც ყოფილა.

ალბათ მეველეც არის, არ ვიცი.

ასე ვიარე იმ დღეს სიკეთენაჭამმა,
გულში კი მაინც შევაგინე გამხმარ შინდზე მჯდარ ყვავს,
რომელიც საზღვარზე მდგარ,
კეთილძალლ ჯარისკაცს ჩხავილით რაღაცას ანიშნებდა.

ო, ღმერთო, ეს დედათა წესი!
პირჯვარსაც ვერ გადაიწერ ქალი ამ დროს,
გაჰყურებ ოციოდე მეტრიდან, სახეშეშლილი,
ტაძარს და მუჭებს სიმწრით იკბენ,
მაგრამ რა გინდა ღმერთს შესთხოვო ასეთ დროს,
როცა განაჩენი გამოტანილი აქვს მიწას
და ღმერთმაც ხელი ჩაიქნია.

მზე იყო ქართლში, მაგრამ ბნელოდა,
გზა იყო მოკლე, დარდი კი – გრძელი.
მცხელოდა კანზე, მაგრამ მციოდა კანქვეშ,
ვეცადე ღრმად ჩამესუნთქა
ცვირ-პირთან მომდგარი ჰაერი,
ცრემლიც, ტკივილიც, არნასვლაც ერთდროულად მომანვა,
ყვირილიც – ერთდროულად,
სიჩუმეც – ერთდროულად,
ხელით შუბლი მოვიჩრდილე
და გაყოფილ ცას ბოლოჯერ ავხედე.

## შემინდეთ

მნოლიარე ვარ სოფლად, მაღალი ტემპერატურით,
გაზაფხულია, კვირაა, ჩაძაღლდა თებერვალი.
ხის კოჭზე დაკიდებულ,
აქოთებულ მაჟიკს ვუმზერ,
თიკნის უნდა იყოს, შეიძლება ვცდები და ხბოსია.

ეს რადიოც რა უშნო ყუთია,
გადავაგდებ, რას გაიგებს ბებიაჩემი, კარგა ხნის მკვდარია.
არადა, ისეთი ჭუჭყიანია, არადა ისე მენანება...

რატომ ეშინია ამ ღამეს დღისა,
როგორც უტვინო ქალს – ქმრის დაკარგვის?!

რომელს გაგიკვირდათ იმ დღეს ჩემი კოცნაობა?!
ბრიყვებო, კოცნა ხომ სასარგებლოა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ შევჭამ ოთხშაბათს და პარასკევს ბჟიტებს,
არც სამ ფიალაზე მეტს შევსვამ,
არც თვალს დავალევინებ წყალს,
აზრი?!

ცხედავ, ჩემსავით როგორ იბნევა რძე.
ოთხი ძროხის ნაწველ ყველის გუნდას ათამაშებს ხელში შინაბერა მამიდაჩემი,
მე კი ვუმტკიცებ მას,
რომ კიდევ სამჯერ თუ არა,
კიდევ ერთხელ მაინც შევძლებ გათხოვებას.
მწვდა ქეჩოში და შემომყვირის:

– ვაცა, სკან მახალი გოხარცქილი!
და სათლით ხელში გავარდა კარში.
ვიღიმი და მეფიქრება:
ნეტავ მარტის ჰოროსკოპში რა მელის,
ისევ შარვლიანზე ფიქრი?!

დამიჯერეთ, ეს ლექსი მამიდაჩემზე უწყინარია,
თქვენზე უწყინარიცაა.

## ეს დღე

ეს დღე რომ ასე სრულდებოდეს:
ვერ შევილო თავის კონტროლი

(თავია ბოლო-ბოლო, ხე ხომ არ არი, მოვჭრა,
ცეცხლს მივცე და ზედ მუხლები მივაფიცხო):

ჩემზე მონატრებულ კაცს მივაშტერდე,
კედარს როგორ მიაშარდავს,
მისი შარვლის ელვაშესაკრავს
ჩემსავით დარჩეს პირი დაფჩენილი,
მთელ ქალაქს თავმომწონედ შემოურბინოს.

მსუბუქი დისტანციით ჩავუარო,
ვერც მზერა ამომიტუმბონ,
და ასე შემეყინოს დღის სათქმელი მისთვის.

ქალი ვარ, მოთმინება მშართებს.
გავექცე და სიზმარში მივწერო წერილი ღამის 03:50-ზე...
ჩვენი გარყვნილება მაღალმა ბალახმა დამალა.
ანი რა მოგვცელავს.

## თინათინ ხუტურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დედის ზარდახშა

ზამთრისპირის დილის სისხამზე,
სკოლისაკენ სანამ ბილიკს გავუყვებოდი,
შევიკრავდი დრაფის პალტოს ღილებს ბოლომდე,
კაშნეს ვიხვევდი, – ვამოწმებდი ჩემს თავს სარკეში
ძველებური „სერვანტისა" –
იქვე იდგა ნაცრისფერი, მომცრო ზარდახშა
ალაგ-ალაგ ჟამთასვლისგან გაცრეცილი, გაყვითლებული,
ეტეოდა შიგნით მხოლოდ დედაჩემის ორი ტუჩსაცხი,
მბზინვარენი წითელ-ალისფრად.
თუკი თავსაფარს წამოვხდიდი, ჩავიხედავდი,
ირის-ფერები მეხვეოდა ირგვლივ სარტყელად, –
თითქოს ცაში აკიაფდა ყველა ვარსკვლავი,
უცებ აანთეს სასახლეში ყველა ჭაღის ყველა ნათურა,
მუსიკის და ცეკვის ჰანგები ასკდებოდა დარბაზის კედლებს,
შრიალებდნენ აბრეშუმის მრუმე კაბები,
შიშველ მხრებზე ვნების მწველი ორთქლი ბოლავდა,
წკრიალებდნენ ბაგეწვრილი, ფეხმაღალი, თლილი ჭიქები
და გაისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ მრუმე ბურუსში
გამჭვირვალე, მთრთოლვარე ხმები,
რომელთაც ექო აბრუნებდა, ატრიალებდა: მოდი... მიყვარხარ...
ისევ ვიცეკვოთ... შეგეხებით, თუ შეიძლება...
და როგორც ბროლის სპეტაკ პირზე
ტყდება სინათლის სულ ყველაზე მახვილი სხივი
და ათას სვეტად, ნაწილაკად, მარცვლად იბნევა –
ასე ცვიოდა, მაცვიოდა
დარბაზის ვნების შადრევანის ტკბილი წვეთები...

დროა, წავიდეთ! – დახურავდა დედაჩემი მტკიცედ ზარდახშას –
გავუყვებოდით ზამთრისსუსხით ფერდაკარგულ,
გველის ზურგივით სლიპინა და დაკლაკნილ ბილიკს,
ვერ მითბობდა პატარა და გათოშილ ხელებს,
დრაფის პალტოს ღრმა და ცივი ჯიბის ჭრილები...

წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ თუ წაისვამდა
მბზინვარე ტუჩსაცხს დედაჩემი,
ისიც სულ ოდნავ, ოდნავ ფერმკრთალად, –
თითქოს ყველა ვნების ბილიკს აცამტვერებდა,
ამსხვრევდა, გლეჯდა, ბროლისა და აბრეშუმის ფერად ყვავილებს,
მე კი მაინც,
ზამთრისსუსხის სულ ყველაზე შორეული, ბნელი კუთხიდან,
ისევ მესმოდა მობარბაცე, მთრთოლვარე ხმები:
მოდი...
მიყვარხარ...
ისევ ვიცეკვოთ...
შეგეხებით, თუ შეიძლება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

არა, არ მიყვარს  გაზაფხული, ვერც ზაფხულების
ტკბილ-მწარე გემო შევიგრძენი – დღემდე ყელში მაქვს
ნემსივით რაღაც და სხეულსაც ვიწრო ზოლებად
მიჰყვება სისხლის ყვავილები, როგორც ლიანდაგს
ძველს, მივიწყებულს ყველასაგან, სადაც ნახირი
ნელი ნაბიჯით გადაივლის ზანტად ხანდახან,
გასძოვს და იქვე, გულის ბნელი, მყრალი გუბიდან
მოსვამს მღვრიე წყალს და პატრონიც გამოირეკავს,
თან უდარდელად ნამოუსტვენს გრძელი სახრეთი,
ეჭვის თვალით, მხნედ და თამამად...
არა, არ მიყვარს გაზაფხული – ვიცი, რომ მალე
ზაფხულიც გავა, ზამთრის მოკლე, მძიმე დღეები
გაიწელება უსასრულოდ, მაგრამ ჯობია,
რომ ღამეების სქელ ნისლებში ვხატო ფერებით
ქვები და ყინვის მდინარეში შევცურდე უხმოდ
და უხმოდ, ფრთხილად ირეკლავდეს წყალი ტირიფის
ჩამოქნილ ტოტებს, ნელი რწევით უჩუმრად ავყვე
ჩემივე ნავით, სველი ზურგით, სველი ხელებით...
ასე ჯობია, – მისერავდეს სახეს ყინვების
ბლაგვი ნაპირი, ალესილი, შორს კი ხეების
ოდნავამოჩრილ კენწეროებს ნისლის ტბორებში
ირმის ბღავილმა შეურხიოს ხმელი წვერები.
ასე ჯობია, ასე უფრო ფერმკრთალდებიან
სხეულზე სისხლის ყვავილები, ლიანდაგებიც,
რომელსაც ახლა უკვე ფარავს ხშირი ბალახი,
ხავსი და ჟანგი მოეკიდა და ველარავინ
ველარ შეამჩნევს, დაინახავს, გვეცოდინება
მე და დანარჩენს, რამდენიმეს, – საკმარისია
ესეც და ვიცი, რომ ჩატყდება ყინვის მდინარის
სქელი ყინული, ნისლის ტბორებს უმალ დააშრობს
უცებდამდგარი გაზაფხულის ლბილი სხივები...
უნდა მივაბა ჩემი ნავი მდინარის პირას
ლამში ამოჩრილ, უგერგილოდ გათლილ მისაბმელს,
კიჩოს კიდეზე ჩამოვაწყო სველი ნიჩბები,
ნელი ნაბიჯით მინდა ავყვე გზისკენ ასასვლელ
ვიწრო ბილიკებს, მერე უკვე სახლის აივნის
მსუბუქ მოაჯირს მივაფინო სველი სამოსი
და გავაგრძელო იქვე მიყრილ ქვების გროვადან
არჩევა მათში უკეთესის, – ვხატო დილამდის
პეიზაჟები, – როგორ ჩანდა ყინვის მდინარის
ფსკერზე, თევზები ზანტი მზერით, მაღლა ნოემბრის
ცივი ტყეები, უსასრულოდ გაფენილ ნისლებს
ობივით აჩნდა აქა-იქა მუქი ჩრდილები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

არ ვიცი, რა ვთქვა, ან სიტყვები როგორ დავწერო,
დღეები მიდის, – მიცურავენ ცაში ღრუბლები,
როგორც სურვილის ნაფლეთები, – ბავშვობის განცდა.
მივყვები აღმა წყლის დინებას და სხეულით ვგრძნობ,
რომ სადღაც ახლოს, კალმახების ქარავანს მიღმა
უნდა გამოჩნდეს თხელი ფონი – ქვები, ლოდები,
ორი ნაკვალევი, და მშვიდობით გავალ ნაპირზე
(მაშინ ხომ ვწერდი – სიტყვები რომ დაგეშილი მყავს,
თვალებში – მზერა, ყურში – სმენა – კარგად გაწვრთნილი),
მაგრამ ხანდახან, როგორც ყინვა წამში დააზრობს
ხეების კვირტებს, ქარიშხალი – ლოდებს გამოღრღნის –
ნაპირიც არ ჩანს და სიტყვებსაც მდინარე იტრევს,
გაისმის მხოლოდ – ღმერთი, – როგორც შორისდებული.

* * *

დილა. სისხამი. ფოტოგრაფი. მაისურის ლურჯი ხაზები.
ცა. თვითმფრინავის. ბასრი ფრთებით. არის დასერილი.
ყვავილის მტვერი. ვარსკვლავები – კიბის. აივნის –
მაღლიდან მოჩანს. ნამცეცები – ჩვენი ამბები.
კიბის ხვეული. ხვეულის ქვეშ. ლეკვი. ძაღლები.
ლეკვის წკმუტუნი. ძაღლის ყეფა. მტვერი. ბავშვები.
(ყასაბის ცოლი. ლურჯი კაბით. შავი კანჭებით.
დგას და გაჰყურებს. ამღვრეული. შავი თვალებით.
ზეცას. დასერილს. თვითმფრინავის წყიფე ხაზებით.)
ზემოდან გზები. მდინარეთა სქელი ხაზები.
ჩვენი სხეულის. კონტურები. სისხლი. ძარღვები.
დღეები. წლები. საათები. წუთი. წამები.
დილის სიხამში. მოჩანს ყველა. ყველაფერი. მკვეთრი ხაზებით.
გადაღმა მთების კონტურებიც. პირბასრ მახვილებს.
აელვარებენ. ანათებენ. ანაწილებენ.
ყველასთვის ფერებს. მოგონებებს. ამბებს. ზანძილებს.
მთების იქით კი. ელვა აპობს. ცის კაბადონებს.
სისხამი დილის. სიჩუმეში. სიმყუდროვეში.
დასერავს ზეცას. თვითმფრინავი. ბასრი ხაზებით.
ყვავილის მტვერიც. ფოტოგრაფიც. მტვერში ბავშვებიც.
გადაღმა სოფლის წისქვილები. მინდვრის. ბაღების.
სურნელი. ფერი. სიკაშკაშე. მხურვალე ღამის.
ყველა. ფერი ჩანს. ყველა წუთი. საათი. წამი.
მოსჩანს მაღლიდან. დედამიწა – ნამცეცი. წამის.
გადღაბნილ ფერებს. ვიღაცა შლის. და ვიღაც გარბის.
მე ვდგავარ. დილის სიჩუმეში. სიმყუდროვეში.
ვუყური ნამცეცებს. მშიერ ჩიტებს. ძაღლები ყეფენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

როცა სიტყვები მწევრებივით კარგად დავგეშე,
თვალებში მზერა, ყურში – სმენა კარგად გავწვრთენი,
თოფი, რომელსაც ყოველ დილით სათუთად ვწმენდდი,
ფიქრით დავტენე, ნამცეცები გამოვკეტე
საპირისწამლეს შემოღუნულ, ვერცხლისფერ ყუთში,
შევბრუნდი სახლში, შემოვიცვი მონადირის მკაცრი სამოსი,
მხარზე გავიდე ყველაფრისთვის მზადმყოფი თოფი
და ტყისკენ მავალ ბილიკების მრუმე ზიგზაგებს,
ჩემს ჩრდილთან ერთად აღმა შევყევი.
ხან შეიძლება ჩამოტბორდეს ისე ნისლები –
ლამის უკუნში თვალთან თითსაც რომ ვერ მიიტან,
მაგრამ ტყვია მაინც კვეთავს, ფატრავს სამიზნეს,
ხან შეიძლება ანასხლეტი უკან დაბრუნდეს,
დავეცე პირქვე მკერდშელეწილი,
დავეცე ნისლის გულამღვრეულ, მყიფე გუბეში
და მერე კი,
ვერავინაც ვერ ჩასწვდება,
ვერავინაც ვერ ჩაიელის,
ჩემი ქრილობის თვალუწვდენელ, საშიშ უფსკრულებს...
ან შეიძლება ფიქრის ტყვიას გაუსწროს სიტყვამ, –
ქრელმა მწევარმა აიტაცოს პირით სამიზნე,
ნანადირევი მოიტანოს, დამიგდოს ფეხთან
და ნარბენი იქვე წამოწვეს...
ძლიერ ჩამოწვა სქელი ნისლი ნოემბრის ტყეში,
თითქმის გულამდე ჩაჰყვა მიწას, ხეების ფესვებს,
რაც უფრო მეტად შევუყვები ულრანების უსიერ ტევრებს,
მით მეტ ნატყვიარს ვითვლი სხეულზე.
ვითვლი ვერცხლისფერ ყუთის ფსკერზე ოდნავშერჩენილ
უკანასკნელი ტყვიის ნამცეცებს,
ქრელი მწევარიც შეერია მთების ფერდობებს,
გაუჩინარდა და ვფიქრობ, რომ დაიგვიანებს...

თოფის ხმაზე ვარსკვლავები ისე კრთებიან,
როგორც ძილში გულუბრყვილო, თეთრი კრავები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინი ელიაშვილი

## უკანასკნელი სინანულის სიმღერა

1.
ჩემი ოთახი. შენი სუნი. ცივი ქალაქი.
და ოცნებები, რა თქმა უნდა, უფრო მარტივი,
ვიდრე ცხოვრება. დრო ყველაფერს მაინც ალაგებს,
გვინდა თუ არა. მეც გავქვავდი, რა ამატირებს.

იქნებ, შენამდე არც ვყოფილვარ, სწორედ ამიტომ
აღარ გამომდის უშენობა, ყველგან შენა ხარ.
დღეს ასე სუსტს და ასე დაღლილს თუკი ამიტან,
იმედები თუ გაგიცრუო, აღარ მენახო!

ვისწავლი კიდეც, როგორ მსურდე აუჩქარებლად,
გავხდები კიდეც, შენ რომ გინდა, სწორედ ისეთი,
რომ ვეღარასდროს ვერ წამრეკონ ვეღარც ქარებმა
და აღარც თავი არ შეგძულდეს შენდობისათვის.

შენ - ის მერცხალი თეთრი გულით, ჩემში რომ ცხოვრობს,
ჩემში რომ იწყებს გაზაფხულს და ჩემში ზამთრდება...
ბევრი ვიფიქრე ლექსებზე და მხოლოდ და მხოლოდ
შენს გასათბობად შემიძლია ცეცხლის დანთება

ყველა ნატანჯი სტრიქონით. შენც იქნებ იმიტომ
მოდიხარ ჩემთან - სიცივისთვის არ გემეტები
და ვიღაც გიყვარს უფრო შიგნით... უფრო შიგნიდან...
გთხოვ, ცოტა ხანს ნუ დაიღლები სენტიმენტებით.

2.
გახსოვს, სიბნელე, სიბნელეში ზოგჯერ გაბმულად
რომ ვქვითინებდი, შენ უსიტყვოდ ცრემლებს მიშრობდი?
ამ ჯოჯოხეთში, ღმერთო ჩემო, რამ დაგაბრუნა!
იქნებ, ეს მხოლოდ დედებს ძალგიძთ, როგორც ღვთიშობელს

ბევრჯერ გინახავს ჩემი ჯვარცმა, ჩემი ხელითვე
რომ ვიჭედებდი საკუთარ თავს რაღაც უმიზნო
იდეებისთვის. მიყვარხარ და ისევ ვერ ვითმენ.
სხვები ამბობდნენ, ცოტა ხანში გადაუვლისო...

3.
გახსოვს, სიბნელე, სიბნელეში შენს მუცელზე რომ
ვწერდი „მიყვარხარ" და მორკალულ მთვარეს ვხატავდი?
იქნებ საჩემო სიხარული სადმე ეწეროს,
სულ რომ იყო და არასოდეს რომ არ გათავდე.

სხვა გზა არა მაქვს, ამ ერთი გზის უნდა მჯეროდეს,
სულ რომ უარმყო, შეეფარო სულ სხვა ქალაქებს.

დღეს შეიძლება ძალა არ მაქვს შესაჩერებლად,
გინდა თუ არა, დრო ყველაფერს მაინც ალაგებს.

4.

გახსოვს, სიბნელე? და სიბნელის გარდა ახლა რომ
იმ წარსულიდან ვეღარაფერს ვეღარ გაიხსენებ.
და მზად ვარ, შენ წინ თავი ისე დაბლა დავხარო,
არც დასარჩენი არ მქონდეს და არც წასასვლელი.

ყველა ეჭვის და შიშის გამო შენს „მიყვარხარ"-ზე,
როგორც არასდროს, რადგან ახლა ვიცი, გიყვარვარ,
სიტყვა არ მითხრა სიყვარულზე. სანამ სახავსე
იმედით ვცხოვრობ. ოღონდ ჩემთან... ჩემთან იყავი.

* * *

მე კი იქ ვდგავარ, სადაც ღმერთი აღარ კარნახობს
გზას. გზებიც ახლა უცნაურად დანისლულია.
მე ჩემს ღიმილზე ამოვდივარ, როგორც ბალახი
და სულ მარტივი გულწრფელობა ისე მწყურია,
რომ ღუმელს ვანთებ და ვაცხელებ წინა დღის კერძებს
და სოფლის სუნი, გაკვირტული ნუში, ტყემალი,
ჩათვალე: მოვკვდი და მკვდარი კი აღარსად გეძებ
და უშენობას მაინც ვერსად ვერ დავემალე.
არც პოეზია, არც დედის ხმა, არც ძმის ძახილი.
დღეს ყველაფერი სულერთია, როგორც მონეტა
ასროლის მერე. ასე შორი, ასე დაღლილი,
ვიცი, რაიმე სასიკეთოს ვეღარ მოვიტან.
და მაინც გიცდით მე და ჩემი ერთი ძმაკაცი,
ვდგავართ ვაგზალზე. მიწას ვუმზერ, თუმცა ცა მიყვარს.
ასე მგონია, ვინმე მოვა და ხელს დამტაცებს,
სადმე ბედნიერ ცხოვრებაში ძალით წამიყვანს.

* * *

ნელ-ნელა შორდება განგაში ჩემს ოთახს
და თითქოს ელევა სურნელი ლავანდას
კვლავ შიშით ვუყურებ ჩაკეტილ ჩემოდანს
ჯერ ისევ ავად ვარ ძალიან ავად ვარ
ჯერ კიდევ რაღაცის ოდნავ თუ მჯეროდა
დღეს ღიმილს სიხარულს თავი რომ გავართვა
მთელ სხეულს დავიხმარ და რაღაც ციმციმებს
ჭერზე სულ ოდნავ და ლამის და წერტილად
შენ ფრთხილად იყავი მე ახლა ვიძინებ
სიზმარში მითხარი რამე თუ გეტკინა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ზღვისკენ გაიხედა დანანებით
ქალმა გადმოჰყარა დალალები
ჩვენ კი ქალებისთვის არ გვეცალა
ჩვენ ხომ მუხიანში მივდიოდით
როგორც მშვენიერი გარეწარი
მშვიდად ვიღიმოდი სიდიადეს

ჩვენ კი ქარებისთვის არ გვეცალა
გულში ჩუმად სევდას ვღიღინებდით

* * *

როცა შენი თავი აღარ გეყოფა
როცა ყვავილები აღარ გეყოფა
როცა შენი წარმატებული ცხოვრება აღარ გეყოფა
როცა ვეღარსად დაეტევი
გაგახსენდები მე
ჩემი მისამართი კი ყოველთვის იგივე იქნება
ყოველ ჯერზე შეგიძლია მოხვიდე და არ მაპატიო

* * *

იმ ადამიანებს ვუყურებ
სულ აქ რომ უნდა იცხოვრონ
ერთ ადგილზე
ერთ სახლში და მეზობლებსაც არასოდეს გამოიცვლიან
თითქოს რაღაცაში მაჯობეს
თითქოს ჩემზე უკეთ შეძლეს ღმერთის სიყვარული
ჩემი ხედები ხომ სულ იცვლება
ზოგი მათგანიც კი ჩემთვის ახლა აკრძალულია
არც მარკეტები არც სკვერები
არც ყვითელ ავტობუსში გახსენებული ლოცვა
არაფერს მიცვლის
ახლა მარტო იმ დროზე ვფიქრობ
როცა აქ ცხოვრება შემეძლო
რა ბედნიერი ვიყავი თურმე

* * *

კუბოთი ძმაო ჩვენი სახლი აქ აღარ მოვლენ
ჩვენი ლამაზი შეყვარებულები
მეგობრებიც იშვიათად გამოივლიან
აქ როგორც შენ თქვი ღმერთიც არ იჭერს
აქ ყველაფერი მოსაწყენია
მხოლოდ
ღვინის ბოთლები და წამლის ფლაკონები
მხოლოდ ჩვენი საერთო ქურთუკები
მხოლოდ ჩვენი ლექსები და
გადასახადები იმისათვის
რაც არ გვიცხოვრია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეთი გზირიშვილი

## თოვლი

ჩვენ გვეცინებოდა,
როცა სახელმძღვანელოებში ძველ ხალხზე ვკითხულობდით,
როგორ ატარებდნენ რიტუალებს,
სწირავდნენ მსხვერპლს ცაზე გადარბენილ ღმერთებს.
მსხვერპლი ხან ყველაზე ლამაზი ქალწული იყო,
ხან საკუთარი ჩვილი –
მეტი ერთგულების საჩვენებლად;
იკრიბებოდნენ ადამიანები,
ცეკვავდნენ, მღეროდნენ,
გამოჰქონდათ ყველაზე კარგი საკვები,
აჩვენებდნენ ცას,
რომელიც რამდენადაც შორი იყო,
იმდენად ღრმაც,
რომ მასში ყველა სასწაული საიმედოდ შემალულიყო,
ყველას ეპოვა ბინა.
არავინ იცის, თხოვნა იყო ისე ხმამაღალი,
რომ სასწაულს რბილი ქვეშაგებიდან ფეხის გადმოდგმას აიძულებდა,
თუ სხვა რამ დამთხვევა,
მაგრამ ისიც ვიცით, რომ სურვილები უსრულდებოდათ:
წვიმაც მოდიოდა, ბარაქაც, მშვიდობაც.
ამ დილით,
როცა ახალი წლის ათვლა დავიწყეთ
და სასწაულის მოლოდინი იშვიათად ადგას ნაცრისფერ ქალაქს,
არ მეცინება გადახრუკულ მინდორში შეკრებილ ხალხზე,
ხელები რომ ცისკენ აუწევდიათ
და წვიმის წვეთებს ითხოვენ მარცვლის გასაცოცხლებლად.
იქნებ სიყვარულსაც სწირავენ,
იქნებ ტანჯვაზეც მადლობას იხდიან –
მხოლოდ მას ესმის, რა იხარშება უსასოო თავში,
ენაც გამოსცადა:
როგორ ბინდდება მიწასთან ახლოს ყველა საგანი
და თვალი მხოლოდ შორსღა თუ ხედავს,
შორს კი ცა მოჩანს.
მინდა, მოვიდეს თოვლი.
არ ვიცი, რა სურს ღმერთს,
რომელიც ფიფქებს ამზადებს.
უბრალოდ, ვდგავარ მინდორში მარტო
და მინდა, მოვიდეს თოვლი.
სხვა ვერ მოვკალი,
ჩემს თავს მოვიკლავ,
თუ ღმერთი ამის დასანახად წამოდგება და
კალთაში მოგროვილი ფიფქები ჩამოუცვივდება.

## SIGN ALL

სხვა პლანეტებზე, რომლებსაც ვეძებთ,
ქრისტე ჩავიდა?
იქნებ ჩვენ მერე ჩავიდა, იქნებ,
ჩვენამდე იყო სადმე,
ცხრა ცაში
ცხრაჯერ წყლის მიმწოდებელი.
იქ რა გზით ევნო,
რა გზით იქცა ზმანებად,
რომელიც მუდამ ენატრებათ და
ელოცებიან, როცა რამ უჭირთ,
მარტოობა ჰკლავთ,
ან დარწმუნებით ამბობენ უმეცობრონი:
– ქრისტე ჩემი მეგობარია!
იქ ჰქვიათ მისი სახელი?
ხატია კედლებზე?
ან იქნებ ნარინჯ ზღვებზე გადადის,
ხოლო ხელიდან მტვერი უცვივა,
როგორც თევზები?
მოგზაურია,
არ არსებობს მისთვის წრფივი გზა,
რომელზეც ქრიან უდაბნოები,
დადის აქლემი,
საათი მოტაატე.
ის სულ მძინარეა,
მე სულმძინარე ვარ,
ჩვენ ვეძებთ ერთმანეთს
ტალღებზე შემსხდრები
და ყოველ ჯერზე,
ყოველ გადატვირთულ დღეში,
იკვეთება ჩვენი საერთო
ინიციალი.
ღამის კარებთან ჩამოვიარე,
ვცადე, შემელო
და ვერ შევძელი,
ვიწექი, როგორც გვამი, ჯერ თბილი,
ხელები მეწყო წელის გასწვრივ და
ვწერდი ამ სიტყვებს –
ცარიელ წერილს
ერთი იმედით:
რომ ყველა ტალღას მოსდევს სხვა ტალღა
და უსასრულო სიმრგვალეებში,
სადაც ის თავის სახელს ასწავლის,
ჩემი სიტყვებიც გაკრთება შუქად,
რომ მოახედოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცუდი სიზმრისგან თავის დაღწევა

ისინი გარშემო დგანან, ნიჩბები უჭირავთ და
ცეკვავენ მიწის სიმღერას.

ერთი იხსენებს პირველ ზაფრას და გაშეშებას
და სხვები, როგორც დომინოს ქვები –
იხრებიან ვიდრე მიწამდე.
ერთი იხსენებს ინსომნიას ყურებში დღლგმით,
სხვები ხელებით ყურებს ფარავენ
და ხმებს კირავენ.
ერთი სიცივეს ნეკნებთან იჭერს, მიათრევს კარში,
სხვები წრეს კრავენ,
რომ არ გასხლტეს ძილის იარაღ.
ერთი მიუყურებს და ნიჩაბს იქნევს,
მუჭას ხანის, თესლი
სხვების თესლს უნდა შეურიოს კვალის პირამდე.
თესენ ჩემს სიზმარს მიწაში,
როგორც უმძრახ წყაროში,
რომ ამოიკვსოს ნერგით ორმო, ამოშრიალდეს
კარგ მნიშვნელობად, სასარგებლო ჩრდილის სახელით,
რომელიც იქით გადაიხრება,
საითაც წყდება ჩემი დაცემა.

## ხორცი

დღეს ვიწექი,
ვეხებოდი კანს ჩემს მკლავზე
ისე, როგორც ხორცის ნაჭერს,
რომელსაც პერიოდულად ვყიდულობ სადილისთვის
და სანამ აწონიან,
ხელით ვცდილობ მის სიკარგეში დარწმუნებას.
და დღეს,
როცა ვეხებოდი ხორცს ჩემს მკლავზე,
ვაწვებოდი მას ფრთხილად და ვაკვირდებოდი,
რამდენად სწრაფად იბრუნებდა საწყის ფორმას,
როგორ ინარჩუნებდა ზეწოლისგან მიღებულ
ვარდისფერს რამდენიმე წამი,
როგორი ხილბილე ჰქონდა და როგორი სინაზე –
თითის ბალიშებისთვის შესაგრძნობი
და ნერვული დაბოლოებებისთვის ინფორმაციის გადამცემი,
ვიფიქრე ჭიაზე,
რომელიც შესაძლოა,
აბრეშუმის ჭიის სიმსუბუქით დაივლის ამ კანს,
მაგრამ სივარდისფრეს, სილბილეს და სინაზეს
ვერ დაუბრუნებს ხორცი,
რომლის სურვილითაც იქნება სავსე.
ამას მხოლოდ მე ვგრძნობ და შენ,
თუკი სიზმრებს ჯერაც ხედავ.

## ყვავილები მოკვდნენ

ყვავილების გენეტიკურ მეხსიერებაში
სიცილი საშიშროებაა –
შესაძლო ბოლო ხმა,
რომელიც შეხებამდე ესმით.
ჩვენ კი ვერასდროს ვიგებთ:
– მე, ასეთი ლამაზი,
დამასვენე შენს თმაზე,
იმ სიყვარულის სუნს ჩაგინწავ,
რომელიც სიცოცხლესთან მქონდა.

## ფინალი

რუსთაველზე ვაეირბობდი,
როგორც ყოველ შუადღეს, –
მზით ვითბობდი შუბლს.
და როცა წინა, ქარიანი დღის მონაგარს
ფეხი წავკარი და დავხედე,
წითელმა ლაქებმა წაშალეს ფოთლები.
ცოტა ხანს უფიქროდ ვაბიჯებდი,
მერე მათ გასწვრივ გავაგრძელე სვლა.
უკვე ინტერესით ვუყურებდი მოკლე ზიგზაგებს,
ხუთიწამიან პაუზებს,
მომეტებული წვეთები რომ გათქვამდა.
გზა გრძელი გამოდგა,
თვალი დაიძაბა,
მოლოდინიც.
სხვა მიზანი აღარ მქონდა,
თითქოს მის საძებნად გამოვედი ქუჩაში –
მდევარი.
შევარდენის ქვეშ ის შეჩერდა,
ადგილზე იწრიალა თუ დაეცა,
გაშალა წითელი ხალიჩა და დარჩა.
მეც ვიწრიალე და ბოლოს,
უკან გამოვყევი ბილიკს.
ყველა ამბავი ასე მთავრდება:
გავრბივართ დაჭრილები,
სანამ დავეცემით.
მერე ან დასახმარებლად მოვლენ,
ან დასამარხად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნატა ვარადა

### ნაძვისხის სათამაშოების ქურდობა სოფლის მაღაზიაში

*Намасте. Я сейчас в Катманду.*
*Жду индийскую визу и уезжаю отсюда нафиг.*
**Oleg Gavrin**

Boom.. Boom…
იცი, რა, ეს, მართალია, არაფერ შუაშია,
მაგრამ მაინც, ალბათ,
თუ ერთმანეთს გავიცნობდით რეალში,
პირველად ამ ამბავს მოგიყვებოდი:
10-11 წლისა, დასთან და ბიძაშვილ გოგოებთან ერთად,
გასართობად, დროის გასაყვანად,
სოფლის უნივერმაღში,
სათამაშოების განყოფილებაში რომ მივდიოდი.
სულ ორი რიგი იყო,
აყვებოდი და ჩამოყვებოდი,
თან მდინარის გაღმა ჩვენი ლამაზი სახლი მოჩანდა,
პაპაჩემის სუნით გაჟღენთილი.
ბევრს არაფერს, მაგრამ ფული რადგან თითქმის არ გვქონდა,
ნაძვისხის სათამაშოებს, ფერად გირჩებს ვიპარავდით,
ზოგჯერ სიჩქარისას გვიცვივდებოდა,
მაგრამ, რატომღაც, მოლარეს, პაპაჩემის გარე ბიძაშვილს,
არასოდეს დაუნახავს ჩვენი ქურდობა.
და ეს ამბავი, საყოველთაოდ ცნობილმა, მე – მუნჯმა –
დიახ, მე – ავარჩიე შენთვის,
როცა ჩამოვიდოდი ჰიმალაებისა და შამანების ქალაქში,
როცა ნეპალელ ცოცხალ ღმერთს,
10 წლის გოგონას – კუმარს – ვესტუმრებოდით,
და მისი სახლის ეზოში დავდგებოდით,
სანამ ფანჯრიდან გამოგვხედავდა,
სანამ შემოგვხედავდა,
მე ეს ამბავი ავარჩიე შენთვის მოსაყოლად,
დრო რომ გაგვეყვანა.
კუმარსაც, ალბათ აქვს თავისი ისტორიები,
და როდესაც ციკლი წამოუვა, თავის ამბებს მოუყვება
ვინმე ქართველ ოლეგ ფოტოგრაფს.
თუმცა ფიზიკურად ვერასოდეს ველარ შევხვდებით,
ბაბა ოლეგ, მაგრამ ვიცი,
ყოველთვის მომისმენ,
მაშინაც კი, როცა ამ ლექსის ხმამაღლა წაკითხვას მთხოვენ
რომელიმე საზოგადოებრივ რადიოში,
ყოველთვის გამიღიმებ და მეც ის ამბავი გამახსენდება,
აქ, თბილისში, მაგთიმ რომ აურია და მომწერე:
მხოლოდ შენ ხარ ახლა მწვანედ,
ყველა ნაცნობი სადღაც დაიკარგა, რა ხდებაო მაქეთ,
სად წავიდაო ყველა?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– Намасте, я сейчас в Катманду.
Жду индийскую визу и уезжаю отсюда нафиг Oleg Gavrin
პოდა,
როცა ყველა ნაცნობი დაიკარგა,
როცა შენ ჩიტებმა ფრთები მოგიტანეს,
როცა ინდოეთსა და ტიბეტს გადააფრინდი,
ახლა მე მოგწერ:
რა ხდება, ბაბა ოლეგ, მაქეთ?!
ხო ხარ მაგრად?! შეხვედრამდე.
Boom... Boom...

## ციკლოპის შიში

მზის ჩასვლისას გადამფრენ ფრინველთა გუნდებს
თვალს ვერ ვუსწორებ, მათი მოსვლა
გადამტანი ვირუსის გავრცელების შიშია –
არადა, ახლა კარზე მომდგარ სიყვარულს ზურგი ვაქციე,
დამნაშავის თვალებით მიწას ჩავჩერებივარ.
როგორი იქნებოდა ის გათენება და მზის ამოსვლა,
ერთმანეთისთვის თითების შეხებით რომ დაიწყებოდა?!
ზღვისსუნიან კაცს ჰაერში შევიგრძნობდი,
ჩემი ფილტვები დასკდებოდა უდაბნოს შლამით,
თუმცა კი მეყვარებოდა მთვარის ბიჭი,
გალეული ცისფერი მზერით.
ახლა კი მე ვარ ციკლოპი, ერთი თვალით,
სამშობლოს სიყვარულისთვის რომ გამომთხარეს ფორმიანებ-
მა,
როცა ძმებთან ქუჩაში მდგარი ვუყურებდი
მხრებზე ვარსკვლავიან ჯალათ მეზობლებს.
ახლა კი მე ვარ ციკლოპი გოგო, ცალი თვალით
და მეზღვაურები ხომალდებს ჩვენს ქალაქში არ აჩერებენ.
ესეც შიშია მოხეტიალე მოგზაურების,
არ გადააწყდნენ ალიწებიას, რომელიც ყოველ გაზაფხულზე
კარს მომდგარ სიყვარულს ზურგს უჩვენებს
და უდაბნოს ქარიშხლების ქვიშით ფილტვები უსკდება.

## ეშმაკთან თანაცხოვრების თაფლი

კეთროვანად  რომ გამომაცხადეს,
მარტოობის ბუნაგში მკითხეს:
– არაფერია, ვინაც ახსოვხარ?
და გონებასუსტი ბიჭი იდგა ჰორიზონტზე, თავჩაქინდრული.
მხოლოდ ესაა? – ჩაიცინეს და გამერიდნენ.
მე გამახსენდა ჩემი პურისფერი შეყვარებული,
ბაღის კიდეზე რომ გაცოცხლდა და
ცვილისფერი სახე აუთამაშდა,
და მე კი მომკლა,
კატასავით ცხრა სიცოცხლით გაჩენილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამეჩის ტყავით შევიმოსე –
სამსახურის ბილიკი შენი სახლისას შეუერთდა,
აღარც კი ვიცი, რა მიყვარდეს,
ყრუანტელმა ძელამდე გამხრა,
დილაობით კამეჩის ტყავი მაქვს გადაკრული,
მოვდივარ ლაფში ამოთხვრილი,
შენი ქერისფერი თმა მზეზე ოქროსავით ლაპლაპებს.
გაგარინის კუთხეში ახალი ზღვაა –
მე ვარ აფრიკელი მეკობრე,
მარტორქის გაუმაძღრობით.
როგორი ვნების სურნელია, როგორი უარმყოფელი,
ქუჩაზე ქალის გასვენებას დაეესწრები,
თითქოს საკუთარ დასაფლავებაზე ვყოფილიყავი.
ასეა, ჩემი დაუნინდავი ქმარი ადამიანშესხმული სატანაა,
მისი ნაყოფი მიგლეჯს საშვილოსნოს და ვმახინჯდები,
აფთიაქის ვიტრინიდან კი, სადაც სააღდგომო ფასდაკლებებია,
ვერგანხორციელებული ჯოჯოხეთისკენ
დამცინავად მიყურებს შუახნის ქალი –
როგორ მეცნობა.

## ხმელეთის ცხოველის კოდექსი

*და თქუა ღმერთმა: ვქმნეთ კაცი (შესქ.1,26)*

ზღვით მოდის ომი, ზღვის ტალღებით, რა კარგად გვახსოვს.
ზღვა დაიმარხავს ჯარისკაცებს თვალგახელილებს, გულდაფლეთილებს.
ზღვა დაფარავს სამკუთხა ბარათების სიყვითლეს.
და დედებიც მარილიან ცრემლს შეურევენ ამღვრეულ ტალღებს.
და მამები დაისიზმრებენ თავფარავნელ ჭაბუკებს.
ზღვით მოდის ომი, ზღვით და ღელვით, რომ ქვემეხების ხმა არ გაისმას,
რომ ტყვიების წვიმა იყოს შხაპუნა.
ჩვენ კი შვილები მუცლებზე და ზურგზე დავიკრათ,
და დედამიწას დავუზავდეთ, ჩავწვეთ სანგრებში.
ყველა ზღვის ღმერთი ერთ დღეს დაიფლას,
ყველა ყურშას სიბერისგან დაავიწყდეს ღვიძლის გალოკვა.
აღარ გამთელდეს ჭრილობები, ყორნებისგან გამოფლეთილი,
და სახმელეთო საზღვრები წაშალოს წყალმა.
მე და შენ მაშინ შევქმნათ კაცი, ხატად ჩვენისა
და კაცმა გვშობოს, კაცმა გვითხრას, ნუ ეძიებთო
რამეს ნამდვილ სიყვარულისას.
მოვიდეს ტყეში, გაზაფხულის პირას კორომებს
თვალი დაადგას და ისე გაქრეს,
თითქოს ჯვარცმიდან გამოეპარა ორ ავაზაკს,
გული დაგვწყვიტოს მისმა გაქრობამ, გაქარებამ, მისმა არყოფნამ.
მოვიდეს წვიმა, ყვავებისა, შროშანებისა,
მოვიდეს და შენც გადაგფაროს.
შევქმნათ კაცი – სიცილივით გაისმას გზებზე.
და დაიმალოს, მალოს სხეული, ნამდვილი და
ატომური ბომბის მსგავსი სიყვარულივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიმიტრი წიკლაური

## სალოსები და ვირუსები

1.

ქალაქში, სადაც ხდება ხეების გადაბელვა,
სადაც არ ხდება  ხოლმე, იმას სჯობია ბევრად.
ერთმანეთს მიებმება ამბორები და ვნება,
ზეცას გაკაწრავს ხოხლი, ვარსკვლავების ბრებს – ელვა,
სივრცეს რომ ავსებს ფერფლით, ცერის რომ მიჰგავს ბრჭყალებს,
განწირულია მსხვერპლი, ცრემლები უბრჭყვიალებს.
მალულად დაატარებს ბრმათა სევდიან მზერას,
მზის დისკოც გამოჩენას აგვიანებს და ბელავს.
ბორგავს, არაფერს ზოგავს, დაუდგრომელი წყალი.
მიეფებს მიმოღვრის ზოგან, სადაც მისწვდება თვალი,
წრეზე ტრიალებს, მორევს ხაზავს რადიუსებად
და კოსმიური მტვერი იფრქვევა ვირუსებად.
ღრუბლები წვანან მდორედ, მსგავსად ბლანტ მედუზების.
ქარი მიხვეტავს ფოთლებს, სხვა ლაშქარს მიუძღვება,
რიერაფსაც ეგონება, ვარსკვლავებს მიეუსწრები,
ლერწმებიც ყალყზე დგანან, ვით წვრილი გიურზები...
ზღურბლს არ აგიტალახებთ, კარს არ აუტუზებით,
გამოსავალი ვნახეთ ალტერნატიულ გზებით.
გზა მაშინ ავირჩიეთ, ყრმობის ადრიან წლებში,
ხელებს რომ ვიკაწრავდით ეკლებზე და ანწლებში.
დღესაც იმ მქერებს ველტვით, ნუ დაგვადევნებთ მდევარს,
დევნილთა უგრძეს გზებზე სიცოცხლის ბოლომდე ვართ
და სამართლიანობაც ვრცელ ქვეყნიერებაზე
ვერ აღწევს მთლიანობას, სახლს მიჰგავს მშენებარეს.
ყოველი მჭმუნვარეა, სულდგმულთა სევდა-ურვა,
იმქვეყნიური შვება, ამქვეყნიური ზრუნვა.
სოფელი იყოს ჩვენთვის, როგორც ვირისთვის ბურმა
და წესიც გვქონდეს ერთი – ვიცხოვროთ, როგორც წედგმურმა.

2.

შიათ კატებს და ძაღლებს, გიხოვთ, ადამიანებო,
მშიერთა გამოკვებას თავი არ მიანებოთ!
იქ კეთროვანი ვნახეთ, ნაპრალს უგავდა სახე,
დღეს რომ წყალობას ითხოვს, სადღა იქნება ხვალ-ზეგ.
ნაწვნევი ჰქონდა ბევრჯერ თავის საკუთარ ტყავზე
მოძმეთა ზურგშექცევა, ცხოვრების სიჩათლახე,
უნდოდა, ძმად ვეგულეთ და თანამეინახედ,
გეთხოვა, რომ სიკვდილს მისას, არ მიეცეთ გლოვის სახე...
– ნეტავ შეწყვეტდეთ ჩივილს, სურვილი გექცათ ჩიხად!
მე თავდახრილი ვივლი, სადაც თქვენ ამაყნი ხართ!
ქვეყნად რა მიზნით ვცხოვრობ? დავფიქრდი ამასწინათ,
ნუთუ გამჩენმა მხოლოდ სევდისთვის გამაჩინა?
ფსკერის მნახველი, ქვეყნად, მხოლოდ გაღწევას ლამობს
და ნუღარ გაიკვირვებთ ჩვენ მზერას, ულიმღამოს.
არც ვცდილობთ ჩვენი განცდა სხვებსაც გავუზიაროთ,
მაინც ვერ გაგვიგებენ მრავალ მიზეზთა გამო.
ის რაც თქვენ გიხარიათ, მე აღარ მიხარია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშობლები რა ხანია, აღარ მყავს, იქ არიან! –
იძახდა ამღებს და ხელს ზემოთ აიშვერდა,
სტანჯავდა მონატრების პირველყოფილი სევდა.

3.

უნაყოფოა ზღვა და ვირუსებით სავსე,
როგორც დაფერთხილ ზეწარს, მიწას დაჰყურებს თავზე.
ქვებს შორის იდო შარა, მისახვევ-მოსახვევით,
უფსკრულებს მიჰყვებოდა და თავდებოდა ხევით.
ნეფე და პატარძალი ქვიშაში სეირნობდნენ,
შეძლეს, მცირე ხნით მაინც დაშორებოდნენ სოფელს.
ფარფატა ტანი ჰქონდათ და სახეები ფრესკის.
ბევრი აღლოთ სესხი, ქორწილის წინა დღეს კი
შეეგრძნოთ სიხარული მთელი პენით და ემხით,
უეცრად მრუმ ულაზნის ოაზისი რომ შეცვლის,
მოლუშულ გარემოდან ისე ალმოჩნდნენ მზეზე.
ვინც ხელისმომკიდეა დაეძებს ორქიდეებს
და რახან ვერ პოულობს, რაღაცას იმიზეზებს.
ღმუილი გააქვს გზებზე სატვირთოს ორხიდიანს...
სიძე, ჩაცმული სადად, მალე გაჭალარავდა,
საწამ ცოლს შეირთავდა, ასევან ჭაბუკს ჰგავდა...

4.

განრიგს იცავდა, წესი იცოდა, მიჩოჩდებოდა ტელევიზორთან.
ეორთქლებოდა სათვალე სქელი, სურდა, ერთბაშად უანგარიშა.
რამდენი გოლი გაჰქონდა პელეს, ანდა რამდენ ფინტს ფლობდა გარინჩა.
თუმცა დაემსგავსა სახლი სათაგურს, ბევრი კაპრიზი ჰქონდა თაგუნას,
თაიგულების თრევით გათანგულს, ცხოვრებამ მხოლოდ ზრუნვა არგუნა.
ქალს ჰყვარებოდა კომფორტი ფრიად და საქმროები საამქროებით.
თვლიდა, რომ ბედი რასაცა ჰქვია, თუ უმართლებდა, მხოლოდ დროებით.
ხოლო როდესაც სტუმრობდა მაზლი, თავის ბასრი და უცვლელი რაზმით,
ემსგავსებოდა მაშინვე ნაშლილს და უხდებოდა სიტყვები ცკაცრი.
ცოტა რჩებოდა კაცს საოცნებო, მივაშურებო სიცხეში ცაცხვებს,
რომლის ვარჯებქვეშ ძოვდნენ ბოცვრები და ნასასვლელიც არ იყვნენ სადმე.
მაგრამ ახლახან ჰქონდა ქორწილი, სამაგალითო ქცევა მართებდა
და აგრძელებდა გრძელ გზას ქომანით, ღამეებს სხვაგან აღარ ათევდა,
არავინ იყო კდემამოსილი, პატიოსნებით რომ იღლებიან.
არც გახედავდა ქალებს ენებიანს, ბალჩებს რომ ჰგავდნენ ხევიწებიანს,
კომკებს რომ ჰგავდნენ აიენებიანს, თავის ქოთნიან-ყვავილებიან,
წვალობდა კაცი და გულისწორის წუწუნისათვის რომ არ ესმინა,
ჭაპანსა სწევდა მონური შრომის, ბოლოს დაღალა ყოფამ შემლილმა...

5.

იმ გენიალობას გაუმარჯოს, სულ ორ სიტყვაში რომ გამოითქმის.
დროს და ენერგიას რაში ვხარჯავთ, თუკი არაფერი გვრჩება თითქმის?
ჩვენ თუ სიკვდილისთვის ვიბადებით, რაღას ჩამოგვეტირის სიფათები?
და თუ სიცოცხლისთვის ვიბადებით, მაინც საცდურებში ვიხლართებით
და არა გვტოვებენ სიფათები, ჩვენ რომ გამოვიხმეთ ფაბადებით.
დავდივართ ეკლებით და ბარდებით, როგორც დაკარგული ცხვრები.
ჩვენ თუ სიკვდილისთვის ვიბადებით, მაშინ სიცოცხლისთვის ვკვდებით...
ერთფეროვნებისგან დასაღწევად კაცი მონასტრისკენ გაეშურა.
გადაწყვეტილებით კმაყოფილი მალე გადაახვდა ასეთ სურათს.
ნახა ვიღაც, ჯოხზე დაყრდნობილი, მხრები ბერივით რომ აეწურა,
მჭლე და უქონელი იყო, მაგრამ სევდას ულიმოდა კაეშნურად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6.
დგას და გამხმარ ხეებს ზეყრავს, უცებ ეგუება გვალვას,
მხიარულად უკრთის მზერა, როგორც სხივი მაჭვალავს ალვას,
თუ სასტიკი ლვართქაფია, ჩირადაც არ აგდებს ლვართქაფს.
ასკეტი თუ განხდარია თავის სიფაქიზე გასთქვამს.
სოფლის ტაძარს ჰყავდა ხიზნად და მრევლს დიდხანს ებოდიშა:
– გამომრჩა, რომ ალწენიშნა, დღეს ხსენება ებოდისა.
ხელით ბევრჯერ გადაწერა ფსალმუნი და აღთქმის სიბრძნე,
ზეციური მხარდაჭერა წმინდა წიგნთა კითხვით იგრძნო.
ჯვარი ზიდა გარჯით, ჯაფრით, ქოხი გადახურა ყავრით.
იქადაგა: – ძველ გზებს, ჩავლილს, უკან ნუ მიუბრუნდებით,
არ გაუვა ნათელს ყავლი, ვერ იმეფებს უკუნეთი.
გოლიათი გალიითაც წარმოჩნდება ბუმბერაზად,
გალია თუნდ გალეულმა ქონდრისკაცმა ჩაურაზოს.
ჩათვლემს, როგორც იძინებენ მანამნალა წინილები.
ჩაქრებიან მაშხალები დასველებულ ფითილებით.
გზაწვრილს ჰგვანან ვარსკვლავებიც, ბუნდოვნად რომ ანათებენ...
სალოსები თუ გამოჩნდნენ, ნუ გადასცემთ ანათემებს.
კოშკებიდან შორს არიან, კოშკებიც კი კოშმარია,
კრამიტებს რომ აცვივიან, ხოშკაკალას ხანჭიშია.
ნარჩინებულ სალონებთან ჩერდებიან სალოსები,
დაღლილები ჩანან ერთობ ღვაწლითა და გარონზგვებით.
თავს ძენძებით იწონებენ, გაჟღენთილი კალოშებით,
ტანსაცმელიც ნოტიო აქვთ, თითქოს მოსულიყვნენ ზღვებით.
არ ეძებენ საჭიროს, ბაგის ნაცვლად ხახები აქვთ
მწყალობელი სიტყვებისთვის, მონოდებად რომ გაისმის:
– არაფერი გეშველებათ, გოლიათს თუ არ გაუშვებთ!
ფლიდი კაცი, სხვებს რომ ერჩის, რას შეწვდება ცამდე მართალს?
საპასუხოდ აუტეხენ კრულვასა და ლანძღვას უშვერს,
სალოსი კი დაუჩოქებს და მათ ჩურჩულით მიმართავს:
– მზის სიფიცხით ვირუჯებით, რას დაგვაკლებს ვირუსები?
ყოფა არითმეტიკაა – პლიუსები, მინუსები...
მოიმარჯვეთ ხერხი ხელში, გრძელ ფიცართა იწყეთ რანდვა,
ამ მასალით ჯვრები ჩორკნეთ, ემაფორტებს ნუ აღმართავთ!

7.
ჩვენთან გასაგებია, მცირე შუქს ხომ მთვარეც შობს,
არისტოკრატ ტეტიას უპატიოდ ხვდებიან.
ეს აღმოსავლეთია – სალოსთა სათარეშო,
ბევრი შარახვეტია დადის კანონგარეშე...
სადღაც იტალიაში იღვწის სხვა ჯეელობა.
და გაისმის გნიასი, კამათი და მსჯელობა.
მიმართავენ ერთ მათგანს, როგორც წინასწარმეტყველს,
მასხრად ისე იგდებენ, ზომას გადაამეტეს.
ეძახიან ფერდინანდს, მიიჩნევენ გენერლად.
ძველი წლისა დალიეს, მიულოცეს დამდეგი.
მან თქვა, გულით ცხოვრება ცოდვილობის მერეა,
არასოდეს ვყოფილვარ თრობის წინააღმდეგი! –
მოსაწევი წონია და ჩილვა აქვს ფერდინანდს:
– ორიათას ოცია, სხვა ფაზაში შევდივართ!

ბრბო

– შენ ბრძენი ხარ, ფერდინანდ, ჩვენ კი ბრიყვნი გახლავართ!
ხსნილში უხვად მოგართმევთ კონიაკს და ფახლავას,
ეშმი გვიპყრობს გალეშვის, შენთან ერთად, ფერდინანდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქოს ერთ მდინარეში მეორედაც შევდივართ!
ფერდინანდი
– ალი შეტორტმანდება, თუ შეინძრა კანდელი,
არც თქვენა ხართ ბრიყვები, ბრძენი არც მე ვბრძანდები!
მაგრამ თუკი ერთურთზე წყენა დიდხანს მიგვყვება,
მაშ ყველანი ვქცეულვართ სანიმუშო ბრიყვებად!
ბრბო
– შენ ხარ ჩვენი ლიდერი! ჩვენი ნავის მესაჭე!
მუდამ ზურგში მიგდევდით, ბედს რომ არ დავესაჯეთ!
შენი შემხედვარენი სიცოცხლის გზას ვიგრძელებთ!
შენ კი  არ იზარებდი და აფრქვევდი სიბრძნეებს!
წინაპრების საძვალე, ხომალდების სიძველე
და გრძედი და განედი ღრმა შინაარსს იძენენ,
როცა გისმენთ! თუმც გვინდა, სხვა სიტყვით გვანუგეშო,
იმედით რომ განგვაწყო, თორემ შიშმა დაგვზაფრა!
ვატყობთ, ისე ვიქცევით, ვით გველები უბეში,
მაგრამ როგორ განვსაზღვროთ ცის და მიწის განზრახვა?
ფერდინანდი
– იმდენი ქვითარია, რამდენიც მდიდარია,
სადაც ვერ ხეირობენ, მხოლოდ გაველით არიან!
ბრბო
– ისევ სხვა რამეს ამბობ! ეგ არ გვაკმაყოფილებს!
ჩვენ ხომ შენი სახელი მთელ ქვეყანას მოვფინეთ!
ფერდინანდი
– გარეთ ევკალიპტები და შიგნით კელაპტრები,
მოყვასად ჩავითვლებით, მტერს თუ ზედ შევაკვდებით.
გვალვა ჩამოწოლილა, შორს, ბერთა სენაკებთან,
წვიმის მომყვანებელი მლოცველი ენატრებათ!

8.
ხმა კვლავ ჩაანწყვეტინეს და მოქაჩეს უდიერ,
თითქოს ვერც კი იცნესო მათ წინაშე მდგომარე;
– ალიორა! – შესძახეს – ოეე, სად გაუტიე!
შენ ნამდვილი ბერი ხარ, წვერცამეტა ხომ არა! –
საზოგადოდ ამხელდნენ, არ გვაქვსო პირადი,
მაშინ დარბაისლურად წარსდგა წინ ფერდინანდი,
სახე ჰქონდა ქვაბულთა და ორმოთა ბინადრის,
თითქოს ღვინო ჰქონოდა დალეული წინანდლის,

9.
– შემინდეთ, თქმას რომ ვბედავ, უბრალო მეტყევე ვარ!
სად შემიძლია, ნეტავ, წინასწარმეტყველება,
გვალვა, ხომ კარგად ხედავთ, ვერაფერს აკლებს კედარს?
ნუ მიეცემით სევდას, ორი მხარე აქვს მედალს.
გარემო გახლავთ ფონი, სალოსი არ გეგონოთ!
მე ყოველ სიტყვას ვწონი და ამას გეტყვით ბოლოს:
– მშვიდობა იტალიას! ზღვით გარშემორტყმულ მხარეს!
სამყაროს ფირუზია და მარგალიტის თვალი,
წარმტაცი იყო მუდამ და კვლავაც გაიხარებს!
მშვიდობა ყველას, ვინც კი მის სადღეგრძელოს დალევს!
ვერ ვგუობ მგლოვიარეს და აქვე დავძენ ბარემ,
სანამ ზეიმის ნიშნად კვლავ შემოვკრავდეთ ზარებს –
გაისპეტაკეთ გული, ნუ შექმნით ილუზიას,
რომ ქვეყნის დასასრული კორონავირუსია...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბანკისთავა



*ცოტნე ავსაჯანიშვილი*

„ჰეჰე, ბანკისთააავ, ყინწი ველარ გაგიძლებს და გაგძვრება ერთხელაც...“ „ე ბანკაში ძაღლის ძღრენს ინახამს ხოლმე, ეუჩაში რო არ იმასაქნას...“ „მაგასა გონია ლამაზი ვარო...“ – ერთხმად ყვიროდნენ სკოლიდან გაპარული თელაველი ბიჭები.

არადა, როცა ბიჭები უცნაურ ბებრებს დასცინოდნენ, ბებრები ძალიან ბრაზობდნენ, იწყევლებოდნენ და ჯოხმოღერებულნი ტიროდნენ. იგონებდნენ მკლავმაგარ და ლამაზ შეყვარებულებს, რომლებიც ცოცხლები აღარ იყვნენ, მაგრამ რომ ყოფილიყვნენ, ყველას თავ-პირს დაალეწავდნენ მათი საყვარელი გოგონების შეურაცხყოფისთვის.

ბანკისთავა ვალენტინა ეროფეევას კი არასდროს ხმა არ გაუღია. რამდენიც არ უნდა ესტვინათ მის უკან უსაქმურ ბიჭებს, ძალიან მშვიდი და ამაყი მისეირნობდა ნადიკვარზე ლამაზ ძაღლთან ერთად, რომელსაც გრომიკოს ეძახდა. ვალენტინა არ იყო გიჟი და მისი ერთადერთი უცნაურობა თმაში ჩადგმული მაწვნის ბანკა იყო... რომლის გარშემო დახვეული ყვავისფერი თმაც, ძალიან დიდი სიმაღლიდან ფრიალებდა ვალენტინას თავზე. გიჟი რომ არ იყო, ალბათ ამიტომაც ხვდებოდა მშვიდად უზრდელების რეპლიკებს. თითქოს სულაც არ ამბობდნენ მასზე.

* * *

დანგრეულ გზაზე ჩამორბოდა აბლავლებული მენახირე კაკო თინიკაშვილი და ხელში ოთხი წლის შვილი ეჭირა, მკვდარი. იმ თვეში, უკვე მეოთხე ადამიანი კვდებოდა სოფელ აკურაში ჭირით, რომლის სახელიც არავის გაეგო და რომელიც უმალვე აჩანაგებდა დაავადებულს ლორწოთი და ახრჩობდა დაუნდობლად.

სოფლის შუაში ჩაიმუხლა აბლავლებულმა მენახირემ. უსულო ბალღი წინ დაუწვარდა, თვითონ კი გაშმაგებული ირტყამდა მუშტებს სიმწრისგან ანითლებულ სახეში. ჭირის შიშით დამფრთხალი სოფლელები შორიდან ტიროდნენ მენახირის პატარა ვიოლას, მაგრამ

ახლის მისვლას ვერ ბედავდნენ. ჭირის გადადებისა ეშინოდათ.

სოფლის განაპირად კი კოცნაობდნენ ნიკო ბერულაშვილი დაობოლი რუსი გოგონა, რომელიც სამი წლის წინ, თორმეტი წლისა შეიფარა სოფელმა და დაასახლა ლაფერაანთ ნასახლარში, ბავშვთა სახლიდან გამოქცეული. თხუთმეტი წლისას ძლიერ უყვარდა თექვსმეტის ნიკო და რადგან არც მამა ჰყავდა და არც ვინმე პატრონი, თამამად მიდიოდა მასთან ერთად ტყის პირას, ღელეზე და ეკვროდა საოცარი ბედნიერებით. ამ ყველაფერს კი მუდამ ზიზღით უთვალთვალებდა მენახირე კაკო თინიკაშვილი, რომელიც ჯერ მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი წლისა იყო. ცოლი მეორე ბავშვზე მშობიარობამ მოუკლა და დარჩა ქვრივი, ორი შვილით.

კაკოს ძალიან უნდოდა რუსი ობლის ცოლად შერთვა. ვნებაც ანგრევდა და ცოლის სურვილიც, რომელიც წინაზე დიდხანს ეყოლებოდა. მაგრამ გოგონა, რა თქმა უნდა, გაურბოდა. ეშინოდა გაუპარსავი კაცის, რომელიც რატომღაც სულ უკან დასდევდა. მიუხედავად იმისა, რომ გოგონასთვის მაგხელა კაცები ბებრები და ძიები იყვნენ.

* * *

ცოტა დიდები დასცინოდნენ, ცოტა პატარები კი შიშისგან იფსამდნენ ვალენტინას დანახვაზე, რადგან არასდროს ენახათ ადამიანი ასეთი მაღალი თმით. პატარებს ზანკისთავა ეროფეევა ჯადოქარი, ანდაც სულაც ურჩხული ეგონათ, რომელიც ბავშვებს იპარავდა და მათგან ელექსირს ხარშავდა. ელექსირს, რომელიც მის თმას აძლიერებდა და სიმაღლეში ზრდიდა.

მაგ დებილობას დედები უბნებოდნენ ბავშვებს, აქაოდა, არ დასცინოთ ვალენტინას, თორე მოგიტაცებთ და ეგრე გიზამთო. თითქოს სიკეთეს აკეთებდნენ და დაცინვას უკრძალავდნენ, არადა, ბავშვებსაც აგიჟებდნენ და ვალენტინასაც უტეხავდნენ სახელს. აკანკალებული პირველკლასელები კი ძალიან შორიდან უყურებდნენ ვალენტინას, რომელიც დაქალ გარემოვაჭრეს ეჭორავებოდა და მაწვნის ფასზე ევაჭრებოდა.

„ჰეჰეეე, ზანკითააავ, ბანკა გაგებზარა და ახალი გინდა, არა? აბა, შენ მაწონს არ შეჭამ. მაგას გადაღვერი და ბანკა დაგრჩება, ჰეჰეეე..." – დაიყვირა უსაქმურმა ბიჭმა.

„მიკვარს ნაცონი..." – თითქოს უპასუხაო ეროფეევამ.

* * *

„ხო გახსოვთ, ფირუზა რო ლანძღავდა, რუსაპეტა ნაზამთქვარი, რუსაპეტა ნაბიჭვარიო... ფირუზა პირველი [illegible] ქირმა. ეგ მოთრეული გვიკეთებს ჯადოს. ჩემ ბალღსაც ეგ ეთამაშებოდა გუშინ..." – ყვიროდა მენახირე კაკო თინიკაშვილი.

„იმ ქალაქელმა ექიმმა თქვა, ეგ ჭირი ძროხებმა მაიტანესო..." – გამოსძახა მეზობელმა ქალმა.

„ქალაქელმა ექიმმა რა იცის. ქალაქელმა ექიმმა რო არ იცის, რა ჭინკასა ეზრდით აქა. აბა, გულო, ფირუზას ცოლი რისთვისა ხარ? თქვი, ხო ეჯავრებოდა ფირუზას ეგ ბალღი? ხო მაგას უნდოდა ფირუზას მოკვლა?" – აგრძელებდა მენახირე.

ეჭვში ჩავარდა დაზაფრული სოფელი და შეაშინა ობოლმა რუსმა გოგონამ მრავლისმნახველი დედაბრები.

„დაიცათ, ხალხო, იქნება ეშმაკმ შეურყია გონება ბალღსა. ლოცვით მოვაბრუნოთ. მკვდრებს ძალაობით მაინც ვერ გავაცოცხლებთ." – ბრზოდან იყვირა ამბროსამ. ამბროსა ამბობდა, ნამაო ვარო, მარა არაფერი უგავდა მღვდელს. არც წვერი და არც ბიბლია.

„რა ვიცით ამბროსა ძიავ ჩვენა ლოცვისა, ჰა?!" – გაიცინა სოფლელმა ბიჭუნამ.

„ეგრე უნა დაუძახო მღვდელსა?!" – დატუქსა ბებიამ.

„მე გასწავლით, შვილო... მე რო ვიტყვი, ყველა ამყევით. განერიდე ჩვენსა რუსსა, ნუ თავხედობ ეშმა... პირი გიყოს ალაზნისა მწვანე წყლიან პეშვმა!" – დაიწყო მამა ამბროსამ.

„გაანერიდე ჩვენსა რუსსა, ნუ თავხედობ ეშმა... პირი გიყოს ალაზნისა მწვანე წყლიან პეშვმა!" – გაიმეორა სოფელმა.

„ბალღი წმინდა სულის არი, ბალღსა არა რა აქ ავი... ბნელო ძალავ, ნუ დასტანჯავ, უმალ დაანებე თავი!" – აგრძელებდა ამბროსა.

„ბაააალღი წმინდა სულის არი, ბალღს არა რა აქ აააავი... ბნელო ძალავ ნუ დასტანჯავ, უმალ დაანებე თააავი!" – კვლავ იმეორებდა სოფელი.

„ხალხო, რა დედითქვენისასა სჭამთ, სუ გაცეტდით? რა ლოცვები და ღამის თევა აგიტყდათ, დრო აღარ უნდა გავააალტუროთ. წამო დავიჭიროთ. წააშოოო..." – არ ისვენებდა მენახირე.

ხალხი დაიღალა გამოგონილი ლოცვების კითხვით და წარტოდმარტო დააგდო სასოწარკვეთილი ამბროსა.

წინ გარბოდა მენახირე. წკეპლას აწიადებდა გოგოს საცემად. უკან სოფელი მიჰყვებოდა, სიცილიური პროცესიასავით. ფიწლებით და ცულებით. დაბნეულები და გაბრაზებულები.

* * *

დღეს მგონი ხუთი ლიტრა ყავა დავლიეო – სამუშაო დღის ბოლოს მოსთქვამდა თელავის მერიის თანამშრომელი ია სიდამონიძე.

სიცილით კვდებოდა ზანკისთავა, ყველაფერი პირდაპირ ესმოდა და იმიტომ. ზანკისთავა გიჟი არ იყო, მაგრამ ოდნავ მაინც ჟურობდა. ვისაც ოდნავ უქრია, ზოგჯერ ყველაფერი



ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდაპირ ესმის. ამიტომ ბანკისთავა ხარხარებდა და იმეორებდა – „ნუტუ გვინო გეგონა... ნუტუ გვინო გეგონა... ალბატ რამდენს ივლი ტუალეტში... ჰაჰა... “

ია სიდამონიძემ თავი დამცირებულად იგრძნო, გიჟი დამცინისო და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ბედნიერ ეროფეევას ჰკითხა – შენ ხუთი ლიტრა ღვინო დაგილევიაო?

ვალენტინა უეცრად ჩაქრა. თვალზე ცრემლი მოადგა. არაო, არ დამილევიაო. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ამდენი ღვინის დალევა შეუძლიაო. მერე სახლისკენ გაიქცა. სწრაფი სიარულისას თავზე ბანკა ულაყლაყებდა, მაგრამ არასდროს უვარდებოდა. საოცრად ჰქონდა დამაგრებული.

* * *

დაბნეული სოფელი ვერ ბედავდა გოგოს დაჭერას. პატარას მხოლოდ მენახირე მოათრევდა ტალახში. მაგრად ექაჩებოდა მის ლამაზ ქერა თმას და ნერვები ეშლებოდა, რომ ამ თმასთან შეხება სხვა სიტუაციაში ვერ მოახერხა. გოგონა ვერაფერს ხვდებოდა და ყვიროდა – ამ კაცს ცოლად არ გავყვებიო. თქვენი საქმე არ არიო. რუსაპეტას ეგონა, სოფელი აიძულებდა, ბებერ მენახირეს მისთხოვდიო. ეხლა კაი დროსიაო, ვილას უნდა მეორე მკვდარი ცოლიო – ფიქრობდა გაბოროტებული მენახირე. გოგო სოფლის ცენტრში ჩამოათრია, როგორც ორი დღით ადრე გარდაცვლილი ქალიშვილი ვიოლა. ზუსტად მაგას ყვიროდა, ჩემი ვიოლა როგორც მოკალი, ისე უნდა გაგტანჯო შე მოთრეულო ნაბუშაროო.

„შეშები მაიტაათ... შეშა მაიტააათ...“ – ჩამოურბინა მენახირემ წრეში უმოქმედოდ დამდგარ თანასოფლელებს.

რამდენიმე ახალგაზრდა შფოთმა აიყოლია და სოფლის ცენტრში მალე უამრავი ნაფოტი გაჩნდა.

„არ გინდა, კაკო. ვილოცოთ და გაუვლის. რა ცეცხლი? მაგხელა შვილი გყავს, არა გცხვენია?!“ – ფეხებში უვარდებოდა მენახირეს ამბროსა.

„ლოცვა არა, ტანცაობას დავიწყებ აქა... ამხელა ბალღი რო მყავ და ამაზე პატარაც რო მყავდა და აღარა მყავ, მაგიტო უნდა დავწვა!“ – კაკომ ამბროსას ხელი აუქნია.

„არ მინდა! იმიტომ მკლავთ, რომ გატხოვება არ მინდა?“ – ატირდა გოგონა, რომელიც კვლავ ვერაფერს ხვდებოდა.

„რალაცას იძახის ბალღი...“ – ჩაილაპარაკეს ქალებმა.

„ალბათ საბოლოო წყევლას გვიგზავნის, სანამ მოკვდება...“ – ყველას ერთმა უპასუხა. არავის ესმოდა, რას ამბობდა ობოლი სინამდვილეში.

„ეხლა ნახეთ. ეხლა მიყურეთ, როგორ უნდა...“ – ხელებს იფშვნეტდა კაკო თიჩიკაშვილი.

„დაანებეთ ბალღს თავი, ბიჭო. მაგას რას უსმენთ, გიჟია ეგა...“ – ატირდა სოფლის სკოლის დირექტორი თედო ვარსიმაშვილი.

„ახლო არ მოხვიდე თედო ძია, თორემ, შენც შიგ შაგაგდებ. ეხლა იგრე ვარ, ჭკუა არ დამიშლის!“ – ბრაზობდა მენახირე.

ახალგაზრდებმა ცეცხლი დაანთეს. ნავთმა ალი კიდევ უფრო გააძლიერა. გეგონებოდა, აკურას წითელი ზეცა გადაეფარაო.

მენახირე რუს გოგონას ცეცხლისკენ მიათრევდა.

„ნუ მეძალავები. ჩემი ბალღი რო მოკვდა?! შენ არ მოკალი?! შენ არ უნდა დაიტანჯო?! ნააამოო, ნააამოოო!!!“ – ყვიროდა მენახირე.

დაბნეული გოგონა ისტერიულად ყვიროდა და ფეხებს ურტყამდა მენახირეს.

„დაიცა, კაკო. ხელი გაუშვი მაგას. მე გადამედო ის ჭირი ქალაქში. მე ჩამოვიტანე აქა... მე მოგიკალ შვილი!“ – დაიბრალა რუსაპეტას შეყვარებულმა ნიკომ. შემთხვევით რომ შეესწრო სატრფოს წამებას.

* * *

„რო გამაივლის, ჯერ დაიცა და მერე უცებ.“ – ჩურჩულებდა თელაველი ბიჭი.

„ჰო, ჩავკრამ და გასძვრება ეგრევე... ჰეჰე...“ – აჰყვა მეორეც.

ბანკისთავა კვლავაც რუმიანაში ამოვლებული მონარნარებდა. გაფოლორცებული ქალი იყო ვალენტინა ეროფეევა. ქალაქის ცენტრში უყვარდა ყოფნა. ძალიან მოსწონდა ფერადი კაბების გამოჩენა. ფიქრობდა, რომ თელაველ ლამაზმანებს მისი შურდათ და ეს ძალიან სიამოვნებდა.

გზად კვლავაც ხვდებოდნენ საძულველი თელაველი უსაქმურები, რომლებიც დასცინოდნენ ხოლმე. ახლა თითქოს არავინ იყო მის ხასიათზე. ყველა ჩუმად ათვალიერებდა. ბანკისთავა თავს მშვიდად გრძნობდა, მაგრამ გულიც სწყდებოდა. არ უყვარდა, როცა ყურადღებას არ აქცევდნენ. უყურადღებობას დაცინვა ერჩია.

მაგრამ ის, რაც ვალენტინას უყურადღებობა ეგონა, ხაფანგი ყოფილა. თავიდან ვერაფერს მიხვდა ეროფეევა. შეშინებული და გაფითრებული უყურებდა მისკენ მიტრიალებულ და ატირებულ თელაველებს მას შემდეგ, რაც სკოლიდან გამოპარულმა უზრდელმა ბიჭებმა მის ბანკას ჯოხი მოარტყეს.

ვალენტინა მუხლებზე დაემხო და ბანკის ნამსხვრევებში ქვიშის მსგავს მასას დაუწყო შეგროვება. ცდილობდა, სულ ხელის გულში მოექცია. შემდეგ ვნებიანად ჰკოცნიდა, ასფალტზე დარჩენილსაც და ხელში დაგროვებულსაც.

„ნიკო, ჩემო სიცოცხლევ. მოი დარაგოი. ისევ აგარ ხარ... აპიან პატერიალა...“ – დასტიროდა ვალენტინა შეყვარებულის ფერფლს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ცეცხლისა და ყინულის პარტიტურა

## (რობერტ ფროსტი: ოლესია თავაძისა, და ჩვენიც)

***როსტომ ჩხეიძე***

— ჩემი რობერტ ფროსტი, — მიისაკუთრებდა დიდ ამერიკელს ოლესია თავაძე და ორიგინალური აგებულების წიგნ-ალბომს ასეც დაასათაურებდა („სეზანი", 2018).

და... რა უფლებით მიისაკუთრებდა?

რა უფლებით და... იმ მკითხველისა, რომელიც ეზიარებოდა ამ მადლს, თუ სათანადოდ მომწიფდებოდა მისი პოეზიის აღსაქმელად, პოეზიისა:




— ერთი თვალის შევლებით თითქოსდა უმარტივესის და ჩასაწვდომად კი უძიროსი.

ფროსტთან მისი მისასვლელი გზა მთელ ცხოვრებას დაიტევდა.

შუამავლებად კი ეყოლებოდა: იოსიფ ბროდსკი და რადიარდ კიპლინგი, და რაოდენ მოულოდნელიც უნდა ჩანდეს: ჩინური ფერწერა.

თუ რატომ და როგორ, ამის ახსნა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ამჯერად, მოკლე წინათქმაში, საუბრის გეზს ასცდებოდა.

ამიტომაც ამას იკმარებდა:

ფროსტის სიტყვას, თავშეკავებულსა და არააღმსარებლურს, კიპლინგის კაცური სისადავეც წაუმძღვარებოდა წინ და ჩინური ფერწერის მოუხელთებელი, ექსტატურობას მოკლებული მაღალი სულიერებაც.

ხოლო წიგნის ორიგინალური აგებულების სათავე-საფუძველი, მთამბეჭდავი ილუსტრაციების შთაგონება ის იქნებოდა, რომ:

მთელი ცხოვრება შესაფერის წიგნაკში სათუთად იწერდა სათაყვანებელ ლექსებს და ყოველ ჯერზე, გადაწერისას, იმწუთიერი თავისი ავტორობის შეგრძნება ეუფლებოდა. ფროსტის ლექსების ილუსტრირებისას ამ ცდუნებას არ გაექცეოდა და სამი ენის შრიფტს, სამ კალიგრაფიას მოიშველიებდა — პოეტის დედაენისა — ინგლისურის, და თავისი ორენოვნებიდან გამომდინარე, ორი მშობლიური ენისა — ქართულისა და რუსულის.

ესეც ის, რაც ფროსტის სახელს მიაახლოვებდა, რაც მის სახელში შენივთდებოდა და რაც იმ სულიერების სარკმელს გაულებდა, სადაც ყველა დროის ყველა კულტურა ერთად მოიყრიდა თავს და სადაც ფროსტისა და ჩინური ფერწერის ერთიანობა ჩვეულებრივ ამბად აღიქმებოდა.

და ესეც ის ნაყოფი, ასერიგად სავსე და სახიერი:

ოლესია თავაძის რობერტ ფროსტი, ჯერ გრაფიკული სერია, რომლის გამოფენაც თბილისის ისტორიულ მუზეუმში „ქარვასლა" თვალნათლივ წარმოაჩენდა, თუ როგორ შეეძლო ფროსტის პოეზიის მეტაფიზიკურ სიღრმეს ესაზრდოებინა შემდგომ თაობათა სულიერი ძიებანი და როგორ არღვევდა ჭეშმარიტი გენია დროისა და სივრცის საზღვრებს.

ამიტომაც ეს ალბომი განიზრახებოდა არა გამოფენის კატალოგად, არამედ კიდევ ერთ, სიმბოლურ გამოხატულებად მადლიერებისა დიდი ამერიკელის სახელისადმი.

* * *

რობერტ ფროსტი ნობელის პრემიის ლაურეატი რომ გვეგონოს, არ გაგვემტყუნება, რაკილა ამ რანგის პოეტი ის იშვიათობაა, ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურასაც რომ ამშვენებს და მსოფლიო მწერლობასაც.

მთელი პოეტური ნაკადის სათავეშიც რომ მოექცეოდა.

მაგრამ... ეს ჯილდო მას უნდა ასცდენოდა. და ეს ისეთივე გაუგებრობაა და გაუმართლებლობა, ნობელიანტის წოდების გარეშე რომ დარჩებოდნენ: ლევ ტოლსტოი, ჯეიმზ ჯოისი, მარსელ პრუსტი, ფრანც კაფკა თუ კურტ ვონეგუტი.

თუმც ამ პრემიის ლაურეატები კი დიდი მონიწებით მოიხსენიებდნენ მის სახელს თვით სამადლობელი სიტყვის წარმოთქმისას.

სინკლერ ლუისი იქნებოდა და:

ამერიკული ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემიაში ზოგიერთი შესანიშნავი მხატვრის, არქიტექტორისა და სახელმწიფო მოღვაწის გვერდით ირიცხებიან ისეთი მართლაცდა გამოჩენილი: უნივერსიტეტის პრეზიდენტი, როგორიც ბრძანდება ნიკოლას მერეი ბატლერი, აგრეთვე დიდებული, გაბედული მეცნიერი ჟილბერ კროსი და რამდენიმე პირველხარისხოვანი მწერალი: პოეტები – ედვინ არლინგტონ რობინსონი და რობერტ ფროსტი, ჰელიმნ ჰარლენდი, ოუენ უისტერი, ბრანდ უიტლოკი და ბუტ ტარკინგტონი.

იოსიფ ბროდსკი იქნებოდა და:

მწერალს არ ძალუძს ილაპარაკოს მწერლის მაგიერ, განსაკუთრებით – პოეტს პოეტის მაგიერ; ამ ტრიბუნაზე ოსიპ მანდელშტამი, მარინა ცვეტაევა, რობერტ ფროსტი, ანა ახმატოვა, უისტან ოდენი რომ გამოსულიყვნენ, ისინი ძალაუნებურად სწორედ თავიანთ თავზე ილაპარაკებდნენ და, შესაძლოა, ასევე გარკვეული უხერხულობა ეგრძნოთ.

და გრძელდებოდა განცდა და განსჯა, რომ:

ეს აჩრდილები ყოველთვისაც აცთუნებდნენ, კვლავინდებურად რომ გრძნობდა ამ ცდუნებას, ყოველ შემთხვევაში, ისინი სამჭევრმეტყველოდ როდი აგულიანებდნენ. საკუთარი თავი საუკეთესო წუთებში როგორლაც მათ შენაერთად ეჩვენებოდა – მაგრამ ყოველთვის ნაკლებად, ვიდრე თითოეული გახლდათ ცალ-ცალკე.

ასე იყო, რადგან ქაღალდზე დაწერილით მათზე უკეთესობა ვერ წარმოედგინა; ვერ წარმოედგინა მათზე უკეთესობა ცხოვრებაშიც; და სწორედ მათი ცხოვრება, როგორი ტრაგიკული და მწარეც უნდა ყოფილიყო ის, ხშირად აიძულებდა – ეტყობა, უფრო ხშირად, ვიდრე ეს საჭირო გახლდათ – სინანული გამოეთქვა დროის მდინარების გამო. თუ იმქვეყნიური სამყარო არსებობდა, ხოლო მათი მარადიული ცხოვრების შესაძლებლობაზე უარის თქმა მას უფრო არ შეეძლო, ვიდრე მათი ამქვეყნიური არსებობის დავიწყება იყო – დიახ, თუ იმქვეყნიური სამყარო არსებობდა, მაშინ ისინი – იმედოვნებდა – აპატიებდნენ იმ თვისებრივ რაობას, რის გადმოცემასაც აპირებდა: ბოლოსდაბოლოს მათი პროფესიის ღირსება ტრიბუნაზე ქცევით როდი გაიზომებოდა.

შეიმას ჰინი იქნებოდა და:

დაიწყებდა იქიდან, რომ სურდა ცხოვრებისეული სიმართლე კონკრეტული უტყუარობით დაღდასმული ყოფილიყო და ძალზე უხაროდა, ლექსი რომ სიწრფელით, სიმართლით ასახავდა სამყაროს, რომელშიც ამ სიმართლეს შეეძლო გაეძლო კიდეც, თავიც დაეცვა და წინააღმდეგობაც გაეწია. სკოლის წლებშივე ეყვარებოდა ჯონ კიტსის ოდა „შემოდგომას" იმისათვის, რომ ის ენისა და განცდების ურთიერთდამაკავშირებელი თაღი იყო; ყმაწვილობისას შეუყვარდებოდა ჯერალდ მენლი ჰოპკინსი ღრმა განცდებისათვის, ასე რომ აწონასწორებდნენ აღტაცებასა და ტკივილს, – არც კი ფიქრობდა, მეც თუ განვიცდი მათო, ვიდრე მის ლექსებს წაიკითხავდა; ეყვარებოდა რობერტ ფროსტიც ფერმერული გულმოდგინებისა და ეშმაკური მინიერებისათვის; და ჯეფრი ჩოსერიც – მეტწილად იმავე თვისებებისათვის.

აშკარაა: სამივე ნობელიანტის თვალთახედვაში რობერტ ფროსტი გამორჩეული სახელია.

პირველხარისხოვანი პოეტიც.

ქაღალდზე დაწერილით მასზე უკეთესობა ვერც წარმოუდგენიათ, და ვერც ცხოვრებაში წარმოუდგენიათ მათზე უკეთესობა.

ჯეფრი ჩოსერისაგან არც განერჩევათ.

რაო, აკლია რობერტ ფროსტის საჯარო-სამადლობელი გამოსვლა „ინტელექტის" მიერ გამოცემულ ვეება წიგნს „ნობელიანტების ლექციები (1901-2016)"?

ეს რა ამ დიდებული გამოცემის თაოსანთა ბრალია – ფროსტს არასოდეს მიეცემოდა შემთხვევა, შემდგარიყო იმ ტრიბუნაზე, სადაც მისი რანგის – და არაერთი: მასზე ნაკლებისაც – შემოქმედნი თავიანთ მხატვრულ-ესთეტიკურ და საზოგადოებრივ მრწამსს გამოთქვამდნენ იმ ხელოვნებით, ფროსტისთვისაც ასერიგად მახლობელი რომ გახლდათ.

მისი სახელი ხომ მაინც იხმიანებდა სანობელო ტრიბუნაზე შეხსენებად იმისა, რომ რჩეულ შემოქმედთ, თუნდ განრიდებულთ ამქვეყნიურ ორომტრიალს, ესაჭიროებოდათ ყურადღება და თანადგომა ჯილდოების გამცემთაგან, უფრო სწორად – დამჯილდოებელთ უფრო ესაჭიროებათ ამგვარი გადაწყვეტილებანი, რათა თავიანთი არსებობა გაამართლონ და ფსევდოღირებულებათა პროპაგანდისტებად არ შემორჩნენ ლიტერატურის ისტორიას.

* * *

გრაფიკული სერიისათვის „ჩემი რობერტ ფროსტი" წამძღვარებულ ესეის „ზეცაში დაკარგული" დავით ანდრიაძე – რა გასაკვირია – ამ პოეტის დიდი მოთაყვანის, იოსიფ ბროდსკის სიტყვებით რომ გახსნიდა:

– ბუნება ამ პოეტისათვის არც მეგობარია და არც მტერი და არც დეკორაცია ადამიანური დრამისათვის; არამედ თვითონ პოეტის შემაძრწუნებელი ავტოპორტრეტი...

ეს იმ სიღრმისა და ტევადობის დაკვირვებაა, მონოგრაფიებს რომ დაედება ხოლმე საძირკვლად, ის კი არა, ბიოგრაფიულ რომანთა შთამაგონებლებადაც შეიძლება იქცნენ.

შესავალ წერილში კი მიდევნებულია:

ექცობა, რობერტ ფროსტის ოლესია თავაძისეულ კალიგრამულ ტრანსკრიფციებშიც ბუნების ამგვარი ხატის ძიებაა არსებითი; ხატისა, პოეტის შეფარულ ავტოპორტრეტად რომ ჩამოყალიბდებაო.

უპირველესად მაინც იმას მიაქცევდა ყურადღებას, რომ:

ქართველი მხატვრის დახატულ XX საუკუნის ამერიკული პოეზიის ამ ყველაზე სიმბოლური ფიგურის „პორტრეტზეც" – რომელიც ამ შემთხვევაში რეალურ მიზანსცენას იმეორებდა – თვალებზე აფარებული პოეტის ხელიც პროფეტული წინაალმდეგობით იქნებოდა აღსავსე...

და ამ პორტრეტული სახებით რომ გაიხსნებოდა ამ თემაზე შექმნილი 50 გრაფიკული ფურცელი, კრიტიკოსის დაკვირვებით, ეს იქნებოდა ფროსტის ლექსების ნაკითხვაც და შეკითხვაც.

სხვაგვარადაც შეიძლება თქმულიყო:

ფროსტის ოლესია თავაძისეული, ცოცხალი, აქტუალური თვალიერებისა და გადათვალიერების აქტი!..

როგორ ამბობდა პოლ ვალერი?

სულ სხვაა სამყაროს უცქერდე უფანქროდ და სულ სხვა – ფანქრით ხელშიო.

და დავით ანდრიაძისათვის ეს თვალსაზრისი ერთგვარი გზამკვლევი აღმოჩნდებოდა განსაზოგადებლად: ალბათ ასევე განსხვავდება პოეტური ტექსტის კითხვაც უფანქროდ და ფანქრით ხელშიო.

და ოლესია თავაძე ამერიკელ პოეტს რომ კითხულობდა ფანქრით ხელში, ამ მიმართებას კრიტიკოსი ასე აღიქვამდა:

ესაა პოეტური ხატის წინასწარ მოხაზვაო.

ძირეული სემანტიკური აზრისის დასახვაო.

დასახვა და მერე – წარმოსახვაო.

წარმოსახვა და გარდასახვაო.

პოეტური საზრისის თავდაპირველი აზრის – ანუ სიმპლემის – მოხელთება და მისი ქცევა ემბლემატურ ნიშნადო.

დავით ანდრიაძის სახელოვნებო სტატიებისა თუ ესეებისათვის ნიშანდობლივი მანერა ინტერესს აღძრავდა ხოლმე უფრო დაკვირვებებითა და მოსაზრებებით, ვიდრე შესრულებია ფორმით, ყურს რომ აღიზიანებდა გადამეტებული ტერმინოლოგიაც, თვითმიზნურობას მიახლოებული.

„ზეცაში დაკარგული" აშკარად განსხვავდება ავტორის სხვა წერილებისაგან სწორედ შესრულების მანერით, ცოცხალი, ექსპრესიული სტილით. და თუ მანამდე კრიტიკოსის მახვილგონივრული დაკვირვებანი თუ სიტყვათა მარჯვე ათამაშება ერთგვარად იკარგებოდა ტერმინოლოგიით გადატვირთულ მეჯელობაში, ამ ესეიში მოხდენილად და ეფექტურად იჩენდა თავს, თუნდ ამ ფრაზის მსგავსად:

– ოლესია თავაძე ლექსს კი არ აფორმებს, არამედ ფორმას ალექსებს...

მარჯვედ გამოიყენებდა აკმეისტების ნათქვამსაც:

ჩვენ არ დავფრინავთ, ჩვენ ავდივართ მხოლოდ იმ კოშკებზე, რომელთა აშენებაც თვითონვე შეგვიძლიაო.

რათა ამგვარი სწრაფვა მხატვრის შემოქმედებით ლაბორატორიაზე გადმოეტანა:

ფროსტი ოლესია თავაძისათვის თავისებური კოშკია; ანდა ბუდეა, რომლის აშენება მასაც ხელეწიფებაო...

და მიედევნებინა, რომ:

მხატვრისათვის ფროსტის ლექსი პარტიტურა გახლდათ, შემსრულებელს რომ ელოდებოდა, და რაკილა შეუძლებელია ტექსტი საკუთარ თავში იყოს დასრულებული, წერტილს ავტორი კი არა, მკითხველი სვამსო.

ოლესია თავაძის რანგის მკითხველი, თორემ...

ეზრა პაუნდი რომ არ ენდობოდა სიტყვას და ის კი არ აღელვებდა, რა თქვა ავტორმა, არამედ ის, რაზეც დუმდა? და სხვის სტრიქონებში გადასახლებული სხვა პოეტის ნიღაბს რომ მოირგებდა?

კრიტიკოსის მახვილი მიგნებით:

ოლესია თავაძე იმას უფრო ასურათებდა, რაზეც პოეტი დუმდა.

და ეს ლექსები, თითქოსდა სიტყვებისაგან კი არა, დაშიფრული იეროგლიფებისა თუ ნოტებისაგან რომ შედგებოდა, კიდეც მათ მიხედვით ასურათებდა მხატვარი ამა თუ იმ ოპუსს.

ფინალური აკორდიც ესეის შესაფერისი უნდა ყოფილიყო თავისი დახვეწილობითა და იდუმალი ხმიანობით:

ჩვენ, მოკვდავთ, უკვდავებთან საგნებით რომ მივყვესვლებოდა და სწორედ ასეთ საგნებს აგნებდა რობერტ ფროსტის პოეზიის ონტოლოგიურ შრეებში ოლესია თავაძე, ამით შეგვახსენებდა – რა მიჰქონდა დროს და რა რჩებოდა. და კიდევ ერთხელ დაგვანახებდა „ზეცაში დაკარგული" რობერტ ფროსტის „მიწიერი არსებობის" არტეფაქტებსაც და მისი გენიის უკვდავებასაც...

სწორედ ასეთი პიროვნება უნდა შერჩეულიყო ამ მრავალშრიანი წიგნის კარის შემხსნელად, დავით ანდრიაძე რომ გახლავთ: არამარტო მხატვრობის ნიუანსებში გათვითცნობიერებული, არამედ პოეზიის ღრმა მცოდნეც, უშუალოდ კი დასავლურ სამწერლო პროცესებში გარკვეული, და მისი ყოველი სიტყვა ამიტომაც იქნებოდა აწონილი და ზუსტი.

ხოლო რობერტ ფროსტის გამოჩენა ქართულ ენობრივ და კულტურულ სამყაროში...

* * *

გაუმართლებდა და ძალიანაც გაუმართლებდა რობერტ ფროსტს, მის მეგზურობას ზვიად გამსახურდია რომ ითავებდა:

საჭაშნიკოდაც გადმოიღებდა მის სტრიქონებს და მისი ლიტერატურული პორტრეტის არსებით შტრიხებსაც მოხაზავდა, კაცისა, რომლის თემატიკაც ერთი შეხედვით ახალს არაფერს გვაწვდიდა, ძირითადად შემოფარგლული პასტორალურ-იდილიური მოტივებით, მაგრამ ყოველთვის იგრძნობოდა, რომ ეს ყოველივე დანახულიყო უაღრესად თანამედროვე პოეტის თვალით. და თუმც მის ლექსების უმრავლესობას ახასიათებდა მშვიდი, მედიტატიური განწყობილება, სტრიქონებში ხშირად საცნაურდებოდა

ეროვნული

ფარული ემოციური დაძაბულობაც, რომელიც არაოდეს გეცემოდათ თვალში.

მის პირველ მასწავლებლებად მოიხსენიებდა უილიამ უორდსუორთსა და ტომას ჰარდის, ერთი რომ უანდერძებდა საოცრად მშვიდ, აუმღვრეველ მანერას ბუნების ჭვრეტისა, ცხოვრების მარტივი დეტალებისა და ასეთივე გრძნობების აყვანას მაღალი პოეზიის დონემდე; მეორე კი გადაუშლიდა სოფლის ცხოვრების სიმშვენიერეს და ასწავლიდა დანახვას პასტორალურ იდილიებს მიღმა არსებული ფარული ტრაგედიებისა.

და დასძენდა, რომ:

როგორც ჰარდისათვის, ისევე უორდსუორთისათვის, უცხო გახლდათ ის ღრმად სუბიექტური განცდა ბუნების მშვენიერებისა, ფროსტის პოეზიისათვის რომ შეიქნებოდა ნიშანდობლივი. ამიტომაც არ გვევლინებოდა არსად პასიურ მხატვრად და ბუნებას იშველიებდა მხოლოდდამხოლოდ სულიერი განწყობილების საილუსტრაციოდ.

მისი ერთ-ერთი გამორჩეული ლექსის – „ნოემბრის სტუმარი" – ქართული ორეულის შექმნით, ზუსტად მიგნებული ტონალობითა და ინტონაციით და მარჯვედ დაძებნილი სიტყვა-გამოთქმების წყალობით ჭეშმარიტ პოეზიას რომ გვაზიარებდა:

რამდენი ხანია, რაც მე შევიყვარე და რაც
შევითვისე
ნოემბრის დღეები, ჩუმი, გაძარცული
ნოემბრის დღეები,
პირველ მოთოვამდე რომ იბინდებიან
მდუმარე ტყეები...
მაგრამ ამაოა ყველა დარწმუნება
ჩემთვის და მისთვისაც,
რადგან მ ი ს ი ს თ ვ ა ლ ი თ
სხვაა ეს ქვეყანა და ეს სივრცეები.

ყოველი შემთხვევისათვის გაიხსენებდა დევიდ ჰიუმისა და ართურ შოპენჰაუერის სუბიექტურ-იდეალისტურ დოქტრინათა გავლენასაც პოეტზე, მაგრამ უმთავრესად მიიჩნევდა, რომ:

ფორმის მტკიცე ნაჭედობასა და განწყობილების სიწრფელესთან ერთად გვაოცებდა დიდი მხატვრული ტაქტი და ზომიერების შეგრძნება სალებავების გამოყენებისას.

ამიტომაც შოპენჰაუერული დებულება: სამყარო არის ჩემი წარმოდგენა – მხატვრის განცდაში ისე გატარდებოდა, რომ პოეტურ სინამდვილედ გადაიქცეოდა.

მოიშველიებდა ამერიკელი პოეტისა და კრიტიკოსის მარკ ვან დორენის სიტყვებს:

– ფროსტი ფილოსოფიური პოეტი გახლდათ, რაც მისი გაგებით ნიშნავდა ღრმა და ფაქიზი გულის შერწყმას ინტელექტთან, რომელიც მუდამ დაეძებს ღრმა აზრს ცხოვრებაში.

და დასძენდა, რომ:

აზრის უპირატესობა როდი ნიშნავდა ლექსის ემოციურ გაღარიბებას.

და ფროსტის შეხედულებათაგან შეარჩევდა ერთ მხარეს, რომელიც ყველაზე ნიშანდობლივად და სავსედ წარმოსახავდა მისი შემოქმედებითი ლაბორატორიის არსებით ნაკადს.

ლექსი რომ იწყებოდა აღტყინებით და მთავრდებოდა სიბრძნით, მისი განვითარების გზა მაინც რას აგონებდა პოეტს?

რას და... სიყვარულისაგან არც განირჩეოდა. და მერე წყრავინ მოჰყვებოდა მტკიცებას, რომ ექსტაზი შესაძლოა ყოფილიყო სტატიკური და გაჩერებულიყო ერთ ადგილას.

ასე რომ:

ის იწყებოდა აღტყინებით, შემდეგ მიელტვოდა პირველად იმპულსს, ლებულობდა მიმართულებას, რომელსაც მას მიანიჭებდა პირველი ფრაზა, გაივლიდა ბედნიერ შემთხვევათა წყებას და მთავრდებოდა ცხოვრების კლარიფიკაციით, ანუ გასხივოსნებით, ოღონდ არათუ დიდი გასხივოსნებით, რომელსაც ემყარებიან სექტები და რელიგიური კულტები, არამედ გაურკვევლობისადმი წუთიერი დაპირისპირებით...

და ესეც მოხდენილი შეჯამება ამ დაწურული, ბევრისმიმანიშნებელი მსჯელობისა:

ის პოულობს თავის აზრს თავისსავე მსვლელობაში, მოელის მას რომელიმე ფინალურ ფრაზაში, რომელიც ბრძნული იქნება და თან სევდიანიო.

და შეპირისპირებით შეუპირისპირებდა ტომას სტერნზ ელიოტის მხატვრულ-ესთეტიკურ მეთოდს იმ გარემოების წარმოსაჩენად, რომ:

თუ იგი ცდილობდა, ეპოვნა აზრის ემოციური ექვივალენტი, ფროსტთან შეიმჩნეოდა საწინააღმდეგო ცდა: ემოციის აზრობრივი ექვივალენტის პოვნისა.

კიდევ ერთ გამორჩეულ ლექსზე – „დასავლეთისაკენ მიმდინარე ნაკადული" – აღნიშნავდა, რომ:

ის აირეკლავდა ფროსტის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ერთ მხარეს. გვევლინებოდა ევოლუციონისტ-დიალექტიკოსად, რომელიც აღიარებდა განვითარების უწყვეტლობას. ჰერაკლიტე ეფესელი სამყაროს განვითარებას რომ განიხილავდა წინააღმდეგობათა მუდმივ ბრძოლად, და მიიჩნევდა, რომ: შეუძლებელი გახლდათ ორგზის შესვლიყავი ერთსადაიმავე ნაკადში, ამას ემთხვეოდა ფროსტის მიერ ნაკადულის გამოყენება ყოფიერების სიმბოლოდ. ხოლო ჰერაკლიტე წინააღმდეგობებს რომ განიხილავდა ერთიანობაში და სიკვდილს უიგივებდა სიცოცხლეს, ჰადესს კი – დიონისეს, ამ ლექსშიც ეს შეხედულება და განწყობილება იტრიალებდა, ამგვარად რომ უნდა შეკრულიყო კომპოზიციური ჩარჩო:

ჩვენი სანუთროს უკუსვლაა – საათის წინსვლა,
მზის უკუსვლაა – წინსვლა ისევ ნაკადულისა,
არსებობს ძალა, რომელიც თვით მზის სვლას წარმართავს.
ეს არის ბიძგი სათავისკენ უკუგდებისა,
საწინააღმდეგოდ დინებისა, რომელშიც ჩვენ ვართ,
დინების ხარკი, მიტანილი სათავისადმი, –
აი, ეს არის ბუნებაში ჩვენი საწყისი
და ჩვენი არსიც უმთავრესად.

ამერიკელი კრიტიკოსი ლორენს ტომპსონი თავის წიგნს ფროსტის შესახებ სათაურად რომ დაარქმევდა „ცეცხლსა და ყინულს", ზვიად გამსახურდია მიადევნებდა, რომ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს დანყვილება მართლაც რომ შესანიშნავად ასახავდა ფროსტის შემოქმედების არსს.

და თვალსაჩინოებისათვის გაიხსენებდა ამავე სახელწოდების ლექსს – „ცეცხლი და ყინული“ – ოსტატურად შემზავებელს ტემპერამენტის მგზნებარებისა გონებისმიერ „ყინულთან“:

ერთნი სამყაროს დასასრულად ცეცხლს გვიქადიან,
მეორენი – გამყინვარებას.
როცა ვახსენებ, თუ რა მწადდა და რა მწადიან,
ვემხრობი მათ, ვინც აღსასრულად ცეცხლს გვიქადიან.
მაგრამ თუ ორგზის შეგვეხსნება ნგრევის კარები,
მე სიძულვილსაც კარგად ვიცნობ, ახლა რომელიც
მაფიქრებინებს, რომ ნგრევისთვის გამყინვარება
ძალა არის არანაკლებ განუზომელი.

სხვა ამერიკელი კრიტიკოსი კლინტ ბრუკსი ფროსტს რომ დაუპირისპირებდა სხვა თანადროულ პოეტებს – მაკლიშს, ოდენსა თუ ტეიტს – და მას რეგიონალისტად და ტრადიციონალისტად მოიხსენიებდა, ზვიად გამსახურდიას როგორ არ უნდა გაებათილებინა ეს უმართებულო განსაზღვრება „რეგიონალისტისა“, მერე რა, რომ ფროსტის პოეზია შემოფარგლულიყო მხოლოდ ნიუ ინგლანდის თემატიკითა და განწყობილებებით.

ეს ყველაზე ტრადიციული პოეტი გარეგნულად თუ მოჩანდა რეგიონალისტად, რადგანაც მისი პოეზია სცილდებოდა ვიწრო ადგილობრივ პრობლემატიკას და აღწევდა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობამდე. ნიუ ინგლანდის თავისებურებით იგი იფარგლებოდა გამომსახველობით საშუალებებში და არა პოეტურ აზროვნებაში, რადგანაც რობერტ ფროსტი გვევლინებოდა ერთ-ერთ უდიდეს ნოვატორად თანადროული პოეზიისა.

აქ აღარ ჩართავდა, მაგრამ გუნებაში უსათუოდ გაივლებდა:

ამ ქკუის კრიტიკოსმა ვაჟა-ფშაველა რომ წაიკითხოს, ისიც რეგიონალისტი ეგონებაო.

* * *

ოლესია თავაძის სულიერი ძიებანი უშუალოდ გადაეჯაჭვებოდა მისი ცხოვრების წესს და ამიტომაც დასახლდებოდა სოფლად, რათა ცვრიან ბალახზეც გაევლო ფეხშიშველად, ბალახთა ჩქამისთვისაც მიეგდო ყური, ხეთა ჩურჩულიც ეგრძნო, ნაკადულის ბუტბუტიც განეცადა და ცხოველებიც თვისტომებად შეეგრძნო.

და ამ გადასახედიდან სულ სხვაგვარად აღექვა თუნდ ჭრიჭინაც, როგორც აუცილებლობა, ურომლისოდაც ბოლომდე ვერასოდეს შეიგრძნობდი, თუ რა არის სახლი და რა არის სავარი.

ამ შეუხედავ მწერს ისეთი ხმა მოსდგამდა, შუაღამეს თუ დასცხებდა, ძილი აღარც გეწერა. იჭრიჭინებდა და იჭრიჭინებდა, ვიდრე არ გაგაყრუებდა. ხმას მიაგნებდი და მონახავდი თუ რა?!. მის ქკუაზე უნდა გევლო და, ვიდრე შენი სახლი მობეზრდებოდა, მისი სოლო კონცერტები გესმინა. სამაგიეროდ... როცა ჩუმდებოდა, როგორი მყუდრო ხდებოდა სახლი, როგორი უძირო სიჩუმე ისადგურებდა, როგორი არაამქვეყნიური.

ამ უძირო სიჩუმეში რომ იძირებოდა, ამიტომაც აჰყვებოდა იდუმალ ხმებს არა მხოლოდ ფერმწერად და გრაფიკოსად, არამედ მწერლადაც, მინიატურების ჟანრშიც რომ ჰპოვებდა თავს და ზედიზედ გამოაქვეყნებდა ორ ჩინებულ კრებულს: „სევდიანი ჩანაწერები“ და „კაკლის ქარები“ – ვაჟა-ფშაველას თავისებურ შვილობილადაც რომ წარმოგვიდგებოდა, რადგანაც შეძლებდა, თვითონაც შინაგანად განეცადა პირველქმნილი სამყარო, დაკარგული სამოთხის მოლანდება – ჩინდიასებურ ჯუნგლებში გახვეულს.

მის ერთიბუნო სახლში თუ შეიხედავდი, თვალის ერთი გადავლებით მოგეჩვენებოდა, მარტო ცხოვრობსო – მისი ორი ძაღლი და თვითონ. მაგრამ მთხრობელი თუ კრებულის ლირიკულ გმირად გარდასახული ავტორი ასე სულაც არა ფიქრობდა და ანკი რატომ იფიქრებდა, თუ ღამით თუნდ თაგვების ხრაგუნი არ აძინებდა.

რა მარტო ცხოვრება და რომელი მარტო ცხოვრება, როდესაც:

დილით კოდალას კაკუნი შეგაფხიზლებდა, დღისით ჩექმაში ხვლიკი გიძვრებოდა, ეზოში ბაყაყები ყიყინებდნენ, გომბეშოები ბანს აძლევდნენ, ზღარბები დაბუჯგუროდნენ, თავზე სინდიოფალების ოჯახი „გადაგიფრენდა“, თივის ზვინში ანკარა მიჩუმდებოდა, მინაში თხუნელა და მახრა ჩაბუდებულიყვნენ, ქის კედლებზე და ბალახებში ლოკოკინები და მუხლუხოები დაღოღავდნენ, აივნის ჭერზე ბზიკების სკა მოთავსდებოდა, სახურავქვეშ მერცხლის ბუდე შეეკიდებოდა, ხის ბოძებში ჭიები დაღრიჭინებდნენ, სახლში ჭრიჭინა ჭრიჭინებდა, მაგიდაზე ჭიანჭველები ცოცავდნენ, ობობას ქსელში ქინქლები თრთოდნენ, ჭიამაიები და პეპლები დაფარფატებდნენ.

ხილი რომ ხილია, იმასაც მოწყვეტდი და... იქაც ჭია-მატლი დახვდებოდა. თითქოს შენი სტუმარი არ გეყოფოდა!..

ცისფერთვალება და ფერმკრთალი გოგოები, შავთვალა ბიჭი, მასპინძლის ძაღლებით დაინტერესებული გალმელი პირები (ღობის ძირას რომ იწვებოდნენ), ციყვები და შაშვები (თითქოს თაგვი და სინდიოფალა კაკალს ვერ გაუსწორდებოდა), ღამღამობით ბუ (გეგონება თაგვების ხრიგინი უძილობას არა ჰყოფნიდა); ჩაიზე კიდევ ფუტკარი დაგეწვეოდა (აბა, ბზიკს ხომ არ იკმარებდი), კალიები გახტებოდნენ, ნემსიყლაპიები დაგტრიალებდნენ, ციცინათელები შემოგანათებდნენ, ქორი „შემოწმებით“ გადაგიფრენდა, ბეღურა ხეხილს დაგიკენკავდა, ბუზი, კოღო და ათასგვარი ხოჭო ხომ თავისთავად. ის კი არა, კუც ფეხს გამოჰყოფდა საიდანღაც და ერთხელ ისიც გესტუმრებოდა.

ეს ყველაფერი – ეზოდან გაუსვლელად.

და ეზოდან თუ გახვიდოდი, ხომ მთელი ქვეყანა შენი საკუთრება უნდა შექმნილიყო.

და ახლა რაღა გათქმევინებდა, ამ სახლში ვინმე მარტო ცხოვრობსო!..

თითქოსდა ისეთიც რა – ბოლოსდაბოლოს სად აღარ მოიპოვება ეს ყოველივე... მაგრამ მარტოობის განცდას თავისთავად კი არ აქარვე-




ბენ, არამედ მხოლოდ იმ უწყეული მადლისა და ხედვის წყალობით, ყოფითობა ზღაპრული იერით რომ იმოსება და უკვე აღარც ის გაგიკვირდება, მწერებიც, ფრინველებიც, ცხოველებიც თუ ალაპარაკდებიან, ზღაპრულ იერს კი აძლიერებს ფაქიზი, დახვეწილი ინტონაცია, ის ინტიმური ნოტები, ამ თავისებური, მომხიბლავი სამყაროს კარს რომ შეგიხსნიან.

რაო, სიტყვა „მინური" ისე გაისმის, გეგონება უსახსროს, უსაძლკაროს ბოლო თავშესაფარია, საბოლოო თუ არაო?

და ჩვენ გარშემო, ერთი-ორი ადამიანის გამოკლებით, ვერც ვერავის მოვიძევებთ, ქართული მინური ვისაც შეიძლება ენახოს?

მთხრობელს მინური საგანგებოდ უნდა ეძებნა და მესხეთის ერთ მიგდებულ სოფელში ენახა, ეგაა, პატრონს ისე ერცხვინებოდა და ფეხსაც ითრევდა შეპატიჟებაზე, თითქოსდა სალორეში ეცხოვროს.

პირველი სივრცე – დარბაზისებური ბაგა უნდა ყოფილიყო.

სიცივიდან შესული სტუმარი ჯერ ძროხების სუნთქვას უნდა გაეთბო, შეჩერებულიყო და, ცნობისწადილით შეპყრობილს, დანარჩენი ოთახები შემოერბინა. და ეგრძნო, რომ: ოთახიც, კედელიც, ჭერიც ამ შეგრძნების ფონზე ისეთ პროზაულ ცნებებად ქცეულიყო, ისეთ მიუსადაგარად...

მაინც, მაინც რას უნდა მისადაგებოდა აქაურობა?

რას და:

ბიბლიურ სივრცეს, სწორედაც და უთუმცაოდ ბიბლიურს ამიტომაცაა:

ასჯერ მოყოლით ყოველთვის რაღაცას რომ მოახერხებ, ოღონდ მინურის აღწერას – ვერა. და მასხავლივით თუ ჩაგესმოდა ყურში: დედაბოძიც, ბოროჯლალიც, პალატიც, გუმბათოვანი გადახურვაც...

სტუმარი ბაგაში უნდა დაბრუნდეს, და იქ სამი ნაკე ძროხა ისეთი აუღელვებლობით უნდა იცოხნებოდეს, როგორც... ორი ათასწლეულის წინათ.

და ისეთივე სიმშვიდე სუფევდეს და მოლოდინი ახალშობილისა და თაყვანისმცემელ მოგვთა ძღვენებისა.

და უნდა აღიაროს, რომ:

არსად ისე არ განეცადა, არცერთ საგანგებოდ სამაგიათ სივრცეში, დროის უწყვეტობა და სულდგმულთა სამკვდრო-სასიცოცხლო ერთიანობა, როგორც აქ, ამ დიდებულ ქართულ მინურში.

შეუძლებელია შეიგრძნო მიწიერის იდუმალი ძალმოსილება და სილამაზე, შეუძლებელია შეიგრძნო დროის უწყვეტობა, შეუძლებელია შეიგრძნო ბიბლიური სამყაროს სუნთქვა და მოლაპდებოდა იესოს შობა, რომ არა გაუნელებელი სწრაფვა პირველქმნილებასთან საზიარებლად და ყველა სულდგმულის მიღებისა თვისტომად, თავის კარ-მიდამოში მძაფრად რომ განეცადა თაგვების ხრაგუნით თუ ქინქლების თრთოლვით თუ ციცინათელების გამოსხივებით თუ ჩაიზე ფუტკრის სტუმრობით... თუ... თუ... თუ...

ყოფითი რეალობა გაცილებით უფრო მკაცრია და არ გაცლის პირველქმნილებაში ჩაძირვას?

და ხილვათა და ილუზიათა გასაფანტავად ჩაგჩიჩინებს, რომ ყველაფერს თავისი მეცნიერული ახსნა მოეპოვება: ბოლოსდაბოლოს სიყვარული ჰორმონებისაა, შიში – ადრენალინის, დაუნდობლობა – ალბათ ვიტამინების მოჭარბების, ნათება – ელექტრობის, ციცინათელას შემთხვევაში – ფოსფორის?..

მაგრამ ხილვათა და ილუზიათა სამყაროში შებრუნებას თუ ესწრაფი, არაფრის დაჯერება არ გინდა და:

ღამის წყვდიადში ცის კაბადონის ამარა მიტოვებული ებღაუჭები იმ რწმენას, რომ მარტო არა ხარ და პატარა ციცინათელა გზას სწორედ შენ გინათებს...

ყოფითობის სიმკაცრეა, ის კურდღლები, მელიები, ტურები და ფოცხვერები რომ გაქრებოდნენ, სოფლის დაფუძნებამდე მის ოდას რომ აკითხავდნენ ხოლმე.

ერთადერთი ეულად შველიდა უნდა მოსულიყო – მორიაბლის აჩრდილივით, მფრთხალად გარინდებულიყო და ისევ გამქრალიყო ხოლმე.

და ნელ-ნელა ყველა რომ გაიკრიფებოდა, აღარც შველის გაუჩინარებას უნდა გაეკვირვებინა ლირიკული გმირი.

მერე უნდა ეთქვათ: ის შველი შენი მეგობრის მამას მოუკლავსო, – და თუ რაიმეს ინატრებდა: ნეტა არ იყოს მართალიო.

აღარ ჩაეძიებოდა, აღარ გაჰყვებოდა კვალს: ვაითუ, მართალი გამომდგარიყო?!.

მაგრამ მთავარი ისაა: რომ არა მკელელის ჩარევა, შველს აქაურობას სხვა ვერაფერი მოსწყვეტდა, კვლავაც და კვლავაც აჩრდილივით რომ მოევლინებოდა ვაჟა-ფშაველას სულის ნაფურით აღვსილ მთხრობელს, მერე სულაც რომ გაუშინაურდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოდა და მის ხელიდან ლუკმასაც შეირგებდა და წყალსაც შესვამდა.

ეს ყოველივე აწ უკვე მინიატურის მიღმა დარჩენილა, მაგრამ სადღაც, შორეულ სივრცეში ხომ მაინც კრთის ეს სულიერი ერთიანობა-თანაზიარობა, ამგვარი შეხვედრის გარდუვალობა ადამიანისა და შვლისა.

ერთ მინიატურაში ალბერტო ჯაკომეტის მოსაზრებას რომ გაიხსენებდა:

– ალმოდებული სახლიდან, არჩევანი რომ მქონდეს – კატა გადავარჩინო თუ ლეონარდოს ტილო – კატას გადავარჩენდი.

იმიტომ, რომ ეს მოგონება მიედევნებინა:

მოსკოვში, ორკესტრთან ერთად რომ უნდა დაეკრა, ჯაკომეტის რეპეტიციაზე აგვიანდებოდა და – იღბლად თუ არაიღბლად – გზად ძაღლს უნდა გადაჰყროდა, ცხვირის ირგვლივ ქეციანი მავთული რომ შემოჭეროდა.

და ყოველივე მოხდენილი და ღრმააზროვანი ფინალური აკორდით უნდა დაგვირგვინებულიყო:

– ამან, გზად მიმავალს, ცხოვრების გზაც შეუცვალა.

ქვეტექსტში ძნელი არ არის ამოკითხვა, მთხრობელი ჯაკომეტის ადგილას საკუთარ თავსაც რომ შეჰყურებს და ეჭვიც არ ეპარება, თვითონაც ასევე რომ მოიქცეოდა. ეს ძალიან, ძალიან ფარულად უნდა ვიგრძნოთ, რადგანაც უფრო მკვეთრი მინიშნება მინიატურას ჩვეულებრივ ჩანაწერად აქცევდა, პუბლიცისტური ყაიდისად, თავისი მნიშვნელობა მასაც რომ ექნებოდა, მაგრამ გაფერმკრთალდებოდა მხატვრული სიტყვის ძალა, ამჯერად გულს რომ გვიჩქროლებს.

იდუმალად რობერტ ფროსტის არსებობასაც ვგუმანობთ „სევდიანი ჩანაწერების" კითხვისას?

გუმანი გუმანად, მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, აშკარად არ გაცხადებულიყო ეს გვარ-სახელი, ორი რკალისაგან შემდგარი ციკლის მეორე ნაწილს – „გადამცდარნი" – სწორედ ფროსტის სტრიქონები რომ უნდა ნამძღვარებოდა ეპიგრაფად:

– ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ყველაზე უარეს საუკუნეში მოუწიათ ცხოვრება. ვერ ვიტან ასეთ ლაპარაკს. არ ვიცი, რა არის პროგრესი, მაგრამ ის ნამდვილად ვერ გაგვიადვილებს უმთავრესს – ამქვეყნად ჩვენი სულის გადარჩენას...

ოლესია თავაძე არამარტო თავისი სულის გადასარჩენად იზრუნებდა, არამედ იმ შეგონებისა თუ მსოფლგანცდის გასაზიარებლადაც სხვათათვის, პირველქმნილებასთან მიახლოება რომ იწვევს, არა ტურისტული მიმოვლა გზაბილიკებისა, არამედ ბუნების წიაღში ჩაძირვა და შიგნიდან შეგრძნება მინდიასეული სულისა, რათა ის მადლი გადმოგედოს და დროდადრო მაინც ძალუმად შეგახსენოს თავი ურბანული გარემოს ტყვეობაში მყოფს, კაენური ცივილიზაციიდან აბელური ცივილიზაციის ნასხლეტები განგაცდევინოს და გაუსაძლისი ყოფა დროდადრო მომხიბლავი ფერადებით აგივსოს ხოლმე.

და თუნდ ჩანჩქერს მიახლოებული წყლის გუბეში, კლდოვანზე დანარცხებულ მგელს რომ გადაეყრები, უკვე იერშეცვლილსა და უხიფათოს, მარტოდენ იმას კი აღარ გაიფიქრებ: ნეტა ფეხი შეეშალა თუ უფსკრულის თავზე ანგარიში გაუსწორესო? და ნეტა რა გაუხსენეს – ორი ბებერი ძაღლი და მჭლე ბურვაკიო? – უკვე ის შეგრძნებაც გაგიჩნდება:

ის მგელი ხომ არ არის, მონადირეებმა ბუნაგში ლეკვები რომ ჩაუხოცეს და აღარ ეცხოვრებოდაო?!.

* * *

მოსინჯავდა თავის დროზე ჭაშნიკად ზვიად გამსახურდია ედგარ ლი მასტერსის პოეზიის გვირგვინს: „სფუნ რივერის ანთოლოგიას", ათწლეულთა შემდგომ ქარდა ქარდუხი თავით ბოლომდე რომ აამეტყველებდა ქართულად და კიდევ ერთ ჩინებულ პოეტურ კრებულს შესძენდა ჩვენს მთარგმნელობით ლიტერატურას, დასტურად და დასამტკიცებლად: ლექსიც რომ შეიძლება გახმიანდეს სხვა ენაზეც სრულფასოვნად, დიდი მწერლის მადლს რომ გადმოიყოლებს.

და ზვიად გამსახურდიას მიერ ასევე ჭაშნიკად მოსინჯულ რობერტ ფროსტის ლირიკულ დღიურსაც კვლავ ქარდა ქარდუხი გამოუჩნდებოდა გამგრძელებლად (ნუ გამოგვრჩება ლია ჯაყელისა და ეკა ქართველიშვილის საგულისხმო ცდებიც) და – ღმერთმა ინებოს – ეს ორიოდე ნიმუში ორიოდე ნიმუშად არ დარჩეს და რობერტ ფროსტიც მასტერსზე არანაკლები შთამბეჭდაობით წარმოდგეს ქართულ ენობრივ და კულტურულ სივრცეშიც.

ჯერ მხოლოდ ფროსტის შაშვი გადაუფრენდა ჩვენს პოეტურ ცას, შიმწუხრისას თითქოს სადმე ჩუმად მოყუჩება უჯობდა, მაგრამ რატომღაც იურჩებდა და კვლავ გალობა ენდომებოდა. მზის ნაბოლარა სხივი ზღვისას რომ გაანათებდა სკნელს, შაშვს ენდომებოდა გზნებით სტვენა უკანასკნელი. სვეტზე დაყრდნობილ მრუმეს შაშვის სიმღერა გასდევდა, თითქოს შავეთი უხმობდა და ნაღველს ამიტომაც ვერ იოკებდა. ხოლო ლირიკული გმირი, ტყისპირს შემდგარი და შაშვის სტვენა-გალობას მიყურადებული:

მე კი არავინ მიხმობს,
ვუმზერ ვარსკვლავებს ბნელში.
მაგრამ რომც მიხმოს ვინმემ,
მაინც არ შევალ ტყეში!

ჯერ მხოლოდ ფროსტის ყვავი გადაუფრენდა, გზად მიმავალს თოვლის ნაფქერს რომ ჩამოაბერტყავდა თავზე და... კიდეც შეუცვლიდა განწყობას, გულზე რომ მოეშვებოდა თითქოს:

იმ მოჟამული დღისგან
მაინც შემომრჩა სითბო.

ტყეში შეჩერება ხომ საერთოდაც დასჩემდებოდა, ეგაა: ამ ტყის პატრონი, თუმც სოფლად ედგმეოდა სახლი, ვერ მიხვდებოდა, ლირიკული გმირი აქ რატომ გარინდდებოდა: დათოვლილ ტყეში ღამის გუშაგად.

უცნაურობად კი ჩამოართმევდა ცხენი აქ ყოფნას – სახლს არ აგონებდა არაფერი, ამ შუა ტყეში, გაყინულ ტბასთან წლის ამ ყველაზე უმ-აცეს ღამეს. ზანზალაკებსაც ააჟღრიალებდა, რათა

პატრონისათვის ასე ეკითხა: რაიმე ხომ არ გეშლება? – და გაისმოდა მხოლოდღა სუსტი შრიალი, ქარისა და ფიფქის თოვლს რომ ეძლებოდა.

ტყე საყვარელი ღრმა და მრუმეა,
მაგრამ პირობას სიტყვა მივანდე,
და უტევანებს გავლით ძილამდე,
და უტევანებს გავლით ძილამდე.

ეს ორიოდ ნიმუში ორიოდ ნიმუშად არ დარჩესო...

ჯერ აქამდეც დაიგვიანა რობერტ ფროსტის სრულფასოვანმა შემობიჯებამ ქართულ გარემოში, ამ მხრივ მთარგმნელებს მხატვარი რომ წაუსწრებდათ და გრაფიკული სერიის ალბომით ერთხელ კიდევ დაადასტურებდა ამ აუცილებლობას.

* * *

„აევდიანი ჩანაწერები" რომ გამოვიდოდა, სოფელში გაიგებდნენ: ზოგიერთები წიგნში ვართო. და აი, მემაწვნეს სოფლელი ბიჭი მოჰყვებოდა, საუკეთესოდ გამოწყობილი. ჭიშკართან ბალახზე ჩამოსხდებოდნენ ის და მასპინძელი, სტუმარი ერთხანს მორცხვად რომ მიაჩერდებოდა და მერე ჰკითხავდა:

– კოლას შვილიშვილი მე ვარ წიგნში გამოყვანილი თუ სხვა არის?

თურმე კოლას ბევრი შვილიშვილი ჰყოლოდა... და ავტორს რა უნდა ეთქვა?..

ერთს გაიფიქრებდა მხოლოდ:

რამდენი ვინმეს ვალი მაქვს – დაუვიწყარის, უსახელოსიო...

ვალის შეგრძნებაც უბიძგებდა ამ ახალი კრებულის შექმნისათვის „კაკლის ქარები", კვლავაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა" რომ ითავებდნენ მის გამოქვეყნებას „აევდიანი ჩანაწერების" გამოცემიდან – 2010 წელს – სამი წლის თავზე.

აევდის განწყობილება აქაც კანთიელად უნდა გადმოსულიყო, და კომპოზიციური ქარგაც კვლავინდებურად ზღაპრის იერით ალბექდილი სახლის ძებნით უნდა დაწყებულიყო, ანუ ბავშვობის სახლის: მზიანი ოთახების, ლამაზი ეზოსი, თივის ზვინის, აშოლტილი ალვის ხეების, შორს – ვენახების, შორის შორად – ალაზნის, თეთრი მწვერვალებისა და ძვირფასი აჩრდილების...

და მის სანაცვლოდ უნდა ეპოვნა სახლი... საბრალო, ოთახები – ღარიბი, ეზო – მივიწყებული, ზვინის სანაცვლოდ, – ნაგავსაყრელი, ალვის ხეები – გამხმარი, შორს – ვენახები გაჩეხილი, შორის შორს – ალაზანი და თეთრი მწვერვალები.

აჩრდილი კი... აჩრდილი თვითონ მთხრობელი უნდა ყოფილიყო.

აბა და!.

არაერთი მოტივი უნდა განმეორებულიყო – გაღრმავებულიყო თუ თავისებური სხივები შემატებოდა ამ ახალ ციკლში, და მათ შორის შველსაც კვლავ უნდა შემოენათებინა ერთიბეწო მინიატურაში „საწნუხარიდ", ამ ერთადერთი წინადადებისაგან რომ შედგებოდა:

– ...ჩემი სოფლის მიდამოებში შველი უნახავთ...

რევაზ ინანიშვილს რომ ემარჯვებოდა ამგვარი ერთიბეწო მინიატურები, ერთწინადადებიანები, მაგრამ დასრულებულები, ოღესია თავადეც შეძლებდა ერთი ფრაზით ბევრის დატევას. და შველის ნახვა კი რატომ უნდა იწვევდეს წუხილს და არა სიხარულს?

რა დიდი მისახვედრია, რომ მას თავის ნებაზე არავინ გაუშვებს, ბუნების სილამაზის სიმბოლოდ არავინ აღიქვამს და ისევე გამოუყვანენ ნირვას, როგორც მის წინამორბედს. და სწორედ ეს გარდუვალი განწირულება იწვევს მთხრობელის გულისწუხილს.

ხოლო „კაკლის ქარები" – მინიატურა, რომლის სათაურიც კრებულის საერთო სახელწოდებად შეირჩეოდა – ნისლიანი შემოდგომის სურათით უნდა დაწყებულიყო, წინ გასახედზე მეტი უკან მოსახედი რომ გახლდათ.

კაკლის ცვენის ჟამი დამდგარა და სხვა საფიქრალი აღარც აქვს ლირიკულ გმირს: ეს თუ კარგია, გულიანი, ის ჭიის ბუდეა, ეს ფუტუროა, ის – კერკეტი; ეს – ლამაზი, მრგვალი, ის – ნამიანი, უშნო.

და თითო-თითოს რომ ეახლები, ქუდს უხრი და კიდევ ანაწილებ: ეს თუ ახლობელს, ეს – შორებელს, ეს – მეგობარს, ეს – მეზობელს, ეს – მთის გადაღმელს, ესეც ისე...

ფიქრს გინდა გაჰყვე, მაგრამ ძალლის – ორივე კრებულის ყველაზე ძმირი პერსონაჟის – ყმუილმა უნდა მოგაბრუნოს, ზამთრისპირი რომ უჭირს მიტოვებულს, და ყველასაც უჭირს და კატასაც, ძუკნასაც ენატრება სითბო და მოფერება...

ცვივა კაკალი და ასდევ ამ ცვენას განაწილებით: ეს თუ ახლობელს, ეს – შორებელს, ეს – მეგობარს, ეს – მეზობელს, ესეც ისე...

და ამჯერად, ფინალურ აკორდად კიდეც უნდა გაიხსნას მანამდელი ნართაული, გამჭვირვალე მინიშნებაში ნაგულისხმევი, მაგრამ პირდაპირ გაუცხადებელი:

– სიყვარულისა...

იმ სიყვარულისა, ასე რომ შემოგვძარცვია და ლამის პირწმინდადაც გაგვიქრეს, მაგრამ ლიტერატურის მდინარებაში მაინც შენარჩუნებულა მისი ძარღვი და შენარჩუნებულა ისეთ შემოქმედთა წყალობით, ოღესია თავაძეც რომ წარმოგვიდგება.

სიყვარულის გამოსხივებაა თუნდ კაკლის თემის გაგრძელებაშიც, მთხრობელი მთელი არსებით რომ ჩაფლულა კაკლების ნამოკრეფაში, თითქოსდა რიტუალს ასრულებსო: ზოგი შორი-შორსაა და ზოგიც ახლო-ახლოს, ორ-ორად. ამასობაში დიდ სარეველა ფოთოლს წაჰკრავდა ფეხს და ფოთლის ქვეშ ექვსი კაკალი უნდა აღმოჩენილიყო მწკრივში ჩანყობილი!.. გაეხარდებოდა, ხელს დააელებდა და თავისებს მიუმატებდა. მეექვსე ხვრელში იქნებოდა გაჭედილი, მაგრამ მასაც ამოიღებდა, არ დატოვებდა.

შინ მობრუნდებოდა, ჩაის ჭიქას მიუჯდებოდა და...



ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად უნდა შერცხვენოდა.

შერცხვენოდა და იქვსივე უკანვე დაებრუნებინა თავისა თუ თხუნელასათვის, სად ერკვია, რომელს შეეხახა.

ხომ მიუტანდა უკანვე პატიოსნად, მაგრამ ამის გახსენებაზე მაინც ყოველთვის სირცხვილი უფლებოდა.

ამ მინიატურის – „ქქვსი კაკალი" – ადგილი სასკოლო ქრესტომათიაშიცაა, ისევე როგორც ოლესია თავაძის სხვადასხვა ლირიკული ჩანაჩატი სხვადასხვა კლასშია გადასანაწილებელი.

აგერ თუნდ „პეპელა", სიმარტოვის განცდით გათანგული, გასაოცევად რომ მშვიდა ხარ, მაგრამ დაძვრით არ იძერი, აქეთ ელოდები ფეხის გადმოდგმას, თითქოს ქვეყანას ეჯიბრებოდე, შენი ვალი ჰქონდეს და აჯობებდე.

საშველის ძიებისას თაროზე შემოდებულ მძიმე ფოლიანტს უნდა წაუწვდინო ხელი და მტვრიანი „დონ კიხოტ ლამანჩელი" წიგნების წყებიდან გადმოიღო. და... ყდაზე ფქვილივით დაყრილ მტვერში ფრთამოკეცილი ღამის პეპელა უნდა იწვებოდეს და მშვიდად ილოდეს. წიგნის შერხევაზე შეფართხალდებოდეს, ძიმედ აფრინდებოდეს, იქვე სკამის ბალიშზე დაეშვას, მერე ერთხელაც აიწიოს ფრთები და საწერი მაგიდის ქვეშ დაეცეს.

და მთხრობელს ასე მოულოდნელად უნდა აღმოეჩინა, რომ:

იღბლად, სერვანტესის მტვერში გართხმული, რა ბევრად ლამაზი უნდა ყოფილიყო ქვეყნის აურზაურზე...

თუნდ აგერ „სიყვარული", შეყვარებულები ეზოს მოგრძო სკამზე რომ სხედან, სკამის ირგვლივ დაყრილ ნაგავში: პლასტმასის ჭიქები, ლუდის ბოთლები, სიგარეტის ნამწვავები, ნახმარი შპრიცები, ღომის კუდები...

ფონის სრულიად კონტრასტული უნდა იყოს ის სიტყვები, რასაც – მთხრობელის რწმენით – რაიმე ამდაგვარს უნდა ეუბნებოდნენ ერთმანეთს შეყვარებულები, ნატრობს, რომ სწორედ ეს სიტყვები ხმიანებდეს:

– გულზე ისე მამჩნევიხარ, ვით უვალ თოვლზე ანგელოზის ნაკვალევი...

სიყვარულის ძველმოდური გამჟღავნებაა?

დაკნინებული ზნეობისა და წაბილწული ოცნებების გარემოში მართლაც ასე თუ აღიქმება ის, რაც მარადიულია, წარუვალი, შეუბღალავი, და რამაც კვლავ უნდა დააბრუნოს ადამიანთა გულებში სასოება და რწმენა უფლისა, რომელიც ჭეშმარიტი სიყვარულია.

აგერ თუნდ „ფოთოლი", რომლის მთავარი გმირიც, ფოთოლი შემოდგომისა, კოშმის ხეს ეულად შერჩენია, შიშველ ტოტზე ნარინჯისფრად ანათებს და ნიავის ყოველ წამობერვაზე შიშით თრთის. ცოტაც და... ნოხადქცეულ თავისიანებს ნელი ფარფატით უნდა შეუერთდეს.

და მთხრობელი სუნთქვაშეკრული რომ მისჩერებია, რაღაც ჰამლეტურის მაგვარისაკენ იხრება მისი ფიქრი-შეკითხვა, თუ რა შეიძლება ამჯობინოს ფოთოლმა:

ტვირთი უკანასკნელი მოპიკვანისა თუ ფეხებქვეშ ყველასთან ერთად შრიალი?

აგერ თუნდ „ჭა", მთხრობელი რომ ვერ ისვენებდა, მის ეზოში ვინმე შემოსულიყოს, მითუფრო ბავშვი, და ჭაში არ ჩაეხედოს, არცთუ ღრმაში, შვიდ მეტრს რომ არ ჩაცდებოდა, მაგრამ სავსებით იტევდა იდუმალებას და... წყალსაც, რა თქმა უნდა.

ამგვარი მახვილგონივრული ფრაზები ჩვეულებრივი მოვლენაა ოლესია თავაძის მინიატურებში.

ხოლო ჭა – ესაა ყოფით-გარეგნული სახით:

ირგვლივ მიწისპირზე რიყის ქვით შემოწყობილი, ალუჩის ტოტებით გადა[illegible], ალუჩის ყვავილ-ფოთლების ცვენისაგან [illegible] დამაგრებული თავსახურით დაცული, ოხინარის ნაგივრად – კვლავ ალუჩის ბრალით – ჭრიალა ბორბლიანი, ჯაჭვზე კარაბინით გამობმული სათლით, თავისი საპირწონე ტვირთით.

თავისი ჭის ამოთხრის, თავის ჭაში ჩასვლა-ამოსვლის ამბის მოყოლას მოინდომებდა მთხრობელი და... თავისას არ იკმარებდა და წაკითხულს გაიხსენებდა, გადაახალისებდა თხრობას, თომას მანის რომანის – „იოსები და ძმანი მისნი" – პროლოგს გადაიკითხავდა, სიმბოლოების ენციკლოპედიას ჩახედავდა და უდაბნოს უწყლობა დაემართებოდა: ნიაღსვლებით ჩატანილი, სიმბოლოებით დატვირთული სიტყვა მიატოვებდა.

სიტყვა და არა ჭა, მისი სინოტივე, მისი „წყლის სიღრმიდან მომზირალი წყლის თვალი".

მეტად სარისკოა და სახიფათო მინიატურაში ციტატის დამოწმება, რათა კრიტიკულ-ესთეტიკურ ჩანახატს არ დაემსგავსოს, მაგრამ ოლესია თავაძე – რევაზ ინანიშვილისა არ იყოს – არ გაურბის ამგვარ ჩანართებს, ის კი არა, საგანგებოდაც დაეძებს, რადგანაც ყოველთვის ახერხებს შესაფერისი ადგილი მიუჩინოს და ციტატა თავისი მინიატურის განუყოფელ, სრულუფლებიან ნაწილად აქციოს, მხატვრული ქსოვილი ოდნავადაც რომ არ დაზიანდება ხოლმე.

აგერ თუნდ „ახალი სიტყვა", ქალს გულს რომ არ მოუთმენდა, ნამგალს მოიმარჯვებდა, პურის ყანაში დიდი ხორბლის კონას მოჭრიდა, თავშავას ტოტს მიუერთებდა, გულში ჩაიკრავდა და ქმარს შესძახებდა:

– შეხედე, რა სილამაზეა, რა სიმშვიდე, რა იმედი! ცოდვად არ ჩამეთვლება, კონა რომ მოვჭერი, დავხატავ!

– მაგ ხორბლის კონას ხელეური ჰქვია, – მშვიდად უპასუხებდა კაცი. და კიდევ უნდა აღტაცებულიყო ქალი ამის გაგონებისას:

– ხელეური? არ ვიცოდი. რა საფიქრალი სიტყვაა...

იმ საღამოს ქალი თავის მეგობარს, ეთერს, ნნორში დაურეკავდა და გაუბედავი სიამაყით პირველად წარმოთქვამდა:

– ხელეური მოვჭერი.

და ნნორელი მასწავლებელი ამ სიტყვას სულაც არ გაიკვირვებდა:

– ყანა დაგითესიათ და ხელეურიც გექნებათ!

და მთხრობელი ამას რომ მოჰყვებოდა, წერითაც „ხელეური" პირველად უნდა დაეწერა ამ მინიატურაში...

ჩვეული მოხდენილი აკორდი. მთელი თხზულება ამ სიტყვის ირგვლივ რომ მოიქსოვებო-

და და ძალდაუტანებლადაც განზოგადდებოდა ქართული სიტყვის აპოლოგიად, იმ ნამდვილი, შეუმღვრეველი მეტყველების მონატრებად, ამგვარი სიტყვა-მარგალიტები უხვად რომ ცვიოდა, სიცოცხლით სუნთქავდნენ გლეხკაცების მეტყველებაში და სულაც არ ესაჭიროებოდათ ლექსიკონებში თავშეფარება ვიღაც მადლიანის ხელის შეხების მოლოდინში.

ეს სიტყვა მთელი თავისი სილამაზით დატრიალდებოდა სალიტერატურო მიმოქცევაში 1947 წლიდან, როდესაც ოთარ ჩხეიძე თავისი ეტიუდებისა და ნოველების პირველ კრებულს სწორედ ამ სიტყვით დაასათაურებდა: „ხელეური" – ოცი წლის თავზე კი კვლავ გამოიყენებდა საერთო სახელწოდებად მის მიერ შედგენილი ორიგინალური კრებულისა, რომელშიც სხვადასხვა ქართველი მწერლის დაწუნებული (რედაქტორებისა თუ ცენზურისაგან) მოთხრობები მოიყრიდა თავს.

სხვათა შორის:

ეს ის ოთარ ჩხეიძეა, რომლის ერთ-ერთი ნოველის სათაურსაც – „ნისლა" – ოლესია თავაძე საერთო სახელწოდებად შეურჩევდა მის მიერ შედგენილ ორიგინალურ კრებულს, სადაც მეიკრიბებოდა ქართველ მწერალთა ის ბელეტრისტული ქმნილებანი, ცხოველებსა და ფრინველებს რომ ეძღვნებოდა, დასურათებითაც დაასურათებდა თითოეულს და... ჩვენი ბევრწილად მოუწესრიგებელი საგამომცემლო ცხოვრების ბრალია, ეს გამზადებული დედანი – მისწრება ყველა თაობისათვის, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ახალგაზრდა მკითხველისათვის – შემდგენლის არქივში რომ ჩარჩებოდა უკეთესი დროის მოლოდინში.

დასურათებით ამ ორივე კრებულსაც – „სევდიანი ჩანაწერები" და „კაკლის ქარგები" – ავტორივე დაასურათებდა, წიგნის ერთი საუკეთესო ილუსტრატორი, ეს გამოცემები თავისებურ ალბომებსაც რომ დაემსგავსებოდა, და არამარტო გარეგნულ სილამაზეს შესძენდა ორივე წიგნს გულშიჩამწვდომი ნახატები, არამედ გაამკვეთრებდა მწერლის მხატვრულ-ესთეტიკურ მრწამსსაც, როგორც ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული შვილობილისა.

და კიდევ – რობერტ ფროსტისა...

* * *

სიმშრალეს უკიჟინებდნენ ფროსტის პოეზიას?

მაგრამ ეს სიმშრალე მოჩვენებითი გახლდათ და ტყუილუბრალოდ მიაკერებდნენ გამოფიტულისა თუ „უხმოს" ეპითეტებს.

და ზვიად გამსახურდია სწორედ მათ გასაგონად ითხოვდა, ამ მოკიჟინეებისა:

ღრმად დავაკვირდებოდით მის შემოქმედებას, [illegible], ნაცვლად მონოტონურობისა, დაგვენახა [illegible] ის აზროვნება, აღმოგვეჩინა პოეტი, რომელმაც უწყოდა, რომ – გრძნობების აყოლას პოეზიაში ხშირად სანტიმენტალური პოზიორობისაკენ მივყავდით. და ამით აიხსნებოდა მის მიერ ყოველგვარი ყალბი რიტორიკის, მანერულობის უკუგდება, რაც განაპირობებდა ფროსტის თანამედროვეობას.

ნუ გამოგვრჩებოდა ის უმნიშვნელოვანესი გარემოებაც, რომ:

მკითხველთან საუბრისას არასოდეს იკეთებდა ნიღაბს.

და კიდეც უნდა შემოჭრილიყო განსჯაში ერთგვარად დითირამბული კილოც და ის ემოციური კამერტონიც, რათა არამარტო შეგვეგნო, არამედ კიდეც განგვეცადა რობერტ ფროსტის პოეტური თავისებურების მადლიცა და ძალმოსილებაც:

თქვენ მუდამ ხედავთ მის მშვიდ, ნათელ, ცისფერ თვალებს, მის მაღალ შუბლს, მის წყნარ ღიმილ-მოხრას, იგი ხომ უპირველეს ყოვლისა გულწრფელობით ატყვევებს მკითხველსო.

ხოლო დასავლეთისაკენ მიმდინარე ნაკადულის სიმბოლურ-მეტაფორული შინაარსი როგორ უნდა შეგვეცნო?

როგორც დრო და სიძლიერე, სინათლე, ტონი, ხედვა, სიცოცხლე, სიყვარული, და ამავე დროს – როგორც სიკვდილის საამქვეყნო წყალვარდნილი, და როგორც...

სადღა გავყვეთ ამ ნაკადულის დენას, და დაე, ამჯერად წამიერად შევავლოთ მზერა – ზვიად გამსახურდიასეული რაკურსიდან – იმ ადამიანს, რომელიც ჩამორჩება ევოლუციას, რითაც ალვთაებრივებს ცხოვრებას, და კიდეც აბრუნებს საწყისთა სანყისისაკენ ყოველივე იმას, ნაკადად რაც მიედინება.

* * *

უნილბობას ერთ არსებით ნიშნად მოიხსენიებდა ფროსტის პიროვნებისაც და პოეტური აზროვნებისაც ზვიად გამსახურდია.

და ოლესია თავაძის წიგნი-ალბომის გარეკანზე პოეტს სახეზე ხელი ისე რომ აეფარებინა, ლამის საერთოდ არ უჩანდა?

მხატვრის ამ ჩანაფიქრს ხომ შეუცდომლად განგვიმარტავდნენ შესავალ ესეიში:

რეალურ მიზანსცენის განმეორებით ფროსტის პროფეტული წინააღმდეგობა წარმოისახაო.

სულიერი ნათესაობა არაერთ ამგვარ ნიშანსა თუ ნიუანსს გახდიდა საცნაურს „ჩემი რობერტ ფროსტის" გულდასმით გაცნობის შემდგომ, უჩვეულო წიგნისა, რომელშიც ლექსები კი არა ფორმდებოდნენ, არამედ ფორმა გალექსილიყო.

ფროსტის ლექსი თავისებურ პარტიტურად წარმოდგებოდა, თავის შემსრულებელი რომ ელოდა?

აგერ შემსრულებელიც, დიდი ამერიკელის თავშეკავებულ და არაალმსარებლურ სიტყვას გულისგულში რომ ჩასწვდებოდა და წერტილსაც – ნაცვლად პოეტისა – თვითონ დასვამდა მკითხველის უფლებით, დაშიფრულ იეროგლიფებს რომ გახსნიდა და რობერტ ფროსტის ზეცაში დაკარგულობას მიწიერში არსებობის არტეფაქტებით გააქარწყლებდა.

და კიდეც გვაზიარებდა კიდევ ერთ გზაბილიკს ჩვენი სულების გადასარჩენად.

ჩამოკიდებოდა ცას. ვენერა და სატურნი კაშკაშებდნენ. ნავსადგური გამოჩნდა თუ არა, ხარბად შევუდექი ქალაქის შესწავლას. შორიდან ვცდილობდი მისი უბნები გამომეცნო. ათი წელი გასულიყო ჩემი ბოლო ვიზიტიდან. ნელა-ნელა აღმიდგა მოგონებები. ერთადერთი, რასაც ვხედავ, განათებებია. ვცდილობ, დავადგინო სასტუმრო „კონტინენტალის" ადგილმდებარეობა. ის კი ვიცი, რომ მედინასა და ნავსადგურს შორის უნდა იყოს.

ჩემი ბარგი წამოვკრიფე. თავიდან მოვიშორე აბეზარი მტვირთავები, კონსიერჟები და ტაქსის მძღოლები. სასტუმროში შევედი. მიმღებში აბდელსალაამი ზუსტად იმავე ადგილას დამხვდა, სადაც 10 წლის წინ დავტოვე. ფართო ღიმილმა სახე გაუბადრა. „ოჰ, ბატონო პიბარდ, რა დრო გავიდა. ოჰ, ზამალეკ, ზამალეკ!"[2] წამოიძახა და ამით ხაზი გაუსვა, რომ ახსოვდა, წინა სტუმრობისას კაიროში რომ ვცხოვრობდი. პიტნის ჩაიზე დამპატიჟა. გამოჩნდა აბელატიფიც, რომელსაც 1987 და 1988 წლების ზაფხულში საუზმე მოჰქონდა ხოლმე ჩემთვის, და მაშინვე მიცნო. გულუხვად მომესალმა მაღრიბულ დიალექტზე. მას ისევ იგივე სამოსი ეცვა, რაც წინათ: წითელი ფესი,[3] თეთრი პერანგი და შავი მაროკოული შარვალი – საერთოდ არ შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით დროის იმ კვალს, რომელსაც ათი წელი ტოვებს სხეულზე. იქვე იყო მორიდებული მრეცხავი ქალი. მან მორცხვად გამიღიმა და ამით მიმახვედრა, რომ მიცნო. საინტერესოა, ის თუ ახსოვს, გასარეცხად მიცემულ შარვლის ჯიბეში ჰაშიში რომ ჩამრჩა. მან იპოვა და უჩუმრად დამიბრუნა. დღემდე მისი მადლიერი ვარ გამოჩენილი ტაქტისთვის. იმ დღეს, მახსოვს, ფეხის ქირა გავუორმაგე. საღამოს მუსტაფა მოვძებნე. ის მამარაგებდა ხოლმე მოსაწევით. მისი მოძებნა არ გამჭირვებია. და არც დამჭირვებია. ისევ იქ იდგა, სადაც ათი წლის წინ დავტოვე, სასტუმროს გვერდით მდებარე კაფეს კედელზე არხეინად მიყუდებული. „ყოველ დილით ვიღვიძებ და ამ სანახაობას ვუყურებ," მითხრა მან, „რად მინდა მოგზაურობა, ხალხი თავად მოდის ჩემთან, ასეა, აი, შენც, ჩემო კარგო მეგობარო, შენც მოხვედი ჩემთან. და ჩვენ შენ კარგად დაგხვდებით, იმიტომ, რომ შენ კარგი ადამიანი ხარ." ვხვდები, რომ ამ ტკბილი საუბრით იგი ჩვენი ძველი ბიზნესის აღდგენას ლამობს.

*11 ოქტომბერი*

გუშინ ფილიპის სანახავად წავედი. სუკის[4] გავლით უშეცდომოდ გავიკვლიე გზა, მდელოზე ავედი, ესპანურ კულტურულ ცენტრს გავცედი და მივაღწიე იმეუბლე იტესას აპარტამენტებს, სადაც იმ დროს პოლი ცხოვრობდა. ფილიპს გავესაუბრე რამდენიმე წუთით და შემდეგ პოლის სანახავად ავედი.

პოლი საწოლში დამხვდა. გაფითრებული, მობერებული და დამჭკნარი. მაგრამ, მაინც მოღიმარი ასხივოსნებდა თავის ჩვეულ ხიბლს. მისი გონება სალია, ცნობისმოყვარე, ახლის მაძიებელი. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ველარ ხედავს და სმენაც დაუქვეითდა. ხშირად გაიგონებთ, როგორ ღრიალებს, „რაო? რა თქვი?" (თუმცა ალფრედი[5] სულ ამტკიცებდა, იგონებს, ვითომ არ ესმისო). ფილიპი ნერვიულად დადიოდა ოთახიდან ოთახში ტელეფონით ხელში. პოლის მუსიკის შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებდნენ და ხელშეკრულების ჩამოტანას ელოდებოდნენ. „ვინ არის ეს ხალხი, საიდან მოვიდა? – ხშირად წამოიძახებდა ხოლმე ქუჩაში, მაროკოელ ხალხს რომ ხედავდა. ხოლო, როცა იქაურ ქალს დაინახავდა ჰაიკში,[6] ასე ამკობდა: „აი, კიდევ ერთი მოსიარულე სარეცხის გუდა."

ვირჯინიამ წასვლისას მოგვაძახა: „ხვალამდე, პოლ! ოჰ, და ალენ, იმედია სამშაბათს მოხვალთ ვახშმად." აბდელოუედი, პოლის მძღოლი, ყოველდღე მოდის, რათა დარწმუნდეს იმაში, რომ პოლი რიგიანად ვახშმობს, შედი-გამოდის პოლის საძინებელში. მე და პოლი ვსაუბრობთ, ვიხსენებთ იმ დროს, როცა ბოლოს ვიყავი აქ. ერთად ვსეირნობდით და მანქანით დავდიოდით აქეთ-იქით. მოვუყევი ჩემი მოგზაურობის შესახებ. მერე ალფრედზე ვსაუბრობთ. პოლი ჯანჯაფილის ორცხობილას მთავაზობს, რაზეც თავაზიან უარს ვეუბნები. ის მაინც განაგრძობს წიგნებით, ქაღალდებითა და ნახევრად ცარიელი წამლის ქილებით სავსე მაგიდაზე ხელების ნერვიულ ფათურს. მე ვეკითხები, რამით თუ შემიძლია დახმარება. ის ჩერდება და ამოიოხრებს: „შეგიძლია, სიკვდილში დამეხმარო?" ვსაუბრობთ ტანჟერში მისი ცხოვრების შესახებ. „ყველა მეკითხება, რატომ გადავწყვიტე აქ დარჩენა. მათ არ ესმით, რომ მე ამ ყველაფერს პრაგმატულად ვუყურებ. იმდენი ხანია აქ ვცხოვრობ, რატომ უნდა წავიდე სხვაგან, მაინცდამაინც ახლა?"

ფილიპი და აბდელოუედი ოთახში დაბრუნდნენ და ჩვენ ათას რამეზე დავიწყეთ ხუმრობა და ლაზღანდარობა, უმეტესად კი სექსზე, იგივე ატაჰარიზე, როგორც ამას ადგილობრივები ეძახიან. აბდელოუედი გვეკითხება, ვოშკას თამაში თუ ვიცით. ჩვენ ვპასუხობთ, რომ არა. თამაშში ოთხი კაცი მონაწილეობს. თამაშის ბოლოს ირკვევა, ვის ვისთან უნდა ჰქონდეს სექსი. აბდელოუედი ძაფს კუჭავს ისე, რომ მხოლოდ ოთხი ბოლო მოჩანს. თითოეული ვირჩევთ თითო წვერს, რის მერეც თითო ძაფის ორი ბოლო ერთიანდება და მეწყვილეებიც გამოვლინდებიან: მე პოლი შემხვდა, ფილიპს – აბდელოუედი.

მე და ფილიპი გიტასთან მივდივართ სავახშმოდ. გზაში ფილიპი წუწუნებს, რომ ტანჟერში ცხოვრება სულ უფრო და უფრო სახიფათო გახდა. მისი კრიმინალური ამბებით გატაცება კიდევ უფრო გაზრდილიყო ამ ბოლო წლებში. ეს ალბათ პოლის გავლენა იყო. მან კიდევ ერთხელ მიამბო ტელეფონით უკვე მოყოლილი ამბავი: როგორ დაჭრეს დანით მისი მეგობარი კარიმი

*[2] უბანი კაიროში, ეგვიპტე.*

*[3] ქუდი, გავრცელებულია აღმოსავლეთსა და აფრიკაში.*

*[4] ბაზარი.*

*[5] ალფრედ ჩესტერი.*

*[6] ქალის თეთრი თავსაბურავი, გავრცელებულია ჩრდილო აფრიკის ქვეყნებში.*

„ნაიკის" ბოტასის გამო, რომელიც მისი ნაყიდი იყო. უფრო მეტი ხალისით მომიყვა, ახლახან, ძლიერი წვიმის დროს, როგორ ჩავარდნილა ერთი მაროკოელი ქალი საავდრო საკანალიზაციო მილში. მისი ცხედარი ჯერაც ვერ უპოვიათ. ალბათ წყლის დინებამ ზღვაში გაიტანათ.

შენობის გარე კედელზე ერთადერთი პატარა, მბჟუტავი, წითელი წარწერით ვერავინ მიხვდება, რომ შენობა, სადაც მივედით, რესტორანია. თავისი გაპარტახებული ბაღით, მიმოყრილი ნაგვითა და გაუსხლავი ბუჩქებით ის უფრო წაქცევის პირას მისულ სახლს ჩამოჰგავდა. კოლონიალური პერიოდის ბოლო ბასტიონს. თანამედროვე ტანჟერის მკაფიო ნიშანი. კარი მოხუცმა კაცმა გაგვიღო. სქელმინებიანი სათვალე ეკეთა და წითელი ფესი ეხურა. ლონ ჩეინს ჰგავდა. რაღაც ჩაიბუტბუტა და გაუჩინარდა. ჩვენ ჩვენით მოვძებნეთ დასაჯდომი ადგილი. ჩვენ გარდა მხოლოდ ერთი მაგიდა იყო დაკავებული. გიტა თავად გამოემართა ჩვენკენ შეკვეთის მისაღებად თავისი დიდი მკერდის ქნევით. ორივემ ხბოს ხორცი ავიღეთ. მალე კარიმი შემოგვიერთდა, რომელიც კერეტთან ერთად დილის ოთხი საათიდან მუშაობდა ჟან-კლოდ ვან დამის ფილმზე, რომელსაც აქ იღებდნენ. კარიმი იდეებით იყო სავსე, მაგრამ დაღლილი და გალიზიანებული. ჩემთან ძალიან თავაზიანი და მეგობრული, ფილიპის მიმართ კი ფხუკიანი და ამჩხლი. არც ფილიპი დარჩენია ვალში. ორივეს ყოჩობა უნდოდა და თან ჩემთან თავი მოჰქონდათ, აქაოდა, მე ვარ მთავარიო. მეტოქეები ერთმანეთს კარგად სცნობდნენ და იცოდნენ, როგორ გაეღიზიანებინათ ერთმანეთი. მე მათი უნებური მაყურებელი გავხდი.

*13 ოქტომბერი*

ბევრ დღეს ვაცდენ. ბევრი არაფერი ჩამიწერია. ბევრსაც არ ჩავწერ.

ჩემი საათი გაჩერდა რამდენიმე დღის წინ. მესაათეს წავუღე, პატარა დახლთან რომ ეჭირა ადგილი *მინზაზე*. ცოტა გაკვირვებული ჩანს, რადგან თანამედროვე არაბულით მივმართე (აქ სრულიად გაუგებარ მაღრიბულ დიალექტზე საუბრობენ). ასე თქვა, ბატარეა ჯდებაო და ახალი ჩასვა, თუმცა არც ძრავა აქვს ძლიერიო. მომდევნო ღამით საათი ისევ გაჩერდა, ამიტომ წარმოდგენა არ მქონდა, როდის გამეღვიძა. ისევ წავედი ჩემს მესაათესთან და ვთხოვე, ძრავა გამოეცვალა. მან ფული გამომართვა, საათი დაიტოვა და ხუთი საათისათვის დამიბარა. თავიდან უნდოდ შევხედე, ვყოყმანობდი, მაგრამ ბოლოს დავთანხმდი. სხვა რა გზა მქონდა.

შიდი ბუჯარის ოცდარვა ნომერი ვიპოვე, სადაც ალფრედი ერთი თუ ორი წელი ცხოვრობდა. პოლმა მითხრა, რომ მისი სახლიდან ძალიან ახლოს იყო, იქვე, კუთხეში. მაღაზიაში გავიგეთ.

„კი, კი, შიდი ბუჯარის ქუჩა." მითხრა ორმოცდაათიოდე წლის კაცმა, „რატომ ეძებ ოცდარვა ნომერს?" ვუთხარი, რომ იქ ერთი ამერიკელი ცხოვრობდა ასე ოცდაათი წლის წინ. „ახლა იქ ახალი საცხოვრებელი სახლი ააშენეს, თავად ნახეთ" და ხელი გაიშვირა ქუჩის ბოლოსკენ. იქ მართლაც იდგა ბეტონის დაუმთავრებელი, უშნო, ოთხსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი. რამოდენიმე სურათი გადავიღე. მუშები უნდოდ მიყურებდნენ ამის გამო.

ექვსი საათისათვის ფილიპთან ვიყავი. გადავწყვიტეთ, ვახშმამდე პოლისთვის გაგვევლო. ის საწოლში დაგვხვდა. წინა დღეს ექიმთან იყო. ემფიზემა დაუდგინეს. ექიმმა სასტიკად აუკრძალა მოწევა, ის კი წინა დღეს, სანამ ჩაწერას დავიწყებდით, მარიხუანას ეწეოდა. „მაინც როდის უნდა დაანებო თავი" გამოვრთე ჩამწერი და ვკითხე. „დავანებებ, რა თქმა უნდა, დავანებებ!"

უკან მიბრუნებულებს ბიჭებიც სახლში დაგვხვდნენ. კენეტი დაღლილობას იმიზეზებს და თავის ოთახში შედის. ფილიპი სამზარეულოში გადის ერბოკვერცხის შესაწვავად. კარიმი მოსაწევს გაახვევს. იატაკზე ვსხედვართ ერთიმეორის გვერდით და ვეწევით. ის თან სარკეში შეჰხარის თავის თავს და კიდევ უფრო იმართება წელში.

როცა ღამით, ათი საათის მერე ან უფრო გვიანაც, ვბრუნდები სასტუმროში, ისინი მზრუნველობით, ხან კი შეშფოთებით მთხოვენ, რომ ტაქსი დავიჭირო, მიუხედავად იმისა, რომ ფეხით სიარულის ხასიათზე ვარ. „ხომ გაქვს საკმარისი ფული?" – მეკითხება კარიმი. საფულეს ვიღებ და ხურდას ვითვლი. ის სამ დირჰამს მიმატებს.

გარეთ რომ გამოვედი, სასტუმრომდე ფეხით გადავწყვიტე მისვლა. თუმცა მაინც აქეთ-იქით ვიხედებოდი ფრთხილად. ფილიპის მონათხრობი ჯერ კიდევ ყურებში მიგუგუნებდა. წარმოვიდგინე, როგორ გადმოხტება ვიღაც უცნობი სიბნელიდან, ჩამარტყამს დანას, ამაცლის საფულეს და მიმაგდებს ასე სასიკვდილოდ განწირულს. მაინც რა იწვევს ამ შიშებს? ეფემერულია ჩვენი შიშები, მოკლებული ყოველგვარ საფუძველს თუ ბოულზის კითხვისა და ფილიპის მონათხრობის ლოგიკური შედეგია? უცებ აღმოვაჩინე, რომ ცხოველების მსგავსად, ადამიანებიც ძალიან მალე ამჩნევენ შიშს, ხოლო შიშის წყაროს მიმართ თაყვანისცემის ბუნებრივი მიდრეკილება აქვთ.

*14 ოქტომბერი*

ქარიანი დილაა. პალმის ტოტები ერთმანეთს ეხეთქება. ხანდახან ზოგიერთი მოტეხილი ტოტი უსულოდ ეწარცხება მინას.

გუშინ მთელი დღე ვიარე. შემოვიარე ძველი მთა ვილა პალმას ძებნაში. ამაოდ.

*15 ოქტომბერი*

ქარი არ ჩამდგარა. ძილ-ბურანში ვარ და წარმოვიდგინე, თითქოს ჩემი ძმის სახლში ვარ, ვაშინგტონში და არყის, ალვის

და აკაციის ხეებს შორის ნუის ქარი. ვილა პალმა ვიპოვე. პოლმა მიმასწავლა ზუსტად. უკანა გზაზე ერთ კაფეში შევედი. კაცები ისხდნენ, მარიხუანას ეწეოდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. ცოტა რომ გავშინაურდი, საჭირო მომენტს დაველოდე და ალფრედ ჩესტერის სახელი ვახსენე, ამერიკელი, რომელიც ოცდაათიოდე წლის წინ ვილა პალმაში ცხოვრობდა. ერთ-ერთი მათგანი ამის გაგონებაზე გამოცოცხლდა, თითქოს ერთბაშად გამოერკვა მარიხუანის ბინდბუნდიდან და წამოიძახა: „აჰ, ეგ შერეკილი თავმოტვლეპილი ამერიკელი, დღე და ღამე გადებული მყავდა." ამ კაცს გავეცალე, სხვას მივუბრუნდი, ჩემზე გაცილებით ახალგაზრდას, და მას გამოველაპარაკე, თან იმაშიც დავარწმუნე, რომ ჭეშმარიტი მუსლიმი ვიყავი.

*16 ოქტომბერი*

დრო სწრაფად გადის. საწოლიდან ადგომა მიჭირს. თავი მიბრუის. ნეტა რომელი საათია? დღეს რა საქმე მაქვს? რაღას ვაკეთებ აქ? მომწყინდა. წასვლის დროა. ჩემს აქ დარჩენას აზრი აღარ აქვს. რომ ვწერდე, კიდევ ხო. უქნარა მეოცნებედ გადავიქეცი. ხვალ ფილიპიც წავა და დამლაპარაკებელიც აღარ მეყოლება. რას ვაკეთებ ამ სასტუმროში, რომელსაც აშკარად უკეთესი დღეები უნახავს, ან ამ ქალაქში, რომელსაც უკეთესი დრო ახსოვს, ან პოლთან რაღა დამრჩენია, რომელსაც უკეთესი ცხოვრება გამოუვლია. ყველაფერი ხრწნისკენ მიდის. ყველაფერი.

სულ ათი დღე გავიდა, რაც აქ ვარ, მაგრამ ესეც საკმარისია, რომ ადამიანი ჭკუიდან გადავიდეს, მოსწყდეს საკუთარ კულტურულ ფესვებს, ამ პოტენციურად მტრულ გარემოში, პოლ ბოულზის აჩრდილის ქვეშ, რომელიც დღედაღამ თავს დაგტრიალებს. მახსენდება ნაწყვეტი ფრანსის პულის სტატიიდან „ტანჟერი და მისი რიტმი," რომელსაც ახლა ვკითხულობ: „ტანჟერი განსაკუთრებით მოქმედებს ფაქიზი ნერვული ფსიქიკის მქონე ადამიანებზე, სულ ადვილად შეიძლება მიიყვანოს ისინი გაუწონასწორებელ მდგომარეობამდე, სიგიჟემდეც კი. თავი სრულად დააკარგვინოს." ვფიქრობდი, როგორ გაგიჟდა აქ ალფრედი, როცა პირველად ჩამოვიდა 1965 წელს. მერეც, მეორედ რომ ჩამოვიდა და ჯერ ასილაში, შემდეგ კი ვილა პალმაში ცხოვრობდა. რამდენიმე წერილის გარდა იმ პერიოდში არაფერი დაუწერია. როგორც ჩანს, დეპრესიით იტანჯებოდა. პოლმა გაიხსენა ერთხელ, მასთან მისულს მთელი ოთახი დამპალი ფორთოხლით სავსე დამხვდაო. ვიღაცისგან უყიდია მთელი ყუთი. კაცმა არ იცის, რატომ.

*18 ოქტომბერი*

ნახევარი საათია უკვე ვიცდი. კარიმი მაინც არ ჩანს. არადა, შევთანხმდით, რომ ათ საათზე შევხვდებოდით და ასილაში წავიდოდით დრის შესახებ ცნობების შესაგროვებლად. ალბათ ჩაეძინა, ვაწ დამის კინოს გამო ძალიან იღლება, ან საერთოდაც დაავიწყდა. მაინც ახლოს ვიყავი და გადავწყვიტე პოლისთვის შემევლო გზად და დავმშვიდობებოდი. ვაკაკუნე, მაგრამ კარი იქაც არავინ გამიღო. ახალგაზრდა ბიჭმა გამომხედა, ვინც იმავე შენობაში ცხოვრობდა და ფრანგულად მითხრა, ბატონი ბოულზი სახლში არაა, ალბათ აბდელოუედთან ერთად გავიდაო.

ქალაქის ცენტრისკენ მივდიოდი [illegible] კარიმის გარეშე წავიდე ასილაში და [illegible] მივყვე დრის[7] კვალს თუ არა. სჯობს, წავიდე, მაგრამ თან მეზარება. რაღას ვაკეთებ ამ ქალაქში. ფილიპიც წავიდა. კარიმის დახმარებით გადავწყვიტე ჩემი დეტექტიური საქმიანობის გაგრძელება. ახლა ისიც აღარ ჩანს. პოლი რომ ახლანდელ ტანჟერში ჩამოსულიყო, საკითხავია, დარჩებოდა კი აქ? აიტანდა ამ აქოთებულ კანალიზაციის მილებს, აქაურების ტურტლიანი, გამხდარი სახეების რიგებს, სიღარიბეს, საცობებს, გამონაბოლქვს – თანამედროვეობის ეს საძაგელი ნაირსახეობები – რაც პოლს ასე სძულს და გაურბის – დარჩებოდა კი ასეთ ტანჟერში, ახლა რომ ჩამოსულიყო პირველად?

მოგვიანებით ისევ გავუარე პოლს, მაგრამ კარი ამჯერადაც არავინ გამიღო. შევშფოთდი. ალბათ რაიმე ზომები უნდა მიმეღო, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ იგი კარგადაა. იქნებ მოკვდა კიდეც და კაციშვილმა არ იცის და ვერც გაიგებს, თუ არ შევედით სახლში. მაგრამ მერე ფილიპის მონათხრობი გამახსენდა, როგორ ნერვიულობდა მთელი კვირა პოლზე, რომელიც კარს არ აღებდა. თურმე ეძინა და კაკუნი არ ესმოდა. ხოდა, მეც მოკლე ბარათი დავუტოვე და სახლში დავბრუნდი.

„ბოლოს ყველა ისეთ სიკვდილს იღებს, როგორიც თავად ამოირჩია," უთხრა გლორია კირბიმ[8] დევიდ ჰერბერტს.[9] „პოლმა თავად მიიმწყვდია საკუთარი თავი კუთხეში." ამაზე წარმოვიდგინე, როგორ შეეპასუხებოდა თავად პოლი, „მქონდა კი სხვა გზა?" და მახსენდება ნაწყვეტი მისი ავტობიოგრაფიიდან „შეუჩერებლად", რომელიც 1972 წელს გამოაქვეყნა:

„მაროკოელები ამტკიცებენ, იმისათვის, რომ ცხოვრება მთელი სისავსით შეიგრძნო, საჭიროა, სიკვდილს უმზირო გამუდმებითო. უდავოდ ვეთანხმები. სამწუხაროდ, ჩემი სიკვდილის ჭვრეტა იმით შემოიფარგლება, რომ საკუთარ თავს წარმოვიდგენ ძალიან მოხუცს, უკბილოსა და დაუძლურებულს, რომელსაც სხვისი დახმარების გარეშე გადაადგილებაც კი უჭირს. დამხმარე, რომელიც, რა თქმა უნდა, გასამრჯელოს იღებს გაწეულ სამსახურში, შეიძლება, ნებისმიერ დროს წავიდეს და სიკვდილის ამარა

---

*[7] იგულისხმება დრის ელ კასრი, მეთევზე ასილადან, რომელიც გადმოცემის თანახმად, ალფრედ ჩესტერს თავდავიწყებით შეჰყვარებია.*

*[8] ამერიკელი გალერისტი და კოლექციონერი, გარდაიცვალა ტანჟერში 2017 წელს.*

*[9] ბრიტანელი მწერალი. 50 წელი გაატარა ტანჟერში და იქვე გარდაიცვალა 1995 წელს, მისი საფლავის ქვაზე აწერია „მას უყვარდა მაროკო."*

მიმაგდოს. თქმა რად უნდა, როდესაც სიკვდილის ჭვრეტაზე საუბრობენ, მაროკოელები ამას სულაც არ გულისხმობდნენ, და ალბათ ჩემს აზრებსა და წარმოდგენებს დამამცირებელ შიშად მონათლავდნენ. ვერც გაამტყუნებ. ერთი კულტურის თერაპია, მეორე კულტურის ტანჯვას შეიძლება წარმოადგენდეს. „მშვიდობით," ეუბნება მომაკვდავი კაცი საკუთარ თავს სარკეში, „ჩვენ ერთმანეთს ველარ შევხვდებით." როდესაც ვალერის ეს ეპიგრამა გამოვიყენე ჩემს რომანში „ზეცის საფარველი", მაშინ ეს ფანტაზიის სევდიანი და მკვეთრი გამოვლინება იყო და მეტი არაფერი, ლიტერატურული ტრიუკი. ახლა კი, როცა ნაყურებლიდან მე თავად ვიქეცი მოქმედ გმირად, აღმოვაჩინე, თუ რაოდენ დამთრგუნველია ეს ყველაფერი. მოკლედ რომ ვთქვათ, მომაკვდავ ადამიანს ორი სიტყვის მეტი არაფერი დარჩენია: „გმადლობ, უფალო"

ფული გადავახურდავე, რათა სასტუმროს ხარჯი გამესტუმრებინა და ახლობლებისათვის პატარ-პატარა საჩუქრები მეყიდა. აქაური ჩაის ჭურჭელი ბერბერული მოტივით, ტყავის საფულეები და ათასი წვრილმანი.

მაღრიბი. დაისი. ციდან დაშვებული ნაადრევი მზის სხივები, თეთრად, ყვითლად და ლურჯად რომ ირეკლება და მე ვფიქრობ... ესეც ხომ სახლი იყო, მთელი თავისი უცნაურობებით, ხომ დამაბრუნა თავის წიაღში, რათა ჩემი მოგონებების მეტრზე კიდევ ერთხელ მოეზომა დროის წარმავლობა და სიცოცხლის ზეიმი.

## დანიელ აბდი ალ-ჰეი მური

*ამერიკელი პოეტი, ესეისტი და ლიბრეტისტი, 1970 წელს სუფიზმის მიმდევარი გახდა და სახელი შეიცვალა აბდ ალ-ჰაი მურად.*

# სუფის დაბრუნება

*„სუფის წიგნი მხოლოდ მელანი და ასოები არაა,*
*ესაა გული, სპეტაკი, როგორც თოვლი"*
*რუმი, „მესნევი"*

*მევეჩვიე ჰალუცინაციებს; სულ უფრო ხშირად ვლანდავ მეჩეთს, ნაცვლად ქარხნისა.*
*არტურ რემბო, „სეზონი ჯოჯოხეთში"*

გვიანი 1980-იანი წლები იყო. კალიფორნიაში კაფე „სანტა-ბარბარას" ტერასაზე ვსადილობდი ლორენს ფერლინგეტისთან ერთად, სან-ფრანცისკოელი და იმ დროს უკვე სახელმოხვეჭილი მწერლების გამომცემელთან. მან ჩემი ადრეული ლექსები გამოსცა ორ წიგნად, მე კი სანტა-ბარბარას ხელოვნების ფესტივალზე მივიწვიე იგი, რათა საკუთარი ნაწერები წაეკითხა. თავის 1969 წელს გამოცემული წიგნის შესავალში ჩემზე ასე წერს: „მური სუფი გახდა და რემბოს მსგავსად წერილობით პოეზიაზე უარი განაცხადა." ყავის დასალევად კაფე „ტრიესტეში" წავედით და მან გაიხსენა, რომ ჩვენ, ყველა, კულტურული შოკის ქვეშ ვიმყოფებოდით, თითქოს თითოეული ჩვენგანი სხვადასხვა პლანეტიდან ჩამოსულიყო. იგი დაინტერესდა იმით, თუ რას ვსაქმიანობდი მთელი ის წლები, რაც ერთმანეთი არ გვენახა: „რატომ არ წერ შენს შთაბეჭდილებებზე? დაწერე პატარ-პატარა ეპიზოდები, მაგრამ წერე ყოველდღე და ერთ დღესაც ნახავ, რომ ასე მთელ წიგნს დაწერ. დაარქვი 'სუფის დაბრუნება'." შემდეგ თავისი გამოუცნობი, ლაჟვარდოვანი თვალები აუციმციმდა, ირიბად გაწილიმა და მითხრა: „დაწერე, სანამ დაგვიანებულა."

### მაროკო

როგორც იქნა, მაროკომდე ჩამოვაღწიეთ. მანამდე კი იყო გრძელი და მშფოთვარე გზა. ბორანით გადმოვცურეთ გიბრალტარი, დავლანდეთ ამ უჩვეულო ტერიტორიის კულტურული მრავალწახნაგები (ჩრდილო-აფრიკული? ესპანური? ბრიტანული?). ყველგან შავ-თეთრი კრამიტია, საჭადრაკო დაფის დარად.

საზღვარი და საბაჟო დაუბრკოლებლად გავიარეთ. ინგლისთან შედარებით პროცედურა აქ მარტივი იყო. უკიდეგანოდ მოწყენილი მაროკოელი პოლიციელები პირქუშად იყურებოდნენ, მაგრამ მათგან არანაირი საფრთხე არ გველოდა. სუფთები ვიყავით. მართალია, ცოტა მოუწესრიგებლები, აწეწილები, მოჰიპოები, მაგრამ არც მოსაწევი გვქონდა, არც კონტრაბანდა, არც ფოტოაპარატი ან სხვა რაიმე ძვირფასი ნივთი, რომლებსაც ადგილობრივ მაცხოვრებლებს მივასაღებდით. ამიტომ ვიძახი, სუფთები ვიყავით-მეთქი. ისლამის რჯულზე ახალი მოქცეულები მექნესში მოსალოცად მივდიოდით და გულიც სასწაულის მოლოდინით გვიცემდა.

ტანჟერზე ლეგენდები დადის, მაგრამ ქალაქმა გაგრძილს გადააჭარბა. იქ ჩასულებმა მაშინვე სასტუმრო „კონტინენტალს" მივაშურეთ, სადაც წინდაწინ, ჯერ კიდევ ლონდონიდან დავიკავეთ ოთახები, არც ისე ძვირად. ეს ძველებური, გეიანდელი მე-19 საუკუნის მოფამფალებული სასტუმრო, რომელიც გორაკზე გამდილიყო და ამაყად გადაჰყურებდა ნავსაშენებს, ევროპული ელეგანტობისა და დახვეწილობის ნიმუშს წარმოადგენდა. სასტუმრო მოხუცი ფრანგი ცოლ-ქმრის განკარგულების ქვეშ იყო. კონსიერჟი კაცი ბუზღუნა და სულმთლად დანაოჭებული, ჟილეტში გამოწყობილი, შესაბამისი ძველებური ჯიბის საათით თავის აფორიაქებულ, მაგრამ მაინც ელეგანტურ ცოლთან ერთად, რომელსაც ნიკაპამდე გამონასკვული ზონრიანი სამოსი ეცვა, სასტუმროს ძველებურ ფონს ბრწყინვალედ შეესაბამებოდა. სასტუმროს ძველი, მაღალჭერიანი ოთახები ასკეტურად იყო გაწყობილი. ოთახებში რკინის საწოლები იდგა და მის ძველ იატაკს სიარულისას ჭრაჭუნი გაუდიოდა. ისეთი გარემო სუფევდა, გასაკვირიც არ იქნებოდა, უეცრად დერეფანში ჰამფრი ბოგარტს რომ გადაყროდით. შევთანხმდით, როგორ გავნაწილდებოდით ოთახებში და ნაჩქარევად მივაშურეთ ქალაქს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



გრეგორი კორსო, პოლ ბოულზი და უილიამ ბაროუზი ტანჟერში

ჩვენი გიდის, აბდ ალ-ქადირის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ შემოვიარეთ ბაზარი, რათა მაროკოული ხალათები გვეყიდა. ეს გარეგნულად ნაკლებად თვალშისაცემს გაგვხდიდა და ანონიმურობას შეგვქმნიდა, თუმცა ერთი შემოხედვაც კმაროდა, კაცი მიმხვდარიყო, რომ შენიღბული დასავლელი ნეოფიტები ვიყავით. მაროკოული ხალათები მაინც ვიყიდეთ, რათა ჩვენი მექნესელი სუფი თანამოძმეების შესაფერისად გვცმოდა.

ჯელაბა, ასე ეძახიან მაროკოულ ხალათს. ის გრძელია, შალისგან მოქსოვილი, მთელ სხეულს ფარავს და ფრანცისკანელი ბერის მსგავსად, დიდი კაპიუშონი დასთრევს უკან. ასევე მოვიმარაგეთ თეთრი და ოქროსფერ-ყვითელზოლებიანი ჩალმები, ტყავის ფლოსტები და კრიალოსნები, რომლებსაც მორწმუნეები ზიკრის[10] დროს იყენებენ, რათა ლოცვა დაითვალონ. ჯგუფებად დავიყავით (სულ ცამეტნი ვიყავით). ისინი, ვინც მაროკოში უკვე ნამყოფები იყვნენ (ჰაშიშის მწეველები), გაგვიძღვნენ ბაზარში პირველი თავგადასავლის ძიებაში.

ჩვენმა გიდმა მკაცრად გაგვაფრთხილა, ცბიერი ტურისტებივით არ ჩამოვმდგარიყავით თვალებდაჭყეტილები, ჯგუფს არ ჩამოვრჩენილიყავით და უსაქმურად არ გვეყიალა. ასევე გვეკრძალებოდა ავყოლოდით მაცდურ ეგზოტიკას. ამის მაგივრად, გვირჩიეს, უყოყმანოდ აგვეღო ის, რისი ყიდვაც გვინდოდა, გადაგვეხადა საფასური და საჩქაროდ გავცლოდით იქაურობას. ზედმეტი სისულელეების გარეშე!

რამდენიმე პატარა, ჩაბნელებულ, ტყავის სუნით გაჟღენთილ მაღაზიაში შევაბიჯეთ. იქ შალის ჯელაბების გორები დაგვხვდა, ერთმანეთში შენყვილებული მაროკოული ფერად-ფერადი ფეხსაცმელი, სასიამოვნოდ გაოცებული გამყიდველები კი ფრიად კმაყოფილები ჩანდნენ მოჯადოებული დასავლელი სტუმრების ხილვით, რომლებიც ცდილობდნენ, ადგილობრივ მაცხოვრებლებს დამსგავსებოდნენ.

ჩვენი ასაკის მაროკოელებს მხოლოდ ფრანგული მოდა აინტერესებდათ, ვიწრო ჯინსები, ტანზე შემოტმასნილი სამოსი და მოპედები. ისინი ფრანგულად საუბრობდნენ. ჩვენც. ამიტომ ერთმანეთს კარგად გავუგეთ. ისინი გვეხმარებოდნენ ჯელაბების შერჩევაში.

უეცრად ერთ-ერთ მაღაზიაში, ხალათებს რომ ვისინჯავდით, შუახნის, დაბალი ტანის, მაგრამ საკმაოდ მოქნილი კაცი შემოვიდა მკაცრი სახითა და მეტყველი თვალებით, გიშერივით შავი წვერით და წვრილი თითებით. პირდაპირ შემოაბიჯა კაშკაშა ქუჩიდან ამ ბნელ მაღაზიაში და მაშინვე საქმეზე გადავიდა. გამყიდველებს მითითებები მისცა, თითოეული ჩვენთაგანი ყურადღებით შეათვალიერა, შემდეგ მზერა ჩვენს ჯელაბებზე გადაიტანა, ან იმათზე, რომლის მოსინჯვასაც ვაპირებდით. ამის შემდეგ ისევე სწრაფად გაუჩინარდა ქუჩაში, როგორც შემოვიდა. მაგრამ სამაგიეროდ დატოვა თავისი მომნუსხველი აურა, თითქოს მოგვაჯადოვაო, და ჩვენც უცებ გამოვფხიზლდით, საქმიანები გავხდით, ზუსტად ვიცოდით, რისი ყიდვა გვსურდა, და ცოტა ხანში ჩვენც ისე შემართებით დავტოვეთ მაღაზია, როგორც იმ უცნაურმა კაცმა, იღლიებქვეშ კი ქაღალდში გახვეული ნადავლი ამოგვეჩარა ამაყად.

ყველანი ერთად დავირაზმეთ და სასტუმროში დავბრუნდით, ისე, რომ აღარსად შევჩერებულვართ და არც გვიყალთაბანდია. არც დრო, არც ფული ქარაფშუტულად არ გაგვიფლანგავს. სწორედ ისე, როგორც ჩვენმა კეთილგონიერმა გიდმა დაგვარიგა. სასტუმროში დაბრუნებულები მეორე ჯგუფს შევხვდით. აღმოჩნდა, რომ ისინი ბაზრის მეორე, საპირისპირო მხარეს იყვნენ, თუმცა ის უცნაური კაცი, ზუსტად იგივე გარეგნობითა და ქცევით, წათაც გადაყრია.

ის კაცი მუქადემი ყოფილა, ტანჟერში

[10] ლოცვა, ვედრება.

შეიხის წარმომადგენელი. მის მოვალეობაში შედიოდა, დაწვრილებით სცოდნოდა ყველა წალაზნის ასავალ-დასავალი, რა ხდებოდა ბაზარზე და ზოგადად, ყველაფრის კურსში უნდა ყოფილიყო. ამბობდნენ, რომ მას გასაოცარი ნიჭი ჰქონდა, სახლიდან გაუსვლელადაც შეეტყო გარეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ და საჭირო დროს საჭირო ადგილას გაჩენილიყო. იქნებ მას იმის ნიჭიც ჰქონდა, ერთსა და იმავე დროს ორ ადგილას ყოფილიყო? სუფიზმში ამას აბდალს ეძახიან. ვინ იცის. ალაჰს ეცოდინება.

აბდ ალ-ქადირს რომ ამოუცნობ კაცზე მოვუყევით, მაშინვე მიხვდა, ვისზეც იყო საუბარი. ეს კაცი თურმე ძალიან პატარა სახლში ცხოვრობდა და ამბობდნენ, სხეულიდან ბოროტი სულების, იგივე ჯინის გამოდევნა შეუძლიაო. ამასთანავე, შეიხის მლოცველთა შორის დიდად საეჭვო რეპუტაციით სარგებლობდა. ერთხელ აბდ ალ-ქადირი მასთან სახლში მისულა. სახლის ყველა კედელი შავად ყოფილა შეღებილი და ზედ თეთრსაღებავიანი უშველებელი ფუნჯით კაცი ყურანიდან ამოწერილ ათასნაირ ჯადოსა და ფრაზას ხატავდა. უმეტესობა ახლა და თანაც ძალიან ცუდად. ის კაცი მეტად აღარ შეგვხვედრია.

იმ საღამოს, ვახშმის შემდეგ, ისევ შევიკრიბეთ ახალნაყიდ მაროკოულ ხალათებში გამოწყობილები და ჩალმის სწორად გაკეთებაში დავხელოვნდით. ცალკე ცოდნა და მოხერხება სჭირდებოდა ტყავის მაროკოული ჩუსტებით გლუვ ქვაფენილიან ქუჩებში სიარულსაც. არც სხვადასხვა ზომისა და მოდის კრიალოსნები დაგვვიწყებია.

გადავწყვიტეთ, მეჩეთში წავსულიყავით და მაღრიბულ ლოცვას დავსწრებოდით, რომელიც, როგორც წესი, მზის ჩასვლისთანავე იწყებოდა. „გრანდ ოტელის" თაღოვან ხის ჭიშკარს გავცდით და ჩვენს გიდს, აბდ-ალ-ქადირს გავყევით, რომელიც ნაცნობი მეჩეთისკენ გაგვიძღვა. ღია, უზარმაზარი შენობა იყო, მაღალი მინარეთით, მარმარილოს კიბეებით და გადატვირთული ინტერიერით. ამას გარდა, ყოველი მხრიდან თვალისმომჭრელად ანათებდა საგანგებოდ დამაგრებული ნათურები, რაც საზეიმო და, უფრო მეტიც, საცირკო ატმოსფეროს უფრო ქმნიდა, ვიდრე რელიგიურს.

კაპიუშონებში თავჩარგულები შევედით მეჩეთში. პირველად მეღირსა მუსლიმურ ქვეყანაში ნამდვილ მეჩეთში შესვლა, რაც ადრე, როგორც არამუსლიმს, მეკრძალებოდა. მეჩეთია ადგილი, სადაც მორწმუნე მუსლიმები ლოცულობენ მკაცრი თავდადებითა და რუდუნებით. დღე დღეს მიჰყვება, ღამე – ღამეს, წელი – წელს, რამადანი – რამადანს, და ასე – სიკვდილამდე. კიბეებზე რომ ავდიოდით, გზად მოხუცი კაცები გვხვდებოდნენ ცელქი, ხმაურიანი ბავშვებით გარშემორტყმულები. ზოგი შედიოდა მეჩეთში, ზოგიც კი იქიდან გამოდიოდა.

ამ ადგილმა და სივრცემ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მიუხედავად თავისი განსაზღვრული და ერთობ ვიწრო დანიშნულებისა, შენობა ჩანდა უზარმაზარი, გაშლილი, უსაზღვრო და ტკბილი. ჰაერში საკმევლის მკვეთრი სურნელი ტრიალებდა. ამას დამატებული უჩვეულო სინათლე და ექო ჯადოსნურ გარემოს ქმნიდა, ისეთს, სადაც ნებისმიერი სასწაული შეიძლება მოხდეს. გაშლილი სივრცისა და ღია სახურავის ფონზე ცარიელი კედლები უსასრულობაში ამავალ თაღოვან გისოსებს ჰგავდა. ვუმზერდი უცნობი ქალებისა და კაცების ზურგებს, რომლებიც ლოცვისთვის ემზადებოდნენ, ან წინასამზადებელ ლოცვებს ლუღლუღებდნენ, ანდაც უბრალოდ ჩუმად ელოდნენ ლოცვის დაწყებას, ხელში კრიალოსანს ათამაშებდნენ, ბავშვებს კიცხავდნენ და სიწყნარისაკენ მოუწოდებდნენ, ან მედიტაციაში იყვნენ ჩაფლულები ან უბრალოდ თვლემდნენ.

თითქოს მიუკვდავი და ციური სადგურების გასაყარზე ვიყავით, ინდივიდუალური და ანონიმური ადამიანების გვერდით, დროსა და სივრცეში გამოკიდებულები და ვგრძნობდით ღმერთის თითქმის ხელშესახებ არსებობას.

მინარეთზე დამაგრებული მიკროფონიდან ლოცვის დაწყება გვაუწყეს. კარგად არ მესმოდა ლოცვის სიტყვები. ხალხის ნაკადში იმამსაც კი ვერ მოვკარი თვალი, მაგრამ იმდენი მოვახერხე, რომ წინა რიგში ჩავმდგარიყავი და მშვიდად დაველოდებოდი ლოცვის დაწყებას. კაცებმა ერთდროულად ასწიეს ხელები და ყურებზე მიიდეს. სამარისებულმა სიჩუმემ გადაუარა ხალხის ტალღას. მწუხრის ლოცვა დაიწყო. ამას მოჰყვა მეტანიები. ხან დაიჩოქებდნენ, მერე ისევ წამოიმართებოდნენ, ხან სულაც მიწაზე გაერთხმებოდნენ, ხან მხოლოდ თავს უკრავდნენ. ამით აღასრულეს დაისის ლოცვა.

სასტუმროში დავბრუნდით. კაპიუშონიანი დახრილი თავებით, როგორც ეკლესიის მსახურთ შეეფერებათ. არაბესკული, თაღოვანი გზებისა და იქვე ჩამდგარი რვაკუთხა მაგიდების გავლით სასტუმროს თბილ, ნაცნობ დერეფნებს დავუბრუნდით. საკუთარ საწოლებს.

## მუჰამედ მრაბეტი

*მუჰამედ მრაბეტი მაროკოელი მწერალი, მხატვარი და ამბავთმთხრობელი იყო. მისი მოთხრობები და ზეპირგადმოცემები პოლ ბოულზმა ჩაიწერა, თარგმნა და გამოსცა ინგლისურად.*

# შოკოლადის კრემები და დოლარები

*თარგმანი პოლ ბოულზის*
*(ნაწყვეტი)*

შუადღეს სამი საათისთვის მივდივარ, – თქვა ბატონმა ჰეპკინმა. კენდი და კაროლა კიდევ რამოდენიმე დღეს დარჩებიან.

კიდევ ერთი კაცი მოვა, ზედა სართულს დაიკავებს, მხოლოდ ზედა სართულს, გესმის? მოვა და გაიცნობ.

მაგიდას უსხდნენ და საუზმობდნენ, როცა ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. დრისმა კარი გააღო. იქ ნაზარენე[11] იდგა. „ლევისის" ჯინსის შარვალში, სანდლებში, ძველ სამხედრო მაისურასა და კარგად გაცვეთილ ქურთუკში გამოწყობილი. სრულიად მელოტი იყო. საძაგელი სახე ჰქონდა.

სახლის პატრონი შინაა? იკითხა.

დიახ.

მასთან ლაპარაკი მინდა.

სახელი?

გადაეცით, რომ ალფრენია.

დრისი სასადილო ოთახში შებრუნდა: ვიღაც უცხო კაცია, ამბობს ალფრენი ვარო.

შემოიყვანე, სწორედ მასზე გეუბნებოდით წელან, სთქვა ბატონმა ჰეპკინმა.

ალფრენი ოთახში შევიდა. კენდის და კაროლას გაეცნო და მაგიდას მიუჯდა. დრისმა მას ყავა დაუსხა.

ეს დრისია, იგი ამ სახლში ცხოვრობს. უთხრა ბატონმა ჰეპკინმა უცნობს.

ალფრენმა დრისს თავი დაუკრა.

შენ ზედა სართულზე განთავსდები, ქვედაზე კი დრისი იცხოვრებს. მაგრამ იცოდე, მთელი სახლი მას აბარია. თუ რამე დაგჭირდა, მას მიმართე.

დიახ, რა თქმა უნდა.

დრისმა კალათა აიღო და ბაზრისკენ გასწია, მაგრამ ბატონი ჰეპკინი დაეწია და ოცი ათას ფრანკიანი მისცა. საჭმლისთვის, დასძინა თან.

დრისმა საგულდაგულოდ აარჩია პროდუქტი, ივაჭრა და სახლში დაბრუნდა. კენდი და კაროლა კარშივე მიეგებნენ. შეიძლება, სანაპიროზე წავიდეთ, რა თქმა უნდა, ბობი რომ წავა, მერე.

სამ საათზე ტაქსი მოვიდა და ბობი მათ დაემშვიდობა. იგი ტანჟერის აეროპორტიდან მიფრინავდა. წასვლამდე მან ორასი ათასი ფრანკი კიდევ მისცა დრისს სახლის ხარჯებისთვის.

მისი წასვლის მერე დრისი და გოგონები სანაპიროზე გაემართნენ. გოგონებმა გაიხადეს და საცურაო კოსტიუმების ამარა დარჩნენ. შემოსილი დრისი კი ჰაშიშიან სიგარეტს ეწეოდა და მათ უყურებდა. თვლიდა, რომ კენდი კაროლაზე უფრო ლამაზი იყო, ყურებით კი მაინც ორივეს უყურებდა. ერთი საათი ან ცოტა მეტი დარჩნენ სანაპიროზე, მერე კი იქვე ბარში შევიდნენ. დრისმა კოკა-კოლა შეუკვეთა, გოგონებმა კი ლუდი. იქ კარგა ხანს დარჩნენ, სანამ დრისმა სახლში დაბრუნება არ შესთავაზა.

უკვე გვიანი იყო, სახლში რომ დაბრუნდნენ. დრისი სამზარეულოში გავიდა და სენდვიჩები მოამზადა. ჩაის დაადუღეს. შემდეგ დრისმა თევზის ტაჟინი[12] შემოდგა ცეცხლზე და ცხვრის ხორცი ჩამუშა. მისაღებ ოთახში ისხდნენ, ჰაშიშს ეწეოდნენ და ჯილალას[13] უსმენდნენ. ისინი ბედნიერად გრძნობდნენ თავს, ხუმრობდნენ, ცეკვავდნენ და იცინოდნენ. უცებ დრისმა ჰკითხა: რას იტყვით, ეს ღამე რომ ჩემთან გაატაროთ?

ჩვენ თანახმა ვართ, კარგი!

[11] ასე ეძახიან დასავლელს მაროკოში.
[12] მაღრიბის ქვეყნებში გავრცელებული კერძი, რომელსაც სპეციალურ კერამიკულ ქოთანში ამზადებენ ხორცისგან, ბოსტნეულისგან, ჩირებისა და სუნელებისგან.
[13] მაროკოული, ექსტაზური ტრანს მუსიკა.



და გაიცინეს.

დრისმა ოთხ ფეხზე დაიწყო სიარული. კენდი ზედ მოაჯდა და ასე დაჭენდნენ ოთახში, შემდეგ ადგილები გაცვალეს, ახლა კენდი დაატარებდა დრისს. კაროლას იმდენი ჰაშიში მოეწია, მოძრაობის თავი აღარ ჰქონდა. იგი ზურგზე იწვა და პირდაღებული უყურებდა მათ. იგი იცინოდა. როგორ არ ცდილობდა, მაგრამ ადგომის თავი არ ჰქონდა.

ათ საათზე სამზარეულოში გავიდნენ და გემრიელად ივახშმეს. ყავა დაალიეს და გნაუას[14] მუსიკას მოუსმინეს, შემდეგ ჯილალას.[15] ყველაზე მეტად მუსიკის ეს ორი მიმდინარეობა მოსწონდათ გოგონებს.

ძალიან ცხელოდა იმ ღამით. დრისმა სამოსი გაიხადა და მხოლოდ საცვლების ამარა დარჩა. ამის შემხედვარე გოგონებიც უმალ გაშიშვლდნენ. დრისმა სინათლე ჩააქრო. ახლა ოთახს მხოლოდ მთვარის შუქი ანათებდა. დრისმა მუსიკას დაუწია. კენდი და კაროლა დიდ ფარდაგზე იწვნენ შიშვლები. დრისი მათ გვერდით მიუწვა. ხან ერთს კოცნიდა, ხან მეორეს.

ყველაფერი რომ მორჩა, ის წამოდგა და თქვა: დასაძინებლად მივდივარ.

მოიცადე, უთხრეს მათ, ჩვენც შენთან დავიძინებთ.

სამივე მის საძინებელში შევიდა და დაიძინა.

მეორე დღეს, საუზმეზე, კენდიმ დრისს უთხრა: ნეტავ შემეძლოს კიდევ დარჩენა. მაროკო ლამაზია. ხალხიც კარგია, ძალიან ზრდილები.

მაროკოელები ყველანი ზრდილები და კულტურულები არიან. მათ იციან უცხოელთან მოქცევა.

არიან ახალგაზრდები, რომელთაც ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი. უპასუხა გოგონამ.

ჰო, მაგრამ ეგ ყველგან მასეა, არა მხოლოდ მაროკოში. ინტელექტის უამრავი დონეა. ისინი, რომელთაც არ იციან წესიერი მოქცევა, ყველაზე დაბალ საფეხურზე დგანან, მათ თითქმის არ გააჩნიათ ინტელექტი.

მართალია, მიუგო გოგონამ, ისინი იდიოტები არიან.

კარზე დააკაკუნეს. დრისი წამოდგა და კარი გააღო. ზღურბლზე ალფრენი იდგა ესპანელ ბიჭთან ერთად.

შემოდი, უთხრა დრისმა.

ეს პეპეა, თქვა ალფრენმა.

დრისმა ხელი ჩამოართვა პეპეს.

დრისი სტუმრებს სამზარეულოში შეუძღვა და კენდი და კაროლა გააცნო.

[14] გნაუას მუსიკა აერთიანებს აფრიკული, ბერბერული და არაბული რელიგიური სიმღერების რიტმებს.
[15] ჯილალას სუფისტური წარმოშობის ექსტაზური მუსიკაა, 1970-იან წლებში გავრცელდა მოროკოში.

დალევ რამეს? ჰკითხა ალფრედს.

დიახ, ღვინო თუ შეიძლება.

დრისმა საყინულედან ღვინის ბოთლი ამოიღო, სასმისები მოაძრო და ალფრედს წინ დაუდგა. პეპემ ყავა მოითხოვა.

იცი ხომ, რომ ამ სახლში უნდა ვიცხოვრო, ზედა სართულზე, უთხრა ალფრედმა დრისს, შენ სულ აქ ხარ, ხომ ასეა?

ასეა.

ყველაფერს მიშოვი, რასაც გთხოვ?

თუ იშოვება, გიშოვი, თუ არადა – ვერა, უპასუხა დრისმა.

თქვენ აქ ყველაფერი გაქვთ, რაც მე მჭირდება.

ხო, მაგრამ არის რაღაცეები, რაც არ იშოვება, უპასუხა დრისმა.

ალფრედი წამოხტა. სახეზე სულ წითელი იყო. შენ მე ყველაფერს მიშოვი, რასაც გთხოვ, გასაგებია?

ხო, ხო, ამ ქალაქში ყველაფერია, რაც შენ გჭირდება. მართალია.

ხოდა მეც მაგას ვამბობ, წამოიძახა ალფრედმა გაფიცხებით.

ნახევარი საათის მერე ღვინის ბოთლი უკვე ჩაცლილიყო. ალფრედმა ცარიელი ბოთლი ჰაერში ასწია, კიდევ გაქვს? ჰკითხა დრისს.

ღვინო ფული ღირს, უთხრა დრისმა.

ალფრედი მიაშტერდა დრისს და შეაგინა. გწაღლობ, უპასუხა დრისმა.

თუმცა ბევრი რამ უფასოა, უთხრა ალფრედმა.

მაგის არ მჯერა, უპასუხა დრისმა.

გეუბნები, მსოფლიოში უამრავი რამაა უფასო.

ეგ არაა მართალი. ღვინო არაა უფასო. არც საჭმელი. არც ტანისამოსი. სექსისათვისაც კი ფული გჭირდება.

კი მაგრამ, რატომ? წამოიყვირა ალფრედმა. რატომ მოიგონეს ფული. ყველაფერი უფასო უნდა იყოს!

ჩვენ არ მოგვიგონია. თქვენ მოიგონეთ ფული. უთხრა დრისმა. მანამდე ბარტერული ანგარიშსწორება იყო. ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც ევროპელები მოვიდნენ.

მოდი მოვრჩეთ ფულზე ლაპარაკს, უთხრა ალფრედმა. მე პეპეზე მინდა დალაპარაკება. ის ჩემი დიდი მეგობარია და მე ის ძალიან მიყვარს.

და შენ მასთან გძინავს, და სექსის გარდა სხვა არაფრით ხართ დაკავებული, არა? ჰკითხა დრისმა.

ხო, უპასუხა ალფრედმა.

კენდის და კაროლას გაეცინათ.

ალფრედმა მათ რაღაც უთხრა გაბრაზებულმა, რაზეც გოგონებმა კიდევ უფრო გულიანად გაიცინეს. ალფრედი წამოხტა და მათზე დასარტყმელად გაიწია, მაგრამ დრისმა დროულად დააკავა. შენ ახლა წასვლა... სანამ ეს გოგონები არ წავლენ აქ მოსული აღარ დაგინახო, გასაგებია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ხვალ გადმოვდივარ აქ.

არ შემოგიშვებ.

მაგასაც ენახავთ!

წაიყვანე აქედან შენი მეგობარი, უთხრა დრისმა პეპეს.

დრისმა კარი მიუჯახუნა. ქუჩიდან ალფრედის ლანძღვა-გინება ისმოდა. ცნობისმოყვარე ბავშვები გარს შემოეხვივნენ მოჩხუბარ ნაზარენებს. ალფრედმა კარს წიხლები დაუშინა. ამან ბავშვები ძალიან გაახალისა და მათ ალფრედის დაცინვა დაუწყეს.

ალფრედი ახლა მათ გაეკიდა. და რაკილა ვერ დაეწია, ქვების სროლა დაუწყო. საბედნიეროდ, გზად თავისი ორი მეგობარი გადაეყარა, რომლებმაც იგი დააშოშმინეს და სასტუმრომდე მიაცილეს. ეს ყველაფერი დრისმა მოგვიანებით, ბაზარში შეიტყო.

უკან მობრუნებულს სამზარეულოში კენდი დახვდა. ის ამერიკელი გიჟია, არა?

გიჟები ჩვენ ვართ. ის არაა გიჟი. მას უბრალოდ სხვების გაგიჟება უნდა. ეგ კაცი წიგნებს წერს. თქვენი აზრით გიჟს შეუძლია წიგნების წერა?

ნუთუ იგი მწერალია? ერთხმად იკითხეს გოგონებმა

გაიგეთ, რაც ბატონმა ჰუპკინსმა მითხრა? იგი ზედა სართულს დაიკავებს. მე არ მინდა, რომ მან აქ იცხოვროს. მაგრამ სხვა გზა არაა. ასეა თუ ისე, ის მაინც გადმოვა აქ საცხოვრებლად. ვნახოთ, რაც იქნება – იქნება. მაგრამ თუ ჭკუით არ მოიქცა, პოლიციას გამოვუძახებ. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაგრამ ამაღამ ჯილალას ცეკვის სანახავად მინდა წაგიყვანოთ.

რა არის ჯილალა?

ბიძაჩემი ჯილალას მიმდევარია. ყოველ წელს სახლში ჯილალას საღამოებს აწყობს. ვკითხე, თქვენი მიყვანა თუ შეიძლებოდა. ნება დამრთო, მაგრამ ერთი პირობით. მაროკოულად უნდა შეიმოსოთ.

კი მაგრამ, მაროკოული ტანსაცმელი რომ არ გვაქვს?

მე გიშოვით.

დიდებულია.

დრისი დედამისთან წავიდა და თხოვა ეშოვა ორი კაფტანი, ორი კაბა, ორი გრძელი თავსაბურავი და მოქარგული ფეხსაცმელი. დედამისი იძულებული იყო ეს ყველაფერი მეზობლისთვის გამოერთმია. დრისი სახლში სირბილით დაბრუნდა. როდესაც კენდიმ და კაროლამ მაროკოული სამოსი ჩაიცვეს, ვერავინ გაარჩევდა მათ მაროკოელი ქალებისაგან.

ხოდა წავიდნენ დრისის ბიძის სახლში და დრისმა ისინი თავის ოჯახს წარუდგინა. იქ მოუსმინეს სხვადასხვა არაბულ მუსიკალურ საკრავებს. თორმეტი კაცი უკრავდა ფლეიტაზე და გრძელ დასარტყმელ ინსტრუმენტებზე. ერთი მათგანი რკინის ქარქაზზე ურტყამდა ხელს. შემდეგ შიდა ეზოში გავიდნენ. ჩაის დასალევად ჩამოსხდნენ. ორი მამაკაცი ისევ ფლეიტაზე უკრავდა, მათ მალე დასარტყმელი ინსტრუმენტებიც შემოიერთეს. დრისის ბიძა საცეკვაოდ წამოხტა.

ეზოს შუაგულში დიდი ცეცხლი დაენთოთ, სადაც მხოლოდ ზეთისხილის ტოტებს წვავდნენ. დრისის ბიძამ თავისი ჯელაბა გაიძრო და *ჩამირიც*[16] მიაგდო. ბოლოს ჩალმაც მოიხს-

[16] *იგივე ტუნიკა, კაცის გრძელი ტრადიციული მოსასხამი არაბულ ქვეყნებში.*

ხ54/18

ნა და გადაპარსული თავის ქალა გამოაჩინა, საიდანაც ერთი ცალი წვრილი ნაწნავი უფრიალებდა ღორის კუდივით. შემდეგ მუქადფერი წამოიმართა. ხელში მწვანე ქსოვილი ეკავა, რომლის შიგნიდან გრძელი დანა მოჩანდა. დრისის ბიძამ ქსოვილი გამოართვა, დანა გამოათავისუფლა. ქსოვილი თავზე შემოიხვია და ასე განაგრძო ცეკვა დანით ხელში. ცეკვის დროს დანით მკლავებსა და ფეხებს ისერავდა, საიდანაც სისხლი სდიოდა. მერე დანა გულმკერდზე და სახეზეც დაისვა, და იქიდანაც სისხლმა ისწყო დენა. ამის შემდეგ მან სახე მწვანე ქსოვილით მოიწმინდა, რომელიც ჯერ კიდევ თავზე ჰქონდა შემოხვეული. ბოლოს მიწაზე დავარდა. მაყურებელმა საბანი გადააფარა, ხოლო მუსიკოსებმა ახლა სხვა კომპოზიცია დაუკრეს. ნელა-ნელა დრისის ბიძა წამოდგა და ისევ აცეკვდა. ცეკვას რომ მორჩა, სისხლი მოიწმინდა სხეულიდან, რომელზეც ერთი იარაც კი არ დარჩენილა. ის თავის ოჯახს დაუბრუნდა და მათ შორის დაჯდა. მათ ჰკითხეს, თუ როგორ გრძნობდა თავს. თითქოს ხელახლა დავიბადეო, უპასუხა.

შემდეგ ვიღაც უცხო კაცი წამოდგა და ძალიან უხეში ცეკვა წამოიწყო, რომლის დროსაც ის გავარვარებულ ცეცხლში შევარდა და ერთიანად ამოიბუგა. ცეკვას კი მაინც არ წყვეტდა. ბოლოს ცეცხლი თითქმის სულ ჩააქრო, თავად კი ტანზე დამწვრობის ნაკვალევიც კი არ ჰქონდა. მხოლოდ ტერფები გამავებოდა. მეტი არაფერი.

კენდი და კაროლა ხმის ამოუღებლად შესცქეროდნენ სანახაობას. დრისმა მათ სახეზე შიში ამოიკითხა. სანახაობა კი გრძელდებოდა. ზოგი ადუღებულ, ქაფქაფა წყალს სვამდა ჩაიდნიდან, ზოგიც ცეცხლზე გავარვარებულ დანებს იდებდა სხეულზე. საღამოს გემრიელად ივახშმეს და კარგი დროც გაატარეს. დრისმა გოგონებს უთხრა, რომ სახლში წასვლის დრო იყო. პირველის ნახევარზე დაბრუნდნენ. გოგონებმა სკოჩი და სოდა გაიმზადეს, დრისმა კი ყავა.

კენდიმ დრისს შეხედა, ეს მართლაც დიდებული იყო.

კაროლამ კი დაამატა: ასეთი რამ პირველად ვნახე ჩემს ცხოვრებაში!

როგორ შეიძლება კაცმა ასე დაიჩეხოს თავი და ერთი ნაკაწრიც კი არ ჰქონდეს.

არ ვიცი, უპასუხა დრისმა. მაგრამ ფაქტია, რომ მართლა ქნეს. რაიმე ფანდი გამორიცხულია. უარესებსაც აკეთებენ, დღეს ყველაფერი არ უჩვენებიათ.

ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რამეები არსებობს, თქვა კენდიმ, წიგნში რომ წამეკითხა, ერთ სიტყვასაც არ დავიჯერებდი.

მაგრამ შენ ხომ საკუთარი თვალით იხილე.

ხვალამდე თუ ვიცოცხლეთ, შეიძლება კიდევ უფრო უცნაური რამეები ვიხილოთ, ვინ იცის, თქვა დრისმა.

რა უცნაურობები? რას გულისხმობ?

რომ დავიძინებთ, და ხვალ თუ გავიღვიძებთ, ეგ უკვე ახალი დღე იქნება, და რა იცი ეგ ახალი დღე რას მოგვიტანს.

აჰ, უპასუხეს მათ.

დრისმა ყავა მოსვრიპა. დავილალე, წავალ, დავიძინებ, უთხრა გოგონებს.

ერთმანეთს ძილი ნებისა უსურვეს. გოგონები თავიანთ ოთახში ავიდნენ. ოთახში შესულმა დრისმა კი ხმის ჩამწერი მორთა და იმ დღეს რაც გადახდა, ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა აპარატს. არც [illegible] ამბავი გამორჩენია. რომ მორჩა, [illegible] მორთო და ლოგინში ჩაწვა.

დილით ადრე გაეღვიძა. დაიბანა, ჩაიცვა და ტერასაზე ავიდა. წყნარი დილა იყო და ზღვაც მშვიდად ნარნარებდა მის წინ. ქვემოთ ჩავიდა სამზარეულოში. საუზმე გაიმზადა, სინზე მოათავსა და ტერასაზე აიტანა. ზღვის ტალღები მსუბუქად ელამუნებოდნენ სახლის ქვედა კედლებს. ყავას ჰაშიში მიაყოლა. მეთევზეები სათევზაოდ გადიოდნენ ნავსადგურში. გარშემო სიწყნარე ჩამომდგარიყო. არც ადამიანის ხმა ისმოდა, არც ძაღლის ყეფა. მხოლოდ ოკეანის წყალი ლივლივებდა საამოდ. და კიდევ, მოპირდაპირე სახლიდან იადონების გალობა ისმოდა. დრისს უყვარდა იადონების მოსმენა. ქვემოდან ხმაური შემოესმა. ჩავიდა. კენდი დაუხვდა სამზარეულოში.

დილა მშვიდობის, მიესალმა დრისი გოგონას და აკოცა. შემდეგ კიდევ ერთხელ გაიმზადა საუზმე და მასთან ერთად დაჯდა მაგიდასთან. ცოტა ხანში კაროლიც ჩამოვიდა სამზარეულოში.

შეგიძლია ამ საღამოს ტანჟირის სასტუმრო „მირზანში" დარეკო და ჩვენთვის ორკაციანი ოთახი დაჯავშნო? ჰკითხა კაროლამ. ხვალ დილით, ადრიანად მივფრინავთ.

კი, დავრეკავ. თქვენ უკეთ იცით, უნდა ნახვიდეთ თუ არა.

დრისი ოთახიდან გავიდა. რომ დაბრუნდა, უთხრა, რომ ყველაფერი მოაგვარა და მათთვის სასტუმროში ოთახი დაჯავშნა.

შემდეგ სასეირნოდ გავიდნენ. შუადღის სამი საათი იყო, უკან რომ მობრუნდნენ. კაროლა აბაზანაში შევიდა. კენდი და დრისი კი დრისის ოთახში ავიდნენ და ფანჯრიდან გარეთ იცქირებოდნენ.

გული მწყდება, რომ მივდივარ, უთხრა გოგონამ.

საწოლზე დაწვნენ და სიყვარულს მიეცნენ.

კენდი აბაზანაში შევიდა შხაპის მისაღებად. დრისი გარეთ გაიქცა და ტაქსი დაიჭირა. უკან რომ მობრუნდა, გოგონების ბარგი უკვე ჩალაგებული დახვდა. ჩანთები მანქანაში ჩააწყო და მძღოლს ფასზე შეუთანხმდა. ამასობაში კენდი და კაროლა სახლიდან გამოვიდნენ. თითოეულს დრისისთვის გამზადებული კონვერტი ეჭირა ხელში. დამშვიდობებისას ერთმანეთს აკოცეს. გოგონებს ცრემლი სდიოდათ.

*ინგლისურიდან თარგმნა*
*ნათია მეჩითიშვილმა*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ,,ახალი საუნჯის“ გამოწერა!

GE59BG0000000210646500

დანიშნულებაში მიუთითეთ: **,,ახალი საუნჯე“,**

საკუთარი ტელეფონის ნომერი და მისამართი.

**2020 წლის 6 ნომერი – 12 ლარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საუნჯე

ISSN 0134-9848
9 770134 984002